



N35 (586)

1/IX-7/IX-2011

ფასი 1 ლარი

ჩვენი ჩრედი
მინილ ჯავახიშვილი
ზვიდგომავლი
ტომი VI


შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი
შემდეგ

მინილ ჯავახიშვილი
ტომი VII

ხევსური კაი ყვის
სანიჟვარულო
თავგადასავალი



„მათი აგვანი
ვაჟა-ფშაველამ პოემის
სიუჟეტად აქცია“

ქეთა ლორთქიფანიძე:
„გველს არაერთხელ
მივფარებოვარ“

რაბო სჯარა
გვანცა დარასელიას
ბედისწერის

როდის უნდაგათ
კაცებს ლამაზი
ქალის უიუი

გამუკა
ჩარკვიანი
დაბრუნდა

„ჩემი დასალავი
უკვე დავლია...“

ჩვენი ოცნა



„სამოთხეში არც
უბრი ჭირს და
არც სიყვარულის
დაფიქსიზია“



რით ამაყობს მეღვა
ძიძიგურის შვილიშვილი
„ქალიან მძივე დღეებში გავტოვდი“

მარკუს მებრეველს
ტოლი გავტოვდა



„გული შვილის
სიყვარულს
მაგკინა“

როგორ დავალოთ სხეულის ნაკლი სსსურაო კოსტიუმები

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009

როდენი - წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

მისი დროული მიღება თავიდან აგასილებთ წონაში მატებას და დაიხალთ თვალი 9 კილოგრამა!

- Ⓝ ახორციელებს სეზონურ, ბუნებრივ ჰორმონალურ
- Ⓝ ხელს უშლის ნახშირწყლის სხივებში ბუნებრივ
- Ⓝ ხელს უწყობს სხივების ბოლომდე დაწვას
- Ⓝ აქვეითებს მათს ენერჯის მოთხოვნის ფონზე
- Ⓝ წიხნაღებ დაწყებს სიმსივნის ჰორმონი დახშობის და ქოქისტიტის
- Ⓝ ორგანიზმიდან ბაქტერიებს უბრუნებს სითხე და შინაგანი
- Ⓝ აწესრიგებს სეზონურ მომენტებზე სისხლს

როდენი



მიღების წინ გააცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ამის

მომავალით მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ
„ვერის“-ს, „პი პი სი“-ს სააფთიაქო ქსელს,
და სხვა ქალაქის აფთიაქებს.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომერზე
293 19 87; 230 97 52
მომ: 595308405;

e-mail - promoita@mail.ru
nikosaniitd@mail.ge

ლაზოლექსი®

კანის ინფექციების სამკურნალო საშუალება
1 ანტივირუსული 2 ანტისოკოკური 3 ანტიბაქტერიული

- ✿ სწრაფად აძრებს ქავილის, წვის და ტკივილის შეგრძობას
- ✿ აძლიერებს კერატინიზაციის პროცესს ანტიბაქტერიული
- ✿ საბრუნავად ამცირებს რეციდივების სიხშირეს და მათ ხასიათს



ბელო

კაკლის ესენციალი



ივერიაფარმა Nature - Technology - Health



<p>ლაზოლექსი პირველი HSV-1</p> <p>5 დღე</p>	<p>პირველი ჰერპეზი HSV-3</p> <p>20 დღე</p>
<p>რეტროვირუსი VZV</p> <p>20 დღე</p>	<p>სხვადასხვა სახის პირველი</p> <p>10 დღე</p>
<p>ორთოვირუსი</p> <p>90 დღე</p>	<p>პირველი</p> <p>10 დღე</p>
<p>ტრეპოვირუსი</p> <p>20 დღე</p>	<p>პირველი</p> <p>10 დღე</p>
<p>ანტი</p> <p>10 დღე</p>	<p>რეტროვირუსი</p> <p>10 დღე</p>

გამოყენებისას გააცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ამის
მოქმედი მკურნალობის ვაფის მოცულობა საშუალოდ ინდივიდუალურ შემთხვევაში ვაფ უნდა განისაზღვროს კლინიკური
ჩვენებლების დონის მიხედვით.

გეოლოგ სსიპ ჯგუფთან ერთად

**ქ. თბილისის მერიის
კატარაჟით**



თბილისი ბანკი **დაფინანსებით**
TBC BANK

**ჩაბარება
2012 წლის დეკემბერი**

**მშენებლის პროექტის
ონლაინ კონსტრუქცი**

გურამიშვილის 78

მთავარი ოფისი:
თბილისი,
გუდაგუბის 7

238 44 33
577 777 077
579 770 110

www.saba-jgupi.ge

საქართველოში უძველესი „ისტორიანი“

წარმოგიდგინეთ! ტომი VII

შველა დროის საუკეთესო ისტორიული პროექტი. სრული მასშტაბით 8 ტომად
შეასრულდა საბჭოთა სენსორის მიერ ამოღებული მონაცემთა



შემდეგ ტომში: დავით აღმაშენებლის ბოლო ტომი
(ნიგნის ფასი 3 ლარი)
უკვე გამოცემული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ ნიგნის მაღაზიებში

ბიბლუსი

ნიგნის მაღაზიათა
ქსელით
საქართველოში



ახალი მაღაზია უკვე
ვაჟა-ფშაველას №47

+ 8
გვერდი

ჭურჩნალი მხილოდი ქაღვებისთვის

№ 9

...და ქალი

საქტაგორი
ფასი 2 ლარი

გაჟოლის თვის
დასაწყისში

...და ქალის"
ან ნომართან
ერთად
შეიძინეთ
ქანდის
ბუშნალის
ბანტხალარი

„ქარის დღიურები“
ნაწილი I

წიგნის ფასი 3 ლარი,
შურნალთან ერთად 5 ლარი

შემდეგი – „ქარის
დღიურები“ ნაწილი II

ევრიქა პერონი
მშვიდობით!
არბანტინა!

თემა:

არ შებაშინოთ
ახაპმა

45 სხალი 25-ის



საქტაგორის ნომართან ერთად

„სე-სი დიდ ქაღვები-1“ ავტორისგან

ქვეყანა



„ვითომ ბევრი გავაკეთე, მარა ორი იმდენი დაგრაგა გასაკეთებელი...“

„ჩემი ქვეყანა და ყველაფერი ქართული მიყვარს — მინა, ცა, წყალი და რაც მთავარია, ადამიანები... ლმერთის მნამს და მეშინია, რადგან ვიცი, მას ვერაფერს მოატყუებს და მის მოთმინებასაც აქვს საზღვარი“.

9

სახე



„უნ რომ დიდი იქნები, მე რომ აღარ ვიქნები“

„სიმართლე რომ გითხრათ, კონცერტის ჩატარება მეგობრებმა დამაძალეს, მაშინ კარგად ვერ ვიყავი და ჩამაცივდნენ, 55 წლის იუბილე უნდა აღნიშნო“.

18



ცხოვრება

უცნაური ფობიები



„როგორ შეიძლება, ვინმეს ლამაზი ქალი აშინებდეს, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ კაცს რაღაც კონკრეტული შემთხვევის გამო გაუჩნდეს ასეთი ფობია“...

32

№35 (586)
1 - 7 სექტემბერი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი



- **ვინიატიურები** 5
ველოსიპედებით — ევროპის ჩემპიონატზე!
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **ფაქტი და კომენტარი** 8
- **რჩეული** 9
ჩვენი ოცნა
- **ოქუნიკებული ზონა** 11
მოგზაურობა ბავშვობის ქალაქში, აფხაზური სეზონი და უკმაყოფილო რუსი დამსვენებლები
- **სოციალი** 13
- **თეზიდა** 14
- **შემოქმედი** 18
მამუკა ჩარკვიანის ჭირვეული მუზა
- **შთამოგავლოვა** 20
ბავშვობაშივე დამისვა დიაგნოზი, რომ ჩემგან მომღერალი არ დადგებოდა
- **ფსიქოპორტრეტი** 22
მარკუს მეტრეველს ცოლი გაუთხოვდა
- **მუსიკოსები** 24
...ჩვენებურების წარმატების საიდუმლო
- **გამოძვება** 26
ოთახში გამოკეტილი ანი სირაძე და ცემამდე ცეკვავს



მზა გენილები

ჩაუღილი ქორწილი



„ჩემი და თქვენი შვილის ქორწინება არ გამოვავ, მაგრამ ერთადერთი ვაჟის ქორწინებით ისე იყვნენ მშობლები გახარებული, ქალს ყური არ უგდეს და თითქმის ძალით დასვეს სუფრასთან“.

64

■ გაღი კახისა	28
„მეორედ უკვე 25 წელი მომისაჯეს“ (გაგრძელება)	
■ სასონარკვეთილი დიასახლისები	30
■ თავა	32
უცნაური ფობიები ანუ რატომ ეშინიათ ლამაზი ქალების?..	
■ მეარტოველი	34
მუამარ კადაფი — ლიბიის ჯამაჰირიის მამა	
■ თინეჯერული პონებაი	37
ბედისწერას სად წახუხვალ	
■ ისტორიის ლაბირინთები	40
ხევსური კაი ყმის სასიყვარულო ამბავი	
■ ასპარეზი	43
■ საკითხავი ქალბინათვის	44
როგორ შევარჩიოთ საცურაო კოსტიუმი	
■ ერული	46
როგორ ართობდა „ფრიადოსანი“ სიკო ქუმბურციე მასწავლებელს	
■ ანტიდუკრესანტი	48
■ ტაქარი	48
„კოშკი“ და „ომში მიმავალი მეფე“	
■ ჯანმრთელოვა	50
■ წვეთი პოეზია	52
■ დღესასწაული	53
ხვარამზე — ქალურობის მატარებელი სულის პოეტი	
■ ქართული დეკაჰივი	56
რუსუდან ბერიძე. ურჯუკი (გაგრძელება)	
■ რომანი	60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)	
■ გზავნილები	64
ჩაშლილი ქორწილი	
■ ქართული სოკრბის ლეგენდები	74
პირველი ბროლის თასი 40-წლიანი ბრძოლის შემდეგ	
■ ეს სამყაროა	77
■ გასართობი	78
■ ასტროლოგია	80
■ სკანოვრლი	81
■ ფოტოფაქტი	82

სამყარო




კაცური ჭორები

კაცების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქალები ერთმანეთს გაცილებით ბოროტად ჭორავენ, ვიდრე თავად; რომ მათი ჭორაობა ხუმრობას უფრო ჰგავს, ვიდრე გესლით გაჯერებულ „ეპითეტებს“.

44

ბიბლუსი




ერჯუკი

— არ ჰგავს ძარცვის მცდელობას. ასე რომ ყოფილიყო, მკვლეელი თავს არ შეინუხებდა, იარაღის სასხლეტს თოკს არ გამოაბამდა და ამ გზით თვითმკვლელობის ინსცენირებას არ მოაწყობდა...

56

ბაიმ-აუბი



დღესასწაულად ქსეული ქორწილი

ყველაზე უჩვეულო საქორწილო კაბა იტალიელმა მცხოვრებმა — ვალენტინო შტეფანომ საცოლისთვის შექმნა. კაბა 1500 კრემიანი ღვეზლისგან იყო შექმნილი, ხოლო პატარძლის გვირგვინი, თაიგული და სამკაულები კარამელისგან იყო დამზადებული.

77

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
 გამომცემი კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
 გაზეთი „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
 პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
 მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაძე**
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
 ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
 რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

ველოსიპედებით – ევროპის ჩემპიონაფზე



შესავლის ნაცვლად დავადგინე — მიზს სიდედრი „ტისკავს“!

საიდან დავადგინე? ძალიან მარტოვად ის კი არა, გამიკვირდა კიდევ აქამდე რომ ვერ მოვიფიქრე — ამ ბოლო დროს, რა თემაზეც უნდა ლაპარაკობდეს, ბოლოს მაინც იქამდე მიდის, რომ ევროპელებს თავი დიდი ვინაობები ჰგონათ; რომ ეგენი სად იყვნენ, როდესაც ჩვენ სამტრედიაში ველოსიპედებით დავდიოდით; რომ ჩამოდიან აქ და ჭკუას გვარგებენ და ა.შ. განსაკუთრებით ჰოლანდიელებს ერჩის — ამ დღეებშიც ქუთაისში ველობილიკის გახსნისას ისევ „ცოლოურს“ გადასწვდა:

— ამას წინათ ჩემი სანდრა შემთხვევით შეხვდა ვილაც(!) ჰოლანდიელებს და იმათ ასე უთქვამთ, კი ხართ კარგი ქვეყანა, მაგრამ ეს ბათუმი და ქუთაისი მხოლოდ ფასადია, ველობილიკები რად გინდათ, თუკი ველოსიპედები არ გეყოლებათო?!

სწორედ მაშინ ახსენა ველოსიპედებზე ამხედრებულნი სამტრედელები და აბაშელები, — მაგ ჰოლანდიელებმა რა იციან, ევროპა რა არისო?!

ოღონდ ის აღარ უთქვამს, რომ 40 წლის წინანდელი 3 ველოსიპედის ნარჩენებიდან აწყობილი ერთი „უკრაინა“ ან „ლასტოჩკა“, რომელიც სამტრედელ თუ აბაშელ გლესს ველობილიკზე „სამარიაჟოდ“ კი არა, ერთადერთი მარჩენალი ძროხისთვის გზის პირებზე მოთიბული ერთი ილღია ბალახის მოსატანად სჭირდება, სულაც ვერ არის ევროპა.

ჰოდა, ყოველ თემას ჰოლანდიელების „კბენით“ ამთავრებს და რა უნდა იყოს მიზეზი? მეუღლესთან ერთად შეხმატკბილებულად სეირნობს ქუთაისისა და ბათუმის ველობილიკებზე; სიმამრის სახელი უფროს ვაჟს დაარქვა და სხვა რაღა უნდა ვიფიქროთ?..

კარგი, ბატონო, ყველამ თავის ოჯახურ ამბებს მივხედოთ, მაგრამ არ გადაგვიდოს, კაცო, ეს ძლივს დამოყვრებული ევროპა, თორემ მერე აღარც „მეშფოთდებიან“, პირდაპირ „დაგვიკიდებენ“ (ახლა მხოლოდ არაოფიციალურად ანუ — ფაქტობრივად „კვიდივართ“).

ისე, აგერ ჩვენში, შინაურობაში რომ ვთქვათ, ველოსიპედი რომ ევროპელობასა და დემოკრატიას ნიშნავდეს, ჩინეთი ყოფილა „გაგანია“ დასავლეთ ევროპა და ვიეტნამი — დემოკრატიის აკვანი!

მე კი, ჩემი მოკლე ჭკუით, ევროპა და ევროპელობა ის მგონია, რომ სანამ 30-კილომეტრიან ველობილიკს გააკეთებ ქალაქში, რომელსაც დედაქალაქობას უპირებ, ჯობს, ჯერ 3 კილომეტრი წყლის მილი გამოცვალო, რომ ქალაქის მესამედს მაინც ჰქონდეს წყალი, თუნდაც 5 საათით დღე-ღამეში; ევროპა და ევროპელობა ის მგონია, რომ პენსიონერი თუ მრავალშვილიანი დედა სინარულით ცას არ ეწეოდეს, როდესაც საკმარის „ათას ქულებს“ ვერ დააგროვებს (ეს ათასები მაინც რას ნიშნავს ნეტავ?) და სოციალურად დაუცველთა სიაში

მოსვდება (სადაც 20 წლის წინ რომ ენახა საკუთარი გვარი, სირცხვილით დაინვებოდა); ევროპა და ევროპელობა ის მგონია, როდესაც ნამდვილ ევროპაში ნამდვილ ევროპელ პენსიონერს ქართველი დამსახურებული ექიმი თუ ინჟინერი ჩასვრილ უკანალს არ წმენდს გროშებისთვის და, რაც მთავარია (რადგან მთავარი — ველოსიპედია) — ევროპა და ევროპელობა ის მგონია, როდესაც ყველაზე ცუდი ველოსიპედი შედაგოგის 6 თვის ხელფასი არ ელირება..

ვაჰ! პენსიაზე გამახსენდა — აგერ ახლახან კიდევ ერთი „ევროპული დონის“ ინიციატივა და ხალხზე ზრუნვის მაგალითი მოგვცა ხელისუფლებამ: 1921 წლიდან მოყოლებული, კომუნისტური პერიოდის რეპრესიების მსხვერპლთა შვილებს კომპენსაციებს აძლევდნენ დაღუპული მშობლების სანაცვლოდ...

კუთილი და პატიოსანი, სამართალი უნდა აღდგეს, თუნდაც 100 წლის შემდეგ, ოღონდ კომპენსაციას მხოლოდ შვილები მიიღებენ, შვილიშვილები — არაო და 1921 წელს დახვრეტილთა შვილები რომ ცოცხლები აღარ არიან (ვინც 90 წელს მიაღწია, იმათ გარდა), ეგ არაფერი; საბუთების შეგროვებასა და სასამართლოში შეტანას, „ნადი-მოდის“ ხარჯების გარდა, 800 ლარი რომ სჭირდება, — გეცე არაფერი; მაგრამ ამ 800 ლარის გადახდისა და კიდევ უფრო მეტი ნერვების დახარჯვის შემდეგ ჩემს მეზობელ 80 წლის ქალბატონს 368 ლარი რომ „გამოუნერა“ ჩვენმა მშობლიურმა

სასამართლომ, ეგ ვერაფერიშვილი ევროპელობა მგონია. ეს ოპოზიცია კი ისევ დასიცხულია და ჩეროში ნებვირობს..



P.S. კარგი რამით მინდოდა დამემთავრებინა და ევროპის საკალათბურთო პირველობასა და იქ საქართველოს ნაკრების პირველად მონაწილეობაზე ვაპირებდი საუბარს, მაგრამ ამ ოხერ პროვოკატორობას რა ვუთხარი — მაინც ჩიქორთული კითხვები გამიჩნდა: როგორც მე ვიცი, საქართველოში გამომავალი უამრავი სპორტული გაზეთიდან მხოლოდ ერთმა თუ ორმა მოახერხა იქ თავისი კორესპონდენტის გაგზავნა და ამ მერიაში როგორ შეიყარნენ ასეთი თავგადაკლული ფანები, რომ საკუთარი ხელფასებიდან(?) ფული შეკრიბეს და ნინა წკრიალაშვილ-მამუკა ქაცარავიანად ლიტვაში გაემგზავრნენ?! ძალიან, ძალიან მაინტერესებს, სხვა მონაწილე ქვეყნების დედაქალაქების მერიების რამდენი თანამშრომელი ჩავიდა ჩარტერული რეისით ჩემპიონატზე?..

P.P.S. ველოსიპედებით მაინც წასულიყვნენ.
პრომოკატორი



ქვეყანა

აიშა კადაფი საქმიანობაში ბავშვს გააჩინა



ლიბიის ლიდერის ქალიშვილმა აიშამ გოგონა გააჩინა. ადგილობრივ ჟურნალისტთა ინფორმაციით, აიშას რთული ფეხმძიმობა ჰქონდა, რაც დეპრესიასა და ნერვულ შეტევებში გამოიხატებოდა. 35 წლის აიშა კადაფის არმიის გენერალ-ლეიტენანტის წოდება აქვს. თავის დროზე მას ანალიტიკოსები ლიბიის ლიდერის თანამდებობაზე მამის შესაძლო მემკვიდრედ განიხილავდნენ. ის პოლკოვნიკ ახმედ კადაფი ალ-კახსიზე იყო დაქორწინებული, რომელიც შორეულ ნათესავად ეკუთვნის. ლიბიაში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემდეგ ახმედ კადაფი ალ-კახსი გარდაიცვალა. აიშას ერთ-ერთი შვილი აპრილში ნატოს ავიაიერიშს ემსხვერპლა. იმავე დაბომბვის დროს კადაფის უმცროსი ვაჟი სეიფ ალ-არაბი და სამი მცირეწლოვანი შვილიშვილი დაიღუპნენ. ამ ინციდენტთან დაკავშირებით აიშამ პარიზისა და ბრიუსელის სასამართლოებში სარჩელები შეიტანა და ნატოს სამხედრო დანაშაულში დასდო ბრალი. ალჟირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მუამარ კადაფის მეუღლე საფია ფარკაში, მისი ორი ვაჟი და ქალიშვილი აიშა ოჯახებთან ერთად ალჟირში იმყოფებიან. ■

ვილი დაიღუპნენ. ამ ინციდენტთან დაკავშირებით აიშამ პარიზისა და ბრიუსელის სასამართლოებში სარჩელები შეიტანა და ნატოს სამხედრო დანაშაულში დასდო ბრალი. ალჟირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მუამარ კადაფის მეუღლე საფია ფარკაში, მისი ორი ვაჟი და ქალიშვილი აიშა ოჯახებთან ერთად ალჟირში იმყოფებიან. ■

„თვალუბრი აწყობდა, რომ ვილას მოკლა“...



მუამარ კადაფის ვაჟის, მუტასიმის საყვარელი, მოდელი ტალიტა ვან ზონი ჯამახირიის ლიდერის ვაჟს 3 თვის განმავლობაში ხვდებოდა. როგორც ტალიტა იხსენებს, ათიოდე დღის წინ ის და მუტასიმი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს და ამბოხებულებზე გამარჯვება ჭიქა ვისკით აღნიშნეს. მეორე დღეს კი ნატოს ძალებმა შეტევა განახლეს და ზემოც ჩაიშალა. ვან ზონმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ის და კადაფი-უმცროსი მხოლოდ მეგობრებად რჩებიან. „ბოლოს რომ შევხვდი, ძალიან შეცვლილი მომეჩვენა. თვალეში ეტყობოდა, რომ ვილაც მოკლა“, — იხსენებს ტალიტა. გოგონა ამბოხებულებმა მაშინ დაატყვევეს, როცა ის საზღვრის გადაკვეთას ცდილობდა. რევოლუციონერებმა კადაფის ვაჟის საყვარელს გაქცევის საშუალება არ მისცეს და ერთ-ერთ მითოვებულ შენობაში გამოკეტეს. „ისინი ცოცხლად დანვას მიპირებდნენ, მაგრამ სასწაულებრივად გადავრჩი“, — აცხადებს ყოფილი ტყვე, რომელიც „წითელი ნახევარმთვარის“ თანამშრომლებმა იხსნეს. ■

მსოფლიოში ახალი კრიზისია მოსალოდნელი


საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი ხელმძღვანელი კრისტინ ლეგარდი ევროპაში ახალი კრიზისის შესახებ ლაპარაკობს. ევროპული მედიის ცნობით, ლეგარდმა განაცხადა, რომ მსოფლიო ეკონომიკა კვლავაც დიდი გამოწვევების წინაშე დგას, ამიტომ ევროპასა და ამერიკას გადამწყვეტი ზომების მიღება მართებს. მისი თქმით, წლევანდელმა ზაფხულმა უჩვენა, რომ „ახალ სამიშ ფაზაში ვიმყოფებით“. ■

მეცნიერებმა ალმასის ალანება აღმოაჩინეს

მეცნიერებმა ახალი ჯუჯა-პლანეტა აღმოაჩინეს. იგი მასით იუპიტერზე ოდნავ პატარაა და კრისტალური ნახშირბადის მკვრივი ზედაპირით არის დაფარული. მეცნიერთა ვარაუდით, პლანეტას ალმასის შემცველობა აქვს.

მათი გამოთვლით, ციური ალმასის დიამეტრი 55 ათასი კილომეტრია, მასა კი 10 კვინტილიონ კარატს შეადგენს. გარეგნული ნიშნების გამო მას „თეთრი ჯუჯა“ უწოდეს. იგი ნეიტრონული ვარსკვლავის ირგვლივ 2,2 საათის ორბიტალური პერიოდით ბრუნავს და მისგან 600 ათასი კილომეტრით არის დაშორებული.

ჟანგბადისა და ნახშირბადის მაღალი შემცველობა, ასევე მაღალი სიმკვრივე მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ „თეთრი ჯუჯა“ გიგანტური ალმასია. ■





ფრინველის ბრიკი ბრუნდება

ვირუსი ტაილანდში, მალაი-ზიასა და კამბოჯაშია გავრცელებული. 8 ინფიცირებული უკვე გარდაიცვალა. მედიკოსები აცხადებენ, რომ ვირუსთან ბრძოლა ამჯერად საკმაოდ გაჭირდება. „ვირუსს ყველაზე უკეთ ველური ფრინველები ავრცელებენ. მაგრამ თუ ადამიანი წესებს დაიცავს, ეს ვირუსის მოსპობის საშუალებას მოგვცემს“, — განაცხადა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჯუან ლუბროტმა.

საფრთხე ჩინეთს, ვიეტნამს, იაპონიასა და კორეას ემუქრება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ფრინველის გრიპის შედეგად, 2003 წლიდან მოყოლებული დღემდე, სულ 331 ადამიანი დაიღუპა. ვირუსმა მსოფლიოს მასშტაბით 400 მლნ შინაური ფრინველი გაანადგურა და 20 მლნ დოლარის ზიანი მიაყენა ეკონომიკას. ფრინველის გრიპმა პიკს 2006 წელს მიაღწია, როდესაც 63 ქვეყანა მოიცვა. მათ შორის ყველაზე მძიმე სიტუაციაში ეგვიპტე, ინდოეთი, ბანგლადეში, ინდონეზია, ჩინეთი და ვიეტნამი აღმოჩნდნენ. გაერო ადამიანებს მოუწოდებს, ვირუსის ახალ ტალღასთან გასამკლავებლად მოემზადონ.



რუბრიკა მოამზადა
სამსახურმა ბაბტურიძემ
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ
ambebi.ge-ს მასალები

პრეზიდენტის ბიკა საჭესთან ნასვამი გამოიჭირას



ბარაკ ობამას ბიკა პოლიციამ საჭესთან ნასვამი დააკავა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ომარ ონიანგო ობამა მასაჩუსეტსის საგზაო პოლიციამ გააჩერა. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტის ნათესავი შტატებში არალეგალურად იმყოფებოდა. ობამას ბიკით საინიგრაციო სამსახური დაინტერესდა. ომარ ობამა წესრიგის დამცველებმა მაშინ შენიშნეს, როცა მან გზაზე ავარიული ვითარება შექმნა.

საგზაო პოლიციამ დაკავებისას მას ერთი ზარის განხორციელების უფლება მისცა, მძღოლმა კი თეთრ სახლში დარეკვა ითხოვა.

არალეგალი იმიგრანტის სტატუსის მიუხედავად, ომარ ონიანგო ობამას აშშ-ში კანონიერად ცხოვრების შანსი აქვს — მას შეუძლია დას, 67 წლის ზეითუნ ონიანგს მიჰბადოს, რომელმაც აშშ-ში ცხოვრების ნებართვა შარშან მოიპოვა. მანამდე 10 წლის განმავლობაში ზეითუნი შტატებში არალეგალურად ცხოვრობდა.

სახელმწიფო უსაქლო, პენსიონერები დააზღვიოს



საქართველოს მთავრობა პენსიონერთა დაზღვევაზე ფიქრობს. როგორც თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა, მამუკა ქაცარავამ განაცხადა, სექტემბერში პრემიერ-მინისტრთან გაიმართება თათბირი, რომელზეც 65 წლის ზემოთ პენსიონერთა დაზღვევაზე იმსჯელებენ.

მამუკა ქაცარავას თქმით, პენსიონერთა დაზღვევა მოხდება იმავე პაკეტით, რითაც დღეს სოციალურად დაუცველები სარგებლობენ. პენსიონერთა დაზღვევა მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება. დღეისთვის თბილისში სახელმწიფო დაზღვევით 250 ათასი ადამიანი სარგებლობს. უახლოეს ორ წელიწადში კი, მისი აზრით, ყველა პირი დაზღვეული უნდა იყოს. ამასთან, მისივე განმარტებით, ადამიანები თავად უნდა იზღვეოდნენ კერძო კომპანიებში, რადგან უფრო იოლად მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიღება მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი.



თალიზი

თმის გადანერგვის კლინიკა

ტაშაშაძის ქ. 27 ტელ: 214-15-15
www.talizi.ge



თბილისთან ურთიერთობების აღდგენას ჯერ არ პარაუღობენ

სოსუმში ქართულ მხარესთან ურთიერთობების აღდგენას ჯერჯერობით არ ვარაუდობენ — ამის შესახებ სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ აფხაზეთის ახალარჩეული დე ფაქტო პრეზიდენტის, ალექსანდრე ანქვაბის შტაბის ხელმძღვანელმა, ლეონიდ ლაკერბაიამ განუცხადა. „გულწრფელად რომ გითხრათ, მოვლენათა ამგვარ განვითარებას არ ველოდები. როგორც ვიცი, იყო მცდელობა, განახლებულიყო შლანინგის პროცესი, მაგრამ ქართული მხარე ყოველგვარი კონტაქტის აღდგენის კატეგორიული წინააღმდეგია. ასე რომ, ამ შემთხვევაში ბურთი თქვენი პოლიტიკოსების მოედანზეა. ჩვენი მხრიდან კი რაიმე ინიციატივის საჭიროებას ვერ ვხედავ. ჩვენ მხოლოდ ერთი საკითხი გვაქვს — თანაარსებობის საკითხი. თანაარსებობას კი, მხოლოდ აღიარებაში ვხედავთ“, — აღნიშნა ლაკერბაიამ. მისივე განცხადებით, „მოსწონს ვინმეს, თუ არა, დღეს საქართველოს სახელმწიფო აფხაზეთის მტერია“. „ეს ასეა იურიდიულადაც. შესაძლოა, თქვენ თქვით, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ, მაგრამ საქართველო, როგორც სახელმწიფო, აფხაზეთის მტერია. ჩვენ თავს მივიჩნევთ არა ოკუპირებულ ტერიტორიად, არამედ სახელმწიფოდ, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა. აი, ამაში უდიდესი განსხვავება“, — განაცხადა ლაკერბაიამ. მისივე თქმით, შესაძლოა, მსჯელობა დაიწყოს ძალის გამოუყენებლობის თუ თავდაუსხმელობის შესახებ. ■




ჯონ მაქკეინი ვლადიმირ პუტინს აფრთხილებს?!

სათუნა გახტურიძე

აშშ-ის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, „რესპუბლიკელი“ სენატორი ჯონ მაქკეინი მიიჩნევს, რომ ლიბიის მაგალითი რუსეთის ხელისუფლებისთვის გამაფრთხილებელია და ვლადიმირ პუტინი ასეთი თავდაჯერებული არ უნდა იყოს. „კადაფის ბასარ ასადი მოჰყვება. ისეთ ქვეყნებში კი, როგორც არის ჩინეთი და რუსეთი, ვითარება აშკარად დაძაბულია. ხალხს თავისუფლება სურს, სწორედ ამას მიაღწია ლიბიელმა ხალხმა“, — განაცხადა სენატორმა. მისივე აზრით, დღეს ნებისმიერი დიქტატურა საფრთხეშია. „მიუხედავად იმისა, რომ სისხლი იღვრება, დარწმუნებული ვარ, არაბული სამყაროს მოსახლეობას ეს ვითარება უკეთეს მომავალს მოუტანს. სირიაში ბრძოლები შემთხვევით არ გამწვავებულია. ჩვენი დახმარებით მათ ყველაფერი გამოუვათ. მიმაჩნია, რომ რევოლუციების ტალღა, რომელმაც ახლო აღმოსავლეთი მოიცვა, წინ მიიწევს. ვლადიმირ პუტინის ადგილას რომ ვიყო, ასეთი თავდაჯერებული არ ვიქნებოდი“, — აღნიშნა პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა, ის დარწმუნებულია, რომ „არაბული გაზაფხული“ მთელ მსოფლიოს მოედება. მაქკეინს არაერთხელ განუცხადებია, რომ ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰოსნი მუბარაქის ჩამოგდება რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინს გამაფრთხილებელ ნიშნად უნდა მიეღო. ამერიკელი სენატორის მსგავსად, რუსეთის ეგვიპტის სცენარი ბრიტანეთის ყოფილმა ელჩმა რუსეთში ტონი ბრენტონმაც უნინანსწარმოგვწყვილა. მაქკეინის განცხადებებს რუსულმა მხარემ უკვე უწოდა „ემოციური, უსაფუძვლო და არაკომპეტენტური“. რას გულისხმობდა ამ განცხადებაში ამერიკელი მაღალჩინოსანი და რამდენად რეალურია შესაძლებლობა, რომ ლიბიის ბედი რუსეთმაც გაიზიაროს? ამ კითხვებით ექსპერტს უსაფრთხოების საკითხებში, **ირაპალი სასაჰვილს** მივმართე.

— სიმართლე რომ გითხრათ, ჩემთვის ცოტა არ იყოს გაუგებარია მაქკეინის ეს განცხადება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რუსეთი დღეს ნამდვილად არ არის ის ქვეყანა, სადაც სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა ისევე იოლი შეიძლება იყოს, როგორც ლიბიაში. მიუხედავად იმისა, რომ ლიბიას არც ჯარი ჰყავდა ძლიერი, არც უსაფრთხოების სამსახურები და არც



პოლიცია, მინც საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწია აჯანყებულებს. ლიბიის ომის დამთავრებას ექსპერტები რამდენიმე კვირაში ვარაუდობდნენ, მაგრამ თვეების განმავლობაში გაგრძელდა. რუსეთში კი სხვა რეალობაა. ამ ქვეყანაში ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამსობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ შეიარაღებული ძალები აჯანყდებიან. ეს კი იმდენად საშიში მოვლენაა, რომ არა მგონია, ვინმეს ხელს აძლევდეს.

— **მანც ვისთვისაა საშიში და რატომ არ შეიძლება, დიქტატორული ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამსობა მის მეზობლებს აძლევდეს ხელს?**

— იმიტომ, რომ რუსეთი ბირთვულ იარაღს ფლობს... ერთადერთი, რასაც მაქკეინის განცხადების ქვეტექსტად მივიჩნევ, ის არის, რომ კადაფივით არადემოკრატი პუტინისა და მედვედევის პოლიტიკამ შესაძლოა, მშვიდობიანი რევოლუციის პროცესს ჩაუყაროს საფუძველი.

— **როგორ ფიქრობთ — რუსი ხალხი, მისი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ქუჩაში დემოკრატიული პროცესების განვითარების მოთხოვნით გამოვა?**

— ჯერჯერობით — არა. დემოკრატიული რეფორმების გატარების მოთხოვნით მოსკოვში აქციები იმართება, მაგრამ იმდენად მცირერიცხოვანი, რომ სათვალავში ჩასაგდებაც კი არ არის. რუსი ხალხის გამოღვივებასა და დემოკრატიისკენ სწრაფვას დრო და თაობათა ცვლა სჭირდება. ის თაობა, რომელიც რუსეთში დღეს უმრავლესობას წარმოადგენს, საბჭოური მენტალიტეტის მატარებელია და დიქტატორულ რეჟიმს შეჩვეულია. თუ ახალ თაობას ახალი იდეალები და დემოკრატიული ღირებულებებისკენ სწრაფვის სურვილი გაუჩნდება, შესაძლოა, რევოლუციის გარეშეც მოახდინოს სახელმწიფოს ტრანსფორმაცია. ■



რვაენი ოტია

„პითომ ბავრი ბავაკითა, მარა ორი იმდენი დამრჩა გასაკეთებელი და დასაწერი...“

„მე ცოცხალიც საქართველოსთვის ვლოცულობდი და იმ ქვეყნიდანაც არ მოვაკლებ ლოცვას, თუ ეს საკმარისი იქნა...“ — ამ სიტყვებით მიმართა მკითხველებს მწერალმა ოტია იოსელიანმა ინტერვიუში, რომელიც ორიოდე თვის წინ, გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე მისცა „გზის“ ჟურნალისტს. მისთვის ჩვეული სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობით შეაფასა მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესები და გულანდილად გაგვიზიარა საკუთარი დამოკიდებულება სხვადასხვა მოვლენაზე.

წლების მანძილზე ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ბატონი ოტიას არაერთი ინტერვიუ გამოქვეყნებულა. მასთან თანამშრომლობის პატივი „ქართული პროზის საგანძურის“ გამოცემის დროსაც გვექონდა — იმ პროექტის, რომელსაც დიდი მწერალი ერთ-ერთი პირველი შეგება მოწონებდა და სიხარულით. ახლა კი „გზის“ ახალი პროექტის — „ჩემი რჩეულის“ ტომეულებზე მუშაობისას მისი თანადგომა გვეიმედებოდა. მის რჩეულ ნაწარმოებთა ნ-ტომეულის მომზადებას იმთავითვე უწყობდნენ და გვეთანხმდნენ და მუშაობაც დავიწყეთ, მაგრამ სამწუხაროდ, სიცოცხლეში ვერ მოვუსწარი და ახლა, ოტია იოსელიანის ოჯახისა და მისი შემოქმედების დიდი მოამაგის — ლიტერატორ თამარ ლორთქიფანიძის დახმარებით, უკვე უმისოდ განვაცრობთ.

ბევრმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ქართული პროზის დიდოსტატის — მიხეილ ჯავახიშვილის 7-ტომეულის შემდგომ, „გზასთან“ ერთად, გამოჩენილი თანამედროვე მწერლის — ოტია იოსელიანის თხზულებათა ნ-ტომეულის მიიღებს. მისი „რჩეული“ დაიტევს: პოპულარულ რომანებს, საუკეთესო მოთხრობებს, ქართული თეატრების სცენებზე წარმატებით დადგმული პიესების კრებულს, ავტობიოგრაფიულ ნოველებს, რომელიც ავტორმა ციკლში — „ჩემი ასავალ-დასავალი“ გააერთიანა. პირველი ტომი უკვე ორ კვირაში — 15 სექტემბერს იხილავს დღის სინათლეს. ოტია იოსელიანის შემოქმედებისა და საერთოდ, ლიტერატურის მოყვარულთა რომანის — „ვარკვლავთცვენა“, ნოველების ციკლის — „ავტოქარხნელი ქალიშვილები“, მოთხრობების: „ჯიხვი და მონადირე“, „არვეს ხიზანი“, „მსხვერპლი“, „ჩქარი მატარებელიდან“ — პერსონაჟებთან შეხვედრალით, რომელიც ბევრისთვის პირვე-



ლი იქნება, ბევრისთვის კი — ახალგაზრდობის დროინდელი პუნქტივით ლამაზი მოგონების აღმძვრელი...

ისე მოხდა, რომ ამ ქვეყნიდან მის წასვლამდე ბოლო ორი თვის მანძილზე სამჯერ შევანახეთ ინტერვიუსთვის: გვინდოდა შეგვეტყო და მკითხველისთვის გვეცნობებინა — რას ფიქრობდა ამა თუ იმ გახმაურებულ მოვლენასა თუ პრობლემაზე, რომელიც უხვად დგას ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. ასე დაგვიგროვდა რამდენიმე ჭკუის სასწავლებელი მოსაზრება, რომელიც არათუ დღემდე, არამედ საერთოდაც არ დაძველდება...

ოტია იოსელიანი, 2011 წლის ივლისი:


— სიკვდილზე ფიქრი სიბრძნის ნიშანია და ეს ჩემზე ჭკვიანმა კაცმა თქვა საუკუნეების წინ... ადრე 81 წლის კაცი უსაშველოდ დი-ი-დი მეგონა. გავხდი თავად ამხელა და ისევე ბოვმის შემრჩა გულიც, სულიც და გულუბრყვილობაც... სიცოცხლე კიდევ

მეტად შემეყვარდა და არც იმას ვმალავ, რომ არ მინდა სიკვდილი — გული მწყდება აქოურობაზე... ვითომ ბევრი გავაკეთე, მარა ორი იმდენი დამრჩა გასაკეთებელი და დასაწერი... ახალგაზრდა რომ ვიყავი, მეგონა, დრო უსასრულო იყო და ბევრის მოსწრება შემეძლო...

არც წინასწარმეტყველი ვარ, არც გულთმისანი და არც ბრძენთაბრძენი. ქართველი ვარ, ჩემი ქვეყანა და ყველაფერი ქართული მიყვარს — მინა, ცა, წყალი და რაც მთავარია, ადამიანები... ღმერთის მწამს და მეშინია, რადგან ვიცი, მას ვერავინ მოატყუებს და მის მოთმინებასაც აქვს საზღვარი. რომ ვტრაბახობთ — საქართველო სამოთხეა, უფალს თავისთვის ჰქონდა შეგულებული და ის გვაჩუქა ქართველებსო — ასე დავეფასეთ, რომ ჯოჯოხეთად ვაქციეთ აქაურობა და პირველ რიგში, საკუთარ თავს მოუწყვეთ კუპრით სავსე, ცოდვით აღვსილი ყოფა?!

სამოთხეში არც პური ჭირს, არც წყალი და არც სიყვარულის დეფიციტია... ჩვენ ერთმანეთი რომ აღარ გვიყვარს და თუ საკუთარი ცოლშვილი მაძლარი გვყავს, სხვის დამშულ მოხუცს და ბავშვს რომ ვერ ვამჩნევთ, ესაა სიყვარული?!

უმაღური არ გეგონოთ, მარა — არ მინდა, არც გატყინებული გზა და მით უფრო, 2 პარლამენტი ამდენი გაზულუქებული პარ-



რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, სალამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge



ლამენტარისთვის, თუ მოხუცს პენსია არ ექნა და უნამლობით მომიკვდა, ბავშვს რძე ვერ დავაღვინე და დამიჭლექდა... საქართველოს ქალაქებში და სოფლებში კი მასობრივად შიმშილობს მოსახლეობის ნახევარზე მეტი და ამას გვაპატივებს ღმერთი?! ქართველი ქალების ნახევარი სხვის ბებერს და მომავალს უვლის საზღვარგარეთ გადახვენილი, მათი შვილები აქ უდე-

ბას. საძირკვლის გარეშე ინდომეს ახალი სახლის აშენება და ამიტომ ინგრევა გოუმარებული კედლები. არც რუსის სასწავლებელი გვექონდა რამე ქართველებს და არც — უისტორიო ამერიკელების, მეტი ჭკუა და ღირსება რომ გვექონოდა, მეტად რომ გვეყვარებოდა და შურით დაბრმავებულებს არ წაგვექცია ერთმანეთი, კვანტის დადებით არ დაგვემტვრია ცხვირ-პირი ჩვენზე ჭკვიანისა და გამორჩეულებისთვის...



გული მწყდება, რომ ვკვდები და წაღმა მოგრიალე-ბულ საქართველოს ვერ მევესწარი — ისევ ამერიკელის და რუსის ხელის და ნების შემყურეები ვართ

ამ თემისთვის (ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის დაპირისპირების თაობაზე დაფუს-ვით შეკითხვა. — რედ.) ტომები მაქვს მიძღვნილი და მისი მოკლედ ჩამოყალიბება გამიჭირდება... ინტელიგენციას შორის არსებულ დაპირისპირებას სხვადასხვა მიზეზი აქვს და საჭიოდ შორიდან იღებს სათავეს. პირველ რიგში კი იქიდან, რომ ყანიდან წამოსულები, ვინც კი ცოტა ფული დააგროვა და ქალაქში გადასახლდა, საკუთარ თავს ინტელიგენციას მიათვლიან. არ მინდა, კონკრეტული პიროვნებები დავასახელო, ვიცი, რომ ჩემი სიტყვები ბევრს ეწყინება, მაგრამ ასეა. მეორე და მთავარი მიზეზი არის უსაქმურობა, რაც ორივე მხარეს მყოფ ადამიანებს აწუხებთ... ახლა სოფელში დარჩენა არავის უნდა, მიწაზე

დოდ იზრდებიან და გინახავთ თქვენ სადმე, უდედოდ გაზრდილ ადამიანს არასრულფასოვნების კომპლექსი არ ტანჯავდეს?!

რეფორმებიო, რომ გაიძახით, რად მინდა მე ამერიკელისა და რუსის ნასწავლები უნარ-ჩვევები თუ რაცხა უბედურობა, რომელსაც კაპივის საღირალი არა აქვს ჩემს ტრადიციასთან, მორალთან და ისტორიასთან შედარებით?! გული მწყდება, რომ ვკვდები და წაღმა მოტრიალებულ საქართველოს ვერ მევესწარი — ისევ ამერიკელის და რუსის ხელის და ნების შემყურეები ვართ და იმდენი ღირსებაც არ გაგვაჩნია, რომ რუსს ჩვენი მიწა და წყალი არ მივყიდოთ და მერე გაზარმაცებულებმა ამერიკული პურის სამათხოვროდ არ გვევიშვიროთ ხელი...

ჩვენს ქვეყანას ასე რომ უჭირს, ამისი ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ უფროსი ხალხის „ჩარეცხვა“ მეინდომა ახალმა თაობამ და ხელისუფლებამ. ისეთ ხალხს ჩააკემენდინეს ხმა, ოქროს ფასი რომ ადევს მათ სიტყვას და გამოცდილე-

პირველი ტომი უახე ორ ჰვირაში – 15 სექტემბერს იხილავს ღღის სინათლეს. ლიბარაბარის მოყვარულთ რომანის – „პარსაჰლაჰმეცხანა“, ნოველაბის ციხლის – „აჰბოქარხნალი ქალიშვილაბი“, მოთხრობაბის: „ჯიხვი და მონადირი“, „არჰვის ხიხანი“, „მსხჰარჰლი“, „ჩჰარი მატარაბლიდან“ – ჰარსონაჰბთან შიხჰელრა ელით

მუშაობა სათაილო საქმედ მიაჩნით, ქალაქში ყოფნა კი პატრიოტობა ჰგონიათ. არადა, ქართველი კაცისთვის მინის სიყვარულზე დიდი პატრიოტობა არც არსებობს და არც არავის მოუგონია; მიწათმოქმედი ერი ვართ ჩვენ და იმიტომ... ინტელიგენტობა სხვა რამით იზომება, მაგრამ ეს რომ ახსნა, ჩემზე ისედაც განაწყენებულ ინტელიგენციას უფრო მეტად გავაბრაზებ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი — არ

არის ეს ყველას საქმე... ორი წლის წინ, საქართველოში 146 სამედიცინო სასწავლებელი იყო გახსნილი; მათი უმეტესობა სკოლებში, გარაყებსა და ორლობებში ფუნქციონირებდა, მაგრამ სწავლის მსურველი ყველას ჰყავდა. როგორ ფიქრობთ — ვინ გახსნა და ვინ ასწავლიდა იქ? რა თქმა უნდა, ინტელიგენცია. ისე, ერთი იმ მშობლის თავში ჩამახედა, ვინც იქ შვილი მიიყვანა და სწავლის ფულს უხდიდა! ბოლოს აღბათ ყველას ჩაუდეს ჯიბეში მუყაოს ფურცელი, დიპლომს რომ ეძახიან, მაგრამ რამდენი კარგი სპეციალისტი გვეყავს მედიცინის დარგში?.. რამდენი შემთხვევა იცით, რომ პაციენტს ან ვერ გაუგეს, ან არასწორად უმკურნალეს და დაღუპეს?! თქვენ შეიძლება არ მიპასუხოთ, მაგრამ მეც ხომ ვიცი, რა ხდება ამ ქვეყანაზე!.. ასე რომ, ყველაზე კარგი პატრიოტობა და ინტელიგენტობა — საკუთარი საქმის პროფესიონალიზმია და ეს თქვენმა თაობამ მაინც უნდა დაიმასსოვროს.

საქართველოში აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის ყოფილა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ გამოხატავენ აზრს, როგორ დაუმტკიცებენ ერთმანეთს, ვინ მტყუანია და ვინ — მართალი. ინტელიგენტს, რომელ პოლიტიკურ მხარესაც უნდა იდგეს იგი, მეტი თავდაჭერა მართებს. რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უხერხულია, როცა განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრების გამო ასეთი სიტყვებით საუბრობენ ერთმანეთზე, იმიტომ, რომ ისინი ჩემ-

ნაირად ყანაში მომუშავე ადამიანებზე ბევრად მაღლა უნდა იდგნენ. მე ინტელიგენტობაზე პრეტენზია არ მაქვს, ჩემო ბატონო, ერთი გლეხი კაცი ვარ, სოფელში ვცხოვრობ და როცა შემეძლო, მიწასაც ვამუშავებდი. ახლა ამის საშუალებას ჯანმრთელობა არ მაძლევს. მეათე ტომი მქონდა დასასრულებელი, იმის ძალაც არ მაქვს. ამიტომაც ვზივარ და ვუყურებ, სხვა როგორ ამუშავენს მიწას...



მოგზაურობა ბავშვობის ქალაქში, აფხაზური სკოლის და უკმაყოფილო რუსი დამსვენებლები

როგორც კი „გუგლის“ საძიებელში სიტყვა „აფხაზეთი“ ჩავენერე, ერთ დროს უღამაზესი შავი ზღვისპირა ქალაქების — სოხუმის, გაგრისა და ბიჭვინთის ხედები გადამეშალა თვალწინ: გაზაფხულის დამლევადან, სხვადასხვა დასახელების ტურისტული კომპანიები და სასტუმროები მსურველებს ზღაპრულად ლამაზ ბუნებაში დაუფინყარ, უსაფრთხო და მშვიდ დასვენებას ჰპირდებოდნენ... აფხაზეთში სარეკლამო ტექსტების შედგენისას აუცილებელი სიტყვაა „უსაფრთხო“ — ყველა კომპანია დამსვენებელს ამას ჰპირდება, მაგრამ აბა, ამის გარანტიას როგორ მისცემს?!

ლელი პაპასკირი

ჩვენი რესპონდენტი — ქალბატონი მაია ჟურნალ „გზის“ სტუმარი ადრეც ყოფილა. იგი წარმოშობით ბიჭვინთიდან არის და მას შემდეგ, რაც მისმა აფხაზმა ნათესავებმა ქართველი სიძე მოყვრად მიიღეს, ზაფხულობით, პატარა ვაჟთან ერთად, მარტოხელა დედის სტუმრობს. მას ვთხოვე, ენგურს გაღმა ზღვისპირა საქართველოზე შექმნილი შთაბეჭდილებები გაეზიარებინა. გთავაზობთ აფხაზის თვალთ დასახულ, „უსაფრთხო“ ტურიზმის ექსტრემალურ და „ეგზოტიკურ“ ამბავს, რომელიც მან ბიჭვინთაში ჩასვლის შემდეგ გამოგვიგზავნა.

„ენგურის ხიდთან, ზუგდიდის მხარეს ქართველი სამხედროები დგანან. ჩემი საბუთების დანახვისას გაცემა ვერ დაფარეს, — აფხაზი ხართ?.. — დიახ, ქართველზე ვარ გათხოვილი, — მორცხვად ვუპასუხე. გენი თავისას შვრება და უცხო მამაკაცებთან თამამ საუბარს ჯერაც ვერ შევეჩვიე. ქართველმა სამხედრომ ჯერ მე ჩამომართვა ხელი ვაკაცურად, შემდეგ კი ჩემს პატარა ვაჟს, დიმიას. არ ვიცი, საიდან მოიტანა, მაგრამ კანფეტები აჩუქა. მისმა ყესტმა დანარჩენი სამხედროები გულიანად გააცინა, — ეტყობა, თქვენი გამბედაობით მართლა აღფრთოვანდა, თორემ ერთი კანფეტის გამო შეუძლია, კაციც მოკლასო... დიმა ისე მოეწონათ, საქართველოს დროშასთან უამრავი ფოტო გადაუღეს. ბავშვს „ფოტოსესია“ ისე გაუტკბა, პროფესიონალივით პოზირება დაიწყო...

გზადაგზა „ტაჩიანი“, ველოსიპედისა და ცხენიანი, ზომიერად მეტად გარუჯული ადამიანები გვხვდებოდნენ. ზოგმა „ტრანსპორტი“ გააჩერა

და ხიდზე გადაყვანა შემომთავაზა. თავზიანი უარი ვუთხარი და მინცდამინც არ დაუძალებიათ. რუსების პოსტთან მისვლა ჭირივით მეჯავრება. ხასიათის მიხედვით იქცევიან. უფრო სწორად, თუ „ჯადოსნური სითხით“ სავე ბოთლს მიანვდიან, სითბოდ და ზრდილობად დაიღვრებიან, მაგრამ თბილისიდან არაფერ არასდროს მომაქვს, ბიჭვინთიდან კი — იცოცხლე, „სპასიბო, სესტრიჩკა! კლასნაია უ ვას ვოდკა. ეშო პრიეზუაიტე“, — მომძახიან. ჩემს დანახვზე ქერა სამხედრომ თევზის კონსერვის ჯიჯგანს თავი დაანება, ცხიმისანი ტუჩები ჭუჭყიანი სახელოთი მოიწმინდა და გამეჭიმა. ბოდიში მოვუხადე, — ჭამა შეგანყვეტინეთ-მეთქი, — და საბუთები მივანოდე, რომელსაც „პროპუსიცი“ ჰქონდა დართული. გაოცებულმა შემომხედა: — თბილისში ცხოვრობთო? — დიახ-მეთქი. — აუ! — აღმოხდა. — მართლა ისეთი ლამაზია, როგორც მიშა ამბობსო? — მკითხა და ავტომატს მიშტერებულ დიმას გაუღიმა: — ხოჩემ სტრელიატ? — ონ ოჩენ მალენკი, — შეშინებულმა ვუპასუხე. რაღაცნაირად შემეცოდა დახეულ ჩექმებსა და ჭუჭყისგან გაშავებულ, ერთი ზომით მოკლე კამუფლაჟში გამოწყობილი სამხედრო...

რუსი ჯარისკაცებისთვის ჩაცმულ-დახურული აფხაზი მესაზღვრეები ამჟავე-

ბული სახეებით შემეხდნენ: ქართველზე გათხოვილ აფხაზ ქალს თავისიანად აღარ მიიჩნევენ... როცა ხორაგით დატვირთულ ტაქსიში ჩავჯექი, ჩემმა თანამგზავრმა ქართველმა ქალებმა თავი ვერ შეიკავეს და ყველაფერი წვრილად გამომიკითხეს... ნითელი „ჟიგული“ ცნობისმოყვარე ქალებისგან გალის ცენტრში დაიცალა. შარშანდელთან შედარებით, ქალაქი ოდნავ შეცვლილია: რამდენიმე სახლისა და სკოლის ფასადი შეუღებავთ, ცენტრალურ ქუჩაზე გზაც დაუგიათ. აფხაზეთში წინასწარჩვენი განწყობილება იგრძობოდა. გალიდან ოჩამჩირემდე, გრძელი და უკაცრიელი გზა გავიარეთ. მძლოლმა შემომჩივლა, — ბავშვიან ქალს უარი ვერ გითხარით, თორემ ამ გზის გავლა ჭირივით მეჯავრებო... აქა-იქ სინათლე ბუუტავს. სადაც განსაკუთრებით დიდი ორმოებია, მძლოლი სვლას აწელებს და ამ დროს ღია სარკმლიდან ტურების ხმა იმის. მძლოლმა ამოიოხრა, — რას ჰგავს აქაურობა?! არადა, ერთ დროს ოჩამჩირე პატარა, ლამაზი ქალაქი იყო, ახლა კი ნასოფლარს ჰგავსო...

ნახვრალ ცარიელი ღამის სოხუმი

შელამებული იყო, მაგრამ თოლიების მომრავლება მაინც ვიგრძენი. ოჩამჩირესთან შედარებით, აქაურობა ევროპის ხმაურიან ქალაქს ჰგავდა. ლეონ მეფის ქუჩაზე კანტიკუნტად, მაგრამ მაინც შევხვდით მოსიერ ნყილებს, ცხადია — რუსებს, თორემ ამ დროს აფხაზური ოჯახი გოგოს სასიეროდ არ გამოუშვებს... სხვათა შორის, მთელ სოხუმში შუქნიშანი მხოლოდ ორ ადგილასაა — მთავრობის სახლთან და გურგულიას ქუჩაზე. ნითელზე როგორც კი გაჩერდით, რუსი სამხედრო მოგვადგა და მძლოლს სიგარეტი სთხოვა... აქა-იქ ვაფეებიც ღია იყო და ყოველი მანქანის ჩავლას დაუფარავი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ, — იქნებ დამსვენებლების ახალი ჯგუფი ჩამოვიდაო?... რამდენიმე ადგილას სერგეი ბალაფმის ფოტოებიც ვნახე. მისი პრეზიდენტობა აფხაზეთისთვის „აღმშენებლობის ხანა“ არ ყოფი-



სასტუმროები და რესტორნები შენდება, მაგრამ მომსახურე პერსონალი რუსეთიდან ჩამოჰყავთ



ლა, მაგრამ მისმა სიკვდილმა მოსახლეობის დიდ ნაწილს გული მინც დასწყვიტა. მის გვერდით სერგეი შამბასა და ალექსანდრე ანქევაბის ფო-



რადაცნაირად შექმნოდა დახეულ ჩექმებსა და ჭუჭყისგან გაშავებულ, ერთი ზომით მოკლე კამოფლაჟში გამოწყობილი სამხედრო...

ტოვბია გაკრული, წინასწარჩევნო სლოგანებითა და დაპირებებით (ქ-ნი მია მოშობლიურ კუთხეში დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნებამდე იყო ჩასული. — ავტ). როგორც ჩანს, ამ ორ კანდიდატს შორის გააფთრებული ბრძოლაა. ხალხი ანქევაბის მხარეს არის, მაგრამ მინც შამბა გაიმარჯვებსო, — ამბობენ. ნაომარიც კი ლამაზია ეს ქალაქი, — გულისტკივილით ამბობს მძლოლი და იმ სახლზე მიმითითებს, სადაც თურმე სტუდენტობისას ცხოვრობდა. კორპუსს სახურავი სანახევროდ ახდილი აქვს. უკან ბოსტანი გაუშენებიათ. იქვე რამდენიმე ფიცრულსაც მოვარი თვალი — ალბათ საქონელიც ჰყავთ. ბიჭვინთა გამახსენდა. ჩვენს ქუჩას ერთ დროს მილიარდერი სომეხი შტუკას თხების კიკინი ალვიტებდა. თხის რძით თავს ირჩენდა და ტურისტებსაც იზიდავდა. რუსები ახალმონველილ, აუღულად რძეს სვამდნენ, სასარგებლოაო. ერთხელაც მისი მარჩენალი თხის ფარა დაიკარგა, მოჰპარეს და რუს სამხედროებს მისცეს, — ყველა დამსვენებული მის თხებთან მიდის, დანარჩენები კი ვიჩაგრებიტო... სოსუმის გასასვლელთან, უზარმაზარი სარეკლამო ბანერია, კომპანია „ვერბენა“ ტურისტებს „უსაფრთხო სოსუმში“ ეპატიჟება. ქუჩის კუთხეში ჩარჩოში ჩასმული დედაშვილის სურათი და ჯვარი დგას. მძლოლი მისხნის, — დედას შვილი სკოლაში მიჰყავდა, როცა რუსების სამხედრო მანქანამ შემთხვევით გაიტანაო. ცხადია, არავინ დასჯილა... ბიჭვინთაში ჩასვლამდე რამდენიმე ახალაშენებული სასტუმრო და რესტორანი შეგვხვდა. დიდი აბრა ჰქონდა გამოკრული,

სადაც მსურველებისთვის ინფორმაცია მოეთავსებინათ, ოლონდ სოსუმის კი არა, — მოსკოვის ან რუსეთის სხვა ქალაქების მისამართებია მითითებული ანუ ნომრების დაჯავშნა მხოლოდ რუსეთიდანაა შესაძლებელი... სოსუმის გარშემო მალაჩი ხეები, ევკალიპტები და ტირიფები გაჩეხილია. მითხრეს, ამ ადგილებს რუსები ყიდულობენ და სასტუმროებს აშენებენო.

ბიჭვინთა – ჯიღუპ ერთი სოფლად ქცეული ქალაქი

სახლში ლამით მივედი. დედაჩემმა მოკითხვის მაგივრად, იმისთვის მისაყვედურა, ამ შუალამეს რატომ მოხვედი, ან უცხო კაცს მანქანაში რატომ ჩაუჯექი, ხალხი რას იტყვისო?! არ მახსოვს, ასეთი საყვედური ბოლოს როდის მივიღე და გულიანად გამეცინა... ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა, ჩემი საყვარელი ქალაქი რომ დამეთვალღიერებინა.

დილით დედა დიდხანს მირჩევდა ტანსაცმელს, — რამე „თბილისური“ არ ჩაიცვა და ხალხი არ ააღაპრავოო. არადა, ჩემს ბავშვობაში, ომამდე ამ ქალაქში ლამის შიშველები დადიოდნენ... პირველი, რაც ქუჩაში გამოსვლისთანავე თვალში მომხვდა, დაზარულ ასფალტზე ამოსული ბალახი იყო... პაპანდოპულოების სახლს მივადექი. მიყვარდა ეს ბერძნები, თბილი და სტუ-

რა უცნაური ხალხი ხართ აფხაზები: რუსები გულზე არ გხეხებთ, არადა, უჩვენოდ ნახევარ დღესაც ვერ იარსებებთ; არსებობათუ გინდათ, ხარისხიანი მომსახურება უნდა ისწავლოთ, — დარიგა მან დედაჩემი...

მართმოყვარე ხალხი იყო. ახლაც გაუხარდათ ჩემი ნახვა. აქაურებს პირველ რიგში, დამსვენებლებს რაოდენობაზე უნდა ჰკითხო. შარშან ვწუნუნებდით, რა გვეშველება-თქო?! წელს კი შარშანდელთან შედარებით, ნახევარი არ ჩამოსულა. ერთხელ ვინც ჩამოდის, ხვდება, რომ მიქარა და მეორედ აღარ ჩამოდისო, — ჰყვებოდა ჩემი ბერძენი მეზობელი. ქუჩის კუთხეში, ნაქცეულ ელექტროანძაზე ვკითხები, რა მოუვიდა-მეთქი? — აფხაზ კრიმინალ კუცისა და მილიციის უფროს თხაგუმს შორის საქმის გარჩევა იყო, რამდენიმე დღის შემდეგ კი ის მილიციელი საკუთარ მანქანაში აფეთქდაო... ამ ამბიდან მეორე დღესვე ჩვენს

ქუჩაზე დაბინავებულ 10-მდე დამსვენებელს ბიჭვინთა დაუტოვებია და რუსეთში დაბრუნებულა. შარშან, მთელი სეზონის განმავლობაში სულ 13 დამსვენებელი ჰყოლიათ, აქედან 5 — გაუძარცვავთ. უკან დასაბრუნებელი გზის ფულიც ჩვენ მივეცითო.

გარშემო სასტუმროები და რესტორნები შენდება, მაგრამ მომსახურე პერსონალი რუსეთიდან ჩამოჰყავთ, რადგან ადგილობრივებისთვის ტურიზმის სფეროში მუშაობა დამამცირებელია. ის კი არა, ზაფხულში, როცა რუს სამხედროებს თავიანთი ოჯახები ჩამოჰყავთ, აფხაზები ცოლ-შვილს სოფლებში გზავნიან, — მთვრალმა კაცებმა რატომ უნდა უყურონო?! ქალაქში დღემდე არ მუშაობს დასაუფთავების სამსახური, ამიტომაც ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ გამოსავალი იპოვა და მოსახლეობას თავისი კუთვნილი ტერიტორიის მონესრიგება დააკისრა. შეუსრულებლობა ან დაგვიანება, ჯარიმით ისჯება. ქალაქში დღემდე შეინიშნება პურის საცხობების, სამკურნალო დანესებულებებისა და აფთიაქების დეფიციტი... სახლში მისული, დედამ გამაფრთხილა, მეზობლებს ზედმეტი შეკითხვები არ დაუსვა, არ დაგავინყდეს, რომ მე აქ ვცხოვრობო. დაუსრულვლად მსაყვედურობს — ინტრიგანობა თბილისში ისწავლეო?! დამსვენებელს აფხაზურ ლომს — აბისტას უშაადებდა, თან მიყვებოდა: — ნუხელ ცხვირბაზუბებული იყო; მითხრა, რას ჰგავს აქაურობა, ნამდვილი სოფელია; სისულელე ვენი, რომ ჩამოვედიო... ჩემი ოთახ-

ის ფანჯრიდან სასტუმრო „კუდრი“ მოჩანს. იქვე პატარა ტბა არის — ლაძა. ბავშვობაში უამრავი თევზი იყო, ახლა ვინღა დატოვებს თევზს ამ მშვიერ ქვეყანაში?! დედამ ის დამსვენებელი დააპურა და ახლა მეორისთვის დანიყო ცხელი მჭადპურასა და აფხაზური კერძის, შვიშტის მომზადება. თან თვალბეჭდის შესცივინებდა, — როგორი დრო გაატარეთო? — დროს ტარების რა მოგახსენოთ, მაგრამ კარგი ამინდიაო, — უპასუხა თვალბეჭდულმა რუსმა, რომლის მიმართაც აშკარა აგრესიას ვგრძნობდი. კარგა ხანს ჩუმად ილუკმებოდა, მერე კი თავი ასწია: — რა ამბავია ამდენი სამხედრო, უთოფოდ აგილეს რუსებმაო? — ირონიულად იკითხა. — რაღა უთოფოდ, — თავი



ფობია და სრურწმენა „ბავშვობიდან მუშინია სირკის და კლოუნების“

აღბათ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაღაცის ფობია მაინც არა აქვს. ამ ფობიებიდან ზოგიერთი საკმაოდ უცნაურია და ბევრ ადამიანში ღმირსაც კი იწვევს. მაგალითად, ამას წინათ ჩემმა თანამშრომელმა მითხრა, ცინის თანამშრომლების მეშინიაო; ასევე სშირია შემთხვევა, როცა ვინმეს ციფრების ან ლამაზი ქალების ეშინია. გადავწყვიტე, რამდენიმე ცნობილ ქალბატონს დავკავშირებოდი და მათი ფობიები შემეტყუო. აღმოჩნდა, რომ მათი უმეტესობა თითქმის უშიშარი ყოფილა...

ნანა ჩუბინიძე

მთხა ლორთქიფანიძე, მსახიობი:

— ახლა დავფიქრდი და მივხვდი, რომ არაფრის არ მეშინია. ეს ფაქტი ძალიან მახარებს.

ქვენარმაგლებიც არ გაშინებს?

— არა. გველი შემიძლია ხელში დავიჭირო და მივეფერო კიდეც. ეს არაერთხელ გამიკეთებია და მათი მოფერება ძალიან მსიამოვნებს. ერთადერთი, ტარაკანი მეზოიზღება, თორემ შიშით, არც მისი მეშინია.

წყლისაც რომ არ გეშინია, აღბათ კარგად ცურავ?

— არა, ცურვა საერთოდ არ ვიცი, მაგრამ არაერთხელ ჩამიყვინთავს, ფსკერსაც შევებვივარ ფეხით და ისევე ამომიყვინთავს. გარკვეულ მანძილს ნამდვილად ვერ გავცურავ... წყალში რომ ვიყო და პირდაღებულნი ნიანგი ან ზვიგენი დავინახო, რასაკვირველია, შემეშინდება. ამას აღბათ ფობია არც ჰქვია. ასეთ დროს მგონი, ყველა ნორმალური ადამიანი შეშინდება. ერთადერთი, ყველანაირი სტიქიის მეშინია — მნიშვნელობა არა აქვს, ეს მინისძვრა იქნება თუ წყალ-



გველი შემიძლია ხელში დავიჭირო და მივეფერო კიდეც



მგონი, ძალიან უშიშარი ვარ...

ვერ შევიკავე. რუსმა გაციებისგან წვრილი თვალები კიდეც უფრო მოჭყტა, — მეც დამსვენებელი ვარ-მეთქი, — უსინდისოდ მოვატყუე. — ისე, რა უცნაური ხალხი ხართ აფხაზები: რუსები გულზე არ გეხატებით, არადა, უჩვენოდ ნახევარ დღესაც ვერ იარსებებთ; არსებობა თუ გინდათ, ხარისხიანი მომსახურება უნდა ისწავლოთო, — დაარიგა მან დედაჩემი და გავიდა. რამდენიმე წაშში ისევ შემობრუნდა და დაუყვირა: — რამდენჯერ გითხარი, მაცივარი არ გამოერთო?! რაც რუსეთიდან ჩამოვედი, ცივი წყლის დალევას ვერ ველირსეო! დედაჩემი გამრა. მაცივარს დაბალი ძაბვის გამო ვერ რთავს: მაშინ, სხვა რაღაცები უნდა გამოვერთოო... როგორღაც თავი მოვთოკე და ბავშვებთან ერთად სახლიდან გამოვედი.

მეზობლის ბინიდან ასევე უკმაყოფილო დამსვენებლის ყვირილი ისმოდა: — მოუნესარიგებელი კანალიზაციის გამო, სახლში უამრავი ტარაკანააო!.. რამდენიმე დღის შემდეგ უკვე ყველა მხრიდან დამსვენებელთა პრეტენზიები მესმოდა: ავეჯი სამუზეუმო ექსპონატივით ძველია, აბაზანა — მოუნესარიგებელი, რადგან წყალი „თავის გემოზე“ მიდი-მოდისო... საღამოს, ვადაგასული წვენით მონამლული რუსი ბავშვი სასწრაფოდ აღლერის აერობორტისკენ გააქანეს...

პარკში ყოფნისას, დიმას დამსახურებით, „მოსფილის“ თანამშრომლები გავიცანი. სასტუმრო „გაგრიფში“ ვართ, მაგრამ წყალში ჩასვლა ვერ გავგებდვას — სასტუმროს კანალიზაცია პირდაპირ ზღვაში ჩაედინებაო. „მზიან“ აფხაზეთში გადახდენილ საოცარ თავგადასავლებს ჰყვებოდნენ. არც რინის ტბის ხსენება დავინწყინათ, რომელიც ნაგვითა და მკვდარი თევზებით ყოფილა სასე, სარეკლამო ფოტოებზე კი საბჭოთა დროინდელი ადგილებია გამოსახულიო... ერთ-ერთი მხიარულად მომიყვა, როგორ მონამლა კაფეში მყავე წვინამა: — რუსეთის ჯანმრთელობის დაზღვევამ აქ არ გაჭრა და სანამ მოსკოვიდან ბიჭვინთის ხელმძღვანელობაში, იქიდან კი საავადმყოფოში არ დარეკეს, „სისტემა“ არ დამიყენეს; რამდენიმე დღის შემდეგ გავარკვიე, რომ ჩემს გადარჩენაზე სტომატოლოგს უზრუნვია, რომელიც, თუ საჭირო გახდა, მიკროოპერაციებსაც აკეთებსო...

რუსები არ ტყუოდნენ: თუ ფულს იხდი, ადამიანურად და უსაფრთხოდ მაინც უნდა დაისვენო, მაგრამ რა ქნას ჩემმა ხალხმა — არსებობა ხომ უნდა!.. იშვიათად, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობისგან მაინც მოისმენთ, — ომამდე შვეიცარიის აშენებას გვპირდებოდნენ და ახლა აფხაზეთსაც გვართმევენო...“

დილობა; მაგრამ ვერც ამას დავარქმევ ფობიას, რადგან ძილის წინ ნამდვილად არ ვფიქრობ, ახლა მინისძვრა იქნება, თავში რაღაც დამეცემა და მოვეკვდები-მეთქი.

ცრუმორწმუნე თუ ხარ?


— ნამდვილად — არა. არც შავ კატას ვაქცევ ყურადღებას, არც 13 რიცხვს და არც ორშაბათ დღეს. ასეთ რამეებზე საერთოდ არ ვფიქრობ.

გვანცა დარსალია, ტელენამყვანი:

— განსაკუთრებულს ვერაფერს ვიხსენებ; მგონი, ძალიან უშიშარი ვარ... როგორ არა — ვირთხების მეშინია ძალიან. კარგა ხანია, მათ არსად შევხვედრივარ, მაგრამ მათ ნახვას მირჩენია, დიდი გველი ვნახო.

კი, მაგრამ ვირთხის ნაკბენი გველისაზე ნაკლებად სასიფათო რომ არ არის?

— მაინც გველი მირჩენია. ვირთხას ვერ ვიტან. დანარჩენი არაფერი მაშინებს. უფრო სწორად — ჩემი დევიზია, რომ აბსოლუტურად ყველაფრის შიში უნდა დავძლიო და ყოველთვის ვცდილობ, ასე მოვიქცე-ამის წყალობით, ბნელ სადარბაზოშიც კი უშიშრად შევდივარ.



ბედისწერის
ნამდვილად
მჯერა

— რაიმე უცნაური ფობიის შესახებ თუ გსმენია?

— როგორ არა?! ერთ ჩემს ახლობელს ძეგლების შიში აქვს...

— ცრუმორწმუნე თუ ხარ?

— ზოგადად — არა, მაგრამ ხალხში გავრცელებულ ცრურწმენებს ხანდახან ყურადღებას მაინც ვაქცევ. ისე, სიზმრების უფრო მჯერა, რადგან ჩემს მეუღლეს ყოველთვის უხდება სიზმარი.

— ალბათ ბედისწერისაც გჯერა...

— ნამდვილად, რადგან ჩემი და ჩემი მეუღლის ურთიერთობისას ბევრი ისეთი დამთხვევა მომხდარა, მერე მივხვდი — ეს ბედისწერა იყო. მაგალითად, ადრე თურმე ერთმანეთს შევხვედრივართ, მაგრამ არც ერთს არ გვახსოვდა. გარდა ამისა, როცა დავექორწინდით, მერე გაირკვა, რომ გარკვეულ ადგილებში ერთმანეთს უნდა შევხვედროდით, მაგრამ ავცდით, საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ მაინც ერთად ვართ, ეს კი ბედისწერაა...

საღიბი ზაფხუმი, პიარ-მენეჯერი:

— ერთადერთი, კალიების მეშინია ძალიან. იმდენად მეზიზღება, რომ მათ დანახვასაც კი ვერ ვიტან.

— მერე, როგორ უძლავდები ამ შიშს?

— მოსაკლავად ნამდვილად არ დავდევი, უბრალოდ, ვცდილობ, თავი ავარიდო, მაგრამ ამ ბოლო დროს კალიები ძალიან მომრავლდნენ. დანარჩენი აბსოლუტურად არაფრის მეშინია, არც წყლის და არც — სიმალის. ვერ გეტყვით, სიმალე ძალიან მსიამოვნებს-მეთქი, მაგრამ მაღალი სართულიდან გადმოხედვის პრობლემა ნამდვილად, არ მაქვს.

— ცრუმორწმუნე ხარ?

— არა, არანაირ ცრურწმენას ყურადღებას არ ვაქცევ. მხოლოდ სიზმრების მჯერა, რად-

გან გამოირიცხულია, სიზმარი არ ამხდეს. თან, ხომ ხდება, რომ ადამიანი სიზმარს ნახავს და მერე მსჯელობს — ესა თუ ის ნახაი რას ნიშნავს. მე ეს მსჯელობა არ მჭირდება, რადგან რასაც ვნახავ, ყველაფერი ზუსტად მიხდება...

თამთა ჭალიძე, მომღერალი:

— ბავშვობიდან მეშინია ცირკის და კლოუნების. ერთადერთხელ ვარ ცირკში ნამყოფი და მაშინაც ბოლო ხმაზე ვიტყვი. მას შემდეგ იქ წასვლის სურვილი აღარ გამჩენია.

— შენი შვილიც არ წაგიყვანია ცირკში?

— ლიზის უყვარს ცირკიც და კლოუნებიც, მაგრამ იქ ყოველთვის მამამის დაჰყავს, მე — არა. ისე, ამ ბოლო დროს მივხვდი, რომ სიმალისაც მეშინია, არ ვიცი — რატომ. სხვას ვერაფერს ვიხსენებ.

— რაიმე უცნაური ფობიის შესახებ თუ გსმენია?

— კონკრეტულ მაგალითს ვერ ვიხსენებ, მაგრამ ვიცი, რომ უამრავი ასეთი ფობია არსებობს. წიგნი მაქვს წაკითხული ფობიებზე და იმდენი სასაცილო შიშის შესახებ ენერა, რომ კარგად ვიხალისე.

— ბედისწერასა და ცრურწმენებზე რას გვეტყვი?

— ბედისწერის ნამდვილად მჯერა. რაც შეეხება ცრურწმენებს, ბავშვობიდან დიდი ბებია რაღაცებს მასწავლიდა ხოლმე და იმას უბრალოდ შეჩვეული ვარ, მაგალითად — დილით მარჯვენა ფეხით რომ უნდა ავდგე; ტანსაცმელშიც პირველად მარჯვენა ხელი უნდა გავუყარო. ამ ყველაფერს დღემდე ვასრულებ, რადგან ბავშვობიდან მიმაჩვიეს. შავი კატისა და რაღაც მაგადავარი ცრურწმენების კი ნამდვილად, არ მჯერა. არც 13-ს „ვერჩი“ რამეს, პირიქით — ვგიჟდები ამ რიცხვზე, რადგან ჩემი შვილი, ლიზი სწორედ 13 რიცხვშია დაბადებული...



მხოლოდ
სიზმრების
მჯერა

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება შევიდა. ტერმინი „განრიდება“ — სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან პიროვნების გათავისუფლებას გულისხმობს, ე. ი. იმას, რომ ადამიანს ბრალდებულის სტატუსით სასამართლოში სიარული არ მოუწევს, პირობითი მსჯავრი და ნასამართლობა არ ექნება. ალტერნატიული სასჯელით, მოზარდების შემდეგ უკვე სრულწლოვნებიც სარგებლობენ — ისინი, ვინც მსუბუქ დანაშაულში არიან ეჭვმიტანილები.

რატომ გახდა ამ პროგრამის ამოქმედება საჭირო და რა შედეგი გამოიღო არასრულწლოვნებში ამის შესახებ იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი ანდრეო ბიზაშვილი მოგვითხრობს:

თბა სურსილაკა

— განრიდების პროგრამა ერთ-ერთია და არა ერთადერთი, რასაც იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს. არასრულწლოვანს, რომელმაც ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩადინა, შანსს ვაძლევთ. მასთან სოციალური მუშაკი მუშაობს, დანაშაულის მიზეზს იკვლევს, არკვევს — რა გარემოში უნევს ცხოვრება, ვინ არიან მისი მეგობრები, ოჯახი, რათა ეფექტიანი დახმარება აღმოუჩინოთ. განრიდების პროგრამაში დაზარალებულის ჩაბმაც მნიშვნელოვანია.

— დაზარალებული რა ფორმით ებმება?

— ეკითხებიან, უნდა თუ არა პროგრამაში მონაწილეობა. ამ გზას თუ აირჩევს, სასამართლოში მისვლა არ მოუწევს. უფრო ეფექტიანი გზაა ზიანის ანაზღაურებისთვის. თან, არასრულწლოვანს დაეხმარება იმაში, რომ წესიერი ადამიანი გახდეს.

— განრიდება კონკრეტულად რომელ მუხლებზე ვრცელდება?

— ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებაში არ გავრცელდეს მცდარი შეხედულება, თითქოს განრიდება კონკრეტულად რომელიმე სახეობის დანაშაულს ეხება. ნ წელმდე სასჯელს ეხება, მაგრამ შერჩევა დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით ხდება. ყველა შემთხვევაში პროკურორი განრიდებას არ გამოიყენებს.

— მაშინ რა კრიტერიუმით აირჩევენ პირებს?

— არის ჩამონათვალი, რომელსაც პროკურორი ითვალისწინებს. პირველ რიგში, დანაშაული ნაკლებად მძიმე უნდა იყოს და ის საპილოტე ქალაქებიდან ერთ-ერთში (თბილისი, რუსთავი,



რას ითვალისწინებს განრიდების პროგრამა და რა კატეგორიის დაზარალებულს ასცდება დევნა

ქუთაისი, ბათუმი, გორი და სამტრედია უნდა იყოს ჩადენილი. ფაქტობრივი საცხოვრებელიც პირს იქ უნდა ჰქონდეს. მსჯავრდადებული ასევე მზად უნდა იყოს, დანაშაული აღიაროს და დაზარალებულს ბოდიში მოუხადოს, მისი ოჯახი კი თანახმა უნდა იყოს, მიყენებული ზიანი ანაზღაუროს. მაგრამ ეს არ გულისხმობს ზიანის მატერიალურ და თან სრულ ანაზღაურებას. არაერთი შემთხვევა იყო, როცა არასრულწლოვანმა ალტერნატიული გზით ანაზღაურა ზიანი. ბიჭმა ავტობუსის მინა ჩაამსხვრია. მან იკისრა ვალდებულება, რომ იმ კომპანიას, რომელსაც ზარალი მიაყენა, ავტობუსების გაწმენდაში დაეხმარებოდა. ბავშვებს ფული არა აქვთ, რეალურად, ამ თანხის გადახდა მშობლებს უწევთ. მნიშვნელოვანია, იმ ქმედებით, რისი განხორციელებაც შეუძლია, თვითონ ბავშვმა ანაზღაუროს ზიანი.

არასრულწლოვანები ამ წინადადებას ალბათ სიხარულით ხედებიან, არა?

პირველად შიშს განიცდიან, მაგრამ როცა ხედავენ, რომ მათზე ზრუნავენ, შიში უქრებათ. იციან, ციხეში არ წავლენ და თავისუფლად შეუძლიათ თქვან სიმათლევ. აუცილებელია დაზარალებულთან პირდაპირი ურთიერთობაც.

ერთმანეთთან ურთიერთობას ადვილად ამყარებენ?

ორივეს უჭირს. ძალიან ხშირად, დაზარალებულს არ სურს კონტაქტი. გვექონია შემთხვევა, დაზარალებულმა კატეგორიული უარი თქვა. ასეთი ფრაზაც უთქვამს, — არ მაინტერესებს; ეს ბავშვი ფეხებით დაკიდეთ და პასუხი აგოსო. ასეთ დაზარალებულთან მუშაობაა საჭირო. წერილობით ბოდიშის მოხდა არ არის აუცილებელი, ფორმა შეიძლება, დამნაშავემ თავად მოიფიქროს. ბავშვებთან სიფრთხილე საჭირო. თუ პროკურორი პროგრამაში დამნაშავეს ჩაბმას გადაწყვეტს, ამის შემდეგ მშობლებს უხსნის პროგრამის დადებით მხარეს და მერე მიდის დაზარალებულთან. იყო შემთხვევა, როცა დაზარალებულმა არასრულწლოვანის უმკაცრესად დასჯა მოითხოვა. საქმე ქურდობას ეხებოდა.

სოციალურმა მუშაკმა აუხსნა, ბავშვი ლექსებს წერსო, მაგრამ დაზარალებულისთვის ეს წარმოდგენილი იყო. ცოტა ხანში შესთავაზა, — ხომ არ ნაიკითხავთ მის ლექსებსო? ნაიკითხვის შემდეგ დამნაშავესთან შეხვედრა ითხოვა. საკმაოდ ემოციური იყო ეს



არასრულწლოვანის რეაბილიტაციაზე, რესოციალიზაციაზეც ვმრუნავთ

პროცესი. ბოლოს იკითხა, ხომ შეიძლება, ამ ბავშვთან მერეც ვიმეგობროო?.. ბუნებრივია, ყველას ასეთი შედეგი არა აქვს, მაგრამ პროგრამა წარმატებულია და 6 თვის მანძილზე არც ერთი განმეორებითი დანაშაული არ მომხდარა. არასრულწლოვანები მოვალეობებს ასრულებენ.

რა მოვალეობები აქვთ?

პირველად შიშს განიცდიან, მაგრამ როცა ხედავენ, რომ მათზე ზრუნავენ, შიში უქრებათ. იციან, ციხეში არ წავლენ და თავისუფლად შეუძლიათ თქვან სიმათლევ და თავისუფლად შეუძლიათ თქვან სიმათლევ.

— თუ დაზარალებული არ გვეყავს ან არ უნდა ზიანის ანაზღაურება, პირი საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს მინც აკეთებს. იყო შემთხვევა, დაზარალებულს პრეტენზია არ ჰქონდა. ბრალდებული პროფესიონალი მოცვევავე აღმოჩნდა და ახლა ერთ-ერთი ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ცეკვას ასწავლის.

თუ დაზარალებული კატეგორიულ უარზეა, მინც გაქვთ უფლება, დამნაშავე ამ პროგრამაში ჩართოთ?

— მაშინ დაზარალებულს შეუძლია, სასამართლოში სამოქალაქო წესით იდაოს. პროკურორს კი შეუძლია, არასრულწლოვანი განარიდოს და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა დააკისროს. არასრულწლოვანის რეაბილიტაციაზე, რესოციალიზაციაზეც ვმრუნავთ. გვინდა მიიღონ ცოდნა, უნარ-ჩვევები, რაც დაეხმარებათ გახდნენ კანონმორჩილი ადამიანები. თუ არასრულწლოვანი ბევრ დროს ატარებს ქუჩაში, შეიძლება, ის ფეხბურთის კლუბში განვერდეს. სერვისების რაოდენობა ბევრი არ არის, მაგრამ იუსტიციის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გრანტების გაცემას აპირებს იმ მოთხოვნით, რომ უფრო მეტი სერვისი შეიქმნას.

ასეთი საქმეები სასამართლომდე არ მიდის?

— სისხლისსამართლებრივი დევნა არ ხდება.

განრიდების ვადები კანონით განსაზღვრულია?

— ეს არის სამოქალაქო ხელშეკრულება და როგორც კი მას ხელს მოაწერენ, პირის მიმართ სამართლებრივი დევნა წყდება. ეს შეიძლება

იყოს ერთი თვე ან მექსიმუმ წელიწადი. სამოქალაქო ხელშეკრულება ყველა ხელმოწერს აქვს, მათ შორის — პროკურორს: თუ პირი მეორედ ჩაიდენს დანაშაულს, აღარ განარიდებენ. ხელშეკრულების შესრულების შემდეგ ადამიანს აქვს საშუალება, სუფთა ფურცლიდან დაიწყოს ცხოვრება.

კიდევ რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს ხომ ვერ გაიხსენებთ?

— არასრულწლოვანმა „თელასის“ მავთულები გადაჭრა. მან ვალდებულება იკისრა, ავტოპარკში ემუშავა; თან



ხელობა შეისწავლა. გვეყავს არასრულწლოვანი, რომელიც მოხუცთა თავმჯდომარეში მოხუცებს ლიტერატურას უკითხავს. გვეყავს არასამთავრობო ორგანიზაციაზე მიმდგრებული ბიჭი, რომელიც ნიგნების ელექტრონულ ვერსიას ამზადებს; ბუნებრივია, ამ ნიგნებს თვითონაც კითხულობს. ანალიტიკური დეპარტამენტის დახმარებით, გვინდა, ამ მიმართულებით დავასაქმოთ აქ მოხვედრილი არასრულწლოვნები და შეიქმნება ელექტრონული ნიგნები. იყო შემთხვევა, როცა ბიჭმა ბაზრობაზე კედები მოიპარა. იგი დაზარალებულს დილა-სალამოს ბაზრობაზე ჩანთების მიტანაში ეხმარება. იყო შემთხვევა, როცა მხარემ მატერიალური ანაზღაურება მოითხოვა. მშობლებმა აუნაზღაურეს, მაგრამ არასრულწლოვანს საზოგადოებისთვის სასარგებლო ვალდებულება მაინც დაეკისრა.

— ეს პროგრამა მხოლოდ რამდენიმე ქალაქში სორციელდება, სხვები კი ციხეში მიდიან...

— დისკრიმინაცია რომ არ მოხდეს, რამდენიმე კვირაში ახალი პროგრამა დაიწყება — განრიდება საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობით, რომელიც მთელ საქართველოში გავრცელდება. ასევე გვაქვს „ჩვენი უფროსი მეგობრის პროგრამა“: პროკურორები ხვდებიან, ესაუბრებიან ბავშვებს. მალე დაიწყება პროგრამა — „არჩევანი შენზეა“: შევეცდებით, წარმატებული ახალგაზრდები დავუბრუნოთ თავიანთ სკოლებს.

პროკურორმა სასამართლო სხდომაზე უნდა გადაწყვიტოს, შესთავაზებს თუ არა პირს განრიდებას. განრიდება პირი დამნაშავედ არ ითვლება

ბული ახალგაზრდები დავუბრუნოთ თავიანთ სკოლებს.

*როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, განრიდების პროგრამა უკვე სრულწლოვნებზეც სორციელდება. რითი განსხვავდება იგი არასრულწლოვანთა პროგრამისგან, ამის გარკვევა იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსთან, **ნათარ კახიძესთან** საუბრისას ვცადე.*

— ბატონო ნათარ, ამ მეთოდის სრულწლოვნებზე გამოყენება რატომ გადანაწილებულია?

— დანაშაულის სტატისტიკა და კვლევები ადასტურებს, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა ევროპაში. კრიმინოგენური მდგომარეობა კონტროლს ექვემდებარება. მკაცრი ზომები მისაღები იყო და

ამან შედეგი გამოიღო. ამ წარმატების შემდეგ ლიბერალიზაციის პოლიტიკა დაიწყო და რამდენიმე ღონისძიება გატარდა: პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლება, სასჯელის სრული შეკრებითობის პრინციპის გადახედვა და ნაწილობრივ შეკრების პრინციპზე გადასვლა, დისკრეციული დევნის მექანიზმის შემოქმანა: ყველა დამნაშავის მიმართ ავტომატურად, სისხლისსამართლებრივი დევნა აღარ ხორციელდება და პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას, დევნა განაგრძოს თუ შეწყვიტოს. ზოგადად, განრიდება არ ნიშნავს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. როცა დანაშაულის ჩამდენი ნებაყოფლობით ვალდებულებას კისრულობს, სახელმწიფოს მეტი საფუძველი აქვს იმისთვის, რომ გამოიყენოს მის მიმართ ალტერნატიული ნორმა. პროკურორი აფასებს, რამდენად არის პრიორიტეტული პირის მიმართ დევნის განხორციელება. შეიძლება იყოს მცირე მნიშვნელობის დანაშაული, მაგრამ იმდენად ფართოდ გავრცელებული, რომ აუცილებელი იყოს უფრო მკაცრი ზომის გატარება. თუ დანაშაული განხორციელდა იძულებით გადაადგილებული პირის, არასრულწლოვნის ან ინვალიდის მიმართ, მაშინ დამნაშავეს განრიდება არ შეეხება: ამ კატეგორიის ადამიანთა მიმართ ჩადენილი დანაშაული განსაკუთრებულ რეაგირებას ითხოვს.

— რას გულისხმობს განრიდება სრულწლოვანთა შემთხვევაში?

— დანაშაულის ჩამდენი პირი თანახმა უნდა იყოს, შეასრულოს გარკვეული პირობები. ეს პირობები ჩამოთვლილია კანონში: მიყენებული ზიანის ანაზღაურება, დანაშაულის შედეგად მოპოვებული ქონების დაბრუნება სახელმწიფოსთვის ან კანონიერი მესაკუთრისთვის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, მატერიალური გადასახადი განრიდებისათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ — ასეთია განრიდების პირობების სპექტრი.

— ანუ დამნაშავეს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯარიმის გადახდა მოუწევს?

— ეს არ არის ჯარიმა. ჯარიმა — სისხლისსამართლებრივი სანქციაა,

რომელსაც პირს სავალდებულო წესით აკისრებს სასამართლო. განრიდების თანხას კი პირი ნებაყოფლობით იხდის პროკურორის შეთავაზების საფუძველზე. ამ სისტემის ფუნქციონირება სერიოზულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად განუწელი ხარჯების დაფარვა განრიდების პროგრამაში მოხვედრილ პირს უწევს — ეს არის პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმა... ვშუშობთ, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს სახეობები დაგენერგოთ. თუ ვთქვათ, ექიმმა ჩაიდინა დანაშაული, შეიძლება, მას დაევალოს ბავშვთა სახლში ბავშვების გასინჯვა, თუ სპორტსმენმა — უფასოდ ავარჯიშოს ბავშვები და ა.შ. ეს ჰოლანდიური მოდელია, ხოლო ჩვენი მოდელი იმით განსხვავდება, რომ გათვალისწინებულია დაზარალებულთან კონსულტაცია. პროკურორისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ დაზარალებული კმაყოფილი იყოს და სასამართლოში სამოქალაქო წესით დავა არ დასჭირდეს.

— მიყენებული ზარალის განსაზღვრას ვინ ახდენს?

— ტარდება სპეციალური აუდიტი — ექსპერტები აფასებენ მიყენებულ ზარალს; ასე განისაზღვრება, სისხლის სამართლის რომელი მუხლი უნდა წარედგინოს პირს. განრიდების სუბიექტი არ უნდა იმყოფებოდეს პატიმრობაში, მასზე არ უნდა იყოს გამოყენებული სასჯელის სხვა ფორმები, როგორცაა გირაო და ა.შ. პროკურორმა სასამართლო სხდომაზე უნდა გადაწყვიტოს, შესთავაზებს თუ არა პირს განრიდებას. განრიდებული პირი დამნაშავედ არ ითვლება. ეს შეგვიძირებს ნასამართლევი და პრობაციაში მყოფი პირების რაოდენობას. განრიდება ეხება არაძალადობრივ, ნაკლებად მძიმე დანაშაულის სახეობებს.

— საზოგადოებაში ეჭვობენ, რომ პროკურორებისთვის ამ უფლების მინიჭება კორუფციის წყაროდ იქცევა.

— არსებობს მინისტრის ხელმოწერილი დოკუმენტი, სადაც მოცემულია ჩამონათვალი ბოროტმოქმედებებისა, რომლებზეც არ შეიძლება გავრცელდეს განრიდება; კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტდება ის კრიტერიუმებიც, რომლითაც პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს. ეს სწორედ იმისთვის ხდება, რომ თავიდან იქნას აცილებული თვითნებური კანონის გამოყენება. სისტემა ისე კარგად არის აწყობილი, რომ შეუძლია დავამშვიდო სუბიექტისთვის — ამის საშუალება არ არსებობს.

სად მოვაგზადოთ შვილი ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის



ერთიანი ეროვნული გამოცდების ვნებათაღელვა ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. აბიტურიენტების ნაწილი კმაყოფილია შედეგებით, ნაწილი კი ფიქრობს, რომ არ გაუმართლა, თუმცა ეროვნული გამოცდების ქულები სამართლიანად ასახავს მთელი წლის მუშაობის შედეგებს. დღევანდელი მეთორმეტეკლასელებისა და მათი მშობლების წინაშე დგას არცთუ მარტივი პრობლემა — სად და როგორ მოვემზადოთ ეროვნული გამოცდებისათვის. ამ საკითხებზე ვესაუბრებით აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის დირექტორს, ქალბატონ თამარ კვიციანიას.

— თქვენი ცენტრი უკვე რამდენიმე წელია ამზადებს აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისათვის. როგორ შეაფასებდით გასული სასწავლო წლის შედეგებს?

— ჩვენმა კურსდამთავრებულებმა წელსაც უმაღლესი შედეგები აჩვენეს. მაგალითად, ზოგად უნარებში გვყავს 79,78 და 77-ქულიანი მოსწავლეები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მაქსიმალური 80 ქულა, წელს საერთოდ არ დაწერია. სხვა საგნებშიც ანალოგიური სიტუაციაა. გარეშე თვალისთვის ასეთი შედეგები შეიძლება, გასაოცარი იყოს, მაგრამ ვიცით, რომ ეს მთელი წლის დაუღალავი შრომის ნაყოფია. ცენტრში შექმნილი სწავლების მეთოდი ხელს უწყობს თითოეულ აბიტურიენტს, ეფექტურად გამოიყენოს მიღებული ცოდნა, თავისი უნარი და ეროვნულ გამოცდებზე გამოავლინოს შესაძლებლობის მაქსიმუმი. ჩვენთან მომზადებულმა ყველა აბიტურიენტმა წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები.

— რას ფიქრობთ, რითია ასეთი მაღალი შედეგი გამოწვეული?

— ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამები და მეთოდები წლების განმავლობაში იხვეწებოდა. ინდივიდუალური მიდგომა გვაქვს თითოეული აბიტურიენტის მიმართ და მათთვის მიცემული მოკლე დროის განმავლობაში, ინტენსიური მუშაობით საუკეთესო შედეგებს ვაღწევთ. თუ გავითვალისწინებთ ეროვნულ გამოცდებზე კონკურენციის ყოველწლიურ ზრდას და სკოლებში არსებულ სწავლების დონეს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აბიტურიენტისა და პედაგოგის შეთანხმებულ მოქმედებას ერთობლივი მიზნის მისაღწევად. ამასთან, მომზადებისათვის არსებულ მოკლე დროში მოსწავლე და მისი მშობელი დარწმუნებული უნდა იყვნენ მასწავლებლის პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობის გრძობაში. ჩვენი მასწავლებლები წლებია წარმატებით ემზადებიან სხვადასხვა მონაცემისა და უნარის მქონე აბიტურიენტებს სასურველი შედეგის მიღწევაში. მძაფრი კონკურენციის პირობებში წარმატება მიიღწევა მხოლოდ ყველა რესურ-

სის სრულყოფილად გამოყენებით. ამ ვითარებაში მნიშვნელოვანია აბიტურიენტის, მისი მშობლებისა და პედაგოგების ერთი მიზნისკენ ორიენტირებულობა. ცენტრში დანერგულია სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს აბიტურიენტის მშობლებს, ინტერნეტის საშუალებით ყოველდღიურად შეიტყოს აბიტურიენტის დასწრება-დაგვიანების, საშინაო დავალების შესრულებისა და გაკვეთილზე ჩართულობის შესახებ; ასევე მიიღოს ინფორმაცია მომავალი დღის საშინაო დავალებების შესახებ. ამიტომ, აბიტურიენტები უფრო მეტად მობილიზებულია. ხშირია შემთხვევა, როცა აბიტურიენტი ემზადება რამდენიმე რეპეტიტორთან და ამის გამო დიდი დრო ეკარგება გზაში. ცენტრში ეს პრობლემა მარტივად წყდება. თითოეული მოსწავლისათვის განრიგი ისე დგება, რომ მას დრო ფუჭად არ ეკარგება. აიმც-ში ასწავლიან საუკეთესო პედაგოგები და აბიტურიენტს საშუალება ეძლევა მათგან, ერთ ადგილას მიიღოს გაკვეთილები.

— რა სახის პროგრამები გაქვთ?

— ამჟამად ცენტრში მიმდინარეობს მიღება სტანდარტულ ცხრათვიან კურსზე, რომელიც 29 სექტემბერს იწყება და ივნისის ბოლოს მთავრდება. ამ კურსზე დიდი მოთხოვნილებაა, მასზე რეგისტრაცია უკვე დაწყებულია. 22, 23 და 24 სექტემბერს დანიშნულია მისაღები სადიაგნოსტიკო ტესტირებები. გვაქვს ორწლიანი კურსი მეთერთმეტეკლასელებისთვის. ეს კურსი განსაკუთრებით ეფექტიანია, ვინაიდან 1-ელ წელს ხდება ხარვეზების აღმოფხვრა, ხოლო მეორე წლიდან — ცოდნის დონის ინტენსიური ამაღლება.

— უფრო დეტალურად აღვნიშნოთ თქვენთან სწავლის პროცესი.

— რაც შეეხება სასწავლო პროცესს, ყველაფერი იმით იწყება, რომ მიღებისას მოსწავლეს თითოეულ საგანში უტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირება. ეს საშუალებას გვაძლევს, წარმოადგინო შედეგებით მისი ცოდნის ხარვეზების შესახებ, სწორად შევუჩინოთ ჯგუფი და შევუსაბამოთ სასწავლო პროგრამა. ყოველ ორ თვეში ერთხელ ცენტრში ტარდება ტესტირება თი-

თოეულ საგამოცდო საგანში, ამით სასწავლო პროცესის კორექციას ვახდენთ. მეცადინეობები 3-6-კაციან ჯგუფებში ტარდება, რაც ოპტიმალური რაოდენობაა. თამაზად შემიძლია ვთქვა, რომ აიმც-ის პედაგოგების მიერ შედგენილი ტესტები ყველაზე მეტად შეესაბამება ეროვნული გამოცდების ფორმატს. ჩვენს ცენტრში ჩატარებული ტესტირებები იმდენად მკაცრია, რომ აბიტურიენტებისთვის ეროვნული გამოცდების მღელვარება უტყბო არ არის და შესაბამისად, უფრო მობილიზებული და თავდაჯერებული გადიან გამოცდებზე და შედეგებიც აშკარაა.

— რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთან სწავლა?

— ცხრათვიან კურსზე ერთი საგნის ღირებულება შეადგენს — 110 ლარს, 2 და მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში მოქმედებს ფასდაკლების სისტემა. ფასდაკლების სისტემის მიზანია, რომ აბიტურიენტი ყველა საგანში ჩვენთან მოემზადოს, რაც მას დროის უკეთ განაწილებისა და მისი ოპტიმალურად გამოყენების შესაძლებლობას მისცემს. ორი საგანი ღირს 195 ლარი, სამი — 295, ხოლო 4 საგანში მომზადება თვეში 370 ლარია.

— თქვენი წიგნების შესახებ რას იტყვით?

— აიმც-ის პედაგოგებმა შექმენით სახელმძღვანელოები, რომლებმაც პირველივე წლიდან მოიპოვა უდიდესი პოპულარობა. ჩვენ ყოველწლიურად ვხვდებით სახელმძღვანელოებს, ვცდილობთ, მაქსიმალურად მოვარგოთ იმ სტანდარტებს, რომლებსაც ეროვნული გამოცდების ცენტრი გვთავაზობს.

— მჯერა, თქვენი დახმარებით კიდევ მრავალი აბიტურიენტი გახდება სტუდენტი.

აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის (აიშპ-ის) ვებგვერდი www.center.ge

მარჯანიშვილის ფილიალი: 599 725 000; 251 43 80.
საბურთალოს ფილიალი: 8790 725 000; R



სახე

„შენ რომ დიდი იქნები, მე რომ აღარ ვიქნები“

მამუკა ჩარკვიანის ზირკაული მუზა

მამუკა ჩარკვიანის სიმღერები არაერთი წელია, ჰიტადაა ქცეული. ბოლო პერიოდში მომღერალი და კომპოზიტორი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მსმენელების ახალ-ახალი სიმღერებით განებივრებას სშირად ვერ ახერხებდა, მაგრამ ახლა მინდა გაგახაროთ და გითხრათ, რომ იგი ძალიან კარგად გრძნობს თავს და სულ მალე კიდევ ორ ახალ სიმღერას ჩაწერს. მასთან სტუმრობა ერთი დღესასწაულია: გულთბილი მასპინძელი, რომელსაც სტუმრები უყვარს და სიმღერები, რომლის მოსმენასაც ადამიანი გულგრილად ვერ მოახერხებს.

ელენე ბასილიძე

— რამდენიმე თვის წინ 12 ახალი სიმღერა ჩაწერეთ, ახლა კიდევ ორს წერთ...

— კი, ვმუშაობ, მუზამ არ მიმატოვა. ორივე ახალი სიმღერა ჯანსუღის ლექსზეა დაწერილი. ერთი ჩემს დისშვილს, ირმა გიგანს ეძღვნება, მეორე კი ჩემს გარდაცვლილ მეგობარს, ვახტანგ კობალეიშვილს. ვახტანგი აფხაზეთის ომში იბრძოდა და თბილისში ჩამოსული ინსულტით გარდაიცვალა. ძალიან მომიწონებდა. მამას ვთხოვე, ლექსი დამიწერე, რომელშიც იქნება სიტყვები — „მშვიდობით მეგობარო!“ მან კი მიპასუხა: — მშვიდობით არა, ნახვამდისო! სიმღერის რეფრენიც ესაა, „მშვიდობით არა, ნახვამდის“. ისე კი, „მონატრება“ ჰქვია. ეს სიმღერა იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, ყველა მეომარს მიუჭიდვენი, ვინც საქართველოს შესწირა თავი.

— პატარა ირმამ თუ მოისმინა მისთვის შექმნილი სიმღერა?

— კი და ძალიან მოეწონა. სიმღერის ტექსტი ჯანსუღმა ირმას მიუჭიდვინა, რომელზედაც მერე სიმღერა დავწერე. ზაფხულის პერიოდში მუსიკოსების უმრავლესობა ქალაქიდანაა გასული. როგორც კი ყველა შეგროვდება, ამ სიმღერებს სტუდიურად ჩავწერ და იმედი მაქვს, ბევრ

მსმენელს გავახარებ. ბატონმა მერაბ სანოძემ, — ამ სიმღერების ჩაწერაში თანხას არ ავიღებო — მითხრა. რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით!

— რამდენიმე თვის წინ ჩატარებული კონცერტის შესახებაც ვისაუბროთ, ძალიან ემოციური გამოვიდა.

— სიმართლე რომ გითხრათ, კონცერტის ჩატარება მეგობრებმა დამაძალეს, მაშინ კარგად ვერ ვიყავი და ჩამაცივდნენ, 55 წლის იუბილე უნდა აღნიშნო. ვინც სურვილი გამოთქვა, ყველამ ჩემი სიმღერა შეა-

სრულა. ცოტაც მე ვიმღერე და გამოვიდა საღამო. დარბაზი ტიროდა, ძველი დრო გაახსენდათ, ამასთან ერთად, მეც ძალიან ცუდად გახლდით — ვერ ვდგებოდი. ჩემი კონცერტი სპონსორის გარეშე ჩატარდა. მსმენელი თუ არ მოვიდოდა, დარბაზის გადასახადსაც კი ვერ დავფარავდით. ცოტა მერია წაგვეხმარა, ერთ-ერთმა ბანკმაც წაგვაშველა ხელი. ნანუკა ჟორჯოლიანის დიდი დამსახურებაა, რომ ეს კონცერტი შედგა. შესაძლოა, ისეთი არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩანაფიქრი, რომ სხვა მომღერლებსაც ემღერათ ჩემი სიმღერები, გამოგვივიდა.

— ცოტა ხნის წინ კი 12 ახალი სიმღერა შესთავაზეთ მსმენელს. რამდენი მზადდებოდა ისინი?

— ეს სიმღერები დაახლოებით 2 წლის განმავლობაში გროვდებოდა. ნელ-ნელა გავაორკესტრეთ და ჩავწერეთ. მათზე მთელი ზამთრის განმავლობაში ვმუშაობდით. გამოვიდა დისკი, სადაც ახალი და ის ძველი სიმღერები შევიდა, რომლებიც ჩემს პირველ კონცერტზე გიტარის თანხლებით, ცოცხლად მაქვს შესრულებული.

— კიდევ ერთი დისკის გამოშვებას ხომ არ გეგმავენ?



56 წლის ვხდები, ჩემი დასალევი უკვე დავლიე და ახლა შემოქმედების დროა



— 3 სიმღერით ახალ დისკს ვერ გამოვუშვებ. მუშაობას ვაპირებ და ალბათ 1 წელიწადში მეოთხე ალბომიც გამოვა. ვნახოთ, როგორ „დამენერინება“ სიმღერები (ილიმის).

— როგორც ჩანს, თქვენი მუზაც ჭირვეულია, არა?

— მუზა საერთოდ ჭირვეულია, შენ არაფერს გკვირებ და ხან მიდის, ხან — მოდის. მისი წასვლა-



კულისებში დაბრუნებისას, ნერვიულობისგან მიკროფონი ისე მქონდა ჩაბლუჯული, ჩემმა მეუღლემ ძლივს გამომართვა

მოსვლა განწყობილებზე და მოკიდებული. ამ დროს კი ყველაფერი მოქმედებს — თითოეული ნიუანსი, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. დღეს მუშაობა ძალიან რთულია, სიმღერებიც ნაკლებად იწერება. ამ ბოლო დროს გაპიტებული სიმღერა აღარ მომისმენია. სხვათა შორის, ამას წინათ საავტორო უფლებების სამსახურიდან დამირევეს, მაუნყეს, რომ ჩემს პლასტიკურ ბარათზე თანხა დარიცხულა. მომღერლები მიჩვეულები ვიყავით, კვარტალში ერთხელ 20-50 ლარს გვაძლევდნენ. ამჯერად კი ჰონორარი გაცილებით მეტი იყო, რამაც გამაკვირვა. გამიხარდა, რომ ხელოვანი ადამიანების ნაღვანი ფასდება.

— ბატონო მამუკა, პირველად როდის დანერეთ სიმღერა?

— 17 წლის ასაკში სიმღერა „ჩამოთოვა ისევ“ დაწერე. სცენაზე კი 40 წლის ასაკში გამოვედი. მამაჩემის, ჯანსუღ ჩარკვიანისადმი მიძღვნილი სალამო ტარდებოდა და მერაბ სეფაშვილს ვთხოვე, „მწვანე რტოები“ ემღერა. მერაბმა ამიყოლია, ერთად ვიმღეროთ... ვიმღერეთ და სულ მალე ჰიტი გახდა. მასხოვს, იმ წელს მუსიკალური დაჯილდოება — „ლიგა 1996“ ჩატარდა, ჩვენს დუეტს კი ქართული ტრადიციული სიმღერის

საუკეთესო ნომინაციაში პირველი ადგილი ერგო. მას შემდეგ დაიწერა „ჩემი აღარა ხარ, მორჩა“, „ირინოლა“, „მალა და მალა“. მოპოვებული ჯილდო საკმაოდ დიდი სტიმული იყო ჩემთვის. იმ ქვეყანაში, სადაც თითქმის ყოველი მეორე მღერის და შენი სიმღერა კი საუკეთესო სიმღერის ნომინაციაში გაიმარჯვებს, პატარა საქმე არ გახლავთ. ძალიან ბედნიერი ვიყავი. ასე აღმოვჩნდი სცენაზე და დღემდე მოვდივარ.

— მანამდე არ გქონათ სურვილი, რომ სცენაზე გემღერათ?

— არა ჩემი თაობის წარმომადგენლებმა იცოდნენ, რომ გიტარაზე ვუკრავდი და ახლობლების წრეში ვმღეროდი. ახალგაზრდა როცა ხარ, მთელ ქალაქს ხარ მოდებული და ასე თუ ისე, ერთხელ მაინც ჰქონდათ ჩემი სიმღერა მოსმენილი.

— რამდენად იოლი იყო 40 წლის ასაკში სცენაზე გამოსვლა?

— ძალიან რთული აღმოჩნდა. ჩემი და მერაბის სიმღერა საზოგადოებისთვის იმდენად დიდი მოულოდნელობა იყო, რომ დარბაზი ლამის დაინგრა. მასხოვს, კულისებში დაბრუნებისას, ნერვიულობისგან მიკროფონი ისე მქონდა ჩაბლუჯული, ჩემმა მეუღლემ ძლივს გამომართვა. სცენაზე ყოველი გამოსვლისას ვეღვავე, მაგრამ მალევე მესხნება ნერვიულობა. ფილარმონიაში ჩემი 4 კონცერტი გაიმართა და ოთხივე — ანშლაგით. იმედი მაქვს, შემდეგი კონცერტიც ანშლაგებით ჩაივლის.

— მაშინ, როცა ბატონმა ჯანსუღმა თქვენი პირველი სიმღერა მოისმინა, როგორი იყო მისი რეაქცია?

— მამას დადებითი რეაქცია ჰქონდა. მეუბნებოდა, — გაეცი სიმღერები, შენ თუ არ მღერი სცენაზე, სხვები იმღერებენო. ქალაქში ძალიან ცნობილი იყო სიმღერა „ირინოლა“. ძალიან ბევრი ადამიანი მღეროდა, მაგრამ სცენაზე არ ასრულებდნენ. სუფრიდან სუფრას, ადამიანიდან ადამიანს გადაეცემოდა ეს სიმღერა. ბედნიერი ვარ, როცა ჩემს სიმღერებს ასრულებენ. ამას წინათ, ახალგაზრდები მესტუმრნენ და ერთმა ბიჭმა თითქმის მთელი ჩემი რეპერტუარი დაუკრა.

— რა გრძნობაა, როცა თითქმის 20 წლის წინ გაპიტებულ სიმღერებს დღესაც სიამოვნებით მღერის?

— გადასარევი გრძნობაა. ხშირად ადამიანები, რომლებსაც ძალიან უჭირთ, ქუჩაში მაჩერებენ და ჯერ კიდევ აქვთ იმის სურვილი, რომ მომიკითხონ. ძალიან რთული ცხოვრება გვაქვს, რთულია, ადამიანები ცხოვრების ბოლომდე გიყვარდეს, უნდა ეცადო, ისე იცხოვრო, ადამიანები არ მოიძულო. თუ ერთხელ აიღე თავზე ვალდებულება, რომ სიმღერა მიაწოდო მათ, რომც მოკვდე, მაინც უნდა დანერო. უნდა ემსახურო ხალხს, მთავრობას კი არა (ილიმის)?!

— წელან სამომავლო კონცერტი ახსენეთ, როდის აპირებთ ჩატარებას?

— ალბათ ოქტომბრის თვეში. მინდა, პატარა დარბაზში გიტარით დავჯდე და ძალიან უშუალო და გულწრფელი კონცერტი ჩავატარო. 15-20 სიმღერას ვიმღერებ, შემდეგ კი მაყურებელს ვთხოვ, მითხრან თუ რის მოსმენას ისურვებენ. ამასთან ერთად, წამყვანიც მე ვიქნები. წინა კონცერტზე მაყურებელს მოვუყვიე, მე და ირაკლი ჩარკვიანი ხანდახან ვეშლებოდით და ირაკლის მეძახდნენ. ერთხელაც, როცა ისევ მისი სახელით მომმართეს, ვუპასუხე: — ირაკლი მოკვდა და მე ცოცხალ-მკვდარი მამუკა ჩარკვიანი ვარ-მეთქი. გულიანად გაეცინათ.

— რას ბრძანებთ, ბატონო მამუკა, ცოცხალ-მკვდარს სულაც არ ჰგავართ! ვხედავ, თქვენი მკურნალობა კარგად მიმდინარეობს.

— მაშინ ვიყავი, მაშინ (იციან)! დიდი მადლობა, ახლა ნამდვილად კარგად ვარ. ცოტა ნევროზი დამრჩა, რომელიც თანდათანობით გაივლის. 5 წლის ვხდები, ჩემი დასალევი უკვე დავლიე და ახლა შემოქმედების დროა.

ინტერვიუს დასასრულს ბატონმა მამუკამ ორივე ახალი სიმღერა ჩემთვის დაუკრა. ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ შეუძლებელია, უსმენდეთ მის სიმღერებს და ტანში ჟრუანტელი არ გივლიდეთ. „შენ რომ დიდი იქნები, მე რომ აღარ ვიქნები, დამასიე ფიქრები, როგორც თოვლის ფიფქები“. ამ სიტყვების შემდეგ, მომიბრუნდა და: — ეს სიმღერა დაიმასხოვრე და მე რომ აღარ ვიქნები, მოუსმინე 100 წლის შემდეგ. ბოლო ფრაზით გამხნეებულმა, თავი ენერგიულად დავუქნიე, — მხოლოდ 100 წლის შემდეგ, ბატონო მამუკა.



გავზოგაშივე დაიხვე დიაგნოზი, რომ ჩემბან მოქალაქი არ დადგებოდა

საინტერესო და ძალიან პოპულარულ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. დიდი ბაბუით დაწყებული, ოჯახის ყველა თაობა გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებითა და საქმიანობით. ეს საამაყოცაა და პასუხისმგებლობითაც ტვირთავს. ამიტომ დავინტერესდი ელენე ბარათაშვილით და ვთხოვე, მოეყოლა იმ ადამიანებზე, რომელთა ნაწილი, სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი აღარაა.

ირმა სარძილაძე

— ალბათ, დიდი ბაბუა — ტელევიზიის დამაარსებელი აკაკი ძიძიგური არც გახსოვს, მაგრამ მისი ქალიშვილი, შენი ბებია — მედეა ძიძიგური უეჭველად გემახსოვრება.

— დიდი ბაბუით დავიწყებ — თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან კარგად მახსოვს. საკმაოდ დიდი, ასე, 10-11 წლის ვიყავი, ბაბუა რომ გარდაიცვალა. მახსოვს მისი სიმღერაც, რომელიც ბებიას ნამღერს არაფრით ჩამოუვარდებოდა. მედეა რომ გარდაიცვალა, უკვე 12-ის ვიყავი. მახსოვს, 2 წელიწადში დიდი ბაბუა, ბებია და ბაბუა — დედაჩემის მამა, ცნობილი სპორტული ჟურნალისტი ნოდარ გუგუშვილიც დავკარგე.

— მაშინ თითოეულ მათგანზე მიაბზე. როგორები იყვნენ, რა ისწავლეს მათგან, რა მოგცა ამ ადამიანებთან ურთიერთობამ?

— როცა დავიბადე, 10 ბებია-ბაბუა მყავდა, დიდი ბებიების ჩათვლით (იცინის). ყველაზე დიდი —



ბებიჩემის ბებია ანუ მედეას ბებია და მისი და იყვნენ. ეს ჩემი ოჯახის ის თაობაა, რომელიც რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეო-

მკვლელში“, „დინა ძაძუში“ და „პრომეთეში“ თამაშობდა. მე, სამწუხაროდ, მხოლოდ ფოტოებით მახსოვს. ამბობდნენ, ძალიან ლამაზები იყვნენ დებიო. ელენეს და — მარიამი იმპერატორ ნიკოლოზს დახვდა და ყვავილების თაიგული გადასცა თურმე. მარია გრიგოლ რობაქიძის მუზა ყოფილა. დებს ბალმონტმაც მიუძღვნა ლექსი.

— იცი, ის ლექსი?
— კი, რა თქმა უნდა: „Было нас в кафе четыре./ Как сиротки в бренном мире./ Вдруг вошли, как три зари./ Лида, Чута и Мари./ Имя Лидии воспето/в древнеримском сне поэта./ Имя Чута – целый лес/ шелестяших чу-чудес./ Но звучней всего морские/ всплески в имени Марии/ и желанна ты очам./ цвет мой алый, Мариам! ეს ლექსი მამაჩემმა მიანოდა ბალმონტის შთამომავლობას — მათ არ

ელენეს და — მარიამი იმპერატორ ნიკოლოზს დახვდა და ყვავილების თაიგული გადასცა თურმე. მარია გრიგოლ რობაქიძის მუზა ყოფილა. დაბს ბალმონტმაც მიუძღვნა ლექსი

რესთან შეხვედრასა და აკაკი წერეთელს იხსენებდნენ...

რაო, რას გიყვებოდნენ?

— სიმართლე გითხრათ, ის ამბები ძირითადად, გადმოცემით ვიცი, რადგან დიდი ბებიის ბებია რომ გარდაიცვალა, მხოლოდ 5 წლის ვიყავი. ამბობდა, ელენე ჩემი ნათესავი აღარ არის, იმდენი თაობა გვაშორებსო (იღიმის). სახელი სწორედ მის პატივსაცემად დამარქვეს, გვარად ერისთავი იყო, მუნჯური კინოს მსახიობი. „მამის

პატარა ელენე ლუღასთან, ბუბისთან — მედეა ძიძიგურთან (მარცხნივ), დიდ ბაბუსთან — აკაკი ძიძიგურთან და ბაბუსთან — გივი ბარათაშვილთან ერთად



ეწებოდათ, ბუნებრივია, რადგან პოეტმა ექსპრომტად დაწერა კაფეში. ჩუტა (იგივე ელენე) და მარია ერეკლე მეორის პირდაპირი შთამომავლები იყვნენ, შესაბამისად, ძალიან საინტერესო ცხოვრება ჰქონდათ. ცუდია, რომ მათ სიცოცხლეში უფრო დიდი არ ვიყავი. მათ ძმა ჰყავდათ კიდეც, მაგრამ იმას ვერ მოვესწარი, ლიდა მათი ბიძაშვილი იყო. მათი ქალიშვილი — ირინა ჟღენტი, ჩემი დიდი ბებია ანუ კაკოს ცოლი ახლაც ცოცხალია, ფანტასტიკურად გამოიყურება და მშვენივრად გრძნობს თავს. გადასარევი გუნები მაქვს (იცინის)... კაკოსთან ძალიან ვმეგობრობდი. ყოველ დილით ოთახში შეუვრბენდი და ვთამაშობდით. ძალიან რომ შევანუხებდი, ასეთი თამაში ჰქონდა მოფიქრებული: თავზე ვიხურავდით გაზეთებს და ვითომ მატარებლით მივდიოდით სადღაც. თვითონ იძინებდა და მე მორჩილად ველოდებოდი დანიშნულების ადგილას ჩასვლას (იცინის)...



მასთან არასდროს მქონია ბანალურად მამაშვილური ურთიერთობა

— ქალბატონ მედეაზეც მამაბებ, როგორი იყო?

— მასსოვს, როგორ დავყვებოდი ფილარმონიაში. კონცერტების დროს კულისებში ყოფნა მიყვარდა. ძალიან ამაყი ვიყავი. ძალიან უნდოდა, მემღერა, მაგრამ ბავშვობაშივე დამისვა დიაგნოზი, რომ ჩემგან მომღერალი არ დადგებოდა.

— განსაკუთრებით რომელი სიმღერა გიყვარდა?

— სანთლები, და ერთხელ, მასსოვს, „ლამბადა“ იმღერა კონცერტზე, რამაც ჩემი აღფრთოვანება გამოიწვია. მაშინ პატარა ვიყავი და მედეას მთავარი „კოზინის“ — რუსული რომანსების ხიბლი ჯერ არ მესმოდა.

— მამაზე რას იტყვი?

— მასთან არასდროს მქონია ბანალურად მამაშვილური ურთიერთობა, მით უმეტეს, რომ ისიც საკმაოდ არაორდინარული პიროვნებაა და არა აქვს პატრიარქალური ურთიერთობებისადმი მიდრეკილება. მოკლედ, ოჯახში დემოკრატიულად ვცხოვრობთ. მამას საერთოდ, ძალიან მამსგავსებენ, ხასიათით უფრო მეტად, გარეგნობითაც. ერთადერთი — ჩემი პროფესიის არჩევანზე ვერ მოახდინა გავლენა.

— დროა, შენზეც მამაბო.

— „მერიოტში“ პიარი და მარკეტინგი მავალია. პროფესიით მარკეტოლოგი ვარ და სფეროც შესაბამისია. დავამთავრე კავკასიის ბიზნესის სკოლა. დედაჩემის დედას, მედეა გოცორიძეს მივბაძე ამ მხრივ. ის ეკონომისტი და მეც მიახლოებული პრო-

ფესია ავირჩიე. დანარჩენი ყველა ჰუმანიტარი მყავს.

— ლამაზი გოგონა ხარ. საოცარია, რომ უფრო პოეტური არჩევანი არ გააკეთე.

— ბავშვობიდან მათემატიკა მომწონდა. ბულალტერიასაც კი, რომელიც ბიზნესსკოლაში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საგანი იყო, სიამოვნებით ვსწავლობდი. წერის ნიჭი კი ნამდვილად არ გამომყვამ ამდენი უურნალისტიკისგან. სამაგიეროდ, სხვა რალაცებში გამოვდექი — მათემატიკა ყველაზე კარგად ვიცი ოჯახში (იციინის).

— პო, უზრატესობა გქონია. დღეს მგონი, ეგ უფრო საჭიროა.

— შესაძლოა. სიმართლე გითხრათ, პროფესიის არჩევას გარკვეულად, პრაგმატულადაც მივუდექი.

— მეუღლის არჩევას?..

— მხოლოდ გულით (იციინის).

— და მამისთვის არაფერი გითქვამს? მისთვის ძალიან მძიმე დღეებში გათხოვდი, როგორც მასსოვს.

— მამაჩემმა თავიდანვე იცოდა ჩვენი ურთიერთობის შესახებ, იცნობდა დუდუს — გიორგი კობახიძეს. როცა მეკითხებიან, როდის გათხოვდიო, ერთ თარიღს ვერ ვასახელებ: როდესაც თარიღი იცემებოდა, ჩემი მეუღლე რეზერვში გაიწვიეს, ამიტომ დაიგეგმა 11 ნოემბერი.

— 2007 წლის, ხომ?

— დიახ. ამასობაში მოხდა 7 ნოემბრის ამბები; ბუნებრივია, ქორწილი გადავდე, მაგრამ ჯვარი დავინერეთ. ჩემი ოჯახის წევრები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ ამ დროს, რომ ჯვრისწერას ვერ დაესწრნენ. ქორწილი იანვარში დაიგეგმა, მაგრამ იანვარში დაინიშნა არჩევნები და გადავდე ზაფხულისთვის. მაგრამ თაფლობის თვე უკვე დაგეგმილი გქონდა და იანვარში წავედი ამერიკაში. იქიდან რომ ჩამოვედი, ცალკე გადავდე მით საცხოვრებლად. ზაფხულში ქორწილი გადავიხადეთ (სხვათა შორის, ჩემი ქორწილის წინადაღეს დანიშნეს

პარლამენტის პირველი სხდომა, რამაც კინალამ ინფარქტი დამართა ჩვენს მშობლებს, მაგრამ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა და ქორწილი შედგა). თუმცა ზაფხულში მქონდა მესამე სემესტრი უნივერსიტეტში და ამიტომ მეორე საქორწინო მოგზაურობაც სექტემბერში მოვანყვეთ, ისიც ძლივს, რადგან 2008 წლის აგვისტოში ომი დაიწყო. ნიშნები რომ გვჯეროდეს, ალბათ დაქორწინებას გადავიფიქრებდით (იციინის).

— ახლა ფეხმძიმედ პირველ ბავშვზე ხარ?

— დიახ. უკვე დეკრეტში გავედი, 2-3 კვირაში ველოდები ბიჭს.

— სახელი შეურჩიეთ?

— თითქმის. რამდენიმე სავარაუდო სახელი გვაქვს და სწორედ დღესაა დაგეგმილი საბოლოო ვარიანტის შერჩევა. 12 საათამდე აქვს ვადა ჩემს მეუღლეს. სავარაუდო სახელები მე შევარჩიე და იქიდან გიორგი აირჩიეს. გოგოს კი მომავალში მე შევურჩევ. საერთოდ, რატომღაც მეგონა, პირველი შვილი გოგო იქნებოდა — სახელიც ვიცოდი და მთელი მომავალი განერილი მქონდა. უცებ აღმოჩნდა, რომ ბიჭია და თავიდან მოგვინია ყველაფრის დაგეგვამ.

— ხომ ხედავ, დაგეგმვით არაფერი გამოგდით, ამიტომ ნუღარ დაგეგმავთ.

— მართალია. სპონტანურად უფრო საინტერესოცაა ცხოვრება (იციინის).



როცა მეკითხებიან, როდის გათხოვდი, ერთ თარიღს ვერ ვასახელებ



მარკუს მებრეველს სოლი გაუთხოვდა

არის თუ არა ნინო შერაბაძინი მისი რჩეული

მუსიკალური ნიჭი დედისგან და ბებუისგან გამოჰყვა. გარკვეული წლების განმავლობაში საზღვარგარეთ ცხოვრობდა და როგორც მომღერალს, თავისი მსმენელიც ჰყავდა. ახლა ქართული შოუბიზნესის ფერულში ჩაება და ამბობს, რომ ამაში ვიღაც-ვიღაცები ხელს უშლიან. მარკუს მებრეველი ნინო შერაბაძინთან დღეღამე გაიწყო ქართველმა მსმენელმა.

შემოქმედებითად დატირებული მომღერალი ცოტა ხანს საქმეს მოწყობით და რედაქციაში მოვიწვიეთ. იმის გამო, რომ მარკო საკმაოდ გულახდილი და ენაწყლიანი რესპონდენტია, მისი ფსიქოპორტრეტის შედგენა არ გამჭირვებია.

ნინო მებრეველი

— მარკო, ადამიანის ფსიქოპორტრეტის ჩამოყალიბება მისი ბავშვობიდან იწყება...

— ღვთის წყალობით, საკმაოდ შეძლებულ ოჯახში ვიზრდებოდი. ჩემს ოჯახს თავისი რესტორნების ქსელი ჰქონდა თბილისში და არასდროს გვიჭირდა. განებივრება და

მომუშავებული ფულით ვყიდულობდი იმ კარგ სათამაშოს, ველოსიპედსა თუ ტანსაცმელს. 12 წლიდან საკუთარი შემოსავალი მაქვს.

— გარკვეული პერიოდის განმავლობაში საზღვარგარეთ ცხოვრობდი, ამან რა გავლენა იქონია შენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე?

— ეს ის პერიოდი იყო, როცა საქართველოს მძიმე დღეები ედგა. თბილისისკენ რუსული ტანკები მოდიოდნენ. 9 აპრილის წინა პერიოდი იყო. ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს, ყველაფერი მიეტოვებინათ და საქართველოდან წასულიყვნენ. ძალიან კარგად მახსოვს, როგორ ვალაგებდით ბარგს. დავტოვეთ თბილისი და საბერძნეთში წულიდან დავიწყეთ ცხოვრება. მაშინ 8 წლის ვიყავი. ძალიან რთულად გადავიტანე ეს ყველაფერი. შეგუებული ვიყავი აქაურ გარემოს. მყავდა მეგობრები, კლასელები, რომლებთან ერთადაც ძალიან კარგად ვგრძობდი თავს და უცებ — აბსოლუტურად უცხო გარემო, ჩემთვის უცხო ენაზე მოლაპარაკე კლასელები, მასწავლებლები, მეზობლები. მიუხედავად იმისა, რომ მიხაროდა — მივდიოდი ევროპაში, სადაც უნდა გამეგრძელებინა სწავლა, ეს იყო ძალიან დიდი დარტყმა ჩემს ცხოვრებაში. წარმოიდგინეთ, 8 წლის ბავშვი პირველ კლასში დამსვენ. ცუდი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა კლასელებთანაც, რუსს მეძახდნენ. თან რუსები საბერძნეთში მაინც-დამაინც არ უყვარდათ. მიუხედავად ყველაფრისა, მიზანდასახულობამ აქაც მიშველა. დიდი შრომის შედეგად, წელიწად-ნახევრის შემდეგ მეოთხე კლასში დამსვენ.

— სიმღერაზე ფიქრი როდის დაიწყო?

— ბავშვობიდან მქონდა ეს მიზანი და ღვთის წყალობით განვახ-

ორციელე. საბერძნეთში რომ ვსწავლობდი, პარალელურად საბავშვო მუსიკალურ აკადემიაში დავდიოდი. ჩემმა მშობლებმა ყველანაირად შემინყვეს ხელი, რომ საქართველოში ჩამოვსულიყავი, უმაღლეს სასწავლებელში ჩამეზარებინა და ჩემი გეგმები განმეხორციელებინა. სკოლის დამთავრების შემდეგ დავბრუნდი საქართველოში და ჩავაბარე ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, ბერძნულის განხრით. ერთი წლის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი ადგილი იქ არ იყო და საბუთები სამხატვრო აკადემიაში შევიტანე, მაგრამ აქ არც აკადემია დამიმთავრებია — საბუთები ისრაელში გადავიტანე და იქ ავიღე დიპლომი. ასე რომ, პროფესიით დიზაინერი გახლავართ. სტუდენტობა საქართველოში, მშობლების გარეშე გავატარე. მინდოდა, განათლება ევროპაში მიმეღო და ცოდნა საქართველოში გამომეყენებინა. დებრესიაში ჩავვარდი პირველი ექვსი თვე, როცა აქ ცხოვრება გადავწყვიტე. აქტიური ცხოვრებიდან უცბად ძალიან მშვიდ და მონოტონურ გარემოში მოხვდი. 2 თვე სახლში ვიჯექი იმის გამო, რომ არ ვიცოდი, რა ხდებოდა საქართველოში. მეუბნებოდნენ, რომ საქართველოში შოუბიზნესი არ არსებობს, „გარდაიცვალა“, „დავასაფლავეთ“ და ა.შ.

— ყვავილებიც ხომ არ შეიძინე, საფლავზე წასაღებად?

— (იციან) არა, ჯერ ვაკვირდებოდი სიტუაციას. შემდეგ ნელ-ნელა „დაიქოქა“ ეს ბიზნესი. გადავიღე ერთი კლიპი, მეორე, მესამე... ჩავწერე სიმღერები და გამოვფხიზლდი.

— დღეს ჩვენთან სიმღერის ჩანერა და კლიპის გადაღება დიდი ფუფუნებაა მომღერლისთვის. დიდი თანხა სჭირდება და სანაცვლოდ არაფერს იღებს. რისთვის დაიხარჯე ასე, პოპულარობისთვის?

— ამ ყველაფრის უკან იყო ჩემი დიდი სურვილი, რომ ჩემი შემოქმედება, ნიჭი გავცნო ხალხს. მე მაქვს ამბიცი, რომ ჩემი ცოდნა გავუზიარო ქართველ საზოგადოებას. ჯერ ჩემი მონაცემების მხოლოდ ხუთი პროცენტი მაქვს გამოშვებული, ვინაიდან ბოლომდე დახარჯვის საშუალებას არ მაძლევენ.

— ვინ?

— რა გითხრა, დიდი ხელშეწყობა არ არის. მე მინდა გრანდიოზული შოუები გავაკეთო, მაგრამ მეუბ-



12 წლიდან საკუთარი შემოსავალი მაქვს

კარგი ცხოვრება, საბედნიეროდ, ჩემს ხასიათზე ცუდად არ ასახულა. არასდროს არავისთვის ზემოდან არ დამიხედავს, თუნდაც ბავშვობაში, იმის გამო, რომ მე მასზე კარგი სათამაშო მქონდა ან უკეთ მეცვა. ძალიან უშუალო და უბრალო ვიყავი და ვარ დღემდე. ჩემი მშობლები ცდილობდნენ, მეც დავესაქმებინე, რომ შრომის ფასი და ფულის ყადრი მესწავლა. სხვათა შორის, ჩემი გა-



ნებიან, რომ ჯერ არ არის ამის დრო.

ვინ გაუბნება?

— ძაან მაღალი ეშელონები (იცი-ნის). დიდი ენთუზიაზმით ჩამოვედი საქართველოში, მაგრამ ცოტა დამ-ამუხრუჭებინეს (ილიმის). მე მჯერა, რომ ამის დროც მოვა — კარგი ემოცია მოდის ხალხისგან. ამ ზაფხულს თითქმის მთელი საქართველო მოვიარე, ვიყავი „მის თინეიჯერის“ ჟიურში, ვარჩევდით გოგონებს და პარალელურად ვმართავდით კონცერტებს. ეს სტიმულია ჩემთვის — ძალიან დიდი სტიმული.

მე განახე თიანეთში, სადაც მართლაც გოგონების რიგი იდგა შენთან, ავტოგრაფებსა და ფოტოს გადაღებაზე...

— (ილიმის) ჰო, ასე ხდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და ეს ძალიან მახარებს. ცოტა კომპლექსიანი ერი ვართ ქართველები, რაც იმ „ნითელი ცივილიზაციის“ ბრა-ლია, რომელიც წლების განმავლო-ბაში ჩვენთან არსებობდა და ძალიან მიხარია, თუ მომღერალთან მისე-ლისა და ავტოგრაფის ჩამორთმე-ვის აღარ გვრცხვევია.

შენ გაქვს კომპლექსები?

— არავითარი კომპლექსი არ მაქვს, მაგრამ ეს მხოლოდ იმის ბრალი არ არის, რომ გარკვეული პერიოდი ევროპაში ვიზრდებოდი. ჩემს ოჯახში არ იყო კომპლექსები. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ტრადიციული ოჯახი მაქვს, პატ-არაობიდანვე მაძლევდნენ მშობლები იმის უფლებას, რომ საკუთარი სურ-ვილი გამოემეტქვა, აზრი დამეფიქ-სირებინა. ეს არის და ეს.

მარკუს, დედისერთა ხარ?

— არა, ძმა მყავს — დათო მე-ტრეველი. ჩემზე უფროსია, საქარ-თველოში ცხოვრობს და ადვოკატი.

ტრადიციები ვახსენეთ. რამ-დენად ტრადიციული ხარ თავად? მაგალითად, როგორ გოგოს არ მოიყვან ცოლად არასდროს?

— ჩემი მეორე ნახევარი აუცი-ლებლად უნდა იყოს ჩემი პრო-ფესიის. შოუბიზნესში უნდა ტრი-ალეზდეს. ჩემი პირველი მეუღლე არ იცნობდა ამ სფეროს და მუდმი-ვად ეჭვიანობდა. ამის მწარე გა-მოცდილება მაქვს.

ცოლი თუ გყავდა, არ ვიცოდი. რამდენი წლის ხარ?

— 28-ის. ჩემი მეუღლე იყო ლალი სვანიძე. 23 წლის ვიყავი, როცა დავოჯახდი. 4 წელი ვიცხ-ოვრეთ ერთად. წელიწად-ნახევარია, რაც დავშორდით. ერთმანეთი სა-

ბერძნეთში გავიცანით, იქ შე-ვუღლდით, მაგრამ... ძალიან გაუცხ-ოვდა ლალი, გაცივდა ჩვენი ურთ-იერთობა, ამის მიზეზი კი ალბათ ეჭვიანობა იყო. როცა ხარ მომღ-ერლის მეუღლე, უნდა აცნობიერებ-დე, რომ მას ავტოგრაფსაც სთხ-ოვენ, ფოტოსაც გა-დაიღებენ მასთან ერ-თად და სცენაზეც აცვივდებიან ზოგჯერ გოგონები. ჩვენი გზე-ბი გაიყო. ორი შვილი მყავს: ლუკა და ვივი-ნი. რაც შეეხება თქვენს შევითხვას, ჩემი მომავა-ლი მეუღლე აუცილებ-ლად უნდა იყოს განო-ნასწორებული, თავმ-დაბალი, განათლებუ-ლი, ძალიან ჭკვიანი. ვერ ვიტან შტერ ქა-ლებს. უნდა იცოდეს მეუღლისა და ოჯახ-ის ფასი. ერთგული უნდა იყოს.

შენ ხარ ერთ-გული?

— ძალიან ერთგული ვარ — ისეთი, რომ ზოგჯერ საკუთარი თავის მიკვირს ხოლმე. როცა დაო-ჯახებული ვიყავი, აზრადაც არ გამივლია ცოლის ღალატი.

ოჯახურ ურთიერთობებში როგორი ხარ? ადვილია შენთან ცხოვრება?

— ჩემი მეგობრები ამბობენ, რომ ძალიან რთული ვარ. რთული არ ვიცი, მაგრამ მომთხოვნი ვარ.

რას ითხოვ?

— წესრიგს, სისუფთავს, მშვიდ გარემოს. ყვირილსა და კამათში ცხოვრება არ შემიძლია. ოჯახური იდილია მჭირდება. ყვირილს არ ვარ მიჩვეული. ჩემი მშობლებისგან ხმამაღალი სიტყვა არ მახსოვს. არ ვიცი, შეიძლება შვილებს არ გვას-მენინებდნენ, თორემ ალბათ კამა-თობდნენ ზოგჯერ, სხვანაირად რო-გორ იქნებოდა?

ბევრი ვისაუბრეთ შენს დადებით თვისებებზე. უარყოფითზე რას მეტყვი?

— ფიცხი ვარ. აუტანელი ვარ, როცა ვბრაზობ. ამ დროს ყვე-ლაფერს ვამტვრევ, ვბილწისიტყვაობ კიდევ.

ქალისთვის გაგირტყამს ხელი?

— უი, არა!

და თუ ასეთი ფაქტის მომსწრე ხდები?

— მაგ დროს ისე ვიბნევი, აქეთ

ვარ დასახმარებელი. შოკს იწვევს ასეთი ფაქტი ჩემში.

ქალისა და მამაკაცის მეგობ-რობის გჯერა?

— აუ, არა (იციინის). ჩემი ყოფი-ლი ცოლი ჩემი მეგობარი იყო წლე-ბის განმავლობაში. ერთმანეთს თაყ-



როცა დაოჯახებული ვიყავი, აზრადაც არ გამივლია ცოლის ღალატი

ვანისმცემლებზე ვუყვებოდით და უცებ... ეჭვიანობა რომ დავინწყე, მივხვდი, შემიყვარდა.

ეჭვიანი ხარ?

— აუტანელი.

შენი საყვარელი ქალი შემთხვევით კაფეში, უცხო მამაკაცის გვერდით რომ ნახო, შენ კი იცი, რომ ნათესავთანაა, რას იზამ?

— აუჰ, იქ დავამთავრებ ურთიერ-თობას. არა, ჯერ მივალ, დავჯდები მათთან და ვკითხავ, აქ რა გინდა, ეს კაცი ვინ არის-მეთქი? მაგრამ ეს ისე, ფორმალობისთვის, განწყობა რომ გა-ვუფუჭო, თორემ ის ქალი მე აღარაფერ-ში მჭირდება. ერთხელ თუ მომატყუა, კიდევ ბევრჯერ მომატყუებს.

შვილებთან ურთიერთობა გაქვს?

— კი. თუმცა ახლახან ჩემი ცოლი გათხოვდა და 2 თვეა, შვილები არ მინახავს.

სად გათხოვდა?

— თბილისში, ძაან „სვეცკად“ (იციინის). ეს ისტერიული სიცილია. სიმართლეს გეტყვი, ძალიან ვინერ-ვიულე, ეს ამბავი რომ გავიგე. ლა-მის მოვკვდი. მპირდებოდა, რომ არასოდეს გათხოვდებოდა. შენ მერე ვერავის შევიყვარებ, სხვა ვერ მო-მცემს ისეთ სიყვარულს, რაც შენ მომეციო, მეუბნებოდა. მჯეროდა. წელიწად-ნახევარში კი ფატითა და საქორწილო კაბით ვნახე. დღეს



ალარ მჯერა ქალებს.

— როგორ გაიგე ეს ამბავი?

— ბავშვების სანახავად მივედი. ჩამოიყვანა ბავშვები და მითხრა — გაიცანი, ეს ჩემი მეუღლე, ლუკააო. ჩემს შვილსაც ლუკა ჰქვია, როგორც გითხარით და დავიბენი. მაშინ ვერ მივხვდი, რა მითხრა. მერე ინტერნეტში ქორნილის სურათები ვნახე და გავერკვიე, რაც ხდებოდა ჩემს თავს. 2 დღე საშინელ დეპრესიაში ვიყავი. მერე დაფურევე და მივულოცე. მერე ხმა მომივიდა, რომ ჩემს შვილს უთქვამს, ჩემი მამა ლუკააო. ამანაც მატკინა გული, მაგრამ ახლა გაიარა ყველაფერმა და გადავწყვიტე, ვნახო ბავშვები. მათ რა დააშავეს? თან ვაცადე, ცოტა ხანს — წყვილს თაფლობის თვე ჰქონდა (იციან).

— ეს უკვე ნარსულია. ახლა რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?

— შეყვარებული ვარ. უკვე ერთი წელია, ერთ ადამიანთან ვარ. საკმაოდ სერიოზულია ჩვენი ურთიერთობა. ხელოვანია ჩემი რჩეული და ამით პრობლემები მოხსნილია. თქვენ იცნობთ მას ძალიან კარგად.

— ნინო შერმადინი?

— არა (იციან).

— როცა საკუთარ თავთან მარტო რჩები, რას ფიქრობ?

— გაგეცინებათ, მაგრამ ილია ჭავჭავაძის სიტყვები მასხენდება: „...აბა, მე დღეს ვის რა ვარგე“. სწორედ ამ კითხვას ვუსვამ ხოლმე საკუთარ თავს, როცა მარტო ვრჩები.

უკვე ერთი წელია, ერთ ადამიანთან ვარ



„სულისპირ“ — „სულთან ახლოს“ გყოფი თანამედროვე ეთნოოუსიკა და „ჩვენბურების“ წარმატების საიდუმლო

ფოლკლორული ანსამბლი „ჩვენბურები“ საქართველოს ფარგლებს გარეთ ხშირად მოგზაურობს და უცხოელი მაცურებლების გულგებობას იპყრობს. ანსამბლში საქართველოს თითქმის ყველა კუთხის შვილია თავმოყრილი. როცა „ჩვენბურების“ წევრებს წარმატების საიდუმლოს შესახებ ვკითხე, მიპასუხეს: ანსამბლში მეგრული სიონუნჯე, რაჭული სიდინჯე, იმერული სიხალისე, სვანური სიმტიციე და კახური სიბრძნეა გაერთიანებული; ამას უკვე უცხოელებიც კარგად ამჩნევენო... ამ ცოტა ხნის წინ, „ჩვენბურები“ ესტონეთში, ფესტივალზე იყვნენ. როგორც მითხრეს, მათ კონცერტს ყველაზე მეტი მაცურებელი დაესწრო.



ეთნოოუსიკა

სოლომონ გოგაშვილი:

— ესტონეთში, ქალაქ ვილიანდიში მეცხრამეტე ფოლკლორულ ფესტივალში ვმონაწილეობდით. ბალტიისპირეთში ეს ფესტივალი ყველაზე კარგად ორგანიზებულია და ბევრი მონაწილე და მაცურებელი ჰყავს. მუსიკოსები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან იყვნენ ჩამოსულები. 2 სოლო კონცერტი გავმართეთ. პირველს 4 ათასი კაცი დაესწრო, მეორეს — 10 ათასი. ესტონეთში პირველად საქართველოსთვის ყველაზე რთულ პერიოდში — 2008 წელს ვიყავით. ჩვენი ვიზიტი მათი დამოუკიდებლობის 20 წლისთავს დაემთხვა. 300000 მაცურებლის წინაშე მოგვიხდა გასვლა.

ვლადიმერ ჩალაძე:

— 2008 წელს ესტონეთში გამგზავრება ჩემთვის ძალიან მძიმე იყო, რადგან ჩემი ძმა ომის პირველ საზღვერში იბრძოდა. რაც შემძლო, საქართველოსთვის გამეკეთებინა, სიმღერა იყო. კონცერტზე 150000 კაცი საქართველოს დროებით ხელში მოვიდა. მათ შემხედვარეს მუხტი გვემატებოდა. ხელში სახთლები გვეჭირა.

სამშობლოსათვის თანადგომას ასე გამოვხატავდით... ღვთის წყალობით, ჩემი ძმაც და მისი მეგობრებიც შინ მშვიდობით დაბრუნდნენ.

— ვილიანდის ფესტივალს რაც შეეხება, მას კონკურსის სახე ჰქონდა?

გიორგი სასოკია, მეტსახელად ჯემე:

— არა. უბრალოდ, ორგანიზატორები ჩვენი მეგობრები არიან. მათ მიგვიწვიეს და 2 სოლო კონცერტი ჩაგვატარებინეს. ფესტივალში ძლიერი შემსრულებლები მონაწილეობდნენ.

— თქვენი შემოქმედება მათ როგორ შეაფასეს?

— ძალიან კარგად. ეს ჩვენი მუსიკალური დისკების გაყიდვაზე აისახა: ჩვენი კონცერტის დასრულებიდან 5-10 წუთში არც ერთი დისკი ალარ იყო, 200 კაცი კი რიგში იდგა — დისკები უნდოდათ. კონცერტების შემდეგ After party ეწყობოდა, სადაც ყველა ჩვენს მაგიდასთან მოდიოდა — ჩვენთან ერთად მღეროდნენ, ღვინოს სვამდნენ...

— ესტონელების საქართველოში დაპატივებასაც სომ არ აპირებთ?

— შარშან მსოფლიო მუსიკის



ფესტივალი მესტიაში ჩატარდა. იქ ესტონელებიც იყვნენ. ერთადაც დავუკარით, 10 დღის განმავლობაში ერთად ვიცხოვრეთ... ჩვენთან ერთად მყოფი ერთ-ერთი მუსიკოსი გოგონას მამა ესტონეთში ცნობილი ბიზნესმენი ყოფილა. წელს რომ შეიტყო, ჩემი შვილის მეგობრები ესტონეთში არიანო, ჩვენთვის დროს ტარება არ მოუკლია (იცინის)...

ესტონურ და ქართულ კულტურას რაიმე საერთო აქვს?

— კულტურას — არ ვიცი, მაგრამ პოლიტიკას ბევრი საერთო აქვს: საუკუნეების განმავლობაში, ესტონეთი რუსეთისგან იჩაგრებოდა. საერთო პრობლემები გვაქვს. ეს კულტურაშიც კარგად ჩანს — ფოლკლორი ხალხის ისტორიას ყველაზე კარგად ასახავს.

თქვენს ანსამბლს რამდენი წევრი ჰყავს?

ვლადიმერი:

— „ჩვენებურები“ 2001 წელს ჩამოყალიბდა. ანსამბლში 14 კაცი ვიყავით. შემდეგ ზოგმა ბიზნესი წამოიწყო, ზოგმა ცოლი შეირთო... 8 კაცი დავრჩით. ერთმანეთის მეგობრები და ნათესავები ვართ.

მუსიკის გარდა, რამეს საქმიანობთ?

— არა. გულით და სულით მუსიკაში ვართ ჩართულები.

რუბრიციას სად გადისართ და რა ინსტრუმენტებზე უკრავთ?

— გრიბოედოვის თეატრში „ვრეპეტიციობთ“, ბატონი ავთო ვარსიმაშვილის ხელშეწყობით. თითქმის ყველა ქართულ მუსიკალურ ინსტრუმენტზე ვუკრავთ.

სოლომონი:

— ახლახან ალბომი — „სულისპირ“ ჩავწერეთ. „სულისპირ“ — ასეთი სიტყვა არც ერთ განმარტებით ლექსიკონში ნახსენები არაა. გიორგი სახოკია ფილოლოგი კაცია...

...და ამ სიტყვის თქვენული განმარტება როგორია?

— „ზღვართან, სულთან ახლოს“... ჩვენი სხვა ალბომებისგან განსხვავებით, „სულისპირი“ თანამედროვე ეთნომუსიკალური კომპოზიციებითაა გაჯერებული, რომელთა არანაირებაც ჩვენს უცხოელ მეგობრებთან ერთად გავაკეთეთ. ალბომის პრეზენ-



„ჩვენებურები“ 2001 წელს ჩამოყალიბდა

ტაცია „არტ-გენის“ ფესტივალზე შედგა.

თანამედროვე ეთნომუსიკა მსმენელებმა როგორ მიიღეს?

— ჩვენგან ამას არ ელოდნენ. ძალიან კარგად მიიღეს.

„ჩვენებურების“ მუსიკალურ დისკებზე მოთხოვნა საქართველოშიც არის?

— ამით განებივრებული ვართ. ყველა წუნუნებს, რომ ალბომი არ ეყიდება. ჩვენ ამის პრობლემა არ გვაქვს.

საქართველოში კონცერტებს ხშირად მართავთ?

ვლადიმერი:

— „არტ-გენის“ ყველა ექსპედიციაში სოლო კონცერტით ვმონაწილეობთ (ფესტივალის ორგანიზატორებიც ვართ). კონცერტებს ისეთ ტერიტორიებზეც ვმართავთ, სადაც მასშტაბური ღონისძიებები წინათ არ გამართულა, მაგალითად: კოდორის ხეობაში (2007 წელს), განმუხურში (დაბომბვამდე), საინგილოში...

— ამ ზაფხულს რას აპირებთ?

გიორგი:

— სეზონი საბერძნეთში ვიზიტით დავინწყეთ. შემდეგ გასტროლი ინდოეთში გვექონდა — დელიში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღვნიშნეთ, ელჩების ცოლები ვაცეკვეთ (იცინის). მერე ლიტვაში სერიოზულ ფესტივალზე მიგვიწვიეს, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში საჭირო ფინანსები ვერ მოვიძიეთ. ამჟამად, უზბეკეთის ხალხური მუსიკის ფესტივალისათვის ვემზადებით, რომელიც 2 წელიწადში ერთხელ იმართება. ეს ძალიან მასშტაბური კონკურსია. ჩვენი ჯგუფი ერთადერთია, რომლის გამგზავრებასაც ფესტივალი აფინანსებს.

ვლადიმერი:

— კონკურსზე 3 სიმღერას შევასრულებთ. ერთ-ერთი „ჰარირა“ იქნება.

სოლომონი:

— შეიძლება, ძალიან კადნიერი ვარ, მაგრამ უნდა გავიმარჯვოთ! ამისათვის ყოველდღე, 5 საათის განმავლობაში ვმრომობთ.

გიორგი:

— კონკურსისთვის ვემზადებოდით, როცა ბარსელონაში კონცერტის გამართვასთან დაკავშირებული შეთავაზება მივიღეთ.

სოლომონი:

— ყაზახი ბიზნესმენი, რომელსაც ქართველი მეგობრები ჰყავს, „ქართულ დღეს“ აწყობს.

გიორგი:

— ასე რომ, ჯერ ბარსელონაში უნდა გავემგზავროთ.

— ნარმატებას გისურვებთ!



„არტ-გენის“ ყველა ექსპედიციაში სოლო კონცერტით ვმონაწილეობთ



ოთახში გაოქავილი ანი სირაძე

დასვადა ცეკვას

ანი სირაძე ჯერ მხოლოდ მეთორმეტე კლასშია, მაგრამ მას ქართველი მსმენელი უკვე დიდი ხანია, იცნობს. ის ბავშვობიდან მღერის. შარშან „ჯეოსტარზე“ მიმხდარი სკანდალის შემდეგ, კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა გაიცნო. მარინა ბერიძესთან დაპირისპირებამ კი სიმღერის სურვილი არ დაუკარგა. სკოლის დამთავრების შემდეგ ანი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე აპირებს ჩაბარებას. ტელენამყვანობაზე ოცნებობს, მაგრამ არც სიმღერაზე აპირებს უარს თქმას.

მერი კობიაშვილი

— ანი, როგორ ფიქრობ, შენი გემოვნების ჩამოყალიბებაზე ვინ იქონია გავლენა?

— ალბათ დედაჩემმა. დედა ბებიის, მომღერალ ეთერ ჭელიძის წყალობით მუსიკალურ სფეროს კარგად იცნობდა და ბევრ რამეში გარკვეული იყო. ის ახლაც ბევრ რამეს მირჩევს ხოლმე.

— დედის რჩევები მხოლოდ მუსიკას ეხება თუ შენს ჩაცმულობასაც?

— ჩემი ჩაცმის სტილში უკვე ვეღარავინ ერევა. თავად ვწყვეტ, რა ჩაიცვა და რა — არა. დედა ძირითადად სიმღერის შერჩევაში მეხმარება.

— ჩაცმაში ველარავინ ერევაო, მითხარი. ესე იგი, რომ გირჩიონ, არ გაითვალისწინებ სხვის აზრს?

— შეიძლება რჩევა მივიღო, მაგრამ რაც ამოჩემებული მაქვს, მაინც იმას ჩავიცვამ, სულ რომ არავის მოსწონდეს. ასეთი შემთხვევა ცოტა ხნის წინაც მოხდა: სცენაზე გავედი კაბით, რომელიც ახლობლებს არ

მოსწონდათ. მერე ყველას ძალიან მოეწონა.

— თავს კაბაში უკეთ გრძნობ თუ შარვალში?

— გაგიკვირდებათ და, ჩემი ასაკის მიუხედავად, კაბები მომწონს. ჩემხელა გოგოებს უფრო კედები, ჯინსი და მაისურები აცვიათ, მაგრამ მე დაბალქუსლიან ფეხსაცმელს ვერ ვიცვამ. 10-სანტიმეტრიანი ქუსლი თუ არა აქვს, ისე ვერ ვივლი. ყველაზე მეტად კლასიკური სტილი მიყვარს. იყო შემთხვევა, როცა ექსკურსიაზეც კი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით წავედი. მართალია, ყველა ჩემზე იცინოდა, მაგრამ არ მიყვარს „დაბლები“ და რა ვქნა?

— სად იყავი ექსკურსიაზე, ათსანტიმეტრიანი ქუსლით რომ იარე და არ დაიღალე? გადარჩენილხარ, ფეხი რომ არ მოგიტყუა.

— (იცინის) სიღნაღში ვიყავით. თავიდან მასწავლებლებსაც ძალიან უკვირდათ და პროტესტს გამოთქვამდნენ, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით რომ დავდიოდი. სკოლაში ბევრი ჭორაობდა. ამბობდნენ, რომ მღერის, თავში აქვს ავარდნილი; ჰგონია, სკოლაშიც სცენაზე დგასო.

— რომელია შენი საყვარელი ფერი?

— ძალიან მიყვარს ვარდისფერი. კაბები, სამკაულები, ფეხსაცმელები ძირითადად ვარდისფერი მაქვს. ჩემი ოთახიც ვარდისფერია.

— მომავალში როგორ სახლში ცხოვრებაზე ოცნებობ?

— ჩემი საყვარელი ფირმაა „შელოუ კიტი“. არ ვიცი, ეს შეიძლება, ბავშვური გემოვნებაა, მაგრამ „კოკო შანელის“ კაბას მირჩევენია, ამ ფირმის კაბა მეცვას. სხვათა შორის, შევევთა მივეცი და ექსკლუზიურად ჩემთვის იკერება ამ ფირმის მართლა ძალიან ლამაზი კაბა... ცოტა ხნის წინ ინტერნეტში ამ ფირმის მიერ აშენებული, სამსართულიანი სახლი ვნახე, რომელიც ვარდისფერია და გარედან



მანამდე ვცეკვავ, სანამ არ დავეცემი

ემბლემაც აქვს. ასეთ სახლზე უარს ნამდვილად არ ვიტყვოდი (იცინის).

— როგორ მუსიკას უსმენ ხოლმე?

— მუსიკას გამუდმებით ვუსმენ. ყოველდღე ჩემს ოთახში ვიკეტები, ყურებში „ნაუშნიკს“ ვიკეტებ და მანამდე ვცეკვავ, სანამ არ დავეცემი. დღის განმავლობაში დაახლოებით ერთი საათი ვოკალში ვმეცადინებო. ხშირად ვუსმენ ჩემს სიმღერებს.

— ქართველი მომღერლებიდან რომელი მოგწონს ყველაზე მეტად?

— ვფიქრობ, რომ მაკა ზამბახიძე მართლა არაჩვეულებრივი მომღერალია.

— მასთან მეგობრობ?

— ვერ გეტყვი, საუკეთესო მეგობრები ვართ-მეთქი, მაგრამ კარგი ურთიერთობა გვაქვს. მასზე ბევრად ახლოს ვარ სხვა მომღერლებთან, მაგრამ ჩემთვის მაკა ზამბახიძე ყველაზე კარგი მომღერალია.

— კითხვისთვის დრო გრჩება?

— ადრე უფრო ვკითხულობდი. სულ პატარა რომ ვიყავი და ბავშვები „წრეში ბურთს“ თამაშობდნენ, მე ეზოში ჩამქონდა წიგნი და ვკითხულობდი. ჩემი საყვარელი წიგნი იყო მოლდაველი მწერლის, სპირადონ ვანგელის „ჩუბოსა და გუგუცას ამბები“.

— ბოლოს რა წაიკითხე?

— „უთავო მხედარი“, დაახლოებით ერთი წლის წინ, სანამ „ჯეოსტარი“ დაიწყებოდა, მაშინ წავიკითხე.

— „ჯეოსტარს“ შენზე ცუდი გავლენა მოუხდენია. მას შემდეგ, რაც ამ კონკურსში მონაწილეობდი, წიგნი აღარ წაგიკითხავს.

— „ჯეოსტარის“ შემდეგ ძალიან ბევრი კონცერტი და ტურნე მაქვს



მაკა ზამბახიძე მართლა არაჩვეულებრივი მომღერალია



ცხოვრება

ნიმუშიდის წყაროზე მონათლული პირველი ოჯახის ტრაგედია

ვაგრძელებთ ნინა ნომერში დანკებული, რეპრეზირებული 86 წლის ბიორგი სარალიძის მიერ განვლილი მძიმე ცხოვრების ეპიზოდების თხრობას — ადამიანსას, რომელმაც პროტესტის ნიშნად დანკებული მრავალწლიანი დეული „გზასთან“ საუბრისას დაარღვია...

„ეკორედ უხვი 25 წელი მომისაჯის“

დასაწყისი, იხ. „გზა“, №34

თბა სურსილავა

ბაქცივა

— განაჩენის გამოტანის შემდეგ, პატიმრები კასპიის ზღვით, გემით ნაგვიყვანეს, მერე — მანქანით და ასე მივალნიეთ სტეპლაგამდე. გზაში ერთ-მა პატიმარმა გაგვფრთხილა, — იქ არავის ენდოთ, უამრავი ავენტია და მათ უფრთხილდითო. ისიც გვითხრა, — ხალხის მჭამელი უკრაინელი „ბენდერებიც“ იქ არიან და მათაც მოერიდეთო. მკაცრ რეჟიმში გამიშვეს. ჩემთან ბევრი უკრაინელი იჯდა. სულ იმ ბიჭის ნათქვამი მახსენდებოდა, მაგრამ ისინი რომ გავიცანი, მივხვდი, მან რაც მითხრა, სიცრუე იყო. ისინიც თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ და ციხეში იმიტომ გამოკეტეს. კარგები იყვნენ. მათი წყალობით ბევრჯერ გადავრჩენილვარ...

ციხეში თითოეულ პატიმარს კატორღის ნომრები მოგვაკერეს: შუბლზე, გულზე, ბეჭებსა და ბარძაყზე. ეს შეურაცხყოფელი იყო, განვიცდიდით, მაგრამ სხვა რა გზა გვქონდა, მდგომარეობას შევეგუეთ. გაუსაძლისი სიტყვები იყო. ჩასვლის დღიდან, გამუდმებით ციხიდან გაქცევაზე ვფიქრობდი. ბევრი რამ მქონდა ნაკითხული და იმედს არ ვკარგავდი. ისეთი ციხესიმაგრე არ არსებობს, საიდანაც გაქცევა არ შეიძლება-მეთქი, — ვამბებდები საკუთარ თავს. რწმენა გამიჩნდა, ჩავიბეჭდე თავში, როგორმე იქიდან უნდა გამეღწია. აქ მაინც მოკვდები, ან გასვლის დრო რომ მოვა, უკვე ბებერი ვიქნები და რად მინდა ასეთი სიცოცხლე-მეთქი?!

ჩვენთან მართლაც ბევრი შემოგზავნილი ადამიანი იყო, ვითომ პატიმრის სტატუსით. ისინი საშიშები იყვნენ. ჩემთან ერთად ნაომარი ბიჭებიც იხდიდნენ სასჯელს. გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდნენ და ამის გამო 25 წელი მიუთავსეს: რატომ ჩავარდით ტყვედ, თავი უნდა მოგვეკლათო!.. ზონიდან სამუშაოდ რომ გავყავდით, გვწმარდნენ. ის ადგილი თითქოს ქვად იყო ქცეული. დიდ ქვებს ვამსვრევდით. უკრაინელები ფიზიკურად ძლიერები იყვნენ და დავალების შესრულებას ახერხებდნენ. ძალა არ მყოფნიდა, ამიტომ ისინი მეხმარებოდნენ, ქვებს ჩემთვისაც ამტვრევდნენ... ოჯახთან მიმონერის საშუალებაც არ გვქონდა. ზონასთან ახლოს დაცვა და მათი დივიზია იდგა. სამხედროები იქ ოჯახებით ცხოვრობდნენ... დრო გადიოდა, მაგრამ მაინც ვფიქრობდი გაქცევაზე. ნაგავსაყურელიც იქვე იყო; როცა სამუშაოდ, მწყობრი ნაბიჯით ზონიდან გავყავდით, ნაგავში გადაყრილი „პაგონები“ დავინახე. ჯგუფს ვერ ჩამოსცილდებოდი, უკან ძალები მოგვდევდნენ. თუ ჩამორჩებოდი, შეიძლებოდა, ძაღლს დაეგლიჯე. გადავწყვიტე, როგორმე ეს „პაგონები“ ამელო. ერთ დღეს, ჯგუფის შუაში ჩავდევდი და გამიმართლა, ავიღე და დავმალე. გერმანელების ტყუილბაში მყოფი პატიმრებიდან ერთს, მანჯავიძეს, სამხედრო კიტელი შემორჩენოდა. დაძველებული იყო. ვთხოვე, ჩემთვის მოეცა. მომცა კიდევ. მეორე პატიმარს ლილები აღმოაჩნდა. გურჯაანელი იყო. დავპირდი, — მათხოვე ეს ლილები და შენთან, სახლში მივალ-მეთქი... ქუდიც ვიმოვე. შესაფერისი დრო გამოვინახე, ჩემი ხელით ვარსკვლავი გამოვჭერი და ქუდს მივაკარი. კიტელს სამხრები მი-

ვაკრე. ზონაში ხის საამქრო მუშაობდა და პატიმრები სხვადასხვა ნივთს ვამზადებდით. ხშირად, გარედან სამხედროები შემოდისო, სკამებს, „პოლის“ ჯოხს, ტანსაცმლის საკიდებს და სხვა საოჯარო ნივთებს აკეთებინებდნენ პატიმრებს და გაჰქონდათ. შეიძლება, რასაც მოგიყვები, არარეალური მოგეჩვენოს, მაგრამ სიმართლეა. უფლის მფარველობის გარეშე ამას კაცი ვერ შეძლებდა. გეგმა ასეთი იყო: ხელსაყრელი დრო უნდა მომეძებნა. გუშაგები რომ შეიცვლებოდნენ, მეც, სამხედრო ფორმაში გამოწყობილს, ხელში უნდა ამელო რაიმე საოჯახო ნივთი და ვითომ სამხედრო პირი ვიყავი, ისე უნდა გავსულიყავი ზონიდან. დიდი რისკი იყო, მაგრამ გადავწყვიტე და სიკვდილისთვისაც მზად ვიყავი. პატარა „ტაბურეტი“, „პოლის“ ჯოხი და ტანსაცმლის საკიდი დავამზადე. ტანსაცმელიც მომზადებული მქონდა... გაქცევის წინაღამეს საშინელი ქარი ამოვარდა, ხეები მოგლიჯა, ჩვენს სამუშაოდ ადგილას რამდენიმე ბოძი წააქცია და ლობეც დაზიანდა. ეს ჩემთვის კარგი იყო. ვახტანგე გასვლა აღარ დამჭირდებოდა. მაღლა გუშაგები იდგნენ და პერიმეტრს აკონტროლებდნენ. იმდენად მქონდა გაქცევა გადაწყვეტილი, რომც ესროლათ, შინაგანად მზად ვიყავი. ჯარისკაცის ფორმა ჩავიცვი, ქუდი დავიხურე, ხელში საოჯახო ნივთები ავიღე და დაზიანებული ლობიდან გადავედი. თან, თავს ვიმიედებდი, ჯარისკაცის ფორმა მაცვია და არ მესვრიან-მეთქი. ახალგაწეულები გვიცავდნენ, გამოუცვლელი ბიჭები იყვნენ და მათი მოტყუება და იქიდან გამოსვლა შეეძელი. გუშაგს სათვალთვალოდან რომ არ შეეშინა და რამეში ეჭვი არ შეჰპაროდა, გეზი პირდაპირ სამხედროების კორპუსისკენ ავიღე. იქ დიდი ქვები ელაგა; იმათ ამოვფარე, სამხედრო ფორმის შიგნით სამოქალაქო ტანსაცმელი მეცვა და ახლა იმით გამოვწყვე. შიგნით კი პატიმრის ფორმა მეცვა და ნომრებიც მეკეთა; ესეც მოვიცილე, ყველაფერი ჩანთაში




ჩავალაგე და გზას გაუყუყვი. გამუდმებით ღმერთს შეველას ვევედრებოდი. ციხიდან გაქცევა მარტო ჩემი ვაჟუცობა როდი იყო, ეს უფლის წყალობა გახლდათ. პატიმარმა იქიდან ერთხელ სცადა გაქცევა, დიჭირეს და დიდი ამბავი ატყდა. ვიცოდი, ტაშკენტიდან რამდენიმე ვაგონი კვირაში ორჯერ რომ შემოდის. გაქცევამდე ცოტა ხნით ადრე, პატიმრებს ამანათების მიღების საშუალებაც მოგვცა. ჩემთან ვალიკო ტურაშვილი იხდიდა სასჯელს. ამანათი მიიღო. კბილის პასტაში ოჯახს ფულის ჩადება მოეხერხებინა. მას შეეშინდა, ჩხრეკის დროს ეს ფული რომ ენახათ, დასჯიდნენ. მითხრა, — ჩემზე მოხერხებული ხარ, იქნებ სადმე გადამლო და პურიც ვიმოვოთო. ჩვენ გვერდით ისეთი პატიმრებიც იყვნენ, რომლებსაც საშვით გარეთ გასვლისა და მუშაობის უფლება ჰქონდათ. მცირე სასჯელები ჰქონდათ დარჩენილი და ჩვენთვის პური ზონაში მათ შემოჰქონდათ. მორჩენილი ფულიც თან წამოვიღე. ძალიან მშობიდა და პირველად სასადილოში შევედი. სადილი 30 კაპიკი დამიჯდა. 2 ახალგაზრდა ბიჭი დახვდნენ სვამდა; ბოლოს, გადასახდელი ფული არ აღმოაჩნდათ. ერთმა პასპორტი და შრომის წიგნაკი დაუტოვა გამყიდველს ფულის მოტანამდე. ქალმა ძველ წიგნში ჩადო საბუთები. ვისადილე, ფულის გადახდის დროს ამ ქალს ღიმილით ვუთხარი, — რამდენიც გინდა, იმდენი ყალბი საბუთია, მოდი, მაჩვენე, გავსინჯავ, ყალბი ხომ არ არის-მეთქი? მანაც მომანოდა. შრომის წიგნაკიდან პასპორტი ამოვიღე და ორივეს გავხედე. არა, ნამდვილი დოკუმენტებია-მეთქი, — ვუთხარი და წიგნში ცალ-ცალკე ჩავდე საბუთები, თან, წიგნიც დავათვალიერე და მივანოდე. მერე ვუთხარი, — კარგი წიგნია, რამდენი ხანია, ამის ნაკითხვა მინდა და ვერსად ვიშოვე, თუ შეგიძლიათ, მომყიდეთ-მეთქი. ფულიც გავუწოდე. „დამონძილი“ წიგნია და თუ გინდა, გაჩუქებო. შრომის წიგნაკი ამოიღო და წიგნი

ისევ გამომიწოდა. მაღლობა გადავუხადე და გამოვედი. შიგნით ჩარჩა ვინმე ხარიტონოვიჩის პასპორტი. ქალაქში ფოტოგრაფიც ვიპოვე და ჩემი ფოტო დავანებე. გაყალბებული საბუთით სარკინიგზო სადგურისკენ განვაგრძე გზა. იქ მისვლა ვერ გავბედე, დაჭრის შემეშინდა. ტაშკენტამდე ბილეთი 2 მანეთი ღირდა. მგზავრებს გამოველაპარაკე და ვთხოვე, ჩემთვისაც ეყიდათ ბილეთი. ამ საბუთით მატარებელში შევედი. მშვიდად ვიყავი, ვიცოდი, სალამომდე ბანაკში არ მომიკითხავდნენ... გაგებული მქონდა, რომ ტაშკენტის ერთ-ერთ ქალაქში ქართველები ცხოვრობდნენ. ისინი ვიპოვე და ვუთხარი: საინჟინრო დავამთავრე, პრაქტიკაზე გამგზავნეს, ჩამეძინა, საბუთები და ფული ამომაცალეს-მეთქი. ბიჭებმა ფული შემეიგროვეს, მოსკოვის ბილეთი ამიიღეს და გამომაცილეს. არაფერი იცოდნენ, მაინც მეშინოდა და მოსკოვში ჩასვლამდე მატარებელი გამოვიცვალე; იქ სხვა რეისით ჩავედი. ჩემი თანასოფელი — გოგია ცხოვრობდა. ამჯერად მას მივაკითხე და იქიდან მან გამომაცილა. ჩავალნიე სახლამდე. შევიტყვე, რომ ჩემი დედინაცვალი ჩემზე დარდს გადააპყლია და გარდაცვლილა. ჩემი დაკავების შემდეგ არც საქმელს ჭამდა, წყალსაც კი არ სვამდა... პირველად მის საფლავზე ავედი. ხმაბალა მოვთქვამდი. რამდენიმე ღამე იქ გავათენე. მერე თელავში მეგობარს ჩავაკითხე. ვუთხარი, — არაფერი დამიმტკიცდა და გამომიშვეს-მეთქი. ვცდილობდი, როგორმე თურქეთში გადავსულიყავი. ვეღარ მოვიტომინე და გენერალ რუხაძეს მივწერე: — მეუბნებოდი, ისეთ ადგილას გამგზავნიდი, რომ ჩემი ხორცი ჩემივე კბილებით უნდა დამეგლიჯა; ხომ ხედავ, მე უკვე აქა ვარ-მეთქი!.. ახალგაზრდა ვიყავი და ალბათ იმიტომ გავბედე. 6 თვის შემდეგ ისევ დამაპატიმრეს. სიმართლე გითხრათ, ამჯერად ისეთ ნამებში აღარ მამყოფებდნენ. არავის სჯეროდა, რომ მარტომ მოვახერხე გაქცევა. სიმართლეს ვამბობდი,

მაგრამ ჩემი სიმართლე ზღაპარს ჰგავდა. შემდეგ ფაქტები გადაამოწმეს და ყველა დეტალი დადასტურდა. მეორედ უკვე 25 წელი მომისაჯეს და ტაიმირის სასაკლავო კატორღაში გამგზავნეს — იქ, სადაც მზე არ ამოდიოდა, სულ ყინვა იყო. თეთრი დათვების სამფლობელოში ახალგაზრდობის საუკეთესო წლები გავატარე.

პატიმრობის წლები

— იმის გადმოცემა, რაც გადავიტანეთ, სიტყვებით შეუძლებელია. საბჭოთა კავშირის ტერიტორია სავესტო უდანაშაულო პატიმრებით. ციხიბრისა და სხვა რეგიონების ქალაქებში გადასახლებულები ჩვენთან შედარებით, კარგ პირობებში იყვნენ. ტაიმირის ნახევარკუნძულზე, მალა ფრინველი არ დაფრინავდა და მინაზე ჭიანჭველა არ დადიოდა. საშინელი შესახედავი ვიყავი. წვერს ვატარებდი. საქართველოდან რომ ჩამიყვანეს, ვეღარ დავდიოდი, ძალა გამოლეული მქონდა, ჩონჩხად ქცეული მივალსლასებდი და ღმერთს ვევედრებოდი, — უფალო, ჩემი სული მიიბარე-მეთქი!.. იქ სამკვრდით დალდასმული მიმიყვანეს. თოვლი იყო. სიარულის დროს ძალა გამომეცალა, ნავიქეცი და ღმერთს ისევ სიკვდილი შევთხოვე. უკრაინელმა პატიმარმა ხელი მტაცა, — რას ამბობ, წამოდექო. მერე ლიტველიც მიეშველა, მკლავებში ხელი გამიყარეს, თოვლსა და საშინელ ქარბუქში „ბარაკამდე“ მიმიყვანეს. ჯარისკაცები თითოეული პატიმრის საქმეს კითხულობდნენ. ჩემი ჯერიც დადგა. გაძლიერებულ კოლონიამ ვიყავი, იქაც უკრაინელები ბევრჯერ დამხმარებინა... დრო გადიოდა. პატიმრები ნელ-ნელა ისე ჩამოვდნით, რომ ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით. უზარმაზარი ტერიტორია გავსებული იყო „ბარაკებით“, 500-კაციანი, ათასკაციანი „ბარაკები“ კი — პატიმრებით. სამუშაოდ გასვლის და უკან შემოსვლის დროსაც საგულდაგულოდ გვჩხრეკდნენ. ნამჯით დატენილ მატრასებზე გვეძინა. ხშირად ეს ნამჯა ამოყრილი გვხვდებოდა. ჩონჩხად ქცეულები ძლივს დავდიოდით. საპირფარეშოც არ გვექონდა, მის ნაცვლად „ბოჩკები“ იდგა და იმაზე უნდა ავსულიყავით. გვრცხვენოდა, შურაცხყოფილები ვიყავით, სხვების დასანახავად „ბოჩკებზე“ ასვლა რომ გვიწევდა, მაგრამ სხვა რა გზა იყო?! ამასაც შევეგუეთ... იქ ბევრი ქართველი იყო. ცოტა ხნით, ჩვენთან მწერალი ჭაბუა ამირეჯიბიც მოიყვანეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. სხვა „ბარაკის“ პატიმრებთან კონტაქტის უფლება არ გვექონდა. იქაც იყვნენ ისეთები, რომ-





ლებიც იმედს არ კარგავდნენ და მანუგემბდნენ, რალაც შეიცვლებოდა... ის ულვაშა (გულისხმობს სტალინს. — ავტ.) მამა ეშმაკმა მიიბარა და მერე ჩვენც გვეშველა. სტალინი ადამიანთა ცხედრებზე იჯდა. მისი ძალაუფლება რომ არ შერყეულიყო, საჭირო იყო, ყოველდღიურად ათასობით ადამიანი გაეყლიტა. არ ერიდებოდა დიდ-პატარას, ქალს, კაცს, ახალშობილს, ღრმად მოხუცებულს... განურჩევლად სქესისა, ყველა მოსპო და გაანადგურა: „ტროცკისტები“, „თეთრგვარდიელები“, მღვდლები, ბერმონაზვნები. ეკლესიები საქონლის ბოსლებად აქცია. არ წყდებოდა გადასახლებები, დახვრეტები. სპეცკატორლები გავსებული იყო პატიმრებით. ისინი საცოდავად იხოცებოდნენ, მაგრამ ეს ვის ანალვლებდა?! დაცარიელებული ადგილები ახალი მსხვერპლით ივსებოდა. მსოფლიო დემოკრატიის ძალების ზემოქმედების შედეგად, შენირულ მსხვერპლთა რაოდენობა შემცირდა. საბჭოთა დიქტატორმა უმსხვერპლოდ არსებობა ვერ გადაიტანა და ეშმაკმა „ჩაიხუტა“... მისი სიკვდილის შემდეგ, სიტუაცია ცოტათი შეიცვალა. ტაიმირის ნახევარკუნძულზე, 1-ელ სპეცსასაკლაო კატორღაში გამოგვიცხადეს, — კატორღის ნომრების ტარება გაუქმდა, ამის ტარება დანაშაულია და შეგიძლიათ მოიხსნათო. ზოგი არ იხსნიდა: მსოფლიოს უნდა დაეანახვით, რა დღეში ვართო!.. მერე თითოეულ „ბარაკს“ საპირფარეშოს გათხრის საშუალება მოგვეცა და გავთხარეთ, რაც ძალიან გვიხაროდა; პირველად მაშინ ვიგრძენით თავისუფლების სიო. ზონაში გადაადგილების საშუალებაც დაგვრთეს. თავიდან 5-6 საათამდე გარეთ ვიყავით, მერე ოთახში გვეტყავდნენ, შემდეგ, 9 საათამდე მოგვეცეს გარეთ ყოფნის უფლება, ბოლოს სხვა „ბარაკშიც“ შეგვეძლო მისვლა. ხმა დაირხა, საკატორღე უმძიმესი სამუშაოს შესრულებისთვის ჯამბიგირსაც მოგვცემნო. არ გვჯეროდა, მაგრამ დადგა ეს დღეც და ხელზე 150-200 რუბლი მოგვეცეს. მალე ზონაში სასურსათო მალაზიები და სასადილო გაიხსნა. რამდენიმე თვეში ჩონჩხად ქცეული კატორღელები ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით. ქსოვილების მალაზიაც გახსნეს, გასაყიდად კოსტიუმი შემოიტანეს. სამოქალაქო პირებს ზონაში შესვლისა და პატიმრებთან საუბრის საშუალება მისცეს. მოქალაქეები ამბობდნენ, — გვეგონა, საშიში დამნაშავეები, რეციდივისტები, მავნებლები და ხალხის მტრები იყავით; არ ვიცოდით, ასეთი პატიმრები თუ იყვნენ საბჭოთა კავშირშიო.

დასასრული შემდეგ ნომერში

„ბავრი ფული გინდათ? იყიდეთ საონი და ქავილი ალარ უბანუხებით...“

ნიმე ჯავახიშვილი

ამას წინათ სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას ერთი ახალგაზრდა ბიჭი დაჯდა ჩემ გვერდით სკამზე. ამოსვლისთანავე თვალში მეცა მისი ფერად-ფერადი, ტანზე შემოტყეცილი კუბოკრული შარვალი და მარჯვენა ხელის არათითზე უზარმაზარი შავთვლიანი ბეჭედი. მალულად ავაყოლე თვალი ზემოთ იმ იმედით, რომ ჭიპზე თუ არა, ყურზე მაინც დაეუნახავდი საყურეს. საბედნიეროდ, იმედი გამიცრუვდა, მაგრამ რაც ვნახე და მოვისმინე (მისი საუბრის ნაზ მანერას ვგულისხმობ), ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ მეფიქრა: აი, 2 ამისთანა სიძე ნამდვილად მისწრება იქნებოდა ჩემნაირი გოიმი სიდედრისთვის-მეთქი. არა, რა, ვერ ავუღე აღლო ამ დროებს... მოკლედ, ხასიათი ნამიხდა... არადა, მძლოლი როგორ ზრუნავდა მგზავრების ამალღებულ განწყობილებებზე! მთელი გზა ვუსმენდი: „მოდო ჩემთან, ლამაზო, ჩემო კაკლის მურაბა...“ და კიდევ: „ნინიკო, ნინიკო, ნინიკო, ოხ, ნინიკო, რა კარგი ყოფილა ის დრო!..“ აბა, 80 თეთრი გადავიხადოთ და სიმღერებიც არ მოგვასმენინონ?! ეეჰ, ისე, მართლაც კარგი დრო იყო, მგზავრობაში 50 თეთრს რომ ვიხდიდით და კაცი კაცს რომ ჰგავდა და ქალი — ქალს... მოკლედ, ბევრი რომ ალარ გავაგრძელო, „მარშრუტიდან“ ჩამოვხტით თუ არა, მაიამ ვეღარ მოისვენა და მაშინვე „დააკომენტარა“:

— ესეც შენი 80-თეთრიანი „მარშრუტა“. კიდევ კარგი, სახლში ვზივარ და ყოველდღე არ მიწევს მგზავრობა (ხედავთ, ზოგჯერ უმუშევრობა როგორი სანატრელია?!). ხელფასის ნახევარი მაინც გზაში დამეხარჯებოდა. ყველაფერი გაძვირდა — მგზავრობა, ბალის გადასახადიც... ახლა ნაგვის გადასახადი შუქს რომ მიაბებს?! შუქის გადასახადი — ფულზეა მიბმული, ფული — ხელფასის სიდიდეზე, თუ, რა თქმა უნდა, გაქვს. ხელფასის სიდიდე კი — ჭამა-სმასა და ჩაცმადახურვანზე და რა გამოდის?! მარტო გადასახადებისა და მგზავრობისთვის თუ გეყოფა ეს შენი ხელფასი... ის ბეჭდიანი ტიპი მოგენო-

ნა, ხომ? — საუბრის თემა უცებ შეცვალა და გამხიარულდა (რა იცოდა, სახლში გადასახადებთან დაკავშირებით კიდევ ერთი სიურპრიზი რომ გველოდა?!), — ისეთი გამომეტყველებით უყურებდი, რომ ხარხარი მომინდა.

— ზოგი მერე იცინე, შენი შვილი ასეთს რომ მოგიყვანს სახლში და გეტყვის: ჩემი რჩეულიაო... რძალიც იმ პარასკევასავით გამიშვლებული თინეიჯერებისნაირი თუ შეგხვდა, მთელი ქუჩა მათ რომ შესცქეროდა, შენს ბედს ძალღი ალარ დაჰყევს, — ბოლომდე გავიმეტე მეზობელი.

— კარგი, რა, ნუ მწყევლი. შვილებს რა ღირებულებებზეც გავზრდით, ისეთ არჩევანს გააკეთებენ ცხოვრებაში, ასე მგონია, — თავი დაიმშვიდა მაიამ; თან, გასაღები მოარგო კარს და შემიპატიჟა, — ძალიან დავიღალე მთელი დღე აქეთიქით ნონიალში. მოდი, ნანასაც დაუფახოთ და ჩემი მომზადებული მეგრული კუჭმაჭი გავსინჯოთო. უარს როგორ ვეტყვოდი, მაგრამ ვინ დაგაცადა?!

— გამარჯობათ, სანეპიდ სადგურიდან ვართ, — მოგვესალმა 2 ახალგაზრდა გოგონა, — ვირთხების ნამალს ვყრით ბუნკერებში და 1 ლარი გაქვთ გადასახადელი (ცნობისათვის, თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ვცხოვრობ, სადაც ბუნკერები ჯერ კიდევ არ არის გაუქმებული და ეს ამბავი ძალიან გვანუხებს).

— კი, ბატონო, — შევტრიალდი სახლში ფულის ასაღებად, მაგრამ იქ ამბავი ატყდა!

— რა 1 ლარი, რის 1 ლარი? ერთი გამაგებინეთ, როდის ყრით ამ ნამალს, ყოველთვე ფულს რომ ითხოვთ? — გადაირია მაია. — არა, ყველა როგორ უნდა გვატყუებდეს?! თუ მართლა ყრით ნამალს, რით ვეღარ დაიხოცნენ?

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო! აი, ახლავე ჩაყყრი და თუ გნებავთ, უყურეთ, რომ თქვენი თვალთ დაინახოთ, — ხელთათმნიანი ხელით ბუნკერი ძლივს გამოხსნა, თეთრი ფხვნილი მოყარა და გამარჯვებული იყრით მოგვიბრუნდა: აი, თუ არ ყყრითო...

მაია სულ „გასვანდა“:



— ვერ გავიგე, ნამალს უყრით ვირთხებს, თუ მალალკალორიულ საკვებს, გოჭებოვით დასუქებულები რომ დარბიან აღმა-დაღმა?! მოშენება გინდათ თუ?! განა არ მაქვს, მაგრამ პრინციპის ამბავია, არ გადავიხდი! — ახლა მე მომიბრუნდა აღშფოთებული.

— ვაიმე, სხვათა შორის, ზუსტად ვალენტინობას, — შემოგვიერთდა თიკაც, — სამსახურში რომ მივდიოდი, დილაადრიან კიბე ხტუნვა-ხტუნვით ჩავიბრინე და უეცრად ცხვირ-ნინ რალაცამ დიდი სისწრაფით ჩამიქროლა, ძირს დაენარცხა და შიშისგან გონდაკარგული ვიდრე მივხედებოდი, რაც მოხდა, ნამოსტა და უკანმოუხედავად გაიქცა. როგორც ჩანს, ზევით სართულზე ფეხი დაუცდა და ჩამოვარდა ის უბედური. ისე, მართლა ჩასუქებული კი იყო...

ვირთხების მოსუქებაში „დადან-აშაულებულმა“ გოგონებმა უკმაყოფილოდ გადახედეს კიდეც ერთ არამკითხე მოამბეს და ის იყო, პასუხის გაცემას აპირებდნენ, რომ ახლა მე გამოვთქვი ჩემი ვარაუდი: ჰო, როგორც ჩანს, ვალენტინობას ცოტა ზედმეტი მოუვიდათ დაღვევა და ფეხიც იმიტომ აერეოდა-მეთქი სანყალს... არა, ეს უკვე მეტისმეტი იყო. ნავიდეო, რა, აქედან, ამათი 3 ლარი არ გეჭირდებოდა (გადამხედლები ხომ სამნი ვიყავით. — ავტ.), — გადაულაპარაკა ერთმა მეორეს და ბურტყუნ-ბურტყუნით ჩაუყვინნ კიბეს. კარი მივიხურეთ თუ არა, ოთხივე ერთდროულად ავხარხარდით... არა, რას ვერჩოდით ახლა, იმ სანყლებს, მიგვეცა თითო ლარი — გოგონებიც კმაყოფილები დარჩებოდნენ და ჩვენი ვირთხებიც უზრუნველად ირბუნდნენ...

აი, ჩემი კიდეც ერთი ჩვეულებრივი დღის ამბები. ხომ ხედავთ, არც ისე მოსაწყენად ვცხოვრობ. ახლა კი მკითხველების გზავნილებსაც გაგაცნობთ.

გურულებმა ერთი ისეთი ლექსი მომამწველეს, რომელიც სწორედ ახლანდელი თაობის გემოვნებას ეხება — კონკრეტულად, ჩაცმა-დახურვას: „ავტობუსში ავედი, დამიბნელდა თვალები, არ მინახავს ამდენი მე შიშველი ქალები./ჭიპი ყველას უჩანს და, არის ტანცი-მან-

ცია, საკითხავი ის არის, ტრიკო თუკი აცვია/უპერანგოდ რომაა, არის ამის დასტური/მკერდი გადმოღელილი, მიმზიდველი, მაცდური/მეც კაცი ვარ, ავლელი, ტვინში სისხლი ჩამიექცა/არ მინდოდა გახედვა, თვალი მაინც გამექცა./ვთქვა სიმართლე, სიზმარშიც არ მინახავს ასეთი —/დახატული კი ვნახე, სექსი არის მასეთი/ეტყვი რამეს? პასუხი: არის სიცხის ბრალია/არ მოგწონვარ, ბიძიკო? მომარიდე თვალია“.

„ჩვენს სოფელში ერთი კარგი კაცი ცხოვრობდა. მეცხვარე იყო და თვეობით უხდებოდა ცოლ-შვილის დატოვება. ერთხელაც, ორთვიანი განშორების შემდეგ სახლში დაღლილი დაბრუნდა, დანვა და დაიძინა. შუალამისას ცოლმა ჯერ ერთხელ გააღვიძა: გენაცვალე, კისერი ცერზე გიდევეს, გაასწორეო. გმადლობ, რომ გამაღვიძეო, — უთხრა ცოლს და გვერდი იცვალა. მეორედაც გააღვიძა ცოლმა: თავი გაქვს მოღრეცილი და არ გეტკინოსო. უნდა, როგორმე გამოაფხიზლოს ქმარი; ენატრება, კაცო, 2 თვეა, რაც არ უნახავს. მეორედაც იცვალა გვერდი და გაბრაზებულმა ცოლს შეუბღვირა: დედაკაცო, იცოდე, მესამედ აღარ გამაღვიძო, გინდა კისერი სულ მამტყდეს, თორემ მერე ვნახავთ, კისერი და თავი ვის ექნება მოღრეცილი“.

„არაჩვეულებრივი პაპა გვყავდა — შაქრია. ენა ებმოდა. ერთხელ ვილაცისთვის უკითხავს, — რა გქვია, სადაური კაცი ხარო? თურმე იმას უარესად ებმოდა ენა და ძლივს უთქვამს: — შაქრია მქვიაო. პაპაჩემს

გაცინებია: — მეც შაქრია მქვია, მაგრამ მაგსიგრძე — არაო. ძალიან მშრომელი იყო, უსაქმურად ვერ ნახავდით, არადა, უკვე გაჭირვებით დადიოდა, თრომში ჰქონდა. ერთხელ ვუთხარი: შაქრია პაპა, ამდენს რილასთვის მუშაობ, დამსახურებული კაცი ხარ, ან წყალტუბოში წადი სამკურნალოდ, ან თუ იქ არ გინდა, ამერიკაში წადი, მეასე სართულზე წყნარად და მშვიდად იცხოვრებოქო. გვიყურა, გვიყურა და გვითხრა: ამერიკაში რა მინდა, შვილო, თან, მეასე სართულზე, სანამ იქიდან ღორებს სალაფავს ჩამოვუტან, ხო დასკდნენ ჭყვივით... წარმოგიდგენიათ, თავისი ღორები იქაც მიჰყავდა, ამას კახელის გარდა ვინ მოიფიქრებდა?“

ერთმა ცნობილმა ადამიანმა, რომელსაც შევარდნაძის დროს მაღალი თანამდებობა ეკავა, ასეთი რამ მიამბო: „შვილიშვილების სანახავად რომ მივდივარ, სულ ხელებში მიყურებენ ის მამაძაღლები. მეც ყოველთვის ვეკითხები ხოლმე: ბაბუ, ხელები ხომ არ გეფხანება-მეთქი? ხომ იცით, ხელისგული თუ გეფხანება, ფულს მოგცემენო, — ამბობენ. კიო, — მპასუხობს და მეც 5 ლარს ვჭუჭნი. ერთხელ, როგორც ჩანს, ჩემმა შვილმა და სიძემ დაარიგეს და რომ ვკითხე, მიპასუხა: ბაბუ, მარტო ერთი ხელი კი არა, ყველაფერი მეფხანება — ხელებიც, ფეხებიც, თავიც, ზურგიც და რამდენ ფულს მომცემო? შვილო, ფულს კი არა, საპონს გიყიდი და დაგბანოს დედაშენმა, ყველაფერს ის სჯობია-მეთქი...“

იცით, რისი თქმა მინდა? მგზავრობა გაძვირდა და უკმაყოფილო ხართ? საკუთარი სახლიდან გამოგადგეს და ღია ცის ქვეშ დარჩით? პროდუქტიც გაძვირდა და ფული აღარ გყოფნით? ესე იგი, ყველგან გეფხანებათ? — ანუ ბევრი ფული გინდათ? იყიდეთ საპონი და ქავილი აღარ შეგანუხებთ... აი, დაახლოებით ასეთია ყველანაირი პრობლემის გადაჭრის „ნაციონალური“ გზა... მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, გირჩევთ, არ დანებდეთ უიმედობას და დაეპრესიას და გულის გადასაყოლებლად მომწეროთ თქვენი ამბები ნომერზე: 5(93) 49.95.02.





უსნაური ფობიები ანუ რატომ უშინათ ლამაზი ქალის?..

იცით, რომ არაერთი უსნაური შიში ანუ ფობია არსებობს? ზოგიერთი მათგანი ღიმილსაც კი მოგვცოდა — ლამაზი ქალების შიში, კლოუნების შიში, რომელიც საკმაოდ გაფრცხვლებული ყოფილა ამერიკაში; მობილური ტელეფონის არქონის შიში; შიში

— თინეიჯერების, დაბერების, ყვავილების, მამაკაცების, ნიფრის, ქათმის, თოვლის, რიცხვებისა და ფერების მიმართ. თურმე არაქისის კარაქის სახაზე მიკვრის შიშიც კი არსებობს. რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

ნირო ჯაპანიშვილი

ცნობილია, რომ კამერონ დიასს კარის სახელურის ეშინოდა, ჯენიფერ ენისტონს — ფრენის, ჯასტინ ტიმბერლეიკს — გველების, ზვიგენისა და ობობების (მოდის და, ნუ შეგეშინდება); აი, ნიკოლ კიდმანს თურმე, უწყინარი პეპლებიც აშინებდა, ორლანდო ბლუმს კი — ლორები; კიმ ბესინჯერს აგორაფობია — ანუ ხალხმრავალი, გაშლილი ადგილების შიში, ხოლო მიშელ პფაიფერს წყლის შიში ჰქონდა. ალბუტოფობია — ეს არის აბაზანის მიღების, წყლის შიში და უმეტესად ბავშვობის დროინდელ ტრავმასთან არის დაკავშირებული. ტეტრაფობია კი რიცხვი 4-ის შიშს ეწოდება და უმეტესად აღმოსავლეთის ქვეყნებში ყოფილა გავრცელებული. რაც შეეხება მიზეზს — სიტყვები „სიკვდილი“ და „ოთხი“ ომონიმებია — ერთნაირად იწერება ჩინურსა და კიდევ რამდენიმე აზიურ ენაში. მოკლედ, ფობიების მრავალსახეობით დავინტერესდით და ფსიქოლოგი გიორგი კაპანაძეს მივმართე კითხვებით: საიდან ჩნდება ფობია? რამდენად რაციონალურია და როგორ უნდა მოვერიოთ შიშს, როდესაც დისკომფორტს გვიქმნის?

გიორგი კაპანაძე, ფსიქოლოგი:
— როგორც იცით, „ფობია“ ბერძნული სიტყვაა და შიშს ნიშნავს. ეს არის ცნობიერი არიდება სიტუაციების, ობიექტების ან მოვლენებისა,



ოჯახში თუ ვინმეს აქვს რამის ფობია, ხშირ შემთხვევაში, შვილებზეც ვრცელდება იგივე განწყობილება ან თუ იმ ობიექტის ან მოვლენის მიმართ

რომლებიც ადამიანში დაუძლეველ შფოთვას ან რაიმე კონკრეტულ შიშს იწვევს. ბევრნაირი შიში არსებობს. არსებობს სხვადასხვა თეორიაც იმის შესახებ, თუ რის გამო და საიდან ჩნდება ის. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, ასეთ დროს ხდება შინაგანი კონფლიქტის ან განცდის ჩანაცვლება რალაც ობიექტით ან მოვლენით, რომელიც დაუძლეველ შიშს იწვევს. ფობიით არავინ იბადება, ამის „დასწავლა“ ხდება მშობლებისგან: მათი რეაქციის მიხედვით, პატარას შეუძლია გაარჩიოს, რა არის მისთვის საშიში. მაგალითად, ბავშვმა არ იცის, რომ გველის უნდა ეშინოდეს, მაგრამ როდესაც ხედავს, რომ დედას არასასიამოვნო დამოკიდებულება აქვს, თვითონაც იბაძება და ეშინია. ოჯახში თუ ვინმეს აქვს რამის ფობია, ხშირ შემთხვევაში, შვილებზეც ვრცელდება იგივე განწყობილება ან თუ იმ ობიექტის ან მოვლენის მიმართ. ვთქვათ, თუ მშობლებს ძაღლის ეშინიათ, შეიძლება, შვილსაც, ძაღლის თუ არა, რომელიმე სხვა ცხოველის შიში

ჰქონდეს. ცნობილია, რომ ამერიკაში მოსახლეობის 11%-ს ხანგრძლივი, ხოლო 7%-ს — 30-დღიანი, ე.ი. ხანმოკლე ფობია აქვს.

— თანდაყოლილი თუ არ არის, ე.ი. შიში რალაც კონკრეტული შემთხვევის შედეგად ჩნდება და ალბათ ეს ნორმალურია, არა? მაგალითად, როდესაც რუსთაველი რამდენიმე მანაკი დააკავეს, შევაშინე, რომ განსაკუთრებული სიფრთხილით შევდიოდი ლიფტსა და სადარბაზოში (ვერსია იყო — რომ ამ ადგილებში ესხმოდა თავს მსხვერპლს). მაგრამ ეს შიში მაშინვე გაქრა, როდესაც მათი დაკავების შესახებ შევიტყვე.

— როდესაც რეალურ მოვლენაზეა საუბარი, ასეთი რეაქცია ნორმალურია. ებრაელებს რომ არ შეშინებოდათ ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის, ბევრი მათგანი არ გაიტყუოდა და არ დატოვებდა გერმანიას. მათ თავს უშველეს, ხოლო ვინც დარჩნენ, ცუდ დღეში ჩაცვივდნენ. სიფრთხილე რეალური საფრთხის გამო კარგია. ეს არ არის ირაციონალური შიში. რაც შეეხება გენეტიკურ საფუძველს — ჯერჯერობით მიკვლეული არ არის, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს. რაც დანამდვილებით ვიცით, ის არის, რომ ბავშვი უკვე პატარაობიდანვე არჩევს ახლობლების სახეებს და როდესაც ხედავს, რომ მათ აქვთ გარკვეული შიში და მათ თვალში კითხულობს ამას, ფიქრობს, რომ თვითონაც უნდა გაფრთხილდეს.

— კი, მაგრამ ისეთი უსნაური შიშები, როგორებიცაა — რიცხვის, ფერის, რომელიმე დღის, თოვლის, ლამაზი ქალის ან გნებათ, სიყვარულის შიში, შეუძლებელია, ვინმეს თვალში ამოიკითხო...

— გეთანხმებით, ასეთ რამეზე ჩვილობიდან ვერ ექნება რეაქცია, მაგრამ რალაც ეტაპზე ყოველთვის ხდება ამის „დასწავლა“. დაზუსტებით ძნელია, რაიმე თქვა ამგვარი უსნაური შიშების წარმომავლობის შესახებ. ასხენეთ ლამაზი ქალის შიში. ერთი შეხედვით, მართლაც უსნაურია: როგორ შეიძლება, ვინმეს ლამაზი ქალი აშინებდეს, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ კაცს რალაც



კონკრეტული შემთხვევის გამო გაუჩნდეს ასეთი ფობია — ვთქვათ, უღალატა ლამაზმა ქალმა, მოატყუა, სხვაში გაცვალა და ა.შ. ოღონდ, ირაციონალურია ის, რომ ამას ავრცელებს არა მხოლოდ იმ კონკრეტულ ქალზე, არამედ — სხვა ქალებზეც.

— რამდენად უქმნის ადამიანს დისკომფორტს ფობია?

— ადამიანები იშვიათად მიმართავენ ექიმს ასეთი, იზოლირებული ფობიით, მეტად თუ ნაკლებად ადაპტირებულები არიან და არ მიიჩნევენ საჭიროდ ექიმის დახმარებას. მაგალითად, ობობის შიში არ უქმნის ვიღაცას ისეთ დისკომფორტს, რომ ამის გამო ექიმთან გაიქცეს და მიჰყურნალოს. როდესაც ქორწინების შიში აქვთ, ეს არ არის მხოლოდ ფობია, არამედ ამას ცოტა კონკრეტული და რეალური მიზეზი აქვს. ეს გახლავთ კითხვები: როგორ შეეგუებიან ერთმანეთს? როგორ აანყობენ ახალ ცხოვრებას ერთად? როგორ გაუმკლავდებიან სოციალურ პრობლემებს?.. ეს ახალი და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების შიშია და ამ შემთხვევაში, უფრო მიმართავენ ხოლმე ფსიქოლოგებს კონსულტაციისთვის. რაც შეეხება დისკომფორტს, ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ: ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც პანაშვიდზე მისვლის შიში ჰქონდა. მიაბო, რომ პატარაობისას გარდაცვალა ბაბუა, რომელიც დასვენებული იყო სოფლის სახლში და წლეულის შემდეგაც კი ეშინოდა იმ სახლსა და იმ ოთახში შესვლის, განსაკუთრებით — სიბნელეში. ეს დისკომფორტს უქმნიდა, რადგან საკუთარ სახლში, ფაქტობრივად, ვეღარ შედიოდა. პანაშვიდზეც მართო ვერ მიდიოდა. ხვდებოდა, რომ ეს შიში ირაციონალური ანუ საფუძველს მოკლებული იყო, მაგრამ ჰქონდა იმის განცდა, რომ იქ დაინახავდა ბაბუამისის აჩრდილს ან ვიღაც შეეხებოდა. ამიტომაც დახმარებისთვის მოგვმართა.

— ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არის თუ არა ეს აკვიტება?

— გარკვეულწილად, ეს აკვიტებაცაა, მაგრამ ფსიქოზის დროს ადამიანი არ ფიქრობს, რაციონალურია თუ არა შიში. როდესაც ფობიაზე გვაქვს ლაპარაკი, მან იცის, რომ რეალურად არაფერი მოხდება, მაგრამ იმდენად დაუძლეველია შიში, რომ

დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება. სტატისტიკით, ქალებს უფრო ხშირად აქვთ რამის შიში, ვიდრე მამაკაცებს, თუმცა კაცები უფრო ხშირად მიმართავენ ექიმს. როგორც თავად ხსნიან, ფობიები მათ სამსახურში უქმნის პრობლემებს. მყავდა პაციენტი, რომელსაც სიბნელის, ღამის შიში ჰქონდა. როდესაც მართო რჩებოდა, შფოთავდა, ეწყებოდა მოუსვენრობა, ცდილობდა, სხვა რაღაცაზე გადაეტანა ყურადღება, ოღონდაც არ დაწოლილიყო და არ დაეძინა. შიშობდა, რომ ვიღაც შეუფარდებოდა სახლში. სხვა პაციენტს ძაღლების შიში ჰქონდა, რასაც კონკრეტული მიზეზი ჰქონდა. საერთოდ, ძალიან უყვარდა ცხოველები, მაგრამ ძაღლებმა ორჯერ დაკბინეს და ამის შემდეგ უპატრონო ძაღლების შიში დასჩემდა.

— ბრბოს, ადამიანების შიშზე რას გვეტყვიან? ამის მიზეზი შეიძლება იყოს ვინმეს ჩაკეტილი, დათრგუნული ბუნება?

— სოციოფობიები — სხვა საკითხია. საჯარო მოხსენების დროს ბრბოს შიშს განაპირობებს საკუთარ თავში დაურწმუნებლობა და კინოზობითი თვითშეფასება. ხალხმრავლობის შიში შეიძლება, ბავშვობაში გადატანილმა სტრესმაც გამოიწვიოს. ვთქვათ, ბავშვობისას ხალხმრავალ ადგილას დაიკარგა, მშობლების გარეშე დარჩა, შეეშინდა და ეს ნეგატიური მოვლენა მის ცნობიერებაში დაიღვწა.



სტაბილური, ქალაქს უფრო ხშირად აქვთ რამის შიში, ვიდრე მამაკაცებს

— დამისახველეთ ყველაზე უცნაური შიში, რომლის შესახებაც გსმენიათ?

— კლოუნების შიში. როგორც მშობლები მეუბნებიან, პატარაობისას მეც მქონია კლოუნების შიში. როგორც წესი, ბავშვებს მოსწონთ კლოუნები და ძალიანაც ხალისობენ მათ ნომრებზე, მე კი თურმე საოცრად მეშინოდა. ახლა ამაზე მეცინება... როდესაც ფობიების ჩამონათვალში ასეთიც აღმოვაჩინე, გამიხარდა, რადგან მხოლოდ მე არ აღმოვჩნდი ასეთი უცნაური ფობიით შეპყრობილი.

— შეიძლება თუ არა ფობიის დაძლევა ფსიქოთერაპიის გარეშე?

— რა თქმა უნდა, თუმცა ჯობს, პროფესიონალს ვკითხოთ რჩევა იმის შესახებ, თუ როგორ მოვიქცეთ. ყველაზე კარგი იარაღი კი ფობიის დასამარცხებლად — განათლებაა. რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა მოიპოვო იმის შესახებ, რისი შიშიც გაქვს. ფსიქოთერაპიაზეც ამით იწყება — თავდაპირველად უნდა განვიხილოთ, რის გამო გეშინია — მაგალითად, რა შეიძლება მოხდეს ღამის განმავლობაში ისეთი, რაც შიშს მოგგვრის. შენს მეზობლად ცხოვრობს ხალხი, შეგიძლია, დარეკო პოლიციაში, ნახო სტატისტიკა და გაიგო, რამდენად ხშირია ძარცვა შენს უბანში და ასე შემდეგ... ამას რომ შეიგნებ, მერე საღად აზროვნებას იწყებ. გარდა ამისა, ვასწავლით ღრმა რელაქსაცია — როგორ მოადუნოს ადამიანი საკუთარი სხეული; ვასწავლით ღრმა მუცლისმიერ სუნთქვას — ეს არის სხეულის მდგომარეობა, რომელიც გვაქვს სიმშვიდის დროს და რომელიც განტვირთვაში გვეხმარება. უნდა მივანოდოთ ადამიანს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა ეშინოდეს. ვცდილობთ, წარმოვადგინოთ ის სურათი, რომლისაც ეშინია. ვთქვათ, ეშინია პანაშვიდის. ვუბნებით: წარმოიდგინე, რომ ახლა უნდა წახვიდე პანაშვიდზე. აი, უკვე ემზადები წასასვლელად და როგორია შენი შიშის ხარისხი? შიშის ხარისხი შეაფასე 0-დან 100 ქულამდე. აი, უკვე მიხვედი, ნათესავებსაც შეხვედი, არის იქ ისეთი რამ, რაც შიშს გგვრის?.. ნელ-ნელა, 10-12 ასეთი დეტალი შემოგვაქვს თხრობაში. როგორც კი პაციენტი თავს ცუდად იგრძნობს, ისევ უკან — საწყის პოზიციას ვუბრუნდებით და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ ვახერხებთ, შიში დავამარცხოთ...



მუამარ კადაფი ლიბიის ჯამაჰირიის მამა

პოლკოვნიკ კადაფიზე ათასგვარ ზღაპარს ჰყვებიან. ზოგი მას გენოსს, ზოგი დემონს, ზოგი კი შველილსაც უწოდებს. აგრცელებენ ხმებს, ვითომდა რეგულარულად გადის კონსულტაციებს ეგვიპტის, იუგოსლავიისა და შვეიცარიის ფიქტაბრებთან, მაგრამ სულ ბოლო დრომდე კადაფი პოსტმონარქულ ლიბიაში ის არაორდინარული პიროვნება იყო, რომელსაც ლიბიის ჯამაჰირიაში ალტერნატივა არ ჰყავდა...



გაზაფხულზე, ქალაქ სიტრის სამხრეთით, 30 კილომეტრში, ბედუინის კარავში მოველინა ქვეყანას. ალ-კადაფის ტომიდან გამოსული კადაფის მამა მომთაბარეობდა და აქლემებსა და თხებს მწყემსავდა. დედა და 3 უფროსი და კი საოჯახო მეურნეობას უძღვებოდნენ. უბრალო ბედუინის ვაჟი დღეს ირწმუნება (და მის სიტყვებს, რა თქმა უნდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც იმეორებენ), — ერაყიდან წამოსული უძველესი კეთილშობილი ბედუინური ტომების შთამომავალი ვარო. არის კი ეს გასაკვირი მას შემდეგ, რაც რამდენიმე წლის წინ კადაფიმ „არაბული

პოლკოვნიკი კადაფი — ბადუინის პრინსაჲ შილი

მუამარ კადაფის სახელი ლიბიის აურნალ-გაზეთების, მხატვრული ფილმებისა და თეატრალური წარმოდგენების განუყოფელი ნაწილია. როცა უცხოელმა აურნალისტებმა პოლკოვნიკ-ბედუინს ჰკითხეს, როგორ უყურებთ საკუთარი პიროვნების ფაქტობრივ გაღმერთებასო? — მან მორცხვად აღნიშნა: — აბა, მე რა შემიძლია, როცა ამას ჩემი ხალხი დაჟინებით მოითხ-

ოვსო?! ლიბიის ლიდერმა თავი მოიკატუნა, თორემ სინამდვილეში სხვებისთვის თავის მოწონებაც უყვარს და იმაზეც გამუდმებით ზრუნავს, რომ რაც შეიძლება კარგად

სამყაროს მესიად და როგორც წინასწარმეტყველ მუჰამედის, ისე იესოს და მოსეს საქმეების გამგრძელებლად გამოაცხადა თავი?! საკუთარი ბავშვობისა და სიჭაბუკის გახსენებისას

კადაფის „მწვანე წიგნიდან“

აღამიანს, როგორც ფიზიკურ ჰირს, თვითგამონახვის თავისუფლება უნდა მიჰანიჭოთ და, თუნდაც ჭაიდან შაჰლიდი იყოს, სახუთარი სიზმარის თავისუფლად გამონახვის საშუალება უნდა ჰქონდეს



გამოიყურებოდეს. როცა იუგოსლაველები კადაფიზე მოკლემეტრაჟიან ფილმს იღებდნენ, საათ-ნახევარი მხოლოდ ყველაზე ეფექტური გადასაღები რაკურსის შერჩევას დასჭირდა...

კარვიდან — კალაუფუაჲის მწერაკალა

მისი სრული სახელია — მუამარ ბენ მუჰამედ აბუ მენიარ აბდელ სალამ ბენ ჰამიდ ალ-კადაფი; დაბადების ზუსტი თარიღი კი კვლავც გამოცანად რჩება. ლიბიის ბელადის ბევრი ბიოგრაფი ამტკიცებს, რომ ის 1940 წელს დაიბადა. თავად კადაფი კი ყველგან წერს, რომ 1942 წლის

გადაგრილების დღეებში ის კავშირგაბმულობის ჯარების კაპიტანი იყო

მან ერთხელ აღნიშნა: „ხალას, თანამედროვე ცხოვრების ინფექციებით დაუსნებოვნებელ გარემოში გავიზარდე, შვეიცანი პირობები, რომელშიც ჩემი ხალხი ცხოვრობდა და გადავიტანე ტანჯვა, რომელსაც ის კოლონიალიზმის უღელქვეშ განიცდიდა. ჩვენს საზოგადოებაში ახალგაზრდები პატივს სცემდნენ მოხუცებს, სიკეთის ბოროტებისგან გარჩევა შეგვეძლო“.

9 წლის მუამარი მშობლებმა დანყებით სკოლაში მიაბარეს, რომელიც 4 წელიწადში დაამთავრა და შემდეგ ქალაქ სეხის საშუალო სკოლაში შევიდა. სკოლის წლებში შეიყვარა მშვიდობისთვის თავგანწირულ გმირებზე დაწერილი წიგნები და ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ წიგნებმა უბიძგა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას იატაკქვეშა ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნისკენ?! მომავალი პოლკოვნიკის მოსწავლეობის წლები ლიბიაში ოპოზ-



იციური მოძრაობის ჩასახვას დაემთხვა. სწორედ მაშინ დაიწყო მომნიშვნელოვანი ქალაქისა და სოფლის ღარიბ მოსახლეობაში, საშუალო ფენაში, სტუდენტებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობაში სამეფო რეჟიმით უკმაყოფილებამაც. უმსხვილეს ქალაქებსა და პროვინციულ ცენტრებში მეფის რეჟიმისადმი ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფები გაჩნდა. ერთ-

ფის წევრები, რომელსაც მუამარ კადაფი ედგა სათავეში, ბენლაზიში, სამხედრო კოლეჯში ჩასაბარებლად გაემგზავრნენ, მეორე ჯგუფისა კი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში შევიდნენ. 1964 წელს ბენლაზიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ პატარა სოფელ ტელმეიტთან ორგანიზაციის პირველი ყრილობა გაიმ-



1977 წლამდე ის მაინც სახელმწიფოს მეთაურად და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად რჩებოდა

ჯადაფის „მწვანე წიგნიდან“

ისტორიის გმირები ის ჰიროვნებაები არიან, რომლებიც სახუთარ თავს საერთო საქმას სწირავენ. სხვა განსაზღვრება არც შეიძლება იყოს. სახითხავი ის არის – რა საქმას? გმირები სახუთარ თავს სხვებს სწირავენ. მაგრამ ვინ არიან ეს სხვები? სხვები გმირთან დაუახლოვრებადი ადამიანები არიან. ჯავშირი ჰიროვნებასა და ჯოღაქივის შორის – საჯოგაღოჯარივი ჯავშირია, სხვაგვარად რომ ვთქვათ – ჯავშირი ადამიანებს შორის.

ერთ მათგანს 1956-1961 წლებში მუამარ კადაფი ხელმძღვანელობდა. 1963 წელს სეზხის, ტრიპოლისა და მისურატის 3 იატაკქვეშა დაჯგუფების შეხვედრაზე ერთიანი არალეგალური ორგანიზაციის შექმნა გადაწყდა, რომელიც ორ სექციას – სამხედროსა და სამოქალაქოს მოიცავდა. პირველი ჯგუ-

ართა. რეგოლუციურად განწყობილი ახალგაზრდა სამხედროების ჯგუფს „იუნიონისტ-სოციალისტ თავისუფალ ოფიცერთა ორგანიზაცია“ ეწოდა. მათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები დაისახეს, როგორც იყო: მონარქიული რეჟიმის დამხობა, საუკუნეობრივი ჩამორჩენის დაძლევა, იმპერიალიზმის სამხედრო-

პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობისგან გათავისუფლება, ჭეშმარიტი ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა, სოციალური სამართლიანობის დამყარება, არაბული ერთიანობისთვის, პალესტინის არაბი მოსახლეობის კანონიერი უფლებების უზრუნველყოფისთვის ბრძოლა. 1969 წელს მეფის მრჩეველის ძმა, პოლკოვნიკი აბდელ აზიზ შელხი გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ და მეფის არმიის სარეორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ

წიგნების სარკა

„ახალი ქართული ლიტერატურა“

შურნალ „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად

ყოველთვა

ერთი თანამედროვე ავტორი

საქართველოს ნომართან ერთად

წიგნი 5 - თონა დოღუნაძე

„ANIMAL PLANET“

წიგნის ფასი 3 ლარი. (შურნალთან ერთად 5 ლარი.)

უკვე გამოცემული ტომები: დართო ტურაშვილი, თაბრი ფსაპაძე, რატი აბაღლოვალი, დავით ქართველიშვილი შვიდიწლით შეიქმნოთ წიგნის მაღაზიები



დანიშნეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ბოლო თანამდებობა მხოლოდ სამხედრო გადატრიალების მომზადების დასაფარავად მოგონილი შირმა იყო. მაგრამ „თავისუფალი ოფიცრების“ ლიდერებმა დასწრება და ინიციატივის საკუთარ ხელში აღება გადაწყვიტეს. პოლკოვნიკ შელხსა და მის მომხრეებს ძალაუფლების ხელში ჩაგდება და საპარლამენტო რესპუბლიკის გამოცხადება 15 სექტემბერს ჰქონდათ გადაწყვეტილი, „თავისუფალი ოფიცრების“ ხელმძღვანელობამ კი შეიარაღებული აჯანყება 1-ელი სექტემბრისთვის დანიშნა. დილაადრიან, „თავისუფალი ოფიცრების“ რაზმები, აჯანყებისთვის მზადების დროს შექმნილი რევოლუციური სარდლობის საბჭოს ხელმძღვანელობითა და 12



აღამიანისთვის, როგორც ცალკეული პიროვნებისთვის, ოჯახისა და სახელმწიფოზე უფრო მნიშვნელოვანია

ობიექტებზე. ამერიკულ ბაზებთან ყველა მისასვლელი წინასწარ იყო დაბლოკილი...

იმავ დღეს კადაფი რადიოთი გამოვიდა და ქვეყანაში მონარქიის დამსობის შესახებ გამოაცხადა. „რევ-

ცნობილი. პოლკოვნიკის სამხრეებს ის დღემდე ატარებს, თუმცა კი, ფაქტობრივად, მთავარსარდალია. გენერლის წოდებებს კადაფი ძალზე უხალისოდ არიგებს, რადგან დარწმუნებულია, რომ ეს „რევოლუციური არმიისთვის მთავარი არ არის“.

ჯამაჰირის მავ

დღეს ლიბიის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ სტრუქ-

ტურას კადაფის მიერ წამოყენებული და მის „მწვანე წიგნი“ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი განვითარების თავისებური კონცეფცია განსაზღვრავს. წიგნის პირველი ნაწილი 1976 წლის დასაწყისში გამოვიდა. მას „დემოკრატიის პრობლემების გადაჭრა (ხალხის ძალაუფლება)“ ეწოდებოდა. წიგნი კადაფის მორჩილმა პროპაგანდისტულმა აპარატმა მასწავლებელმა სახელმწიფოს „მთავარი იდეოლოგიური დოკუმენტად“ გამოაცხადა. თავად პოლკოვნიკი მიიჩნევს, რომ მისი ნაწარმოები „აღამიანური პრობლემების საბოლოო თეორიული გადაწყვეტა“ა. აქედან მომდინარეობს ლოზუნგიც: „ძალაუფლება, სიმდიდრე და იარაღი — ხალხის ხელში!“

სხვათა შორის, კადაფი ჯერ კიდევ 1974 წელს გაათავისუფლეს „პოლიტიკური, პროტოკოლური და ადმინისტრაციული მოვალეობებისგან“, რათა მთლიანად „მასების ორგანიზების საქმეში იდეოლოგიურ და თეორიულ მუშაობაზე“ ეზრუნა. მაგრამ მიუხედავად ამისა, 1977 წლამდე ის მაინც სახელმწიფოს მეთაურად და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად რჩებოდა. ჯამაჰირის გამოცხადების შემდეგ კადაფის ფორმალურად უკვე აღარ შეეძლო რაიმე სახელმწიფო ფუნქციის შესრულება. „ჯამაჰირის“ სისტემა ხომ სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმას ოფიციალურად უარყოფს. ამიტომ ამის შემდგომ კადაფის მხოლოდ ლიბიის რევოლუციის ლიდერად მოიხსენიებენ და ამით თითქოს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის როლიც განსაზღვრულია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კადაფის „მწვანე წიგნიდან“

ქალი ადამიანია. მამაკაცის ადამიანია. ეს უღაო და სრული ჯამარობაა. მამაკაცად, ქალი და მამაკაცი ერთნაირი მნიშვნელობით არიან ადამიანები და მათი როგორც ადამიანების ერთნაირად განსხვავება უღაოა — მამაკაცი და სრულიად გამართლებული უსამართლობაა.



კადაფის ლიბიის რევოლუციის ლიდერად მოიხსენიებენ და ამით თითქოს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის როლიც განსაზღვრულია

ოფიცრის შემადგენლობით, რომლებსაც სათავეში კადაფი ედგა, ბენღაზიში, ტრიპოლისა და ქვეყნის სხვა ქალაქებში ერთდროულად დაიწყეს გამოსვლა. მათ სწრაფად დაამყარეს კონტროლი სახელმწიფო და სამხედრო

როულად, მისთვის პოლკოვნიკის წოდების (გადატრიალების დღეებში ის კავშირგაბმულობის ჯარების კაპიტანი იყო) მინიჭების შესახებაც გახდა



ბედისწერას სად წაუხვალ...

„მართლაც, წყალობით, ჩემს თაყვანისმცემელს ჯოჯოხი ნაცარში ჩაუვარდა“

არ ვიცი, ბედისწერის გვერათ თუ არა, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი დარწმუნებულია, რომ მისი ბედი ჯერ კიდევ მის დაბადებამდე, ზეცაში იყო გადანყვებული და ახლა როგორც უნდა შეეცადოს, ვერც სიკვდილს აიცილებს თავიდან და ვერც — ბედნიერებას.

ლიკა ქავაია

18 წლის მკო რუსთაველის გამზირზე, შემთხვევითობის წყალობით გავიცანი და ამ თემის მომზადებისკენ სწორედ მისმა უცნაურმა აზრებმა მიბიძგა... ის ჯერ პატარა ბავშვებზე მელაპარაკებოდა, მერე გამომიტყდა, რომ ერთი სული ჰქონდა, როდის გათხოვდებოდა და ეყოლებოდა ლამაზი შვილები, ბოლოს კი ბედისწერაზე აღაპარაკდა. სიმართლე გითხრათ, გაცნობიდან რამდენიმე წუთის შემდეგ გიყიც კი მეგონა და ვაპირებდი, გავცლოდი, მერე ვიფიქრე, — ალბათ, მეზუმრება ან თავისი ჭკუით, შეკაიფებამეთქი, მაგრამ ბოლოს დავრწმუნდი, რომ ეს მოზარდი ბედისწერაზე მიჯაჭვული ადამიანია და არ გამოიკვირდება, თუ წლების შემდეგ გავიგებ, რომ მან მთელი ცხოვრება შინ გამოკეტილმა, რაღაცის ან ვილაცის მოლოდინში გაატარა.

— ბედისწერის მჯერა და სიმართლე გითხრათ, ამის გამო ცოტა არ იყოს, გავზარმაცდი. ხომ გაგიგონიათ, რომ ამბობენ, — სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. ჰოდა, მეც ველოდები, როდის მოვა ჩემი პრინცი და კარზე მომიკაკუნებს, როდის დამირეკავენ უნივერსიტეტიდან და მეტყვიან, — თქვენ გამოცდები წარმატებით ჩააბარეთ, ჩვერთან მოზრძანდითო, როდის მოვა დედა და მეტყვის: იცი, შვილო, რაღაც ვაკანსია გამოჩნდა და სამსახური უნდა დაიწყო.

— მაგრამ იმის შესახებ არაფერი გსმენია, საკუთარ ბედს თავადაც რომ უნდა შეუწყო ხელი?

— მსმენია, მაგრამ ხომ გითხარი: ბედისწერის იმდენად მჯერა, რომ გავზარმაცდი. ასე მგონია, უქმადაც რომ დავჯდე, ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ზეცაში, ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე დაინერა. ჰოდა, არ მესმის, ეს ხელის განძრევა რაღა საჭიროა?!

— ჰოდა, თუ ასე მოიქცევი, შესაძლოა, პრინცმა კი მოგიკაკუნოს კარზე, მაგრამ უნივერსიტეტის მიღმა ნამდვილად აღმოჩნდები და ვერც სამსახურს იშოვი. რომც



ჩემი ბედი სულ მალე, დაახლოებით 2 წელიწადში მომაკითხავს. ისიც კი ვიცი, პროფესიით ვინ იქნება

იშოვო, შეიძლება თქვა: თუ შიმშილით სიკვდილი მინერია, მიუხედავად იმისა, ვიმუშავებ თუ არა, მაინც საჭმლის ნატვრაში ამომხდება სული, თუ არა და, პურს ვილაც მაინც მომანვდის და თავი რატომღა უნდა შევიწყო?

— (იციინის) მართალი ხარ, ხომ იცი... ბედისწერის მჯერა და მკითხავთანაც ბევრჯერ ვყოფილვარ...

— საბედოს ლოდინი მოგბეზრდა და მწიბავს იმის გასაგებად ესტუმრე, თუ როდის მოგაკითხავდა?

— ჰო, ასეა და სხვათა შორის, მარტო ერთ მკითხავთან არ დავდივარ ხოლმე... შენ იცინე, იცინე და მინდა გითხრა, რომ ზოგიერთი მათგანი რაღაცებს „არტყამს“ კიდევ. მაგალითად, ერთ-ერთმა ე.წ. მწიბავმა გამოიცინო, რომ ჩემი ძმა რამდენიმე დღეში დაოჯახდებოდა, მეორემ კი გამაფრთხილა: დედაშენი ჭკვიანად იყოს, ბევრი არ ილაპარაკოს, თორემ სამსახურში პრობლემა შეექმნება და ეს ყველაფერი თქვენი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე ცუდად აისახებაო; ერთ-

მა პროფესიონალმა კი მითხრა: ამა და ამ დღეს შინიდან არ გახვიდე, თორემ შეიძლება, მოგიტაცონო. მართლაც, იმ დღეს თურმე, ერთი ნაძირალა ჩემს „აფრენას“ აპირებდა, მაგრამ იმ მკითხავის წყალობით, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

— ეი. წესით, ახლა იმ მოძალადის ცოლი უნდა ყოფილიყავი, მაგრამ შენ და იმ მკითხავმა ბედისწერის შეცვლა მაინც მოახერხეთ...

— არა, ბედისწერა იყო ისიც, რომ საჭირო დროს საჭირო მკითხავთან მივედი, მან კი გამაფრთხილა...

— რომ არ გაეფრთხილებინე, საინტერესოა, ის ბიჭი შენს მოტაცებას შეძლებდა?

— ალბათ, ვერა, რადგან ეს ჩემი ბედისწერის ნიგნში არ ეწერა, მაგრამ შემამინებდა მაინც... ჩემი ბედი სულ მალე, დაახლოებით 2 წელიწადში მომაკითხავს. ისიც კი ვიცი, პროფესიით ვინ იქნება.

— საინტერესოა, ვინ იქნება?

— ექიმი იქნება, სავარაუდოდ — ქირურგი.

— ესეც მკითხავმა გითხრა?

— კი და მე მისი მჯერა.

— შენი აზრით, მკითხავს ბედისწერის შეცვლა შეუძლია?

— არა მგონია.

— მაშინ მათ არსებობას რა მნიშვნელობა აქვს? ის თუ დაინახავს, რომ ხვალ შესაძლოა, აგური დამეცეს თავზე და ამ განსაცდელს ვერ ამარიდებს, ასეთი წინასწარმეტყველება რაღა საჭიროა?

— იმისთვისაა საჭირო, რომ იმ დღეს რაღაც სიკეთე გააკეთო და ცოდვები მოინანიო, რათა ჯოჯოხეთში არ მოხვდე... მკითხავმა შეიძლება, გაგაფრთხილოს და ამით იმ დღეს უბედურებას აგარიდოს, მაგრამ მეორე დღეს აუცილებლად მოხდება ის, რაც განერია. ასე რომ, ბედისწერას ვერსად წაუხვალ, მკითხავი კი მხოლოდ ცნობისმოყვარეობას თუ დაგიკმაყოფილებს.

მაკოსთან საუბრის შემდეგ, შემ-



ვითებულმა (ყველა მოზარდი ასე ხომ არ ფიქრობს-მეთქი?) გადავწყვიტე, ამ თემასთან დაკავშირებით სხვა თინეიჯერებზე გამოძიების და ვინაიდან მათი უმეტესობა ჩემი პირველი რესპონდენტებით არ „ურევდა“, ცოტა არ იყოს, დავმშვიდდი.

ნია:

— ბედისწერის მჯერა, მაგრამ მასზე მიჯაჭვული ნამდვილად არა ვარ. ალბათ ცხოვრებაში რაღაცები ისე მოხდება, როგორც უფალს უნდა, მაგრამ ხელს თუ არ გავანძრევ, შიმშილით მოვკვდები. როცა მეგობრები ბედისწერაზე ვლაპარაკობთ, ყოველთვის ის ამბავი მახსენდება: კაცი წყალში რომ იხრჩობა და თან, უფალს ევედრება, დამეხმარეო. ღმერთი კი ჩამოსძახებს, — ხელი გაანძრე და გეშველებო.

იპა, 16 წლის:

— მე მხოლოდ უფლის ძალის მჯერა და კიდევ, იმის, რომ ცხოვრებაში იმას მივიღებ, რასაც ვიმ-

სახურებ. არ ვიცი, ჩემი ბედი უკვე დაწერილია თუ არა, მაგრამ ფაქტია, ზოგჯერ ყველანი იმას ვაკეთებთ, რისი გაკეთებაც შეიძლება, არც გვინდოდა.

— რას გულისხმობ?

— მაგალითად, ზოგჯერ არ მინდა, მშობლებს გული ვატკინო, მაგრამ ძალაუნებურად, ისეთ რაღაცას ვაკეთებ, რითაც მათ გულს ვტკვენ. ასე რომ, ესეც შეიძლება, ბედისწერას დავაბრალო და ხელები დავიბანო — ეს ჩემი ბრალი არაა, ყველაფერი ხომ ზევით, ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე დაინერა-მეთქო, მაგრამ არა მგონია, გულის სიღრმეში ასეთი ზღაპრების ვინმეს სჯეროდეს.

ბარბა, 17 წლის:

— გაორება მჭირს: ზოგჯერ მგონია, რომ ბედისწერა არსებობს, ზოგჯერ კი ვფიქრობ, რომ საკუთარ ბედს თავადვე განვსაზღვრავთ. აბა, წარმოიდგინეთ, ჩვენი ცხოვრების გზას ზეცაში რომ ადგენდნენ,

დედამინაზე ამდენი ცოდვილი იქნებოდა? არა მგონია, უფალს უნდოდეს, რომ მისი შვილები საშინელებებს აკეთებდნენ, ასე სცოდავდნენ... თუმცა, ბევრჯერ იმაზეც მიფიქრია, ადამიანებს სავალი გზისგან გადახვევაში ეშმაკი უწყობს ხელს-მეთქი. მაგალითად, პიროვნებას ბედისწერის წიგნში უნერია, რომ ის კარგი ადამიანი უნდა იყოს, მაგრამ ბოროტი აცდუნებს და სიკეთის ნაცვლად, ცუდ რაღაცებს აკეთებინებს.

— ანუ გამოდის, რომ ბედისწერის შეცვლა მაინც შესაძლებელია...

— კი, ასე გამოდის... მოკლედ, ამ თემაზე ფიქრისას ძალიან ვიბნევი ხოლმე.

— ბედისწერაზე ხშირად ფიქრობ?

— არ მინდა, ვიფიქრო, მაგრამ როცა თავს ძალიან კარგად ან ცუდად ვგრძნობ, ძალაუნებურად, „მე-ფიქრებინება“ ხოლმე.

„ტოტალიზატორში თამაშით ოჯახს დიდი ზიანი მიჰყავნა“

ლაბა, 18 წლის:

„იმედია, არ გამიცხავთ. ხომ იცით, დამნაშავეს ცოცხალი ანევეს კისერზე, მაგრამ მის გამკიცხავ-შემფასებელს და მასზე მოჭორავებს ორმაგი ცოცხალი დაანევა. მხოლოდ რჩევისთვის მოგმართავთ და იმისთვისაც, რომ ჩემი შეცდომა გაითვალისწინოთ და აზარტულობის გამო კისერი არ წამოტყვიოთ.

მაშ ასე, მინდა, ჩემი ტკივილი გაგიზიაროთ და იმედია, ძალიანაც არ „დაგგრუზავთ“. მოკლედ, ტოტალიზატორში თამაშით ოჯახს დიდი ზიანი მიჰყავნენ და ახლა ამას განვიცდი, მაგრამ ვიდრე აზრზე მოვიდოდი, მეგონა, რომ მშობლები ვალდებულები იყვნენ, ჩემი ახირებისა და წუთიერი სიამოვნების გამო ყველაფერი გაეყიდათ... 15 წლის ვიყავი, როცა „საქმეში“ პირველად ჩამითრიეს და ტოტალიზატორის მოტკბო (სინამდვილეში კი უმწარესი) გემო გამასინჯეს: იმ დღეს სულ რაღაც, 2 ლარი მქონდა და რამდენიმე თამაშზე დავდე. გამიმართლა და მოვიგე. ჰოდა, სწორედ მას მერე დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება. ფულს ყოველდღე ვდებდი, ხან ვიგებდი, ხან ვაგებდი და ამ თამაშ-თამაშში ნერვებზე დავიწყვიტე, მაგრამ მას მერე, რაც „ხელზე გამაზვის“ ნებსები გავიგე და „მაზავშიკე-

ბის“ მახეშიც გავები, ჩემი ცხოვრება თავდაყირა დადგა. მოკლედ, ჯერ იყო და, მშობლებს 2.000 დოლარი ავწაპნე ანუ მოვპარე (არადა, ფულს აგარაკის შესაქნად აგროვებდნენ); მერე სახლიდან ოქროსულობა გავიტანე (აბა, რა მექნა, „მაზავშიკეები“ მოკვლით მეშურებოდნენ და...); მესამედ, როცა მოსაპარო ალარაფერი იყო, მშობლებს პირდაპირ მოვთხოვე ფული და შევპირდი, — ამის შემდეგ აღარ ვითამაშებ-მეთქი. დამიჯერეს და 4 ათასი დოლარი დიდი ნვალეებით მიშოვეს. ჰოდა, ამით გულ და იმედმოცემულმა იცით, რამდენი „გაუმაზე“? — 10 ათასი დოლარი. დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ დღეს „ბარსელიონა“ ბევრ გოლს გაიტანდა და... ნავაგე. ვალის გასასტუმრებლად რამდენიმე კვირა მომიცეს. მშობლებს ვუთხარი, — ისევ ნავაგე-მეთქი. მაშამ ჯერ საშინელი სიტყვებით მლანძლა, მერე კი შინიდანაც გამომაგლო. რამდენიმე დღე ძმაკაცის სახლში ვცხოვრობდი... როცა „თავანის“ ვადა ამოიწურა, „მაზავშიკეები“ მართლა მოსაკვლავად დამდევდნენ და ცხადა, ეს მეგობრის მშობლებმაც გაიგეს, მერე კი სასწრაფოდ, ჩემს უკითხავად მიადგნენ ჩემი ოჯახის წევრებს და ყველაფერი უთხრეს. მაშა მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო! მშობ-

ლებმა ბანკში სესხის აღება სცადეს, მაგრამ არც ერთმა ბანკმა არ დაუმტკიცა. ჰოდა, ამიტომაც, ადგნენ და ბინა იაფად გაყიდეს, ჩემი ვალი გაისტუმრეს, მერე კი პირობა წამომიყენეს: ან თამაშს შეეშვები, ან ჩვენკენ აღარ გამოიხედავ; თუ მოგკლავენ, ჩვენც თავს მოვიკლავთ და ეგ იქნება, მაგრამ შენს და-ძმას საიმისო არაფერი დაუშვავები, რომ ქუჩაში გაიზარდონ, შენ გამო ისინი არ უნდა დაიხაგრონო, — და... მართლებიც იყვნენ. როცა სიკვდილს თვალში ჩაგხედე — „მაზავშიკეებმა“ ყელშიც კი წამიჭირეს ხელი (ალბათ დასაშინებლად, თორემ არა მგონია, ასე გავენირე) და როცა ჩემ გამო ჩემი და-ძმა, დედ-მამა რამდენიმე თვის განმავლობაში, ლამის ღია ცის ქვეშ ცხოვრობდა, მიხვდი, რომ უდიდესი სისულელე გავაკეთე, მაგრამ... მიშველეთ, გამუდმებით ტოტალიზატორი და ბილეთები მესიზმრება. არ ვიცი, ამ კომპარტიდან თავი როგორ უნდა დავიხსნა. თავს ვერ ვერევი და შეიძლება, ისევ გავება რომელიმე „მაზავშიკის“ მახეში. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვერიო თამაშის სურვილს? ჯერჯერობით ნებისყოფა მყოფნის, მაგრამ ალბათ, ერთ დღესაც ეშმაკი ისევ მაცდუნებს, ის ჩემზე გაიმარჯვებს და მოგების სურვილით შეპყრობილი გავრისკავ. მე კი ნამდვილად აღარ მინდა, ოჯახს ტკივილი მიყავნო...“



ბედისწერა სრურწმენაა თუ რეალობა?

საბანო:

„მინტერესებს, თუ დაგიკავშირებიათ თქვენი წარმატება ან წარუმატებლობა ბედისწერასთან?“

კაკლუცი:

„ამ საკითხს ეკლესიურად თუ მიუღებთ, ადამიანს ბედისწერის არ უნდა სჯეროდეს, მაგრამ ბევრჯერ გამოგია: შენი ბედია; რაც განერია, არ აცდება და ა.შ. ამაზე მეც მიფიქრია, მაგრამ ბოლომდე მინც არ მჯერა.“

Wilkinson:

„მეტ-ნაკლებად მჯერა. ღმერთი გაძლევს სიცოცხლეს, ხოლო შენ ცხოვრებას ან მოიწყობ, ან დაინგრევ — ანუ არჩევანი შენზეა. ამიტომაცაა საჭირო ბედნიერებისთვის ბრძოლა; შრომაც საჭიროა, რომ შენი ბედობა გინახავდეს. ცხოვრებაში ბევრი ბარიერი შეგხვდება, მაგრამ ღირს ბრძოლა და მოთმენა: თუ ადამიანი მოთმინებას გამოიჩენს, ბევრს

მოიგებს... ზარმაცი ვარ და მინც ვცდილობ, რაც შეიძლება, მეტი ვიმრომო და ეს სიზარმაცე დაეძლიო. ღმერთმა ყველაფერი მომცა, რაც კი შეიძლება ადამიანმა ინატროს და არა მაქვს უფლება, ყველაფერი გავაფუჭო. შეუძლებელი არაფერია. ითხოვე და მოგეცემაო, — იესო გვეუბნება. ასე რომ, ადამიანებო, ბედისწერა არსებობს! იშრომეთ და დაგიფასდებათ.“

SUNNY-FLOWER:

„საკუთარ ბედს ჩვენვე ვქმნით. ყველაფერი წინასწარ რომ იყოს განსაზღვრული, ცხოვრებას რაღა აზრი ექნებოდა?“

GADYA:

„რალაცის და ვილაცის იმედად არ უნდა იყო; უნდა მიდგე-მოდე და გააქუთო ის, რისი გაკუთება შეგიძლია... და კიდევ ოპტიმიზმიც არ უნდა დაივიწყო...“

S:

„ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ჩვენვე ვმართავთ საკუთარ ცხოვრებას. როცა არჩევანს ვაკეთებთ, უარს ვამბობთ მის ალტერნატივაზე და შესაბამისად, ბედს ვერაფერსაც ვერ გადავებრალვებთ...“

KEEP-WALKING:

„გარეობა და შემთხვევითობა უფრო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ცხოვრებაზე, ვიდრე ჩვენი გადაწყვეტილება.“

HEISAN:

„ეგ არც რწმენაა, არც — ცრურწმენა. ბედისწერა არსებობს და მაგას ვერსად ნაუფვალთ. არის ბედი და არის ბედისწერა (ერთი და იგივე არ გეგონოთ) დღეს ამ ორ ცნებას ერთმანეთში ურევენ. ბედის კორექტირება შესაძლებელია და ეს ჩვენზე დამოკიდებულია — ანუ საკუთარ ბედს მეტწილად, თავადვე ვაშენებთ. აი, რაც შეეხება ბედისწერას, მისი შეცვლა არ ძალგვის.“

ჰერიონა:

„ბედისწერა არის მონახაზი, რომელსაც განხორციელება, შინაარსისა და ფორმის მიცემა სჭირდება.“

NITRO-N:

„ლოგიკის ნატამალი არ დევს იმ აზრში, რომ ადამიანის ბედი თუ უბედობა სადღაც იწერება. გამოდის, რომ თუ ვილაც მკვლელი, მოძალადე და ტერორისტი, ეს მისი ბრალი კი არა, „მწერლის“ დანაშაული ყოფილა და ვინც თავისით მიაღწია რალაცას, ესეც სხვისი დამსახურებაა. ჰოდა, აბა, რისთვისაა ვცხოვრობთ?“

ნინა:

„ძალიან ბევრი რამაა ადამიანის ხელთ. ბევრ რალაცას თავად ვაფუ-



ჭებთ, შეცდომებს ვუშვებთ, ვუცდით რალაცას, ვზარმაცობთ იმის იმედით, რომ თუ ბედია, არ აცვდება. ჰოდა, ადამიანები გაზარმაცდნენ ამ სიცრუის წყალობით...“

მამამამა:

„ცხოვრება გულუხვად ავილდოებს იმ ადამიანებს, ვინც საკუთარ ბედისწერას ყურს მიუგდებს და მიჰყვება“, — ეს ზუსტად იმას ნიშნავს, რომ ადამიანს საკუთარი გონების დახმარებით შეუძლია ბედისწერის შეცვლა და საკუთარი ქმედების მიხედვით დაიმსახუროს ჯილდოს ან ინგნეს მარცხს. თუმცა არსებობს მეორე მოსაზრება: ნათესავი მყავდა, რომელიც ბევრს (მგონი, ბავშვობიდან), თანაც უფილტრო სიგარეტს ეწეოდა. მოკლედ, თვალსა და ხელს შუა ილეოდა, კვდებოდა ეს კაცი... 40 წლის შემდეგ დაანება მოწევას თავი და ზუსტად 2 თვეში გამოკეთდა, წელში გაიშალა, ჯანმრთელობის მდგომარეობაც გამოუსწორდა და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა... ნ თვის შემდეგ ცოლი უნდა მოეყვანა, მაგრამ თეირანის რეისის ავიაკატასტროფაში დაიღუპა... ბიძაჩემიც ბევრს ეწევა და როცა ვწმუბები, — სიგარეტი მოგკლავს-მეთქი, ამ ამბავს მახსენებს ხოლმე. მოკლედ, გამოუსწორებელი ფატალისტია! ჰოდა, ესეც რწმენაა და ძალიან რთულია გაიგო, ვინ არის მართალი — მე თუ ბიძაჩემი...“

LIZ BENNET:

„ადამიანი თვითონაა საკუთარი ცხოვრების შემქმნელ-დამანგრეველი. ისიც მართალია, რომ თუ საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდები, ესეც ბევრს ნიშნავს. მაგრამ მერწმუნეთ, საჭირო დროს საჭირო ადგილას ვერასდროს მოხვდები, თუ ამისთვის არაფერს აკეთებ...“

„ჩემს ბრძოლაში როგორ გამოვუყვლი, „გმნას“?“

უცნობი:

„გამარჯობა. თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. მომწონს ბიჭი, რომელიც ჩემი უბნელი, სკოლელი და მეგობარია. უკვე ერთი წელია, ვიცნობ. მასზე გაცნობის დღიდან ვგიჟდები, მაგრამ ვერაფერს ვაგრძნობინებ, რადგანაც სხვა უყვარს. მიუხედავად ამისა, ხშირად ვართ ერთად, ვსეირნობთ, თავისი ძმაკაცები გამაცნო, ბევრჯერ სახლშიც ამიყვანა... მეგობრები მეუბნებიან, — მოსწონხარო, მე კი ვერ გამოგია: სხვა უყვარს და ამავდროულად, ჩემზეც ფიქრობს? თქვენი აზრით, მსგავსი რამ შესაძლებელია? მირჩიეთ, თავი როგორ შევაცვარო და საერთოდაც, როგორ მოვიქცე? ჩემს გრძობებში რომ გამოვუტყდე, „ტეხავს?“ რჩევისთვის წინასწარ გიხდით მადლობას!“

P.S. მას ასე, თუ უცნობისა და ლაშხის წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმისიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58.25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.



სამყარო

ხევისური კაი ყმის სასიყვარულო ამბავი

მინილ ლაპაქა

ისტორიაში უამრავი ამბავია ისეთი, ლეგენდის ელფერი რომ დაჰკრავს, მაგრამ ამით ღირებულება სულაც არ აკლდება. ერთ-ერთი ასეთი ამბავი ამას წინათ, ბარისახოში მოვისმინე. მონათხრობმა ჩემზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ არც კი მიოცყმანია, ისე გადავწყვიტე, თქვენთვისაც შეამზნა, მით უმეტეს, რომ მსგავსი გადმოცემა ვაჟა-ფშაველას პოემას — „მოკვეთილსაც“ უდევს საფუძვლად. ესაა ერთი ხევისური კაი ყმის სიყვარულის ტრაგიკული ამბავი, რომელიც დაახლოებით XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე უნდა მომხდარიყო. იმხანად ხევისურეთის მოსახლეობა მთიანი ჩეჩნეთის თემებში ისლამი გახლდათ დაშკვიდრებული და მეზობლებს შორის ურთიერთობა ხშირად იძაბებოდა.

XVIII საუკუნის დასასრულს ისლამი შატისლის მეზობელ მითხოს (მელხისტის) ჩეჩნურ თემშიც გავრცელდა. საინტერესოა, რომ მანამდე მითხოელები ქრისტიანობას აღიარებდნენ და მათი მინა-წყალი საქართველოს დედოფლის მამულად მიიჩნეოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მითხოელებს (ხევისურებისა და სხვა ქართველი მთიელების მსგავსად) ფეოდალები არ ჰყავდათ და უშუალოდ ბაგრატიონებს ემორჩილებოდნენ, როგორც „უნჯნი ყმანი“. აღსანიშნავია ისიც, რომ მითხოელ ჩეჩნებს ამჟამადაც ქართულდაბოლოებიანი გვარები აქვთ, თუმცა რწმენით ყველა მუსლიმანია. იმხანად მითხო ჯერ ისევ საქართველოს ნაწილი იყო, მაგრამ ბაგრატიონთა ხელისუფლების

შესუსტება-გაქრობამ თავისი ქნა და მითხო-ხევისურეთს შორის მტრობა ჩამოვარდა.

სწორედ ამ დროს პირიქითა ხევისურეთის სოფელ გუროში ცხოვრობდა ერთი კაი ყმა, სახელად მახა. გადმოცემით, მას არც ღონე აკლდა, არც მოხერხება და ჩეჩნეთში „სამეკოპაროდ“ ხშირად დაიარებოდა: „მახამ უნია ჩაჩანსა,

სტუმრად მყოფ მახას ულამაზესი ბენიკუათ მზევინარი დაუნახავს და გულში ჩავარდნია. იმავე ღამეს მან საერთო ნაცნობების დახმარებით, გოგონას გაცნობაც მოახერხა და მასთან ცეკვაც. ბიჭს ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ მზევინარის გულს მოიგებდა; მით უმეტეს, რომ შეატყო, გოგონასაც მოეწონა. გადმოცემით, მან საბედოს იმ ღამესვე მისცა პირობა, რომ „სამეკოპაროდ“ მითხოში წავიდოდა და ცნობილი მითხოელი ვაჟკაცის — ალცბექის თეთრ ცხენს საჩუქრად მოჰგვრიდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ალცბექიც ისეთივე სახელიანი იყო, როგორიც მახა და ისინი ერთმანეთზე ნადირობდნენ. ალცბექმა



შატისლის ციხე-კოშკები

მიზგითს უტეხა კარია/ არყიანებში დათოფა მდევარ ჩაჩანელთ ჯარიია!“ — გვამცნობს ერთ-ერთი ხევისურული ლექსი. ერთი სიტყვით, მახამ მთელ ჩეჩნეთში კარგი და მოუხელთებელი ვაჟკაცის სახელი დაიგდო; იქაურები ისე დაჩაგრა, რომ გუროში მოციქულებიც კი გამოგზავნეს — ოღონდ მახა მოგვაშორეთ და თქვენცენ სამტროდ პირს აღარ ვიზამთო, მაგრამ მახა „მეკოპარობას“ მაინც არ ეშვებოდა. მითხოსთან მტრობა რომ ჩამოვარდა, იქაც დაიწყო თარეში და მთელი თემი აიკლო. მტრის სოფელში შეპარვისას თურმე მგელივით ყმუილი სჩვეოდა და ჩეჩნები ამიტომაც მიიჩნეოდნენ, რომ მახა ნახევრად მგელი იყო...

ერთხელაც შატისლში ხატობაზე

სამჯერ დაჭრა მახა, მახამ კი — ხუთჯერ, მაგრამ სხვა ვეღარაფერი მოახერხეს და საშუალება მიეცემოდათ თუ არა, ერთმანეთს მუქარას უთვლიდნენ. ალცბექს ცხენი ჩერქეზეთიდან ჰყავდა ჩამოყვანილი და მასზე ბევრს რჩებოდა თვალი. შატისლის ხატობაში შეკრებილთა წინაშე მახამ სწორედ ამ ცხენის ჩამოყვანა ალუთქვა მზევინარს. ხატობა კიდევ რამდენიმე დღე უნდა გაგრძელებულიყო და ბიჭი იმედოვნებდა, რომ სატროფოს მისი დასრულების დროისათვის გაახარებდა. მას ალცბექის სახლში შეპარვა არ გასჭირვებია — უჩუმრად გაალო საჯინიბოს კარი და თეთრონი შატისლისკენ გააქროლა.

მახა ჯერ კიდევ ჩეჩნების მინაზე — სოფელ ჯარეგოსთან იყო



(ის შატილიდან 8 კმ-ითაა დაშორებული), როცა მდევარი წამოენია. ნარჩევ მითხოველ ვაჟკაცებს წინ ალცბექი მოუძღოდა. ისინი გაოცდნენ, როცა დაინახეს, რომ მახა მარტო იყო, მაგრამ მალევე მოეგნენ გონს და ტყვიები დაუშინეს. ხევსურმა მოპარულ ცხენთან ერთად, თავი კლდეებს შეაფარა და საფრიდან ჩეჩნები სათითაოდ ამოხოცა; როცა ალცბექი ბრძოლის ველზე მარტო დარჩა, მახამ ხმალი იშოშვლა და ეკვეთა. დიდხანს იბრძოლეს ვაჟკაცებმა, მაგრამ ბოლოს მაინც ხევსურმა სძლია. მახამ სასიკვდილოდ დაჭრილი ალცბექი აღარ მოკლა, რადგანაც ჯარეგოში სროლის ხმა უკვე გაეგონათ და აჩოჩქოლებულიყვნენ. მან სასწრაფოდ გამოირეკა ცხენი და შატილში გადავიდა.

ჯარეგოლებმა მომაკვდავი ალცბექის გადარჩენა ვეღარ შეძლეს, მაგრამ მისი ბოლო სიტყვები კი მოისმინეს — ჩეჩენმა ვაჟკაცმა მათ მკვლელის ვინაობა გაუმხილა და რაოდენ დაუჯერებლადაც უნდა ჟღერდეს, სხსოვა: ჩემს სახლიკაცებს გადაეცით, სისხლის აღებაზე უარი თქვან, მახა კარგი ვაჟკაცია და უნდა იცოცხლოსო! ჩეჩური ადათ-წესების მიხედვით, მომაკვდავის ნებისმიერი სურვილი უნდა შესრულდეს და ამიტომაც იყო, რომ ალცბექის საგვარეულომ მახას მოკვლისგან თავი შეიკავა. მითხოვან გუროში შემოთვალეს: თუ მახა ჩვენკენ „სამეკოპაროდ“ აღარ წამოვა, ალცბექის სისხლსაც ვაპატიებთ და ყველა სხვა მოკლული-სასაც, ხოლო თუ ისევ აგვიკლებს, აღარ დავინდობთ.

ამასობაში, რასაკვირველია, მახამ საბედოს ჩეჩენი ვაჟკაცის თეთრონიც მიართვა და ცოლობაზეც ჩამოუგდო სიტყვა, მაგრამ მზევინარმა არც „პო“ თქვა და არც — „არა“. გადმოცემით, ის ცნობილი „მესწორფრე“ ქალი ყოფილა ანუ ძველი ხევსურული ჩვეულების თანახმად, ძალიან ბევრი ძმობილი ჰყოლია, რომლებთანაც გარკვეული წესით წვებოდა. როგორც ცნობილია, იმხანად „სწორფრობა“ ხევსურეთში მიღებული იყო და საძრახისადაც არ მიიჩნეოდა, მაგრამ „სწორფრების“

დაქორწინება აკრძალული გახლდათ. მახას ძალიან შეუყვარდა მზევინარი და ამიტომაც იყო, რომ „სწორფრობაზე“ არ დათანხმდა —

ძველთაგანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ და ყოველგვარი ახალი ამბავი მათ შორის სწრაფად ვრცელდებოდა. როდესაც მითხო-



ქორწილი მახაურების ოჯახში. ჩეჩნეთი, მითხო; 1888 წლის ფოტო

შენი ცოლად მოყვანა მწადიანო. არადა, შატილელი გოგო თანასოფელზე ყოფილა დანიშნული და მახას პირობას ვეღარ მისცემდა. მიუხედავად ყველაფრისა, მზევინარმა ბიჭს დანიშნის ამბავი არ გაუმხილა და ნააქება კიდევ: — თუკი ჩემი ცოლად წაყვანა გინდა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამო. იმედმოცემული მახა გუროში დაბრუნდა და საქორწინოდ დაიწყო მზადება. ვარაუდობდა, რომ ქალის საფასურად შატილელები დიდძალ ხარ-ძროხას მოითხოვდნენ (ძველი ხევსურული ჩვეულების თანახმად, სადემოფლოს ოჯახისთვის სასიძოს გამოსასყიდი უნდა მიეცა) და გადაწყვიტა, „სამეკოპაროდ“ წასულიყო.

ხევსურებსა და მითხოელებს

ში შეიტყვეს — გუროელ მახას შატილელი მზევინარი შეჰყვარებია და ხარ-ძროხის გროვებას იწყებსო, შეშფოთდნენ: ქალის მშობლებისთვის მისაყვან საქონელს მახა სხვაგან ვერსად იშოვიდა, თუ არა მითხოს სოფლებში და ყიდვით კი ცხადია, თავს არ შეინუხებდა. „რამე უნდა მოვახერხოთ, თორემ მახა დედაბუდიანად აგვიკლებს!“ — ამბობდნენ მითხოელი უხუცესები. ისინი რამდენჯერმე შეიკრიბნენ კიდევ, რათა შესაბამისი ზომები მიეღოთ. ჩეჩნებს ქართველებთან ომი არ სურდათ, არადა, თუ მახა თარეშს არ შეეშვებოდა, ეს უკვე გარდაუვალი იქნებოდა, რადგანაც მითხოს თემში ბევრს სჭირდა ხევსურის ჯავრი. ერთი სიტყვით, უხუცესებმა სიტუაცია დანვრილებით განიხილეს და გადამწყვიტეს, მახასათვის თავადვე ეთქვათ სიმართლე, — მზევინარი სხვაზეა დანიშნული, შენ ვერ გამოგყვება და ჩვენს აწიოკებას ტყუილად ნუ დაიწყებო. ჰოდა, ასეც მოიქცნენ — ერთ მშვენიერ დღეს მახას გუროში ორი მსცოვანი ჩეჩენი მიადგა და ყველაფერი შეატყობინა.

მახაურების კოშკი და სახლის ნანგრევები სოფელ ბეასთიეში, მთიანი ჩეჩნეთი





მასამ მზევინარის ოჯახში მამინვე გაგზავნა მოციქული, — თქვენი ქალიშვილი მომათხოვთ და რამდენსაც მოითხოვთ, იმდენ ხარ-ძროხას მოგცემთო, — მაგრამ როგორც აღმოჩნდა, უკვე გვიანი იყო: ქალის ოჯახს სასიძოსაგან გა-



მასას და მზევინარის ამბავი ვაჟა-ფშაველამ ერთ-ერთი პოემის სიუჟეტად აქცია

მოსასყიდი აღებული ჰქონდა და სიტყვას ვერ გატეხდა. მასამ ახლა მზევინართან დალაპარაკება სცადა, მაგრამ გოგომ ზედაც არ შეხედა, — არ მიყვარხარ და არც არასდროს მყვარებიხარო. მოკლედ, წაახდინა ვაჟკაცი. ამას დაერთო ისიც, რომ მზევინარის შატილელმა საქმრომ მასას შეუთვალა: რომ გაგვეითხა, გაიგებდი, გოგო ჩემი დანიშნული რომაა, სხვისი საცოლის დევნა კი ხომ იცი, ვაჟკაცის საკადრისი არააო.

ამის შემდეგ მოკლენები ისე განვითარდა, როგორც მოსალოდნელი იყო — მასამ მზევინარი ქორწინამდე რამდენიმე დღით ადრე მოიტაცა და გუროში, მამაპაპისეულ კოშკში გამაგრდა. მდევრებმა მის კოშკს ვერაფერი დააკლეს, მაგრამ მასას სახლ-კარის გადანვა განიზრახეს. გუროელებმა, ცხადია, ეს არ დაანებეს და წინააღმდეგობაც გაუწიეს, მაგრამ საქმე სისხლის ღვრამდე არ მისულა. მასა მაინც არ გამოვიდა კოშკიდან და შატილელებს გადასძახა: ეს ქალი მიყვარს და ნებით არ დაგიტოვებ; თუ ვაჟკაცები ხართ, ძალით წაიყვანეთო. ერთი სიტყვით, სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა — მასა და ნებებსა და ქალის გამოშვებას არ აპირებდა, შატილელებს კი მოთმინება ელევდათ. გუროელებმაც აღარ იცოდნენ, რა ექნათ: ხან ტკბილად შეუთვალეს კოშკში გამაგრებულ მასას, — ჩაგვაბარე ქალი,

სისხლს ნუ დავლვრითო, ხან მუქარით — სამუდამოდ მოგიკვეთთო, მაგრამ ამოდ. ასე ვავიდა რამდენიმე დღე და საქმეს საშველი არ დაადგა. კოშკში მზევინარი ისევ უარზე იყო, გარეთ ხალხი დრტვინავდა. როგორც წესი, თუ მოტაცებული ქალი დარჩენაზე თანახმა იქნებოდა, თავადვე უნდა გამოსულიყო გარეთ და მდევრისთვის ყველაფერი ეთ-

ქვა, მაგრამ ვინაიდან მზევინარი არ გამოდიოდა, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ძალით იყო წაყვანილი და მასა უნდა დავსაჯათ.

შატილელებმაც და გუროელებმაც კარგად იცოდნენ, თუ რა ვაჟკაცი იყო მასა, მაგრამ ქალის მოტაცება უპატიებელ ცოდვად მიაჩნდათ და გადანყვიტეს, არა მართო ვაჟი, არამედ ქალიც მოეკვეთათ: ვაჟი იმიტომ, რომ ძალა იხმარა; ქალი კი იმიტომ, რომ თავის დროზე სიმართლე დამალა და ვაჟკაცებს შორის შუღლის ჩამოვარდნის მიზეზად იქცა. გადმოცემით, გუროელებს გულის სიღრმეში კაი ყმის მოკვეთა არ სურდათ, მაგრამ რჯულს სად წაუვიდოდნენ? მართლაც, ორივე მოიკვეთეს, კოშკს კი კარი აუჭედეს — რადგან არ ტყდებით, შიმშილით დაიხოცეთო.

მასამ და მზევინარმა კოშკში უჭმელ-უსმელად დიდხანს ვერ გაძლეს და იძულებულნი გახდნენ, გარეთ გამოსულიყვნენ. ცხადია, ხალხმა ორივე გაკოჭა და ჩაქოლვა დაუპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს მაცნემ მოაგელვა ცხენი, — მითხოვლები თავს გვესხმიანო! მოკვეთილი ქალ-ვაჟი ყველას დაავინწყდა, საომრად დაიწვეს მზადება. მითხოვლთა მრავალრიცხოვან ლაშქარს ხევსურებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს — პირველი შეტევის მოგერიების შემდგომ კოშკებს შეაფარეს თავი, ჩასაქოლად გამზადებული, ხელფეხშეკრული მასა და მზევინარი კი მოლაშქრებმა თავიანთ სარდალს

მიჰგვარეს. სარდალი ალცბექის უმცროსი ძმა აღმოჩნდა.

„მოხარული ვარ, რომ დღეს ჩემი ტყვე ხარ! მე ჩემი ძმის სსოვნას პატივს ვცემ და არ მოგკლავ, თუმცა მითხოვი წაგიყვან!“ — უთხრა ჩეჩენმა მასას. იმ დღეს მისმა ხალხმა ხევსურთა წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო და რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდა, უკან დაეხია, მაგრამ სარდალი მაინც კარგ ხასიათზე იყო, რადგან ცნობილი კაი ყმა — მასა ჩაიგდო ხელში.

ალცბექის საგვარეულო მოკლეულის დანაბარები ზუსტად შეასრულა — მასა და მზევინარი არ დაუხოცავთ; ისინი მითხოვს თემის განაპირას, ბეასთიეს (ქართულად — ბაიზეთის) ხეობაში დაასახლეს და მერე საკუთარ თეიფშიც (ასე უწოდებენ ჩეჩენები საგვარეულო გაერთიანებას) მიიღეს. სხვათა შორის, მათი შთამომავლები დღესაც იქ სახლობენ და მახაურის გვარს ატარებენ. მახაურები მითხოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი საგვარეულოა.

როგორც აღვნიშნე, ეს გადმოცემა ვაჟა-ფშაველამ თავისი ერთ-ერთი პოემის — „მოკვეთილის“ სიუჟეტად აქცია, ოღონდ მცირედენი ცვლილებებით. ხევსურები დღემდე იხსენებენ მასას, როგორც კაი ყმას, რომელსაც მტერი ვერაფერს აკლებდა, ქალის სიყვარულმა კი თავგზაც დააკარგვინა და კაი ყმის სახელიც. თუმცა ერთიც უნდა ითქვას — ვინ იცის, როგორ წავიდოდა მასას საქმე, მზევინარს მისთვის სიმართლე რომ არ დაემალა?!. „ქალი რომ მესწორფრე არ ყოფილიყო, მასას ხევსურეთი არ დაკარგავდა!“ — ასე დაასრულეს ამ ამბის თხრობა ბარისახოელებმა.

დაბოლოს: მასა რომ მართლაც, ისტორიული პირი იყო, ეს XIX საუკუნის I ნახევრის იმ სიგელ-გუჯრითაც დასტურდება, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილს ბაიზეთელი მახაურებისთვის მიუცია: „ვითარცა მამა თქუენი მასა ბაგრატოვანთა ერთგულად და უნჯად მსახურებდა... თქუენც კარგად გვიერთგულეთ და საბოძვარს უხვად გიბოძებთ“, — ნათქვამია მასში. საყურადღებოა ისიც, რომ იმ პერიოდში, მიუხედავად საქართველოსთან ძალზე მჭიდრო კავშირისა, მახაურები უკვე ჩეჩენებად მიჩნევენ თავს...



საბა კვიციანი: „საქართველოს ეროვნულ ნაკრებში სერიოზული კონკურენსია“

ერთ თვეზე მეტი ხნის წინ, ფეხბურთის ბევრი გულშემბატკივრისა და სპეციალისტისთვის სოლომონ (საბა) კვიციანის სახელი ცნობილი არ იყო. 19 წლის ქართველი ცენტრალური მცველის კარიერაში სწრაფი აღმასვლა მოხდა. ის ყაზანის „რუბინის“ დუბლიდან ამავე გუნდის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ იქცა. ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ეს უდავოდ მიღწევაა, რადგან „რუბინი“ რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი გუნდია და ევროტურნირებზეც სტაბილურად თამაშობს. კლუბის ხელმძღვანელობამ კვიციანის მასმედიასთან ურთიერთობა აუკრძალა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ქართველს უშუალოდ „რუბინის“ ოფიციალურმა ვებგვერდმა ჩამოართვა.

— წარმოშობით საიდან ხარ და შენი საფეხბურთო გზა როგორ დაიწყო?

— საქართველოს პატარა ქალაქ სამტრედიის დასახლებაში დაიბადე. მამა და ნათესავები ევროპულ ფეხბურთს ტელევიზორით ხშირად ადევნებდნენ თვალყურს. ბავშვობიდან ვოცნებობდი, კარგი ფეხბურთელი გამოვსულიყავი. 7 წლის ასაკში ვარჯიში დაიწყო. არც ერთ ქართულ გუნდს არ ვგულშემბატკივრობდი. „ბარსელონას“ თამაში მომწონდა... ბავშვობიდან მცველი ვიყავი და პოზიცია არ შემიცვლია. თანატოლებსგან სიმაღლით ყოველთვის გამოვიჩნეოდი და ამიტომ, ბავშვობაში მწვრთნელმა დავცვალე დაამყარა. 13 წლის ასაკში თბილისში წავედი და თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიაში ვვარჯიშობდი. ჩემი მთავარი გულშემბატკივარი დედაა. ის ყოველდღე მიიკვავს.

— რუსეთში როგორ აღმოჩნდი?

— საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში პირველად 17 წლის ასაკში, ესტონელების წინააღმდეგ ვითამაშე. მოგვიანებით მენეჯერმა მითხრა, რომ სანქტ-პეტერბურგის „ზენიტში“ კარიერის გაგრძელების ვარიანტი გაჩნდა. სწორედ ამ კლუბთან გადავფორმე პირველი პროფესიონალური კონტრაქტი. ხელფასი დაახლოებით, 3 ათასი დოლარი მქონდა. ფულს მშობლებს ვუგზავნიდი, რომლებიც დღემდე სამტრედიის ცხოვრობენ.

— პეტერბურგის ყაზანზე გაცვლის გადაწყვეტილება რატომ მიიღე?

— „ზენიტის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა იოლი არ იყო. იქ თავს მარტოსულად ვგრძობდი. ახლო ურთიერთობა მხოლოდ მწვრთნელ ანატოლი დავიდოვთან მქონდა. მიხარია, რომ ყაზანში გადავედი. „რუბინი“ საუცხოო კოლექტივი, კარგი სამწვრთნელო შტაბი, მშვენიერი სანვრთნელი



საქვეთა, საბამ (მარჯვნივ) მოწინააღმდეგე თავის გუნდის კარამდე მიუშვას

ბაზა და ვარჯიშისთვის ყველა პირობაა შექმნილი. გარდა ამისა, აქ ჩემი თანამემამულე, ავთანდილ ბრაჭულიც არის, რომელსაც ძმად მივიჩნევ. ქალაქში ერთად ვსეირნობთ, საბილიარდოში დავდივართ, მაგიდისა და დიდ ჩოგბურთს ვთამაშობთ. კლუბთან სამწვრთნელი კონტრაქტი მაქვს.

— ბევრი სპეციალისტისა და გულშემბატკივრისთვის მოულოდნელად ყაზანელთა ძირითად შემადგენლობაში დამაჯერებლად ათამაშდი. ახალგაზრდა ფეხბურთელს ასეთი სიმშვიდე და თავდაჯერებულობა საიდან გაქვს?

— „რუბინის“ ძირითად გუნდში დებიუტი რუსეთის თასზე, „ურალის“ წინააღმდეგ მქონდა. მეტოქე ტიტულოვანი არ იყო და ის მატჩი ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე ვითამაშე. მომდევნო მეტოქე გაცილებით სერიოზული იყო — გროზნოს „ტერეკი“. იმ შეხვედრისას გოლის გატანაშიც შევიტანე წვლილი. ამის შემდეგ, სამწვრთნელო შტაბმა ჩემპიონთა ლიგაზე, ლეგენდარული კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ მანდო ადგილი ძირითად შემადგენლობაში. მინდა გითხრა, რომ ბავშვობაში ჩემი კერპი ანდრეი შევჩენკო იყო. ჰოდა, ამ მატჩამდე სულ ვფიქრობდი, რომ 19 წლის ასაკში ჩემპიონ-

თა ლიგის მატჩში მომიწევდა თამაში, თანაც — ჩემი კერპის წინააღმდეგ! მაგრამ როგორც კი მოედანზე გავედი, ყველა ზედმეტი ფიქრი მოვიშორე და კონცენტრაცია მხოლოდ მწვრთნელის მიერ მოცემულ დავალებაზე გავაკეთე — 90 წუთის განმავლობაში ბრძოლა და გამარჯვება! საბედნიეროდ, თამაში ჩვენთვის ილბლიანად წარიმართა. ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგაში ჩატარებული პირველი მატჩი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დასამახსოვრებელი იყო. ძალიან დიდი შთაბეჭდილებების ქვეშ ვიმყოფებოდი.

— ჩვეულებრივ მატჩისთვის განწყობილებას როგორ იქმნის?

— თამაშის დღეს აუცილებლად გამოვიძინებ ხოლმე და მშვიდ მელოდირ მუსიკას ვუსმენ. ინგლისური პოპმუსიკა მომწონს.

— თამაშის შემდეგ დროს როგორ ატარებ?

— როდესაც გუნდი იგებს, მეგობრებთან ერთად რესტორანში მივდივარ; თუ დავმარცხდებით, სადმე წასვლის განწყობილება არა მაქვს. ამ შემთხვევაში „რუბინის“ სანვრთნელ ბაზაზე მივდივარ და ვიძინებ.

— ჰობი გაქვს?

— აუზში ცურვა, ფილმების ყურება მიყვარს. სხვათა შორის, უპირატესობას საშინელებათა ჟანრს ვანიჭებ.

— დღესდღეობით რა მიზანს ისახავ?

— მსურს, კარგი ფეხბურთი ვითამაშო და ძლიერი მცველი გახდე. გარდა ამისა, მინდა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში სტაბილურად ვითამაშო. ჯერჯერობით პირველ ნაკრებში მოხვედრა ჩემთვის ძნელია, რადგან გუნდში სერიოზული კონკურენციაა. მაგალითად, დაცვის ხაზში ისეთი ძლიერი შემსრულებლები თამაშობენ, როგორც კახა კალაძეა. „რუბინშიც“ დიდი კონკურენციაა და დაცვის წამყვანი ფეხბურთელების არყოფნის წყალობით თავის გამოჩენის შანსი მომეცა. აუცილებელია, თავდაუზოგავად ვიშრომო და მაღალ დონეზე თამაშს ვცვალო.

მოამზადა ლაშა თაბაგარმა



მზის სარეჟარი

ალბათ უკვე არაერთხელ გსმენიათ, რომ გარეგნული სილამაზე ორგანიზმის შინაგან მდგომარეობაზე დამოკიდებული. ხალხური მედიცინა ორგანიზმის გაჯანსაღების მარტივ საშუალებებს გთავაზობთ:

რაც შეეხება მზის აბაზანებს: გარუჯვა სასარგებლოა, მაგრამ — დოზირებულად. მზის აბაზანების მიღებამდე აუცილებლად წაისვით დამცავი კრემი. იმ შემთხვევაში, თუ გარუჯვას სოლარიუმში აპირებთ, კურსი 5 სეანსს არ უნდა აღემატებოდეს. გარუჯვის შემდეგ, სახეზე ჩნდება ლაქები, კანი იწყებს გამოშრობას, აქერცვლას. პრობლემას კი შეგიძლიათ შემდეგნაირად გაუმკლავდეთ:

თუ სახესა და ტანს ყოველდღიურად იბანთ, უმჯობესია, ტანისთვის სპეციალური გელი გამოიყენოთ. მოერიდეთ საპონს.

ყოველი აბაზანის მიღების შემდეგ, როგორც სახეზე, ასევე სხეულზე, სპეციალური დამარბილებელი კრემი წაისვით.

საგაფხვლო ნიღბები



მნივე ბანანი დასრისეთ. წაისვით მთელ სახეზე, ყელზე. გაიჩერეთ 20-25 წუთი და გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

ხაჭო, იოგურტი, არაჟანი, მანონი — სურვილისამებრ აირჩიეთ რომელიმე მათგანი, წაისვით სახესა და ყელზე, გაიჩერეთ 20 წუთი და ჩამოიბანეთ.

აიღეთ ყურძენი, კივი და პომიდორი, გახეხეთ, შეურიეთ ერთმანეთს და ნიღაბი სახეზე დაიდეთ.

თეთრი პურის ნატეხი დაასველეთ რძეში და სახეზე წაისვით.

თბილი კარტოფილის პიურე რძესთან ერთად, არაჩვეულებრივად ეფექტიანი ნიღაბია.

1 ს/კ შვრიას დაასხით ადულებული წყალი. ფაფა დაიდეთ სახესა და ყელზე.

კბუხური ტორები — უპრობო სუპრობა თუ ბესლიანი ეპითეტი?

ფსიქოლოგებმა უკვე დიდი ხანია დაასკვნეს, რომ მამაკაცებიც ისეთივე ჭორიკანები არიან, როგორც ქალები. მეტიც — ზოგიერთ მამაკაცს ქალზე მეტად უყვარს ჭორაობა. „კაცური ჭორებიც“ ისეთივე დეტალებითა და თანამიმდევრობით გამოირჩევა, როგორც „ქალური“. მხარდაჭერისა და მეგობრული რჩევის მოლოდინში, ისინიც ჩვეულებრივ განიხილვენ წვრილმან უსიამოვნებებსა და პრობლემებს. მხოლოდ ერთადერთი განსხვავებაა: ქალების საუბარში მეტი ემოციაა. ძლიერი სქესის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ მათი საუბარი უფრო კონკრეტულია და ის მთლიანად მამაკაცურ ლოგიკაზეა აგებული.



რაც უფრო ინტელექტუალური და განათლებულია მამაკაცთა საზოგადოება, მით მეტად საინტერესო საუბარი იმართება მათ შორის. ამ ლაპარაკის მოსმენისას ყველანაირ ინფორმაციას მიიღებთ.

კაცების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქალები ერთმანეთს გაცილებით ბოროტად ჭორავენ, ვიდრე თავად; რომ მათი ჭორაობა ხუმრობას უფრო ჰგავს, ვიდრე გესლით გაჯერებულ „ეპითეტებს“, ქალები კი თავიანთ მეგობარსა და ახლობელს უმეტესწილად „მწარედ ჰკბენენ“... ეს რა თქმა უნდა, ძლიერი სქესის წარმომადგენელთა სუბიექტური აზრია. სინამდვილეში კი გააჩნია კონკრეტულ შემთხვევასა და ადამიანს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ

ნებისმიერ სიტუაციაში, მამაკაცი მამაკაცის მიმართ გაცილებით ლოიალურია. ალბათ ამიტომაცაა, რომ მათი მეგობრობა გაცილებით მყარია. თანაც ჭორაობისას ისინი ქალებს უფრო იოლად „განირავენ“, ვიდრე ერთმანეთს. ქალები კი საპირისპირო სქესის მიმართ გაცილებით ყურადღებიანები, დამთმობნი და ერთგულნი არიან. თუ კაცი ქალს ძალიან არ გააბრაზებს, მასზე აუცილებლად არასოდეს დასცდება. ასე რომ, მამაკაცებს ვურჩევთ, სანამ ქალების აქტიურად გაჭორვას დაიწყებენ, სერიოზულად დაფიქრდნენ.

საერთოდ კი — ეს ეხება როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს — გაითვალისწინეთ: ენას ძვალი არა აქვს და სანამ ვინმეზე რაიმეს იტყოდეთ, კარგად დაფიქრდით! არაფერი წამოგცდეთ ისეთი, შემდგომში უკან დასახვევი გზა თავადვე რომ მოიჭრათ.

სალათა „სალუტი“



მოზადავის წესი:

ქათმის ფილე მოშუშეთ, დაუმატეთ ხახვი, მარილი, შავი წინაკა, სოკო და ცოტა ხანს ცხლად შეფუთეთ. შემდეგ დაუმატეთ გახეხილი ყველი და მაიონეზი. ყველაფერი კარგად აურიეთ და მორთეთ სალათის ფურცლებით.

მასალად საჭიროა:

- 1 ქილა სოკო;
- 200 გ ქათმის ფილე;
- 1 ცალი ხახვი;
- სალათის ფურცლები;
- 100 გ მაგარი ყველი;
- მაიონეზი, შავი წინაკა, მარილი — გემოვნებით.



როგორ შევარჩიოთ სასურაო კოსტიუმი

შეგზულებებისა და არდადეგების პერიოდი და დამსვენებელთა უმეტესობა ზღვისკენ მიისწრაფვის. როგორ შევარჩიოთ ჩვენთვის მისაღები საცურაო კოსტიუმი? იდეალური სხეული იშვიათობაა, თუმცა სრულყოფილებისკენ ქალი მუდამ უნდა მიიღტვოდეს. როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ჩვენს ნაკლს დიეტა არ შევლის? ერთადერთი სწორი გამოსავალი — საცურაო კოსტიუმის სწორად შერჩევაა. მას, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ტანსაცმელს, შეუძლია გარეგნობის მომგებიანად წარმოჩენა, ანდა პირიქით — ნაკლის გამომზეურება...

განიერი მხრები

არც იმდენად დიდი პრობლემაა, თქვენ რომ გგონიათ: ეს ნაკლი საცურაო კოსტიუმში თითქმის შეუმჩნეველია. და მინც, თუკი გეჩვენებათ, რომ ზედმეტად განიერი მხრები გაქვთ, გირჩევთ ატაროთ V-ს ფორმის ან მრგვლად გულამოჭრილი საცურაო კოსტიუმი, რომელიც თქვენს მხრებს გაცილებით ვიწროს წარმოაჩენს. ასეთივე საცურაო კოსტიუმი უპრიანია ტანსრული ქალებისთვისაც. განიერმხრებიან ქალებს არ ვურჩევთ ფართობრეტელებიან საცურაო კოსტიუმს.

მოკლე კისერი და ლაბაბი

იდეალური ვარიანტია V-ს მსგავსი გულამოღებულ საცურაო კოსტიუმი. თუ თქვენ ზედმეტად დიდი მკერდი არ გაქვთ, შეგიძლიათ შეიძინოთ უბრეტელო საცურაო კოსტიუმიც.

ვიწრო მხრები

ამ პრობლემის მოგვარებას მარტივად შეძლებთ, თუ ფართობრეტელებიან საცურაო კოსტიუმს ჩაიცვამთ. მით უმეტეს, თუ კოსტიუმის ზედა ნაწილი უფრო ბაცი ფერის იქნება, ვიდრე ქვედა; ხოლო ნახატები ან დეტალები — დიაგონალური.

მსუქანი ხელები

რა თქმა უნდა, ამ ნაკლის შენიღბვა საკმაოდ რთულია, მაგრამ ყურადღების გადატანა კი შესაძლებელია. ამიტომ გირჩევთ, ჩაიცვათ საცურაო კოსტიუმი, რომელსაც მკერდზე უხვად ექნება ნაქარგი ან სხვადასხვა დეტალი. ასევე ურიგო არ იქნება, თუკი მაჯებზე მომსხო სამკაულს წამოიცვამთ, ყელს კი ღიად დაიტოვებთ.

დიდი მკერდი

მართალია, დიდი მკერდი ნაკლი

არ არის, მაგრამ თუკი თქვენ მინიატიურული და ზომაზე მეტად წელწერილი მანდილოსანი ბრძანდებით, დაგეხმარებათ ფართობრეტელებიანი, ოდნავ ზემოთ აწეული ფორმის ბიუსტჰალტერი. კოსტიუმის ზედა ნაწილი ქვედაზე მუქი უნდა იყოს და სასურველია, ჰორიზონტალური ხაზები ჰქონდეს.



მოკლე წელი

კატეგორიული უარი თქვით ბიკინიზე. აქცენტი გააკეთეთ თეძოებთან ღრმად ამოჭრილ, მთლიან საცურაო კოსტიუმზე. გირჩევთ ვერტიკალური ხაზებითა და დეტალებით დამშვენებულ საცურაო კოსტიუმს — ეს გარეგნულად დამშვენებს ტორსს, მკერდსაც მაღლა „ასწევს“ და პროპორციულობის შთაბეჭდილებას შექმნის.

განიერი თეძოები და დიდი მუცელი

ქალბატონებს ყველაზე ხშირად

სწორედ მუცლისა და თეძოების დაფარვის პრობლემა აქვთ, მაგრამ არც ამის გამოსწორებაა ძნელი. პროპორციული ფიგურის შექმნის საიდუმლო უმარტივესია: აქცენტი უნდა გადაიტანოთ საცურაო კოსტიუმის ზედა ნაწილზე, მაგალითად, იგი უნდა იყოს მკვეთრი ფერის და ნახტიანი, ხოლო ქვედა ნაწილი — ვერტიკალური და მონოქრომული დეტალებით შემკული.

კარგია ასევე დიაგონალური ხაზები, რომლებიც მუცელზე ან თეძოებზე შეერთდება. გირჩევთ, უპირატესობა მიანიჭოთ ელასტიკური ქსოვილის საცურაო კოსტიუმს, რომელიც „შეისრუტავს“ მუცელს. არ შეიძინოთ რბილი და ბაცი ფერის ქსოვილისგან შეკერილი საცურაო კოსტიუმი, ერთიც და მეორეც თქვენს ნაკლს ხაზს გაუსვამს.

სიმაღლე

თუ ტანდაბალი ხართ და მოკლე ფეხები გაქვთ, ნურასდროს ჩაიცვამთ თეძოებზე ამოჭრილ საცურაო კოსტიუმს.

თქვენთვის შესანიშნავი ვარიანტია კოსტიუმი ვერტიკალური ხაზებითა და ღრმად ამოჭრილი ტრუსით.

მაღალი და გამხდარი ხართ? მაშინ თქვენთვის ბიკინია ზედგამოჭრილი — იგი თქვენს ფიგურას ორად „გაყოფს“. ბიუსტჰალტერი შეიძლება ბრტყელბრეტელებიანიც იყოს და უბრეტელოც, ტრუსი კი — შორტის სტილში, ანდა ერთმანეთზე გადადებული კალთებით.

სიმსუქნე

მსუქან ქალებს არ გირჩევთ ტანზე მჭიდროდ შემოტმასნილი კოსტიუმის შექენას. ასეთი სამოსი თქვენს სიმსუქნეს მეტად წარმოაჩენს. ნურც ბიკინის დაადგამთ თვალს. უმჯობესია, ფართობრეტელებიანი, ელასტიკური ბაცი ქსოვილისგან შეკერილი მთლიანი საცურაო კოსტიუმი ჩაიცვათ. კარგი იქნება, თუკი კოსტიუმი ვერტიკალური დეტალებით იქნება დამშვენებული.

ზღვაზე წასვლის წინ, საცურაო კოსტიუმთან ერთად შეიძინეთ მისი შესაფერისი საპლაჟე აქსესუარებიც — შლაპი, შარფი, ჩანთა, სათვალე და სანდლები.



როგორ ართობდა „ფრიადოსანი“ სიკო ჭუმბურიძე მასწავლებელს

„დიდი განათლებით არ გამოვიჩინე, ვერც კარგი მესხიერებით დავიკვებნი. ზოგჯერ როლის ტექსტის დამახსოვრებაც მიჭირს და „შპარგალკებით“ ვთამაშობ“, — მითხრა „კომედი შოუს“ მსახიობმა სიკო ჭუმბურიძემ, მაგრამ შეხვედრაზე მაინც დამთანხმდა. მისი საყვარელი ავტორი ჭაბუა ამირეჯიბია, საყვარელი გმირი — დათა თუთაშხია. ამბობს, რომ ამ პერსონაჟთან სიამოვნებით იმეგობრებდა.

„შპარგალკების“ აქტიური მომხმარებელი ვიყავი“

თამუნა კვინიკაძე

პრემიუმის ავტორი

— დათა თუთაშხიასთან მეგობრობა რთული არ იქნებოდა?

— მაგას რა აჯობებდა? სიამოვნებით ვიცხოვრებდი დათას გვერდით და ხმას არ ამოვიღებდი, სულ განაბული მოვუსმენდი. მისი მორალი ჩემთვის მისაღებია.

— სკოლაში ყველაზე კარგად რომელ საგნებს სწავლობდი?

— მათემატიკა და ფიზიკა მომწონდა.

— ამ რუბრიკაში სტუმრობას ჩემი რესპონდენტები გამოცდაზე გასვლას ადარებენ. საინტერესოა, გამოცდებზე თუ ეშმაკობდი?

— სკოლაში „შპარგალკების“ აქტიური მომხმარებელი ვიყავი... ერთ ამბავს გავიხსენებ: ქართულის გაკვეთილზე უკანა რიგში ვიჯექი და ბავშვებს ჩუმიად ანეკდოტებს ვუყვებოდი. მასწავლებელმა შეგამჩნია, რომ ვიცინოდით. მითხრა: — ადექი და რასაც ჰყვები, ყველას გასაგონად თქვიო. მეც მეტი რა მინდოდა? 45 წუთი ისე გავიდა, არ გაეჩერებულვარ, მან კი ნ-იანი დამინერა, — ერთი გრამატიკული შეცდომა არ დაგიშვიაო.

— ეს რა უცნაური სპორტული მაისური გაცვია?..

— ჩვენ ვართ ორგანიზაცია „ჯვაროსნები“ და ფეხბურთის ფედერაციასთან ვთანამშრომლობთ. ჩვენი ფუნქცია საქართველოს ეროვნული ნაკრების გულშემატკივრობა და გულშემატკივრების აღზრდაა. დიდი მოძრაობა იწყება. ხალხი სტადიონზე უნდა მივიყვანოთ. სხვათა შორის, შოუებსაც მოვანწყობთ.

— დიდი ხანია, რაც ამ საქმეში ჩაები?

— 2 თვეა.

— რადგან ფეხბურთი ასე ძალიან გიყვარს, პირველ კითხვას სპორტის ამ სახეობასთან დაკავშირებით დაგისვამ.

— ფეხბურთზე რაც უნდა მკითხო, გიპასუხებ.

— 1966 წელს ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისსა და ამერიკის ნაკრები გუნდების შეხვედრისას ინციდენტი მოხდა. გერმანელმა მსაჯემა ერთ-ერთ ფეხბურთელს მოედნის დატოვება მოსთხოვა, მაგრამ მოთამაშემ გერმანული არ იცოდა და თამაში გააგრძელა. ამის შემდეგ ფეხბურთში ახალი წესები შემოიღეს. რა სახელზეა ლაპარაკი?

— (იკინის) ხომ გითხარი, გიპასუხებ-მეთქი. ამის შემდეგ წითელი და ყვითელი ბარათების გამოყენება დაინიშნა.

— ყოჩაღ, ფეხბურთი მართლა გყვარებია. თუ იცო, რას უწოდებდნენ XVIII საუკუნეში ძხილის ნიშანს?

— არ ვიცი.

— გაცუბის წერტილს. რომელი უღელტეხილი აერთი



ანებს ამირეჯავასისა და ჩრდილოეთ კავკასიის?

— ვერ გიპასუხებ.

— ჯვროს რომელი ლითონისგან ამზადდენ ნათურის სპირალს?

— ვოლფრამისგან.

— მატროზაში ერკვევი?

— არა, და მარტივ კითხვაზეც ვერ გიპასუხებ.

— ქალის გარდა, ვინ არის გამოსახული კლოდ მონეს სურათზე — „მანდილოსანი ქოლგით“?

— (იკინის) ქოლგა.

— მე არ მკითხავს, — რა არის გამოსახული-მეთქი?

— არ ვიცი.

— ბავშვი თანხმობის ნიშნად თავის დაქნევა რომელ ქვეყანაში შეიძლება აღიქვან, როგორც უარო, თავის გაქნევა კი გაიგონ, როგორც თანხმობა?

— ბულგარეთში.

— რომელია მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარე?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებ, ის სამეგრელოშია.

— მაინც ვერ გიპასუხებ.

— ზანა რომელი კლასიკოსი მწერალი დაიბადა ამ მდინარის ნაპირზე?

— რადგან სამეგრელო ასენე, კონსტანტინე გამსახურდია იქნება.

— მას გარს ეკვრის ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეები, ხმელთაშუა და წითელი ზღვები. ევროპიდან გიბრალტარის ვიწრო სრუტით გამოიყოფა, ხოლო სუეცის არხით აზიას უკავშირდება. დაასახელე, რომელ კონტინენტზეა ლაპარაკი?

— აფრიკის.



— ცნობილია, რომ მომთაბარე მონღოლები დაბეგვლ უმ სორცს მიირთმევდნენ. როგორ ბეგვავენ სორცს?
 — რაიმე განსხვავებული მეთოდი ჰქონდათ?
 — დიას.
 — (ფიქრობს) ვერ გიპასუხებ.
 — ცნებით მგზავრობისას ზედ ისხდნენ.
 — წარმომიდგენია, როგორი სუნი ექნებოდათ.
 — ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე მოცულობის რომელი ერთეულია ფასთან მიმართებაში?
 — ბარელი.
 — რა ჰქვია მწერის შვილს?
 — არ ვიცი.
 — მუტრუკო.
 — (იციინს) პირველად გავიგე... მატყუებ?
 — არა, ნამდვილად ასეა! რომელი გამონათქვამი უფრო სწორია: 14+9 არის 22 თუ უდრის 22-ს?
 — სომ გითხარი, მათემატიკას კარგად ვსწავლობდი-მეთქი და ვერც მომბატყუებ: 14+9=23.
 — რომელია ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ქალაქი საქართველოში?
 — ზუსტად არ ვიცი.
 — ახალქალაქი. სად მდებარეობს სოფელი დარკვეთი?
 — იმერეთში.
 — რომელი მეფის ბრძანებით აშენდა ბაბილონის დაკიდებული ბალები?
 — ვინ — არ მახსოვს, მაგრამ ის ვიცი, რომ ბაღი მეუღლეს სიყვარულის ნიშნად აუშენა.
 — ნაბუქოდონოსორი. საქართველოს ისტორიაში ბევრი მეფე მეტსახელითაა ცნობილი. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII თავისი უზომო ცხამსმით იყო ცნობილი. რა მეტსახელით შემორჩა ის ისტორიას?
 — ზაქიქამია.
 — მას შეუძლია ლამეში 91-მეტრანი გვირაბი გათხაროს. რაზეა ლაპარაკი?
 — ცოცხალი არსებაა?
 — დიას.
 — თხუწელა იქნება.
 — ნამდვილად ასეა, რაც არ უნდა გენალურა, ახალი ანდა სერიოზული აზრი მოგივიდეს თავში, მაინც რჩება მუდამ ისეთი რამ, რასაც სხვა ადამიანებს ვერასგზოთ ვერ გადასცემ, თუნდაც მთელი ტომები დაწყო: მუდამ არის რაღაც ისეთი, რაც არაფრის დიდებით არ დაეთანხმება შენ ტვინიდან გადმოსვლას და მუდამ შენთან დარჩება“.
 — ვკითხულობთ „იდიოტი“. დაასახელე მისი ავტორი.
 — დოსტოევსკი.
 — რომელ ქალაქში დაიბადა ზაქარია ფალიაშვილი?
 — არ ვიცი.
 — ქუთაისში. გვაქვს 7 ქვა. მათი ნომერია: 1, 2, 3, 4 და აშ კილოგრამი. როგორ გადავანაწილოთ ეს ქვები 4 ყუთში ისე რომ თითოეულში ერთნაირი ნონა იყოს?
 — პირველ ყუთში ჩავდებ 7-კილოგრამს, მეორეში — 2 და 5, მესამეში კი — 3 და 4-კილოგრამიანს.
 — მე გთხოვ 4 ყუთში გადანაწილება, შენ კი — (მანყვეტინებს) მართალია, მეოთხე ყუთში 1 და 6-კილოგრამიან ქვებს ჩავდებ და ეგ იქნება!
 — იმ ქვეყანაში ექიმებს კარგ სელფას უსდიდნენ, მაგრამ თუ იმპერატორი ავად გახდებოდა, მკურნალს გასამრჯელოს მხოლოდ მისი გამოჯანმრთელების შემდეგ აძლევდნენ. რომელ ქვეყანაში სდებოდა ასე?
 — არ ვიცი.
 — ჩინეთში.
 — ეგ კი გავიფიქრე, მაგრამ არ გითხარი.
 — რა ერქვა ელადამი ადამიანს, რომელსაც ერთერთი

სტუმარი ოჯახში დაუბატოვებლად მიიყვანდა?
 — არ ვიცი.
 — პარაზიტი.
 — (იციინს) მართლა? ამ სიტყვას როგორი ისტორია ჰქონია...
 — კანადის ეს კუნძული ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთ ნაპირებთან მდებარეობს და მისი აღმოჩენის (ეს 1792 წელს მოხდა) სახელს ატარებს. რა ჰქვია ამ კუნძულს?
 — ვერ გიპასუხებ.
 — ვანკუვერი. ვინ არის ავტორი მემორიალისა — „კოდეცა დაიზრდებიან“?
 — ბერძენიშვილი.
 — ამერიკის ეს პრეზიდენტი ახალგაზრდობაში მოჯამაგირედ, მინისმზომელად, ტყისმჭრელად და ფოსტის მოხელედ მუშაობდა. რომელ პრეზიდენტზეა ლაპარაკი?
 — არ ვიცი.
 — ლინკოლნზე. ფრენსის ბეკონი ამბობდა: „ფული კარგი მასურია, მაგრამ ცუდი ბატონი“. რის გამო დაითხოვეს ის სახელმწიფო სამსახურიდან?
 — არ ვიცი, მაგრამ ვხვდები, რომ ამის მიზეზი ფული იქნება.
 — დიას. იგი ქრთამის აღების გამო დაითხოვეს. „მისა“, „არდადეგები“, „ბებერი მეზურნეები“, „დიდი მწვანე ველი“, „ნუცას სკოლა“ — ვინ არის ამ ფილმების რეჟისორი?
 — მერაბ კოკოჩაშვილი.
 — რა ერქვა ვახტანგ გორგასლის ვაჟს, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ქართლში მეფობდა?
 — ვიცოდი (ფიქრობს), მაგრამ ვეღარ ვისხვებ.
 — დამი. „ჩემი თვალნათელი, ჩემი სანატრელი/ოდეშე დიდი ყოფილა საქართველო/ყოფილა დავით მეფე — აღმაშენებელი/ყოფილან ოპზრები — გასამტერებელი/ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი/რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი./ ჩემი მიმინო და ჩემი ფრთანათელი/ოდეშე დიდი ყოფილა საქართველო“, — ვინ არის ამ ლექსის ავტორი?
 — მურმან ლებანიძე.
 — „ეს რა მახლობი ვილუბები“, — სიკვდილის წინ ვის ამბობდა ეს სიტყვები?
 — ვერ გიპასუხებ.
 — ნუროს. რამდენი წლის იყო თამარი, როცა მამამ მეფედ აკურთხა?
 — პატარა იყო... მგონი, 14 წლის.
 — ცდები, 12 წლის იყო. გამოჩენილმა გერმანელმა მწერალმა ჰაინრიხ ჰაინემ იმ დროისთვის წარმოუდგენელი სიმამაცე გამოიჩინა. ის 6-წლიანი არაოფიციალური ურთიერთობის შემდეგ თავის საყვარელზე დაქორწინდა. ის ქალი გლეხის ოჯახიდან იყო. ვინ მიიწვია მან ქორწილში?
 — მეგობრებს მიიწვევდა.
 — ისინი რა ნიშნით შეარჩია?
 — არ ვიცი.
 — ის მეგობრები დაპატიჟა, რომლებსაც საყვარლები ჰყავდათ და ურჩია, მისთვის მიებახთ. ანდაზის მიხედვით, როგორი მეგობარია მტერზე უარესი?
 — ორგული.
 — სწორი პასუხია — სულელი. ვინ თამაშობს პრინცესას როლს ფილმში „რომაული არდადეგები“?
 — ოდრი ჰუბერნი.
 — დაბოლოს, დაასრულე ოსკარ უაილდის ცნობილი გამონათქვამი: „მე შემიძლია გავუძლო ყველაფერს, გარდა...“
 — ვერ დავასრულებ.
 — „ცდუნებისა“.



ანტიკვარისანი

გზაში საკითხავი კოლაჟი

ძეძღვენილი თქუი ივანიძე

1. რომა სოფელია დუშეთის რაიონში.
2. ჭიშურა მდინარეა თერჯოლის რაიონში.
3. 1 ლ არაყი 953 გრამს იწონის.
4. იაპონიაში სასწავლო წელი პირველ აპრილს იწყება.
5. „როდინა უ კაუდავა იესტ, ნო ნე კაუდი ო ნეი პომნიტ“, — ამბობენ რუსები.
6. იგავ-არაგების კრებული „თიმსარიანი“ სპარსულიდან მეფე თეიმურაზ II-მ თარგმნა.
7. ამერიკელი მწერალი ჯეიმზ ფენიმორ კუპერი ამერიკული რომანის ფუძემდებლად მიიჩნევა.
8. აკაკი წერეთელს პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული.



9. ლექციონარი საეკლესიო საკითხავების წიგნია, რომელიც ბიბლიური წიგნებიდან ამოკრებილ ადგილებს შეიცავს.

10. „გლოტოქრონოლოგია“ და „ლექსიკოსტატისტიკა“ სინონიმებია და ასე ეწოდება სტატისტიკურ მეთოდს, რომელიც ენათა ოჯახების დაშლის ისტორიამდელი პროცესების დათარიღებას ისახავს მიზნად.

11. პერი უმაღლესი არისტოკრატის წარმომადგენლის წოდება იყო საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში. ეს წოდება საფრანგეთში 1789 წელს გაუქმდა (არსებობდა აგრეთვე 1814-1848 წლებში), დიდ ბრიტანეთში კი დღემდე არსებობს.

12. ცნობილი რომანის — „კრახანას“ შემქმნელი ეტელ ლილიან ვოინიჩი კომპოზიტორიც გახლდათ და საკუთარ მუსიკალურ ნაწარმოებებს თავისივე ლიტერატურულ ქმნილებებზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა.

13. ფრანგ მომღერალ კლოდ ფრანსუას დენმა დაარტყა და ადგილზე მოკლა, როცა წყლით სავსე აბაზანაში მდგომი ელექტრონათურას ცვლიდა.

„კოშკი“ და „ოში მიხაკალი მეფე“

მაცხოვრის იგავები — „კოშკი“ და „ოში მიხაკალი მეფე“ მოთხრობილია ლუკას სახარების მეთხუთმეტე თავში: „რომელიმე თქვენგანმა რომ კოშკის აშენება მოისურვოს, განა თავდაპირველად არ დაჯდება და არ გამოითვლის იმ ფასს, რაც მის დასამთავრებლად იქნება საჭირო? რადგან საძირკველს თუ ჩაჭრის და ვერ დაამთავრებს, ყველა, ვინც დაინახავს, დაცინვას დაუწყებს და იტყვის: ამ კაცმა შენება დაიწყო და ვერ დაამთავრაო“. ეს არის მაცხოვრის მიერ თქმული „კოშკის“ იგავი, რომელსაც მოჰყვება „ოში მიხაკალი მეფე“: „რომელი მეფეა, რომ მეორე მეფის წინააღმდეგ ომის განმზარაველი ჯერ სათათბიროდ არ დაჯდეს, შეუძლია თუ არა ათასით დაუხედეს ოცი ათას მომხდურს? თუ არა და, ვიდრე ჯერ კიდევ შორს არის იგი, მოციქულებს გაუგზავნის და ზავსა სთხოვს“.



გვესაუბრება **მამა დიმიტრი (ჯანაშუღაშვილი)**:

— უფალი „კოშკის“ იგავში ბრძანებს, — როდესაც კაცი კოშკის აგებას გადაწყვეტს, წინასწარ უნდა გათვალოს, რამდენი მასალა დასჭირდება მის დასამთავრებლად, რათა დაუსრულებელი არ დარჩეს და დასაცინად არ გაუხედეს საქმეო. ამ იგავური თქმით უფალი ადამიანის სულიერი ცხოვრების დაწყების გადაწყვეტილების შესახებ მიგვანიშნებს. საფუძველში უნდა ვიგულისხმოთ რწმენა

თავის მხრივ, არც ის შენობა გამოდგება, რომელსაც საფუძველი არა აქვს.

შესაძლოა ადამიანი შეუდგეს ეკლესიურ ცხოვრებას და სწრაფად მოისურვოს სულიერ სიმალეებზე ასვლა, მაგრამ ამისთვის მყარი საფუძველი შინაგანად არ ჰქონდეს და რაც ააშენა, ისიც დაეგრეს. როდესაც პავლე მოციქული საქადაგებლად დადიოდა, დამწყებ ქრისტიანებს ეუბნე-

აღამიანს მთალი ცხოვრების მანძილზე, განუწყვებელი ბრძოლა უხდება ბოროტი ძალების წინააღმდეგ

და ღვთის სიტყვა, რომელზეც უნდა ამოაშენოს კედლები — კეთილი საქმეების, სათნოებების ქმნითა და ღვთის მცნებების დაცვით. უდიდესი შრომა და ღვაწლი საჭიროა იმისათვის, რომ სულიერი ცხოვრების კედლები ამოაშენო იმ საფუძველიდან, რომელსაც მოციქულთა სწავლებებით თუ ეკლესიაში მიღებული სულიერი განათლებით მიიღებ. მარტო საფუძველი — არაფერს ნიშნავს, შენობა კედლების გარეშე არ წარმოიქმნება და

ბოდა, — მე თქვენ სარწმუნოების რძეს გასმევთო. ე.ი. აწვდიდა ყველაზე მსუბუქ სულიერ საზრდოს. როგორც ახალშობილს ასაზრდოებენ რძით, მაგრამ შემდგომ, ასაკის მატებასთან ერთად, შედარებით მაგარ საზრდელსაც აძლევენ და როდესაც ზრდასრულ ასაკს მიაღწევს, შეუძლია ყველაფერი იხმოს, ასევე სულიერი განვითარებაც ანუ სულიერი ზრდა მუდმივი პროცესია. საფუძველზე კედლების ამოშენება არ უნდა ვიჩქა-

როთ, საჭიროა ზომიერების დაცვა — იმ ზომით ვიღვანოთ, რაც ჩვენს სულიერ მდგომარეობას შეესაბამება. თუმცა ადამიანს დამოუკიდებლად არ შეუძლია მიხვდეს, რა ზომის ჯვარი, ტვირთი აიღოს, რა ზომის ღვანლი უნდა იტვირთოს „კოშკის“ ასაგებად

ძილზე, განუწყვეტელი ბრძოლა უხდება ბოროტი ძალების წინააღმდეგ. ნუთისოფელი ყოველდღიური ბრძოლის ველია და ამიტომაც, მოდუნება, სულიერი მღვიძარების დაკარგვა ნუთითაც არ შეიძლება. ღვთისგან მოცემული სჯული, მცნებები, საეკლესიო

სამაუფო გზა სწორად ზომიერებას ეწოდება, რომლის დაცვას აუცილებელი პირობაა ზეციური მაუფასთან მისასვლელად...

— უფალთან მისასვლელად და სწორედ ამისთვის არსებობს სულიერი მოძღვარი, მამათა სწავლებები...

უპირველესად სულიერი მოძღვრის რჩევა-მითითებებით, მორჩილებით უნდა წარვმართოთ ჩვენი სულიერი ცხოვრება. თუკი ადამიანი ნაკლებ ტვირთს აიღებს, ნაკლებ ღვანლს გასწევს, მაღლიც ნაკლები მიეცემა, ღვთისგან ზედმეტმა ტვირთმა კი შესაძლოა, ნელში განწყვიტოს და დასცეს, ვერ შეძლოს „კოშკის“ გადახურვა. ამდენად, საჭიროა ზომიერების დაცვა, ჩვენი სულიერი მდგომარეობის შესაბამისი მოღვანეობა, რათა ბოროტის დასაცინი არ გავხდეთ, ბოროტმა არ ჩაგვიგდოს ხელში. „წმინდა წერილიც“ გვაუწყებს: „ნუ მისდრეკები ნუცა მარჯულ, ნუცა მარცხულ, არამედ გზასა სამეუფოსა ვიდოდეთ“. სამეუფო გზა სწორედ ზომიერებას ეწოდება, რომლის დაცვაც აუცილებელი პირობაა ზეციურ მეუფესთან მისასვლელად...

რაც შეეხება „ომში მიმავალ მეფეს“, ამ იგავით უფალი გვაუწყებს, რომ ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე უხდება ბრძოლა და უნდა იბრძოლოს შემართებით; ეს ბრძოლა რა თქმა უნდა, იმართება ბოროტთან, დაცემულ ანგელოზთან. მეფეში ერთის მხრივ, იგულისხმება ჩვენი გონება, მეორეს მხრივ — ცოდვები, უკეთურებანი ანუ ჩვენი გონება უნდა შეებრძოლოს მომხდურ მეფეს — ცოდვას. ამ ბრძოლის დროს ადამიანი გამარჯვებულია, თუკი შემწეობისთვის უფალს მიმართავს, უფალზე დაამყარებს სასოებას, ხოლო თუ შეყოვნდება და იფიქრებს, რომ „მომხდურს“ ვერ სძლებს, შესაძლოა, მართლაც ვერ დაამარცხოს ბოროტი ძალა, ასეთ შემთხვევაში კი ზავი უნდა დადოს ბოროტთან და მთელი ცხოვრება ხარკი უხადოს.

ადამიანს მთელი ცხოვრების მან-

სიო სწავლებები შეიძლება შევადართო ზღუდეს და საგუშაგოებს, რომელიც შემოვლებული აქვს ჩვენს სულიერ სამყაროს, რათა დაცულნი ვიყოთ ნუთისოფლისგან — ბოროტისგან შემოთავაზებული მინიერი საცდურებისგან. უყურადღებოდ ერთ-ერთი „საგუშაგოც“ რომ დაგვრჩეს, ერთი მცნებაც რომ არ დავიცვათ, შეიძლება სწორედ იქედან შემოაღწიოს მტერმა და გვძლიოს.

ვიდრე უფალი ამ იგავებს წარმოთქვამს, ბრძანებს: „თუ ვინმე მოვა ჩემთან და არ მოიძულეს თავის მამას და დედას, ცოლსა და შვილებს, ძმებსა და დებს, საკუთარ სულსაც კი, იგი ვერ გახდება ჩემი მოწაფე. ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და ისე არ გამოიყვება, ვერ გახდება ჩემი მოწაფე“; — ამით უფალი მიგვანიშნებს, რომ უპირველესად საჭიროა სულიერებაზე ზრუნვა. ნუ გადავვებებით მინიერ სიამეებსა და საზრუნავებზე. ზომიერების ფარგლებში არც ხორციელზე ზრუნვა გვეკრძალება, მაგრამ მხოლოდ მინიერზე ზრუნვით ადამიანი შორდება უფალს და ცხადია, ის ღვთის შვილი, უფლის მოწაფე ვერ შეიქმნება. ქრისტეს მოწაფემ, მიმდევარმა უნდა მოიძულოს ყველაფერი ამაო, ერთბაშად ამის მიღწევა კი შეუძლებელია. ჯერ ერთ ვნებას და ცოდვას ვებრძოლოთ და ვძლიოთ, შემდეგ — მეორეს...

რაც შეეხება საკუთარი ჯვრის აღებას, ეს აუცილებელია! ყველა ადამიანი ვალდებულია აიღოს და ატაროს საკუთარი ჯვარი, მაგრამ ზომიერება არ უნდა დავკარგოთ. თუკი შეგვიძლია იმაზე მძიმე ჯვარი ვზიდოთ, ვიდრე ვატარებთ, უფალი მოგვითხავს; თუკი ზომაზე მძიმე ჯვარს ავიღებთ, რაც ჩვენს სულიერ მდგომარეობას არ შეესაბამება, მისი სიმძიმე დაგვცემს და დანიშნულების ადგილამდე ვერ მივიტანთ.

ანტილაპარანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეძღენელი თეჟი ივანიძე

14. XVII საუკუნეში მოღვანე ფრანგი კომპოზიტორი ჟან-ბატისტ ლიულო, რომელიც მუსიკას მეფის დაკვეთით წერდა, რეპეტიციის დროს ისე გატყარდა, რომ მთელი ძალით დაჰკრა ხელჯობი იატაკს, საკუთარი ტერფი გაიხვრიტა და სისხლის მონაწილით გარდაიცვალა.



15. ერთხელ ჰენრი VII ტიუდორმა თავის ასტროლოგს ჰკითხა, — ხომ არ იცი, სად შევხვდები შობის დღესასწაულსო? ასტროლოგმა მხრები აიჩნა „აი, მე კი ზუსტად ვიცი, შენ სადაც შეხვდები შობას!.. ტაუერში!..“ — ბრაზით წამოიყვირა მეფემ და საბრალო ასტროლოგს ციხეში უკრა თავი.

16. ერთხელ ერთმა ბერმა, რომლის ქადაგებასაც საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV ქსნრებოდა, წარმოთქვა: „ძებო, მოვა დრო და ჩვენ ყველანი აღვსრულდებით!“ შემდეგ თვალი მოჰკრა მეფის განრისხებულ სახეს და „შეცდომა“ გამოასწორა: „თითქმის ყველანი, ძებო, თითქმის ყველანი!“

17. მწერალ-ჰუმანისტ ერანზ როტერდამელს ხშირად ბრალს სდებდნენ იმაში, რომ იგი სიმპათიით იყო განწყობილი პროტესტანტობისადმი, რადგან მარხვის დროს ხშირად მიირთმევდა ხორცეულს. „რა ვქნა, პირადად მე კეთილსინდისიერი კათოლიკე ვარ, ჩემი კუჭი კი პირწავრდნილი ლუთერანელია“, — თავს იმართლებდა განთქმული ჰუმანისტი.

18. იონიის ერთ-ერთ თეატრში მკურნებლისთვის განკუთვნილ ადგილებს შორის ცალხელა ვეტერანი მეომრებისთვის სპეციალური რიგი იყო გამოყოფილი. ყოველი მათგანის წინ იჯდა მულოტი მონა, ცალხელა ვეტერანები კი მათ თავზე უტყაპუნებდნენ ხელს და ამგვარი აპლოდისმენტებით ავილოებდნენ მსახიობებს.

19. თანამემამულეები ძალზე უსულგულოდ მოექცნენ XVI-XVII საუკუნეში მოღვანე ინგლისელ მწერალ ჯონ სტოკს, რომელმაც სიკოცხლის უკანასკნელი წლები სილატაკეში გაატარა. ბრიტანეთის მთავრობამ სპეციალური განკარგულება გამოსცა „კითვალისწინებთ რა, რომ სტოკსმა 45 წელი შეაღია ინგლისის ისტორიისათვის მასალების შეგროვებას, ხოლო 12 წელი მოანდომა ლონდონისა და ვენისისტერის აღწერას, ვანიჭებთ მას უფლებას მონაწილების თხოვნით მიმართოს ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ ქვეშევრდომს“.



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიშვილი

იოდის დეფიციტის პროფილაქტიკა

იოდი სასიცოცხლო მნიშვნელობის მიკროელემენტი, რომელიც ადამიანის ორგანიზმში კი არ წარმოიქმნება, არამედ ორგანიზმს უმთავრესად, ცხოველური და მცენარეული საკვების მეშვეობით მიეწოდება. თუ ორგანიზმმა საკმარისი რაოდენობის იოდი ვერ მიიღო, იოდდეფიციტური მდგომარეობა ვითარდება, რომელიც სხვადასხვა დაავადებას იწვევს. იოდის ნაკლებობისას ფარისებრი ჯირკვავი ვერ წარმოქმნის საჭირო ოდენობის ჰორმონებს და კომპენსატორულად (ანუ იმიტომ, რომ საჭირო რაოდენობით ჰორმონის გამოყოფა როგორმე მოახერხოს) დიდდება. იოდდეფიციტის პირობებში ჩიყვის ჩამოყალიბებას 6-12 თვე სჭირდება.

იოდდეფიციტი და შესაბამისად, თირეოიდულ ჰორმონთა ნაკლებობა იოდდეფიციტური დაავადებების განვითარებას უწყობს ხელს. არსებობს ამ დაავადებათა მთელი სპექტრი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა პათოლოგიას...

იოდდეფიციტის

გაპიჯილი რისკი

იოდდეფიციტი, შესაბამისად — თირეოიდული ჰორმონების უკმარისობა უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების გარდა, ამ დროს ორგანიზმში ირღვევა მეტაბოლიზმი, ქვეითდება არტერიული წნევა, ვითარდება ჰიპერქოლესტერინემია (სისხლში იმატებს ქოლესტერინის შემცველობა), სუსტდება გულისცემა, თავს იჩენს ბრადიკარდია, კუნთოვანი ტონუსის დაქვეითება, ზოგადი სისუსტე, ჰიპოთირეოზი (ფარისებრი ჯირკვლის უკმარისობა), რაც ხელს უწყობს ყაბზობას, იმუნიტეტისა და შრომისუნარიანობის დაქვეითებას, უმივილობას, სპონტანურ აბორტს, ანემიას. ასევე, იოდდეფიციტის შედეგია ნაყოფის მაღალი პერინატალური სიკვდილიანობა, თანდაყოლილი მანკები, გონებრივი ჩამორჩენა, ყრუმუნჯობა, სიელმე, ჯუჯობა.

საპროფილაქციო იოდის

დეფიციტის რეკომენდაცია

საქართველო იმ გეოგრაფიულ რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც გარემოში ბუნებრივად არსებობს იოდის დეფიციტი. რასაკვირველია, ყველა რეგიონი ერთნაირად იოდდეფიციტური არ არის, მაგრამ საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, იოდის ნაკლებობა აშკარაა. იოდი ცოტაა ნიადაგში და შესაბამისად, ამ ნიადაგზე გაზარებული მცენარეები და ის ცხოველები, რომლებიც ასეთ მიწაზე ამოსული ბალახით იკვებებიან, ადამიანისთვის იოდის წყაროდ ვერ გამოდგებიან.



ბიან. ეს სერიოზული პრობლემაა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანი იოდს უმთავრესად, საკვების მეშვეობით იღებს.

მნიშვნელოვანია იოდის მასობრივი პროფილაქტიკა იოდის მარლით. ეს ყველაზე ხელმისაწვდომი მეთოდია, თუმცა ყოველთვის არაა საკმარისი. მაგალითად: ბავშვებს, მოზარდებს, ორსულებს, მეჭოქურ ქალებს არ ეყოფათ ის ოდენობა, რომელიც შეიძლება იოდის მარლით მიიღონ. მათთვის იოდის დამატებითი წყაროა საჭირო.

ოქანა და იოდი

იაპონიაში მოსახლეობა იოდის დეფიციტს არ განიცდის, რადგან იქ უმთავრესად, ოქანის პროდუქტებით იკვებებიან. მოგესხნებათ, ოქანეში იოდი უხვად არის და ის საკვებიც, რომელიც ოქანიდან მიიღება — თევზი, წყალმცენარეები — საკმარისადაა გაჯერებული ამ ნივთიერებით. სააფთიაქო ქსელში იყიდება იოდის შემცველი პრეპარატი ლამინარი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ზღვის კომბოსტოს ნედლეულისგან დამზადებული ტაბლეტები.

თუ ადამიანს იოდის დამატებითი წყარო დასჭირდა, უმჯობესია, იოდის მარლით ერთად მიიღოს იოდით გამდიდრებული სხვა პროდუქტები. მაგალითად, იოდის ჩაი, რომელიც ამ ნივთიერების მშვენიერი წყაროა. ძალიან კარგია იოდბალანსი, იოდომარინი და სხვა ნაერთები. ამ პრეპარატების მთავარი ღირსება ისაა, რომ მათში იოდი ქიმიურად სუფთა სახით და სათანადო დოზით არის წარმოდგენილი.

ზოგი ექიმებში იოდის დეფიციტის შესავსებად მოგვიწოდებს, რომ 1 ჭ წყალში ან რძეში ჩაგაწვეთოთ 5-10 წვეთი იოდი და მივიღოთ ყოველდღე, რაც დაუშვებელია! იოდის ათპროცენტიანი სპირტსხარის ერთი წვეთი იმდენ იოდს შეიცავს, რამდენიც ადამიანს მთელი წელი ეყოფა.

გათვალისწინეთ: საშიშია იოდის დეფიციტი, მაგრამ არანაკლებ საშიშია მისი სიჭარბე — ამან შესაძლოა, მეტად მძიმე, სიცოცხლისთვის საშიფათო დარღვევები გამოიწვიოს.

იოდის უამრავი პრაპარატი თირეოპათოლოგია

იოდის უამრავი მარლით პროფილაქტიკა არ მოითხოვს ექიმის დანიშნულებას, მაგრამ არსებობს ადამიანთა კატეგორია, ვისთვისაც იოდდეფიციტის ფონზე ნორმალური ოდენობით იოდის მოხმარება შესაძლოა, საზიანოც აღმოჩნდეს, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდება და ამ ზიანის გამოსწორებასაც საკვებით შესაძლებელია...

რაც შეეხება იოდის პრეპარატებს, მათი მოხმარება იოდის პროფილაქტიკის ერთ-ერთი ფორმაა და მას ჯგუფური პროფილაქტიკა ეწოდება. სულ სამ ფორმას განასხვავებენ:

- *მასობრივს — ხორციელდება იოდის პროდუქტების მეშვეობით;
- *ჯგუფურს — ხორციელდება მოსახლეობის განსაზღვრულ ჯგუფში: ბავშვებში, მოზარდებში, ორსულებსა და მეჭოქურ ქალებში;
- *ინდივიდუალურს.


იოდის უამრავი პროფილაქტიკის თერაპიული დამატება

თერაპიული დამატება იოდის ოდენობას ამცირებს. გამოსავალი ერთადერთია: იოდის მარლი მზა კერძს უნდა დაუმატოთ.



როგორ მივსაით გავშვს წამალი


ბავშვისთვის დანიშნული პროცედურის ჩატარება იოლი არ გეგონოთ. უპირველეს ყოვლისა, საქმეს დიდი პასუხისმგებლობით უნდა მიუდგეთ. მოიკრებთ ძალა და გამბედაობა — თქვენ ხომ გამოცდილი ექთანის როლი უნდა შეასრულოთ, შემდეგ კი ხელები დაიბანეთ და საქმეს შეუდგეთ...



სურ.1



სურ.2



სურ.3

1. ციცხანს ყური სტიპვა

მოამზადეთ თქვენი ნამცეცა: თავი გვერდზე მიუბრუნეთ და ყურის ნიჟარა გაუწმინდეთ ბამბით ან ბამბადახვეული ჩხირებით, რომლებიც საგანგებოდ ჩვილი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. შეეცადეთ, ეს რაც შეიძლება სწრაფად გააკეთოთ.

5. ლორწოვანი გამონადენის გამოღვა

ეს შეიძლება საგანგებო ხელსაწყოთი — ასპირატორით. როდესაც ბავშვს ცხვირი გაუთავისუფლდება, წამალი მერეა ჩაანვეთეთ.

დახსოვით: ცხვირიდან წამლის ნახევარიც რომ გადმოიღვაროს, ახ-

მოხვედრა იწვევს. თუ ჩანვებებისას პატარა თვალს დახუჭავს, არ ინერვიულოთ — წამალი მაინც ჩავა შიგნით.

8. ფრთხილად, სანთელი...

თუ ექიმმა თქვენს პანიას სანთლები გამოუწერა, უთუოდ გაცეცანი მათი მოხმარების წესს. აი, ორი მთავარი წესი: პირველი — დროულად გამოიღეთ მაცივრიდან, ნაუსვით ვაზელინი და წყალი გადაავლეთ; მეორე — სანთელს რომ შეუყვანთ, რამდენიმე წამით ხელი დუნდულებზე მოუჭირეთ, თორემ შეიძლება, უკანვე გამოვიდეს.

9. ერთი კოვზი — გამოიკოს სათრით...

მიქსტურას თუ ასმევთ, წამოაყენეთ. არასდროს მისცეთ წამალი დანოლილს, თორემ სიროფი შეიძლება, სასულეში გადასცდეს. პირი რომ გაალოს, მსუბუქად დაანეჭით ნიკაპზე, კოვზი ქვედა ტუჩზე დაადეთ და წამალი ნელ-ნელა ჩაასხით პირში.

10. მთავარია, მოხერხება

უფრო მშვიდად რომ იყოთ, შე-



სურ.4



სურ.5



სურ.6

2. არ დაგავიწყდეთ, ვიათრო!

ყურში ჩანვებების წინ წამალი აუცილებლად, ხელისგულში შეათბეთ, შემდეგ კი სანვეთბლის წვერი ფრთხილად შეუყვანეთ ყურში (ძალიან ღრმად არ მოგვივადეთ) და ჩაანვეთეთ. პროცედურის შემდეგ ბავშვს თავი ცოტა ხნით, გვერდზე დაუჭირეთ — ეს აუცილებელია, პრეპარატმა საჭირო ადგილამდე რომ მიაღწიოს.

3. გზა მივცით წამალს

თუ პანიას ცხვირი გაჭედილი აქვს, ზღვის მარილის ხსნარი ან გაზგასული ბორჯომი ჩაანვეთეთ. ცხვირის ასე გამორეცხვა აუცილებელია საიმისოდ, რომ ექიმის მიერ დანიშნულ წამალს გზა გაუთავისუფლოთ.

4. ლალად ისუნთქე, ააწიავი

ბავშვს ცხვირი ბამბის ტამპონით გამოუწმინდეთ: დაგრიხეთ ბამბის ფთილა, შემდეგ ფიზიოლოგიურ ხსნარში ან ანადულარ წყალში დაასველეთ და სწრაფად დაუტრიალეთ ჯერ ერთ, მერე მეორე ნესტოში.

ალი ულუფა არ ჩაანვეთოთ.

6. თუ ციროვანს თვალი აწუხავს

დოლბანდისგან დამზადებული ტამპონი დასველეთ ფიზიოლოგიურ ხსნარში ან გადააღულეულ წყალში და გაუწმინდეთ ბავშვს თვალები გარეთა კუთხეებიდან შიგნითასკენ ანუ საფეთქლიდან ცხვირისკენ.



სურ.7



სურ.8



სურ.9


გაითვალისწინეთ: ინფექცია ერთი თვლიდან მეორეში რომ არ გადაიტანოთ, ორივე თვალის გასაწმენდად ერთსა და იმავე ტამპონს ნუ გამოიყენებთ.

7. როგორ ჩავაწვიოთ წამალი

ფაქიზად ჩამოუწიეთ ქვედა ქუთუთო და წამალი შიგნითა ზედაპირზე დაანვეთეთ — ასე პატარას ნაკლებად შეაწუხებს ის უსიამოვნო შეგრძნება, რომელსაც თვალში სითხის

გიძლიათ, შპრიცი გამოიყენოთ (რასაკვირველია, უნემსოდ). მისი მეშვეობით წამლის რაოდენობასაც ზუსტად განსაზღვრავთ და პირშიც იოლად ჩაასხამთ. მთავარია, შპრიცი მოხერხებულად ჩაუდოთ და დგუმს ხელი ნელა დააჭიროთ, პატარამ წამლის გადაყლაპვა რომ მოასწროს.

არის მეორე ვარიანტიც (სურ. 11): გამოიყენეთ მატყუარა, რომელსაც საგანგებო რეზერვუარი აქვს. ის მარტო მიქსტურისთვის კი არა, წყალში გასახსნელი ფხვნილებისთვისაც გამოგადგებათ. ■



სურ.10



სურ.11



სიკლუსი

სიკლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ტურფა ბაღი ნალქოტი

ტურფა ბაღი და ნალქოტი
ეკლეთა ვინმემ შეჰნარა,
რეინის ყარები შეაბა,
კლიტე მე მომცა, შენ — არა...
ვაი, თუ ეს დამემართოს;
მე ჯი მიყვარდე, შენ — არა!



ხალხური

სახსოვარი



ვაჟა-ფშაველა

- ◆ განა ყველა რაც ხმელია, კაცთაგან სანუნარია? ათას ცოცხალსა ბევრჯელა, ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია.
- ◆ თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვივით, ჩქარა ვიუბნებთ სხვისასა.
- ◆ აზრი დარბაისელი, დიდად გამოცდილი, დინჯი მოხუცია; ყველაფერს სარგებლობის, სიმართლისა და ჭეშმარიტების თვალთ უცქერის, საბოლოოდ რა გამოვა და რა — არა.
- ◆ მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას.

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტავითი ლექსიკონის
ერთომეულის მიხედვით
შემდგენილი თეზაურ იპანიძე

ა

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-34, 2011

- მარინი** — პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება.
- მარმაში** (ძვ.) — ერთგვარი თხელი გამჭვირვალე ქსოვილი.
- მარმელადი** ფრ. — ხილის წვენისა, კარტოფილის ფქვილისა და შაქრისაგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი.
- მარმუჭი** — მთის საძოვრებზე გავრცელებული ბალახოვანი მცენარე.
- მარსი** — ნარდის თამაშის ისეთი დაბოლოება, რომელიც მოგებულს ორ ქულას სძენს.
- მარტვილი** (ძვ.) — ქრისტიანული სარწმუნოებისთვის წამებული, ტანჯული — მონაწე.
- მარულა** — ცხენების შევიბრება ჭენებაში გრძელ მანძილზე; დოლი.
- მარჯაფა** — 1. სათადარიგო, შემცვლელი; 2. წისქვილის ღარიდან წყლის გადასაშვები.
- მარლი** — 1. ულამაზო თეთრი (ითქმის თვალების შესახებ); 2. ასეთი თვალების მქონე — თვალთეთრი.
- მარჩილი** — ძველი ქართული ვერცხლის ფული. უდრიდა 3 აბაზს.
- მარჩხი** — 1. ჭროლა, ჭრელი (თვალეები); 2. თხელი, არალრმა (წყალი).
- მარჩობი** — თხელი ადგილი მდინარეში (ზღვაში, ტბაში); თავთხელი.
- მარწუხი** — 1. რკინის სამჭედლო იარაღი (მაშასავით) — გახურებული რკინის ასაღებად; 2. კიბოს თათის ბოლო ნაწილი.
- მარწყბალახი** — მრავალწლოვანი ბალახი ვარდისებრთა ოჯახისა; ხმარობენ სამკურნალოდ.
- მარწყვი** — მინისფერი შხამიანი სოკო ერთგვარი.



ხვარამზე — ქალურობის მატარებელი სულის პოეტი

აქ დადიოდა ხელსაქსოვიანი ქალი ხვარამზე, არა უმაღლესგანათლებული — სულგანათებული ლექსქალიო, — ამბობდა ერთ ლამაზ, ლექსებითა და სიყვარულით სავსე დღეს პოეტი სანათა — მარიამ ხუცურაული სოფელ არტანში XIX საუკუნის ქართველი სახალხო მთქმელის მიწაზე სტუმრობისას. იმ მზიან დღეს, პოეზიის დღესასწაულს „ხვარამზეობა“ ერქვა, რომელმაც სამუდამოდ უკვდავყო სამუკათ ხვარამზე — ფშაველი მელექსე ქალი და არც ამ ზემის იდეის ავტორს, ტრაგიკულად დაღუპულ უნიჭიერეს მომღერალ თონა ქუმსიაშვილს უწერია დავინწყება.

ირმა ხარშილაძე

შარშან, 30 ოქტომბერს პირველად აღინიშნა „ხვარამზეს დღე“ თიანეთში და გიამბეთ კიდევ ვაჟა-ფშაველას დედის, გულქან ფხიკლემვილის თანატოლსა და თანასოფელზე, სავარაუდოდ, თიანეთის სოფელ არტანში, მინდოდაურის გვარის კაცზე გათხოვილ ქალზე, ვაჟიკა ნაკვეთაურის სიყვარული სიკვდილამდე რომ გაჰყოლოდა და ისე გათამამებულია, ლექსებადაც კი უქცევია: „ნეტავი, ვაჟად მაქცია/ ქალი არა მქნა თმიანი/ მემრე შეგვყარნა ერთად/ ორნიც ჭრელ მათრახიანნი/ — ვერც მაშინ გაიგებდია/ რაც ჩემი გულის ზნე არი?“ განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მისმა ლექსმა — „სიყვარული ვაჟიკასი და ხვარამზისა“, რომელიც შეყვარებული ქალ-ვაჟის დიალოგს წარმოადგენს.

მიუხედავად ურთიერთსიყვარულისა, თურმე ვაჟიკას და ხვარამზეს გზები ასცდა ერთმანეთს, ვაჟმა სხვა შეირთო, ქალიც სხვას გაჰყვა, სიყვარული კი ხვარამზეს ლექსებით ლეგენდად დარჩა.

პირველ „ხვარამზეობას“ თავსხმა წვიმა მოვიდა ივრის ფშავეში, წელს კი დარმა ხვარამზეს ნაკვალევზე სიარულის საშუალებაც კი მოგვცა. ლამაზად გათენდა თიანეთში. მღვდელმა მიქაელმა მონასტერში პანაშვიდი გადაუხადა ხვარამზეს. „დარწმუნებული ვარ, ხვარამზეს სულმა მართლა ილხინა, იამა და აგერ ახლა აქ არის. ჩვენ ხომ იმ მიწაზე ვართ, რომელსაც ხვარამზეს ნაბიჯი ახსოვს, ხეს, წყალს, მდინარეს — მისი ყველა ამოსუნთქვა ახსოვს და ვგრძნობ, ხვარამზეს სული ზემოდან დაგვყურებს, — მისებურად, პოეტურად ამბობ-



გამარჯვებულებს ხვარამზეს სახელობის პრემია, მინდვრის ყვავილებით დაწნული ულამაზესი გვირგვინები და ლამაზ-ლამაზი პრიზები ელოდა

და სანათა. — არ ვიცი, მე უნდა მოგილოცოთ, თუ თქვენ უნდა მომილოცოთ დღევანდელი დღე. მე მგონი, ერთმანეთს უნდა მივულოცოთ. შარშან ისე აწვიმდა ხვარამზეს ბედს, როგორც, ალბათ, რეალობაში აწვიმა. მაგრამ შარშან ისიც ვთქვით, რომ ხვარამზეს ბედზე გამოიდარებსო და წელს გამოიდარა. უფალო, გადმოგვცხედე მოწყალებე და ბოლომდე მშრალად ჩავვატარებინე ეს დღე“.

წღვევანდელ „ხვარამზეობას“, წღვევანდელ ზეიმს „ერთი ლექსის კონკურსი“ დაემატა ქართველი პოეტი ქალებისთვის. ჟიურიმ 6 წელიწადიდან 15 გამოარჩია და სწორედ იმ 15 ლექსის ავტორი პოეტი ქალი, მათი გულშემატკივარი და პოეზიის მოყვარული სტუმრობდა თიანეთს. ხვარამზეს პანაშვილსაც ერთად დავესწარით მონასტერში, მერე ხმაურით, ანცობითა და ლექს-სიმღერით გადავიარეთ ხვარამზესა და ვაჟა-ფშაველას დედის ყმანვილქალობის სოფელ სხლოვანთან შემა-

ერთებელი „კონწიალა ხიდიც“, ვინც ხენითა და ვინ — ფეხით გავიარ-გამოვიარეთ ივრის პირას და მხოლოდ ამის შემდეგ ვწვიეთ სოფელ არტანს. იქ კი კონკურსის გამარჯვებულებს ხვარამზეს სახელობის პრემია, მინდვრის ყვავილებით დაწნული ულამაზესი გვირგვინები და ლამაზ-ლამაზი პრიზები ელოდა. ერთ-ერთ მონაწილეს, პოეტი ნინო ქოქოსაძეს იდეაც დაებადა: ხომ გახსოვთ, „ვერცხლის თასადამც მაქცია, რო ღვინით აგვესებოდი“, — მე, მაგალითად, „ერთი ლექსის კონკურსის“ მთავარ პრიზად ვერცხლის თასს დავანე-

სებდი და ზედ „ხვარამზეს“ ამოვტიფრავდიო.

იქნებ გაითვალისწინონ კიდევ მომავალი წლისთვის, წელს კი მართლა ლამაზი დღესასწაული მოაწყვეს ორგანიზატორებმა: ფშავის ალორძინებისა და განვითარების კავშირმა და თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ. ღია ცის ქვეშ მოწყობილ „პრეზიდენტი“ თიანეთის გამგებლის მოადგილე ნონა ბალიაშვილი, ჟიურის თავმჯდომარე, პროფესორი — თამილა გოგოლაური, ფშავის ალორძინებისა და განვითარების კავშირის თავმჯდომარე და პოეტი — რობერტ მაჩხოშვილი ისხდნენ, „ხვარამზეობა“ კი მეუფე თადეოზის მობრძანებისა და დღესასწაულის კურთხევის შემდეგ დაიწყო. წამყვანი, შარშანდლის დარად, „ხვარამზეობის“ სულისჩამდგმელი, თანამედროვე ხვარამზე — პოეტი მარიამ ხუცურაული (სანათა) იყო, შიგადაშიგ კი მეორე სულისჩამდგმელს, სანათას სიტყვებით, „თავისნაირ გიჟ-



ხვარამგეს სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი



ქალას“, პოეტსა და მომღერალს, თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსს — ქეთევან შარშიაშვილს იშველიებდა ხოლმე. — დღეს ხომ ლექსის დღეა! შეიძლება, ჩემი ლექსით მოგილოცოთ „ხვარამზეობა“ და ჩემი ემოციაც გამოვხატო? — იკითხა ქეთევანმა და მიაყოლა: „ნიფლის ჩეროს შევეფარე, გული შენზე მღეროდა./ თვალი ბილიკს გაედევნა და შენ მოსვლას ელოდა./ ლოდინლოდინ ბინდისფერი შეეპარა ნიფლიანს./ გულს გიტოვებთ ჩემ სანაცვლოდ, მე კი სახლში მივდივარ!“ აღფრთოვანებული მიზიარებდა შთაბეჭდილებას „ერთი ლექსის კონკურსზეც“, — აბა, გახედე, ირგვლივ რა მთებია! ისეთივე შთაბეჭქდავი და რომანტიკული ლექსები იყო, ამ კუთხეს რომ შეეფერებო. იმ მთებს შუა, სიმწვანესა და სილამაზეში სიტყვას, სიმღერა სცვლიდა, სიმღერას — ლექსი, ტაში და ასე ზრიალ-ზრიალით ვდღესასწაულობდით მეორე „ხვარამზეობას“. ყველაზე ამაღლვებელი პოეტ ქალთა დაჯილდოება იყო. ბევრი პრიზი გასცეს ორგანიზატორებმა თუ სპონსორებმა. ხვარამზეობის ყველა მონაწილეს ფშავის ალორძინებისა და განვითარების კავშირისაგან საჩუქრად სტილიზებული ფშაური ქისა და ეთნოლოგიურ-მულტიმედიური ალბომი

მი — „ციხეგორს გალობს ბულბული“ გადაეცა. კონკურსში მონაწილე სამოცდახუთივე პოეტი ქალის სახელი შევა კრებულში, რომელიც მალე გამოიცემა ხვარამზეობის ლექსებთან და ყველა პუბლიკაციასთან ერთად, რომელიც კი დაწერილა ხვარამზეობის შესახებ, 15 გამარჯვებული პოეტი ქალის ლექსიც იმავე კრებულში დაიბეჭდება. თხუთმეტივე ლექსს დაბეჭდავს „პალიტრა მედიის“ გამოცემა „ლიტერატურული პალიტრა“, — თავად ჟურნალის რედაქტორის მოადგილე, ქალბატონი მანანა ჯანელიძე დაჰპირდა მონაწილეებს არტანში. ჩვენივე მედიასახლის ჟურნალმა „...და ქალმაც“ დაანესა პრიზი და თავისი რჩეული, ლექსი №13, რომლის ავტორიც პოეტი ნანა ცინცაძე აღმოჩნდა, ჟურნალის ერთწლიანი გამომწერით დააჯილდოვა. ხელცარიელი არც მე ჩავსულვარ: გა-



მომცემლობა „პალიტრა L“-ისა და ჟურნალ „გზის“ სახელით ჩვენს ორ რჩეულს, ლექსს №13-ს — „ვეძებ“ ანუ მის ავტორს, პოეტ ნანა ცინცაძეს და უსათაურო ლექსის, №65-ის ავტორს, პოეტ კატო ჯავახიშვილს პროექტ „ჩვენი რჩეულის“ (ქალბატონ ნანას — ვაჟა-ფშაველასი, კატოს კი გალაკტიონ ტაბიძის) ხუთტომეულები გადავცით. კიდევ ერთი პირობა დავთქვით და „გზის“ წინა ნომერში შევუსრულეთ კიდევ: ჩვენ მიერ ამორჩეული ლექსები ჟურნალში დავბეჭდეთ.

კულმინაცია კი ჟიურის 3 რჩეულის გამოცხადება-დაჯილდოება აღმოჩნდა. ჟიურის გადამწყვეტილებით, პირველი პრემია ლელა ცუცქირიძეს ერგო ლექსისთვის „დიაფილმი“, მეორე — მარიამ ნიკლაურს ლექსისთვის „ცას აბია ცაბაურთა“, ხოლო მესამე — ნინო ქადაგიძეს ლექსისთვის „მეტრფე“. გამარჯვებულებს 500, 300 და 200 ლარი და პარფიუმერიის მაღაზიათა ქსელის პრიზები გადაეცა. მადლობა გადაუხადეს კომპანიებსა და ბიზნესმენებს, ვინც მატერიალურად შეენია „ხვარამზეობას“.

გამარჯვებულების გამოცხადების შემდეგ სანათამ 3 პოეტი მამაკაცი მიიხმო პირობით სცენასთან: ტარიელ ხარხელაური, მიხეილ ლანიშაშვილი და გელა დაიაური და ჟიურის მიერ გამორჩეული 3 „ხვარამზეობისთვის“ მინდვრის ყვავილებით მოქსოვილი ულამაზესი გვირგვინები დაადგმევინა თავზე.

გელა დაიაური, პოეტი, ჟიურის წევრი:

— კარგი ლექსებიც იყო და სუსტიც. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვმუშაობდით ჟიურის წევრები, ლექსები დანომრილი იყო და ავტორების ვინაობაც არ ვიცოდით. გამიხარდა, რომ ჩვენი მონონებული ლექსები სწორედ ამ პოეტ ქალებს ეკუთვნოდათ.

პოეტი ტარიელ ხარხელაური ცოტათი გულნატკენი ჩანდა:

— კონკურსისგან უფრო მეტს ველოდი, რადგან ხვარამზეობა არ არის ის მთქმელი, ზერეულე რომ მოექცე. კარგი ქალი-პოეტები გყავს, მეგონა, მეტ პასუხისმგებლო-

ტარიელ ხარხელაური პირველ პრემიას ულოცავს ლელა ცუცქირიძეს



სანათა — მარიამ ხუცურაული და ქეთევან შარშიაშვილი

ბას გამოიჩინდნენ და საკუთარ ლექსებს წარმოადგენდნენ. არ ვიცი, რატომ მოერიდნენ კონკურსს. შეიძლება ვერც გაიგეს, არადა, გაცილებით მრავალფეროვანი „ხვარამზეობა“ გვექნებოდა, ისინიც რომ შემოერთებოდნენ. მეგონა, ხალხური მთქმელებიც იქნებოდნენ, რადგან მათ ლექსს სხვანაირი ძარღვი, ხიბლი აქვს, თორემ განა ეს ცუდი იყო!

გამარჯვებული „ხვარამზეობი“ ძალიან ლელავდნენ.

ნიწო ძაღაზიძე, III პრემიის მფლობელი:

— ლექსებს ბავშვობიდან ვწერ. ძირითადად, „ლიტერატურულ პალიტრაში“ მიბუჭდავდნენ. კონკურსში კი მეორედ ვმონაწილეობ და ბედნიერი ვარ, რომ მესამე პრემია მივიღე.

მარიამ ნიკლაური, II პრემიის მფლობელი:

— არ ველოდი გამარჯვებას. ბევრი კარგი პოეტი ქალი გვყავს და სხვაზე უკეთეს პოეტად არ მიმაჩნია თავი, მაგრამ კონკურსს საკუთარი გადაწყვეტილებით გამოაქვს და ვფიქრობ, გამიმართლა. მინდა, მართლა ღირსეული პოეზია შეიქმნას, თუნდაც ხვარამზეოს სახელის შესაფერისი და გაისად უფრო მნიშვნელოვანი გახდეს ეს კონკურსი.

ვინ არის შენთვის ხვარამზეო და მისი არსებობა ან ლექსი რას ნიშნავს შენთვის?

— ხვარამზეო აღმოჩნდა პოეტი, რომელმაც მოახერხა და ისე გამოთქვა თავისი ტკივილი და სიყვარული, რომ გვაძულა, სულ მისი სიტყვით გველაპარაკა და გვემღერა. თორემ მგონია, მისი მსგავ-

სი და ტოლ-სწორი ბევრი სხვაც იყო იმ პერიოდში, მაგრამ ვერ ჩნდებოდა, რადგან სირცხვილად მიიჩნეოდა, პოეტი გრქმეოდა და ხმამალა გელაპარაკა ამაზე. ხვარამზეო იქნებოდა ჩვეულებრივი დედა, ჩვეულებრივი ცოლი, მერე — ბებო... სოფლის სასაფლაოს რომ ჩამოვუარეთ, დავინახე გაბზარულ-კედლიანი საყდარი და ირგვლივ უამრავი საფლავი. განა რა დიდი დროა გასული, რომ ვერ მივკვლიოთ ხვარამზეოს საფლავს?! მაგრამ ეგებ ამ ლექსებზე დიდი არც ის საფლავი აღმოჩნდეს! ხვარამზეომ ხომ შეძლო იმის თქმა და ისე თქმა, რაც ჩვენად დავიგულეთ? ესაა მთავარი. ვინ იცის, მისი რამდენი ლექსი დაიკარგა? ან ეგებ სხვა არც არაფერი უთქვამს, რადგან სხვაც არაფერი ჰყვარებია ასე, როგორც თავისი ვაჟიკა უყვარდა? ან ის რად ღირს, რომ ვაჟიკას სათქმელიც თვითონ თქვა და მორალური კოდექსიც საკუთარი დაწერა: „მთქმელო, ვერ ამსრულებელი, რალა შენ სიცოცხლე არისო?“ მეტი რალა უნდა ეთქვა? ან კიდევ: „თავს რად არ შამაიბრუნებ, ყანას რად მამკვე ცრემლითაო?“, — ნახე, რა თამამი და პირდაპირები იყვნენ ჩვენი ქალები? ჰოდა, მამაკაცებიც უფრო ვაჟკაცები იყვნენ იმიტომ, რომ კარგი ქალის გვერდით სულ ცდილობ, შენც კარგი ვაჟკაცი, კაი ყმა იყო. ხვარამზეოს არასდროს ერცხვინებოდა არც თავისი სიყვარული, არც თავისი ტანჯვა, არც თავისი ადამიანობა. ეს არის ჩემთვის ნამდვილი თავისუფლება. ჰოდა, ხვარამზეოც თავისუფალი სულის დედაკაცი იყო, თორემ მონა მაგას ვერასდროს დაწერდა, რაც მაგას უწერია. ის ერთი კუთხის შვილი არ იყო, ზოგადად, ქალურობის მატარებელი სულის პოეტი.



— მარიამ, ვინმეს ყვავილების გვირგვინი დაუდგამს ოდესმე შენთვის?

— არა, ეს ჩემი პირველი გვირგვინია. არადა, რამდენი შეყვარებული მყოლია და ჩემთვის, ჩუმად მიყვარდა!

P.S. ხვარამზეომ ბევრი ლექსი დაანერჩინა ჩვენს პოეტებს. მიშა ლანიშაშვილს კი მეორე „ხვარამზეობის“ მაღლიც ისე გაჰყვა, კიდევ ერთი — „არტისტული არტანი — ხვარამზეობა იორზე“ ათქმევინა:

ამოიშვევა არტანმა ხვარამზეოს ლექსის პნკარებით/ სულ ყვავილებით მოჩითა ივრის ხეობის კარები/ ვაჟიკას ცხენის ნატერფალს ისევ ღობავენ თვალები/ ქალაქით ამოსულები ნაწლებს ეძებენ ქალები.../ შაირის შარიშური, რეკენ სტრიქონთა ზარები/ ხინკლით და ჟიპიტაურით დამთვრალან ფშაველის ხარები/ დამშვენებულან მთაველნი ზვინებით, ნათიბარებით/ მისდევენ ყაფრისგორისკენ ზეცას ნისლები მთქნარებით“...

მომავალ „ხვარამზეობამდე“!..

Handwritten text at the top: *მსოფლიო ნიჭი და მოახლოება ნიჭი და მოახლოება უბიძგან!*

Printed text: **მარნაღ ..რეპიზიტან“ ართად**

Handwritten text: *წაიკითხე წიგნები - ზეჟოსად იქნება!*

5 საბავაბაი - ოთი №33 მთხრობალი - ანგონ ნახოვი

ფანი ... 2 ლარი!!!

Small text at the bottom: **საბავაბაი** (with a logo), **ტონი №34 - ფრანს კაზკა**, **უაბი ბაიოსალი ბოვამი უბიძგითი უბიძგითი წიგნის ბალაზბაბი.**



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

ურჯუპი — ურნმუნო, ულმერთო, დაუნდობელი, შეუბრალებელი

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

დასაწყისი ნი. „ზა“ №31-34

რუსუდან პერიკა

— თინა ილურიძეს დედინაცვალი ჰყავდა? — გაუკვირდა ამირეჯიბს.

— ჰყავდა კი არა, ჰყავს, — ეშმაკურად გაელიმა შათირიშვილს, — ისეთი მაგარი ქალია, თურმე ტყვიას ტყვიასი აჯენს. მაგრამ მოგესხენებათ, არც რატია ნაკლები კერკეტი კაკალი და უკვე სასამართლოშიც შეიტანა განცხადება, რომ ბუბისნაცვლის პრეტენზიები უსაფუძვლოდ ცნონ. მოკლედ, დიდი განამანია და ჯერ არავინ იცის, რით დამთავრდება ყველაფერი.

— მაგას სასამართლო გაარკვევს, ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ. იქნებ გაიგო, რატისა და ლიზის ქორწინება რატომ ჩაიშალა?

— რომელი ლიზის?

— აკადემიკოს მამარდაშვილის ქალიშვილზე გეუბნები.

— ა-ა, გამახსენდა... ეს ასე მნიშვნელოვანია?

— გააჩნია, რას გარკვევს...

სანამ ავთო შათირიშვილი ლიზი მამარდაშვილისა და რატის ამბავს არკვევდა, ილურიძეების აგარაკის მეზობლები — ცოლ-ქმარი — მერაბ და მირანდა ჩხეიძეებიც დაბრუნდნენ თბილისში. გაირკვა, რომ ილურიძეების ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის ღამეს მათ არ ეძინათ, რადგან სანოლს მიჯაჭვული მერაბ ჩხეიძის დედა თავს

ცუდად გრძნობდა და ცოლ-ქმარიც მის სარეცელთან მორიგეობდა. ამდენად, მათ ჩვენებას იმის თაობაზე, თუ პირველი და მეორე გასროლა რა ინტერვალით მოხდა, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, ილურიძეების სხვა მეზობლებმა — ილო და ანიკო ივანიშვილებმა თავიანთ ჩვენებებში უკვე დაბეჯითებით აღნიშნეს, რომ გასროლებს შორის ინტერვალი 3-4 წამს არ აღემატებოდაო, მაგრამ ცოლ-ქმარს ტრაგედიის ღამეს ტკბილად ეძინა და მხოლოდ გასროლის შემდეგ გაეღვიდა. ვინაიდან ახალგაღვიძებულ ადამიანს სიტუაციაში უცხად გარკვევა უჭირს, ამირეჯიბი ივანიშვილების ჩვენებას ბოლომდე მაინც ვერ ენდობოდა. მაგრამ ამჯერად ივანიშვილებისა და ჩხეიძეების ჩვენებები თითქმის დაემთხვა. მერაბ და მირანდა ჩხეიძეებმა განაცხადეს, რომ გასროლებს შორის ინტერვალი 3-5 წამი იყო. ასეთ მოკლე დროში კი შეუძლებელი იყო, ვახტანგ ილურიძეს მკვლელობისა და თვითმკვლელობის ჩადენა მოესწრო. სიტუაციაში ბოლომდე გასარკვევად საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩატარდა, რომელმაც აჩვენა, რომ მსგავსი რამ მართლაც შეუძლებელი იყო.

დანაშაულის ადგილზე გადაღებული ფოტოების შესწავლისას, ამირეჯიბმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას მიაქცია ყურადღება. სასამართლო ექსპერტიზის 1-ელი დასკვნის მიხედვით, სროლის დროს, უფრო კონკრეტულად კი მაშინ, როცა ვახტანგ ილურიძის მიმართულებით ხდებოდა გასროლა, იარაღის ლულა მისი თავიდან 4-6 სანტიმეტრით იყო დაშორებული. მაგრამ თუ ილურიძემ ტყვია მართლაც თვითონ დაიხალა, მაშინ გამოდიოდა, რომ მას ერთი ხელით იარაღის ლულა უნდა სჭეროდა, მეორით კი ჩახმხისთვის გამოეკრა. სურათებზე კი ასეთი გასროლის შედეგად დარჩენილი კვალი არსად ჩანდა და ეს დეტალები არც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში იყო დაფიქსირებული.

საკითხში სიცხადის შესატანად, ამირეჯიბმა განმეორებითი სასამართლოსამედისციპლინო ექსპერტიზის ჩატარების გადანიშნულებას მიიღო, რისთვისაც უკვე საჭირო გახდა ვახტანგ ილურიძის გვამის ექსპუზაცია.

ამასობაში კი გამოძიებულს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოწმის — ნატა

როინიშვილის დავითის შესაძლებლობაც მიეცა.

ცოტა ხნის წინ გადატანილი ფილტვის ანთების შემდეგ, გოგონა თავს ჯერ კიდევ სუსტად გრძნობდა. როცა გამოძიებულმა უთხრა, რატი ილურიძეზე უნდა ვილაპარაკოთო, მანამდე მიტკალივით გაფითრებულ ნატას სინითლემ გადააჰკრა:

— კი, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

— თქვენ ხომ მას ახლოს იცნობთ?

— ახლოს? — ნერვიულობისგან ხმა

თითქმის ჩაუწყდა გოგონას. — არა... ერთმანეთს სულ ორ-სამჯერ თუ შეხვდით და ისიც — საერთო საახლოსლო წრეში.

— კონკრეტულად სად შეხვდით ერთმანეთს? — ჩაეძია ამირეჯიბი.

— ერთი ჩემი ნაცნობის სახლში...

— ნერვიულობისგან ნატამ აღარ იცოდა, ხელები სად წაელო.

— მოდი, ცოტა დამშვიდდით, მერე კი შეეცადეთ, გაიხსენოთ, ეს როდის მოხდა და იმ დროს თქვენ გვერდით კიდევ ვინ იყო?

— კარგი, — ჩაილაპარაკა გოგონამ, — ეს... ეს შარშან დეკემბერში იყო... დიახ, დეკემბერში... მაშინ რატი ილურიძის მეგობარს ვხვდებოდი.

— მეგობრის გვარი?

— ლომიძე... ალექო ლომიძე... მუსიკას ვუსმენდით, ვცეკვავდით, ხანდახან ცოტას ვსვამდით კიდევ... რატი ყოველთვის თავის შეყვარებულთან ერთად იყო. მას ლელა ერქვა. გვარი არ მახსოვს. მე და ალექო ერთმანეთს მალე დავემორდით და ამის შემდეგ რატი აღარც მინახავს. სულ ეს იყო...

— მეტი არაფერი? — ჩაეძია გამოძიებელი.

პასუხად ნატამ თავი ჩაქინდრა.

— ჩვენთვის კი ცნობილია, რომ რატი ილურიძესთან რალაც ურთიერთობა ალექო ლომიძესთან დაშორების შემდეგაც გქონდათ. ასეა?

— არა! — შესძახა ნატამ, — არა!

როგორ შემძლო, ალექოს უახლოს მეგობართან...

გოგონას ნერვიულობისგან ხმა ბოლომდე ჩაუწყდა და თითების მტვრევას მოჰყვა.

— დამშვიდდით და ყველაფერი ბოლომდე მიაბეთ, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანია. გაზაფხულზე სერიოზული პრობლემა გქონდათ, ხომ ასეა?

ნატამ გამოძიებულს თავი უხმოდ დაუქნია.

— ცუდად იყავით, — განაგრძო ამირეჯიბმა, — სიცოცხლეც კი აღარ გინდოდა...

გოგონამ ამჯერად უკვე მძიმედ ამოიხარა.



— ამ ყველაფერთან ილუზიძეს თუ ჰქონდა კავშირი?

— არა, ეს ალექსოს გამო მოხდა, — ძლივს ამოღერდა ნატამ და შემდეგ დასძინა: — თუმცა შემდეგ რატიც უსინდისოდ მომეცა.

— იქნებ უფრო გასაგებად ამიხსნათ, რა მოხდა, მესმის, რომ ეს პირადულია, მაგრამ საქმეს სჭირდება.

— კარგი... — ისევ ამოიოხრა გოგონამ. — გეტყვით... მე და ალექსოს ურთიერთობა გვექონდა... ცოლად მოყვანას მპირდებოდა... მალე დაფეხმძივდი კიდევ, მაგრამ ამის შემდეგ გაირკვა, რომ ჩემი მოყვანა არც კი უფიქრია. რამდენ გოგოსაც დავაფეხმძივდი, ყველას ცოლად ხომ ვერ შევირთავო, — აგდებულად მითხრა და ზურგი მაქცია. მერე ისიც გავიგე, რომ ჩემსავით კიდევ ბევრი ჰყავდა გაუბედურებული... სხვათა შორის, არც რატია ალექსოზე უკეთესი, ოღონდ, მას სხვა ხერხი აქვს...

— რა ხერხი? — ვერ მიუხვდა გოგონას ამირეჯიბი.

— გოგოს ლოგინში ჩანწენის ხერხი... ერთხელ ალექსოს ჩემთან წამოსცდა, რომ რატი გოგონებს სასმელში დასაძინებელ ფხვნილს უყრისო...

„აღბათ, თამუნა ზურიაშვილსაც ასე მოექცა“, — გაიფიქრა გამომძიებელმა და შემდეგ ნატას ხმაძალა ჰკითხა:

— ბევრი გოგონა აცდუნა ასე?

— არ ვიცი, მაგრამ არა მგონია, ალექსოს ჩამორჩენოდა.

— კარგი. მოდი, ისევ თქვენს ამბავს მივუბრუნდეთ.

— ალექსომ მიმატოვა და მეც ჩემი პრობლემების პირისპირ მარტო დავრჩი. მშობლებს ვერაფერს ვეტყვოდი, რადგან დედაჩემი ამას ვერ გადაიტანდა, მამაჩემი კი... ძალიან გთხოვთ, ეს ამბავი მის ყურს არ მისწვდეს, თორემ მეც მომკლავს და ალექსოსაც...

— დამშვიდდით, ჩვენგან ვერავინ ვერაფერს გაიგებს. მერე რა მოხდა?

— მერე ალექსოს შევხვდი და ვთხოვე, ბავშვის მოშორებაში მაინც დაემხმარე-მეთქი. ის ხომ მომავალი ექიმია... შემპირდა, რამეს მოვიფიქრებო. რამდენიმე დღის შემდეგ კი დამირეკა და მითხრა, რომ რატი ილუზიძეს მოველაპარაკე და ყველაფერს ის მოგიგვარებოსო...

ამ სიტყვების შემდეგ ნატა წამით გაჩუმდა, ცრემლიანი თვალები ხელისგულებით ამოიწმინდა და მერე ისევ განაგრძო:

— რატის მალევე შევხვდი და

მასთან აგარაკზე ავედი. იქ არავინ დაგვხვდა. რატიმ მითხრა, სამ ნემსს გაგიკეთებ, რის შემდეგაც მუცელი ადვილად მოგეშლება, ოღონდ, ყოველი ნემსის შემდეგ თითო პირობა უნდა შემისრულო... მივხვდი, რასაც გულისხმობდა და ავტირდი, მას კი ეს სიცოცხლად არ ეყო: ცხოვრებას ცოტა უფრო მარტივად უნდა შეხედო და ყველაფერი კარგად იქნებოდა... იმდენად სასოვნარკვეთილი ვიყავი, რომ დავთანხმდი... მან კი უბრალოდ მომატყუა. დარწმუნებული ვარ, წაღლის ნაცვლად გამოსდილი წყალი გამოიკეთა, რადგან მოგვიანებით საავადმყოფოში მისვლა მაინც დაეჭირდა...

— მას შემდეგ რატი აღარ გინახავთ?

— არა. ნეტავ, არასდროს მენახა. ნამდვილი არაშხადაა, თან — ძალიან დაუნდობელიც... მაგრამ უკვე მასაც მიეზლო სამაგიერო.

— რას გულისხმობთ?

— არა, — შეცბა გოგონა, — არ იფიქროთ, რომ მისი ოჯახის უბედურებას ვგულისხმობდე... ღმერთმა დამიფაროს!.. ამას მის ცოლზე ვამბობ... — მაია მოსიძეზე?

— დაახ. რატის ეგონა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორის — ამირან მოსიძის ქალიშვილი მოჰყავდა ცოლად, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მაია მოსიძეს ამ კაცთან არაფერი აკავშირებს.

— საინტერესოა... — თვალები ეშმაკურად მოწკურა გამომძიებელმა. — აბა, ცოტა უფრო დანვრილებით ამისენით, როგორ იყო საქმე?

— ასახსნელი ბევრი არაფერია. უბრალოდ, დადიოდა ხმები, თითქოს მაია ამირან მოსიძის უკანონო შვილი იყო, მაგრამ მამას ის კანონიერ შვი-

ლებზე მეტადაც უყვარდა და ყველანაირად მფარველობდა და ეხმარებოდა. ჰოდა, რატისაც მეტი რა უნდოდა?! სასწრაფოდ მაიას ცოლად მოყვანა გადაწყვიტა. ეს არაკაცი ხომ კარიერის გასაკეთებლად ყველაფერზე წამსვლელია? მაგრამ როგორც უკვე გითხარით, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა...

„აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე, — გაიფიქრა ამირეჯიბმა, — ჩვენ კი გვიკვირდა, ამდენ სარფიან საცოლეს მაია მოსიძე რატომ ამჯობინაო... მაგრამ იქნებ, ნატა როინიშვილმა ეს ყველაფერი რატის სიძულელით მოიგონა? აბა, ერთი ვკითხოთ, რატის მარცხიანი ქორწინების ამბავი საიდან იცის?“

— აღბათ, ფიქრობთ, რომ ასე შეურისძიების სურვილი მალაპარაკებს, ხომ? — კითხვის დასმა დაასწრო გამომძიებელს ნატამ.

— არა, — შეცბა ამირეჯიბი, — მაგრამ მაინტერესებს, ეს ამბავი საიდან იცით?

— ეს ამბავი უკვე რატის ყველა ნაცნობმა და მეგობარმა იცის... ვისაც უნდა ჰკითხოთ, ყველა დაგიდასტურებთ.

— კონკრეტულად მაინც ვინ დამიდასტურებს?

— თუნდაც იგივე ალექსო. ამას წინათ ქუჩაში შემთხვევით შეხვდა და ვკითხე, ამდენი უბედურების შემდეგ რატი როგორ არის-მეთქი. აბა, როგორ იქნებო, მიპასუხა და შემდეგ მაიას ამბავიც მოაყოლა... შეგიძლიათ, ალექსო თავადაც ნახოთ და პირადად ჰკითხოთ...

მიხეილ ამირეჯიბს ალექსო ლომიტხთან, როგორც რატი ილუზიძის უახლოეს მეგობართან, შეხვედრა ისედაც ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ახალგაზრდა ქალაქში არ იყო და გამომძიებელი მის ჩამოსვლას ელოდა.

— მაინც არასერიოზული საქციელია, — დასკვნა მიხეილ ამირეჯიბმა მას შემდეგ, რაც ავთო შათირიშვილთან ერთად რატი ილუზიძის დაქორწინების ამბავი დანვრილებით განიხილა. — როგორ შეიძლება, კაცმა ცოლი რაღაც მოარული ხმების საფუძველზე მოიყვანოს? მესმის, რომ რატი ყველაფერში გამორჩენას ეძებს, მაგრამ თუნდაც ამიტომ არ მოიქცეოდა ასე წინდაუხედავად. ჯერ ზუსტად დაადგენდა, იყო თუ არა მაია მოსიძე პრორექტორის შვილი და მისი ცოლად მოყვანის გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებდა.

— მართალი ბრძანდებით, —





დაეთანხმა უფროსს შათირიშვილი.

— ასე რომ, ამ უცნაური ქორწინების მიღმა რაღაც სხვაც უნდა იმალებოდეს...

— იქნებ რატის უბრალოდ ხელს აძლევს ასეთი ცოლის ყოლა? მაია მოსიძე ხომ ქმარს ყველაფრის ნებას აძლევს? რატის შუქლია, რესტორნებში მარტომ იქითფოს და ქალებშიც იაროს, ოღონდ კი, ბოლოს ისევ შინ დაბრუნდეს. ასეთი ცოლებიც ხომ არსებობენ?

— არსებობენ, მაგრამ არა მგონია, ამ შემთხვევაში ასე მარტივად იყოს საქმე.

— მაშინ ყველაფერი კარგად უნდა გადავამოწმოთ.

— აუცილებლად. მანამდე კი მითხარი, შენ რა გაარკვეე?

— პირდაპირ ქორწილში მოვხვდი.

— ქორწილში?

— ჰო. ლიზი მამარდაშვილი გათხოვდა.

— ყოჩაღ! გამოდის, რომ რატისა არ იყოს, დროს უქმად არც ეს გოგო კარგავს.

— ასე გამოდის. მოკლედ, საქორწინო კორტეჟს თვალი ერთი კი შევავლე და მერე მესამე სართულზე ავედი და მამარდაშვილების კარზე ზარი დავრეკე. კარი მოხუცმა ქალმა გაიღო. ლიზი შინ არის-მეთქი? — ვკითხე. ლიზი გათხოვდა და ორიოდ წუთის წინ ჯვრის დასაწერად ტაძარში წავიდაო, — მიპასუხა. მაშინვე ხასიათი გამიფუჭდა: როგორია ახალგაზოგვილი ქალისთვის მის ყოფილ საქმროზე სიტყვის ჩამოგდება?

— ძნელია, მაგრამ რას იზამ? — გაელიმა ამირეჯიბს.

— ვერაფერს. სამსახური სამსახურია და მეც მეორე დღეს ისევ მათი ბინის წინ ავიტუზე. კარი სიმპათიურმა შუახნის მამაკაცმა გაიღო.

ის ლიზის მამა — კოტე მამარდაშვილი აღმოჩნდა. შინ თავაზიანად შემეპატიჟა. მეც მაშინვე წარუდექი და თქვენს ქალიშვილთან თუ შეიძლება გასაუბრებ-მეთქი, მორიდებით ვკითხე. მაგრამ ლიზი უკვე იტალიაში, საქორწინო მოგზაურობაში წასულიყო. რა უნდა მექნა? ავდექი და მამამისს ავუხსენი ჩემი მისვლის მიზეზი. რატის გვარ-სახელის გაგონებისთანავე კოტე მამარდაშვილს სახე მოელუშა და პირდაპირ მითხრა, არაკაციაო. თურმე, ამ ზაფხულს რატის ოფიციალური უთხოვია ლიზის ხელი, მაგრამ გარკვეული პირობებიც წაუყენებია.

— უყურე შენ! მაინც რა პირობები?

— ჯერ ერთი, მამარდაშვილი მას

სამედიცინო უნივერსიტეტში დარჩენასა და სამეცნიერო წინსვლაში უნდა დახმარებოდა, მერე ახალდაქორწინებულებისთვის ქალაქის პრესტიჟულ უბანში — ბინა, რატისთვის კი მანქანაც უნდა ეყიდა. უმცროს ილურიძეს თურმე, ყველა მანქანას BWM ურჩევნია, მაგრამ მოწყალეა მოუღია და სასიამაოროსთვის უთქვამს, ამ ეტაპზე ნაკლებსაც დავჯერდებიო.

— ასე პირდაპირ წაუყენა მოთხოვნები? — გაუკვირდა ამირეჯიბს.

— კი. პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე.

— მერე? რაო მამარდაშვილმა?

— გადარეულა კაცი, მაგრამ მეტად მაინც მას შემდეგ გაცოფებულა, როცა რატის ისიც მიუნიშნებია, თუ რა ძნელია დღეს ქალიშვილის გათხოვება და განსაკუთრებით მაშინ, როცა ის არც გარეგნობით ბრწყინავსო.

— თავებდობაც ამას ჰქვია. ისე, მაინც როგორ გამოიყურება?

— ვინ? ლიზი?.. აბა, როგორ გითხრათ?.. მაღალი და გამხდარი გოგოა. აღნაგობით თითქოს ვერ დაინუნებ, მაგრამ, მთლიანობაში, მაინც რაღაც უფერულია. თუმცა გემოვნებასაც გააჩნია...

— უცნაურია, საცოლის მამასთან ასე მოქცევა.

— სხვათა შორის, როგორც მივხვდი, ლიზის დედა ბოლომდე რატის მხარეზე იყო.

— ალბათ, რაღაცით მოხიბლა.

— და მერე როგორ!.. თანაც, ხომ იცი დედების ამბავი? ქალი ხედავდა, რომ მის ქალიშვილს რატიზე სული ელეოდა და ისიც ყველანაირად ხელს უწყობდა.

— მაშ, რატომ ჩაიშალა მათი ქორწინება? — დაინტერესდა ამირეჯიბი.

— კოტე მამარდაშვილი გაჯიუტდა და ვერაფერი მოუხერხეს. ამ ვაჟბატონს ჩემი შვილი კი არა, ჩემი მდგომარეობა და ფული სჭირდებო, დაიჩემა და სასიძოს თავის სახლიდან უცერემონიოდ აასმევინა. მაგრამ რატი როგორი ილურიძე იქნებოდა, ასეთი მსუყე ლუკმა ხელიდან ადვილად რომ გაეშვა? ამიტომაც, ცოტა ხნის შემდეგ, სასიამაოროს მოკუნტული მიადგა და ბოდიშის წერილიც მიართვა: როგორც ჩანს, ვერ გამოგეთ, თქვენი შვილი ისე უანგაროდ მიყვარს, რომ მის გვერდით ფარღალა ქონშიც კი ბედნიერად ვიცხოვრებო...

— წერილი შემორჩენილია? — დაინტერესდა ამირეჯიბი.

— სამწუხაროდ, არა.

— თუ ლიზი მართლა ასე იყო რატიზე შეყვარებული, ასე სწრაფად

სხვაზე რატომ გათხოვდა? — დაინტერესდა ამირეჯიბი.

— აბა, რა გითხრათ? — მხრები აიჩემა შათირიშვილმა. — ახლანდელ ახალგაზრდებს რამეს გაუგებ?..

— ქმარი ვინ არის?

— მეცნიერია. მართლა, — გაახსენდა შათირიშვილს, — სანამ რატის მამარდაშვილების სიძეობის იმედი საბოლოოდ გადაეწურებოდა, ყოველ საღამოს მათთან ვარდების 2 უზარმაზარი თაიგულით ცხადდებოდა. თანაც, უფრო ლამაზი ყოველთვის სასიდედროსთვის ჰქონდა გამზადებული.

— დიდი ოხერი ვინმეს!.. იცის, პირველ რიგში ვის უნდა მოაწონოს თავი! რაც თავის მოწონებას შეეხება... გახსოვს, რომ მეუბნებოდი, რატი სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მარჯვენა ხელთან, ვინმე მირიან მირზაშვილთან ძვირად ღირებულ რესტორნებში ქეიფობსო?

— მახსოვს.

— ჰოდა, როგორც გავიგე, უფროს ილურიძეს უძვირფასესი ოქროს საათი დარჩა, რომელიც მისი სიკვდილით „გულდათუთქულმა“ რატიმ მირზაშვილს გადასცა და სთხოვა, რექტორს ჩემი სახელით საჩუქრად მიართვო.

— მოკლედ, ეს ბიჭი დროს ფუჭად არ კარგავს. რაო მერე? მიიღო რექტორმა საჩუქარი?

— საათი ჯერ ისევ მირზაშვილთანაა, მაგრამ ამ დღეებში რექტორს 50 წელი უსრულდება და ალბათ, მაშინ მიართმევს...

ის, რასაც ამირეჯიბი და მისი კოლეგები ილურიძების საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ვარაუდობდნენ, ექსპერტების დასკვნებითაც დადასტურდა.

სიკვდილის შემდგომ ჩატარებულმა სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ ცხადყო, რომ ვახტანგ ილურიძეს არასდროს არანაირი ფსიქიკური აშლილობა არ სჭირდა. თავის სიტყვა თქვეს იმ კომისიის წევრებმაც, რომლებმაც სასამართლო-სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზები ჩაატარეს. კერძოდ, მივიდნენ დასკვნამდე, რომ: ჯერ ერთი, თუ ვახტანგ ილურიძე ტყვის თვითონ დაიხლიდა, მაშინ ხელზე, რომლითაც იარაღის ლულა ეჭირა, აუცილებლად უნდა დარჩენილიყო დენტის ჭვარტლის კვალი და სისხლის შეფერილობა, მაგრამ ფოტოზე არც სისხლი ჩანდა და არც ჭვარტლი. მათი არსებობა არც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში იყო დაფიქსირებული და, რაც მთავარია, სისხლი და ჭვარტლი გვამის კანის საფარზე



არც ექსპრესიის დროს აღმოჩნდა.

მეორე — ქრილობა ვახტანგ ილუ-რიძეს მარცხენა ღრუს მიდამოში ჰქონ-და მიყენებული. ექსპრესიის თქმით, ტყვიის ასეთი მიმართულებით გასრო-ლის შემთხვევაში ილურიძეს გაუჭირ-დებოდა თავის მოკვლა და თუ ამას მაინც მოახერხებდა, გასროლის შემ-დეგ მისი სხეული სანოლში აუ-ცილებლად სხვა პოზას მიი-ღებდა.

მესამე — ფოტოებზე ვახ-ტანგ ილურიძე მშვიდად წევს ზურგზე და ხელები თავისუფ-ლად აქვს ჩამოშვებული. ასეთი პოზის მიღება კი შეუძლებელი იქნებოდა, თუ ილურიძე ქრი-ლობას თვითონ მიიყენებდა ანუ სიკვდილმა მას ძილში, სხვისი ხელით უნია.

მეოთხე — რატი ილურიძის ჩვენების თანახმად, როცა ის მშობლების საძინებელში შევარ-და, იარაღი მამამისის ლოგინზე იდო და მას შემდეგ დავარდა იატაკზე, რო-ცა მან გადასაფარებლის გადაძრობა სცადა. მაგრამ ვახტანგ ილურიძეს თავი რომ მოეკლა, იარაღი სანოლზე არაფრით დარჩებოდა. უკუცემის შე-დეგად ის გასროლისთანავე აუცილებ-ლად იატაკზე დავარდებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, გამოძიებისთვის უკვე ნათელი გახდა, რომ ცოლ-ქმარი ილურიძეები დახო-ცეს, მაგრამ ვინ? — აი, კითხვა, რო-მელსაც გამოძიებლები ამის შემდეგ გაუთავებლად უტრიალებდნენ.

— მოდი, კიდევ ერთხელ კარგად დავეფიქრდეთ, ვის აძლევდა ხელს ილუ-რიძეების სიკვდილი? — დასვა კითხვა ამირეჯიბმა. — და რა ამოძრავებდა მას: შურისძიება, ანგარება თუ კიდევ სხვა რამ?

— რაც შეეხება შურისძიებას, ბა-ტონო მიხილ, ამ კუთხით ჯერ არაფე-რი გამოკვეთილა, ამიტომ იქნებ ეს ძარცვის მცდელობა იყო?

— არ ჰგავს ძარცვის მცდელობას. ასე რომ ყოფილიყო, მკვლელები თავს არ შეინუხებდა, იარაღის სასხლეტს თოკს არ გამოაბამდა და ამ გზით თვითმკვლელობის ინსცენირებას არ მო-აწყობდა...

— არადა, ეს იყო მისი ერთ-ერთი მთავარი შეცდომა, — შენიშნა შათი-რიშვილმა.

— რა თქმა უნდა, ექსპრესტებმა ხომ თავიანთ დასკვნაში ხაზგასმით მიუთი-თეს, რომ თავის მოსაკლავად ვახტანგ ილურიძეს არავითარი დამატებითი მოწყობილობა, მათ შორის, არც თოკი არ დასჭირდებოდა, რადგან, მონდომე-

ბის შემთხვევაში, იარაღის სასხლეტს ხელითაც ადვილად მისწვდებოდაო — ანუ გამოდის, რომ თვითმკვლელობის ინსცენირება წინასწარ იყო ჩაფიქრე-ბული და მომზადებული. მკვლელებმა ზუსტად იცოდა, სად ეკიდა იარაღი და როგორ შეიძლებოდა, მკვლელობის ჩა-დენის შემდეგ აგარაკის შეუმჩნევლად



დატოვება. ამდენად, ის ილურიძეებ-თან დაახლოებული ადამიანი, ანდა სუ-ლაც ოჯახის წევრი უნდა ყოფილიყო.

— მაშინ, შურისძიებასთან ერთად, ძარცვის მცდელობაც უნდა გამოვრიც-ხოთ და რა გვრჩება?

— გამორჩენა.

— მართალი ბრძანდებით.

— და როგორ ფიქრობ, ილურიძე-ების მოკვლით ყველაზე მეტს ვინ გა-მორჩებოდა?

— რა თქმა უნდა, რატი, — პასუხი არ დაახანა შათირიშვილმა, — თბი-ლისის ბინა, აგარაკი, ოჯახის დანაზო-გი, მამის რამდენიმე ფირმა... ეს ყვე-ლაფერი ხომ მის ხელში გადავა... სხვა-თა შორის, ჯერ ფირმებამდე ხელი ვერ მიუწვდა, რადგან მამის საქმიანო-ბაში ჩახედული არ იყო, მაგრამ მოვა დრო და მათთვისაც მოიცლის. მართა-ლია, იქ სხვა დამფუძნებლებიც დახ-ვდებიან, მაგრამ ვფიქრობ, მაინც კარ-გი გამორჩენა ექნება.

— სიმართლე გითხრა, ყველაფრის მიუხედავად, რატი მაინც არაერთგა-როვან შთაბეჭდილებას ტოვებს... კი, კარიერისტიკა, ფული და კარგი ცხოვ-რებაც უყვარს, მაგრამ არც ჭკუა და წინდახედულება აკლია. იმასაც კი ამ-ბობენ, რომ ნიჭიერი... ჰოდა, ეს ჭკვი-ანი, ნიჭიერი და წინდახედული ახალ-გაზრდა კაცი ვითომ მკვლელობას შეგ-ნებულად ჩაიდენდა?..

— აბა, როგორ გითხრა? — თავი იჭვენულად გადააქნია შათირიშვილმა. თანაც, არ დაგავიწყდეს, რომ მშობლე-ბის მკვლელობის დროს ის სხვა ოთახ-ში იმყოფებოდა, — განაგრძო ამირე-ჯიბმა.

— ასე თვითონ და მათა მოსიძე ირწმუნებიან.

— მოსიძის სიტყვებში ეჭვის შეტა-ნის საფუძველი გვაქვს?

— ჯერ არა, მაგრამ მასთან დაკავ-შირებით ერთი გიჟური იდეა კი გა-მიჩნდა.

— მაინც?

— ხომ შეიძლებოდა, ეს თავად მას ჩაედინა?

— მაიას? რისთვის?

— იმისთვის, რომ ილუ-რიძეების ოჯახის სრულუფ-ლებიანი დიასახლისი გამხდა-რიყო.

— მაგრამ რატომ რომ ამბობს, სროლის მისი გაგო-ნებისას მე და მათა ერთად ვიყავით? თუ მაიას სიტ-ყვებისა გვეჯერა, რატომ ნათ-ქვამი რატომ არ უნდა და-ვიჯეროთ? რა თქმა უნდა, როგორც ერთის, ისე მეო-

რის ნათქვამში გვაქვს ეჭვის შეტა-ნის უფლება, მაგრამ ჯერ კატეგო-რიულად მაინც ვერაფერს დავამტკი-ცებთ.

ამ საუბრიდან 2 დღის შემდეგ ამი-რეჯიბს პოლიციიდან დაურეკეს და აუწყეს, რომ ერთ-ერთმა მამაკაცმა შე-მოიტანა წერილი, რომელიც ცოლ-ქმარ ილურიძეების მკვლელობას ეხებოდა. ამი-რეჯიბი წერილის შემომტანის ვინაო-ბით დაინტერესდა. ის მათა მოსიძის ახლო მეგობარი, ვინმე ირაკლი ზოიძე აღმოჩნდა.

ნახევარი საათის შემდეგ წერილი უკვე მიხილ ამირეჯიბის სამუშაო მა-გიდაზე იდო. მასში გაკრული ხელით ეწერა: „თუ რამე დამემართა, იცოდეთ, რომ გამოძიებას არასწორი ჩვენება მივეცი. ახლა ვაცხადებ, რომ ილური-ძეების აგარაკზე მომხდარი მკვლე-ლობის ღამეს, სროლის დროს მე რა-ტისთან ერთად, ერთ ოთახში არ ვყო-ფილვარ“. წერილს ხელს მათა მოსიძე აწერდა.

ინფორმაცია მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ კითხვებიც გააჩნდა. კერძოდ, საინტერესო იყო, თუ მაინც რისი თქმა სურდა ამით რატი ილურიძის ცოლს და თავად რატომ არ გამოც-ხადდა პოლიციაში? რატომ იცრუა ჩვენების მიცემის დროს და ახლა რამ აიძულა სიმართლის თქმა? ან იქნებ სულაც ეს დაგვიანებული აღი-არებაა სიცრუე და ის რალაც საძრა-ხის მიზანს ემსახურება?

სიტუაციაში გასარკვევად ამირეჯიბმა, პირველ რიგში, მათა მოსიძის მეგობ-რის დაკითხვა გადაწყვიტა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სვეტა კვარაცხელია
ნაწარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ყალბი ლტოლვა

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-34

მისი ემოციები ყოველ წუთს იცვლებოდა. წამის წინ ისეთი დამთბარი იყო, ვერ ვცნობდი, ახლა კი კვლავ ძველებური სალი კლდე გახდა. რა უნდა, რას გადაწყვიდა? გაბრაზებულმა შევხედე... შევხედე და მივხვდი, რომ ის უმრა, რადგან კვლავ ის ღიმილი დასათამაშებდა ტუჩებზე, გამომეტყველება არ შესცვლია. იქნებ ვცდები მის შეფასებაში და რაღაც ადამიანური მასაც აქვს შერჩენილი? გადავწყვიტე, ავყოლოდი ხუმრობაში.

— იქნებ ჯობია, არ გარისკოთ? ერთი ვახშმის გამოტოვებით შიმშილით სიკვდილი ნამდვილად არ გემუქრებათ, — და კვლავ გაუღიმიე.

— არა, უნდა გავრისკო. რაღაც ძალიან მომიხდა, შენი მომზადებული კერძი ვიგემო და ვერაფერი მაიძულებს, ამაზე უარი ვთქვა.

— კარგი. თქვენ თავად მიიღეთ ეს გადაწყვეტილება, მერე მე არ დამაბრალოთ, — კვლავ გაუღიმიე და გაზქურას მივაშურე.

„იმედია, ძალას არ იხმარს“, — რატომღაც, ამ ფრაზამ გამიელვა გონებაში და ჩემივე ნაფიქრით შემცბარმა, სანამ სუფრის გაშლას შევუდგებოდი, თმა სამაგრით შევიკარი.

როცა გაზეურა ავანთე და პურის დასაჭრელად შემოვბრუნდი, ჩემდა საბედნიეროდ, სამზარეულო ცარიელი დამხვდა. შემსუბუქებულმა ახლა უკვე ხალისით გავაგრძელე დიასახლისობა, მისი იქ ყოფნა აღარ მზოჭავდა. იქნებ კვერცხიც შევუნვა, თუ ასეთი მშვი-

რია? არა, არ ღირს... ზედმეტი მზრუნველობა იქნება ჩემი მხრიდან. გარდა ამისა, მაძლარი მამაკაცი უფრო საშინაოა! განა ასე არ არის? თუ პირიქით? არ მახსოვს...

გამეცინა. რა დრო დადგა! „სალ კლდეს“ ვახშამს ვუზადებ! ოდესმე ვიფიქრებდი ამას? თუმცა, უნდა ვალია, რომ მსიამოვნებს კიდეც ეს პროცესი. ალბათ ასე სიამოვნებთ ადამიანებს, როცა გალიაში გამომწყვდეულ მტაცებელ ცხოველებს აპურებენ, მაგალითად, ცხოველთა მეფეს — ლომს ან მის „მოადგილეს“ — ვეფხვს და უხარიათ, რომ ერთხელ მაინც მიეცათ ამის შესაძლებლობა.

— რა სწრაფი ხელი გქონია! — მომესმა ამ დროს ზურგს უკან.

ამის გაგონებაზე დანით კინალამ გადავისერე თითები, ისე შევხტი. დაბნეულმა მოვიხედე. ლადო სამზარეულოს კართან იდგა და ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩემს საქმიანობას. კიდეც კარგი, ადამიანებს ერთმანეთის ფიქრების ნაკითხვა რომ არ შეუძლიათ. აი, სად დამერხეოდა!

მას ტანსაცმელი გამოეცვალა. ჯინსის შარვალი და მოკლესახელოიანი მაისური ჩაეცვა, რითაც თინეიჯერს დამსგავსებოდა. მზერა მის სახეზე გადავიტანე და გავოცდი — გუშინდელი პირქუშობის კვალიც კი არ შერჩენოდა. ისეთი მშვიდი და დანყნარებული ჩანდა, უფრო სიმბათიურიც კი მეჩვენა. ამნუთას საერთოდ გადამაჯინწყდა, მასთან საუბარში სიფრთხილე რომ უნდა გამოემჩინა და „ავჭიკჭიკდი“.

— როგორც იქნა, ნორმალურ ადა-

მიანს დაემსგავსეთ... — და მაშინვე ენაზე ვიკბინე.

წარბები ნელა აზიდა გაკვირვების ნიშნად, თუმცა მრისხანების ნიშნები არ დასტყობია.

— უკვე დიდი ხანია ვიცი, რა წარმოდგენაც გაქვს ჩემზე, — ხაზგასმით შენიშნა და მაგიდისკენ დაიძრა.

— უკაცრავად... მე სხვა რამ მინდოდა მეთქვა, — შეცბუნებული ჩემი ნათქვამის გამოსწორებას შევეცადე.

— არ არის საჭირო ახსნა-განმარტება, — თითქოს ხალისიანადაც კი შესძახა, რამაც კიდეც უფრო შემაცბუნა.

— კვერცხიც ხომ არ შეგინვათ? — სასწრაფოდ შევეცაღე საუბრის თემა.

— არა, ვიმყოფინებ იმას, რაც არის.

ამიშხინებული ტაფა მაგიდის შუაში, რკინის სამეფებზე შემოვდგი და იქვე დავდექი, რადგან სხვა ყველაფერი სუფრაზე იდო.

— ძალზე მადის აღმძვრელად გამოიყურება, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა და დაკვირვებით მოათვალიერა განწყობილი სუფრა.

ნაძალადევად გავიღიმიე... უეცრად თავში დამკრა! იგი ხომ არასდროს ჭამს სამზარეულოში, ყოველთვის სასადილო ოთახში სადილობს და ვახშმობს. ეს როგორ დამავინყდა?

— ბ...ბ...ატონო ლადო, თქვენ ხომ... იქნებ... იქნებ სასადილო ოთახში გერჩინებათ?

— დიდი მადლობა, აქაც მშვენიერ მადაზე ვარ, არა უშავს.

— როგორც გეწონოთ.

— მოდი, გვერდით დამიჯექი, — შემომთავაზა უეცრად. ელდანაკრავით შემკრთალი მორჩილად ჩამოვჯექი მის მახლობლად მდგარ ტაბურეტზე.

გაურკვეველმა მლელვარებამ ამიტანა და უნებურად მაგიდის გადასაფარებელს ჩავავლე ხელი, უაზროდ დაუწყე წვალება. მერე მუხლზე დავიფინე და ხელის გადასმას შევუდექი. რომ ეკითხა ვინმეს, რატომ ვიქცეოდი ასე, პასუხს ვერ გავცემდი. ალბათ იმიტომ, რომ რაღაც მეკეთებინა. ჯერაც ვერ მოვსულიყავი გონს. კარგ ხასიათზე მყოფ „სალ კლდეს“ პირველად ვხედავდი და ეს მაოგნებდა. ის თან გემრიელად ილუკმებოდა, თან მილიმოდა. მისი ღიმილი კი უცნაურ შეგრძნებას ბადებდა ჩემში: მომეჩვენა, რომ წამით მის სულში ჩავიხედე და იქ ისეთი გასაგები და კარგად ნაცნობი განცდები აღმოვაჩინე, რომ მთლიანად შემეცვალა წარმოდგენა მასზე.

— მართლა, არ გინდა, დანვრილე-

ბით მომიყვე, როზას რა დაემართა?
— დანტერესდა ბოლოს.

მასთან საუბრის ნამონწყება ბევრად სასარგებლო საქმედ მავიჩნიე, ვიდრე გადასაფარებლის ნვალება და მაშინვე ავლაპარაკდი.

— შაკივი ჰქონია, არც ვიცოდი. რომ მოვედი, მაშინაც ძლიერი ტკივილი ანუხებდა. ერთხანს ნამონწლილი იყო. მერე ჩვენ ბაზარში წავედით და რომ მოვბრუნდით, უკვე იატაკზე ეგდო. ძალიან შეგვეშინდა. ლევანმა მაშინვე საავადმყოფოში გააქანა. ახლახან დარეკეს, უკეთ არისო. ხვალ გამოკვლევებს ჩაუტარებენ ალბათ და... ფული იქნება გადასახდელი.

— ეგ არაფერი, მე მივხედავ მაგ საქმეს. სხვა?

— სხვა... რა ვიცი, ვასიკომაც... — დავინწყე, მაგრამ არ დავამთავრე, რადგან უმალ მომაგონდა, რომ მას ბავშვზე ლაპარაკი არასდროს სიამოვნებდა.

— რა ვასიკომაც? — კითხვა შემომიბრუნა.

ყურში მომხვდა, რომ ლადომ ძმისშვილის სახელი პირველად წარმოთქვა, მაგრამ არ შევიმჩნიე და ჩვეულებრივად გავაგრძელე.

— ვასიკომაც განიცადა. ნერვიულობს, ხომ კარგად გახდებო. როზაზე გიჟდება.

— შენც დალილად გამოიყურები...

— ჰო, — თავი დავეუქნიე და გამიხარდა, აქედან წასვლის საბაბი რომ გამომიჩნდა, — დავილაღე, თან გვიანა უკვე აჯობებს, წავიდე. მთელი დღეა, ფეხზე ვდგავარ. ხვალ დილით ვეცდები, ადრე მოვიდე... ლამე მშვიდობისა, ბატონო ლადო, — ბოლო სიტყვები ფრთხილად დავაყოლე, მაგიდას მაჯებით დავეყრდენი და წამოვდექი.

ხმა არ ამოუღია, არც დამშვიდობებია, მხოლოდ კართან მისულს დამენია მისი ხმა.

— რომელ ოთახში აპირებდი დაწოლას?

— სათამაშოების ოთახში... იქ გასაშლელი სავარძელი დგას, მაგრამ არ ღირს, შინ წავალ.

— ამ შუალამეს სად უნდა წახვიდე, დარჩი. ხვალ ხომ ისედაც აქ უნდა იყო. გვიანაა, ფეხით ხომ ვერ გახვალ.
— არა უშავს, ტაქსის გავაჩერებ...
— დარჩი! — ისეთი ტონით წარმოთქვა, ადგილზე გამაშეშა.

ერთიანად დამბურძგლა. ძლივს ხასიათზე იყო და ახლა რომ აყვირდეს, ვეღარ გადავიტან, მით უმეტეს, საშინლად ემოციური დღე მქონდა დღეს.

— დარჩი და ხვალ რამეს მოვიფიქრებთ, — მშვიდად დააყოლა რამდენიმე წამის შემდეგ.

სასწრაფოდ გავერიდე იქაურობას და ვასიკოს საძინებელში შევევარდი. ბავშვს მშვიდად ეძინა. ბრა ანთებული დაეტოვებინა. მკრთალი შუქი პირდაპირ სახეზე ადგებოდა. მივუახლოვდი, დავიხარე და შუბლზე ვაკოცე. ისე გემრიელად ეძინა, არც გაუგია. შუქი ჩავაქრე, მერე კი „ჩემს“ ოთახში გავედი, სავარძელი გავშალე და წამოვწექი. ახლა იმაზე დავინწყე ფიქრი, რას ნიშნავდა მისი სიტყვები, — ხვალ რამეს მოვიფიქრებთო. ვითომ როზას მაგივრად სხვის მოყვანას აპირებს? მერე ის ქალი? რომ გამოჯანმრთელდება, ცოლდა არ არის? რა უნდა ქნას, თუკი უმუშევარი დარჩება? მგონი, წასასვლელიც არსად აქვს. ის ხომ აქამდე მასთან ცხოვრობდა. მაგრამ ხომ შეიძლება, დროებით დაიქირავოს ვინმე, სანამ როზა გამოკეთდება? ალბათ ასეც მოიქცევა.

თხელი პლედი გადავიფარე ჩაცმულმა და თვალები დავხუჭე. ძალიან მინდოდა, ჩამძინებოდა. სავარძელი იმდენად ვინრო იყო, გადაბრუნება-გადამობრუნების შანსი არ მქონდა, ამიტომ ასე, გულადმა გაშეშებულს უნდა მეცადა დაძინება. არადა, ყველაზე ძალიან ამ პოზაში წოლა მეჯავრებოდა. ამბობენ, გულადმა უდარდელ ადამიანებს უყვართო ძილი. მე კი სულაც არ ვიყავი უდარდელი...

არა და არ გამეკარა რული. რა არ ვცადე, რა არ დავთვალე, ცხვრები, ბუხები, სპილოებიც კი... კარგ რამეებზეც ვიფიქრე და ცუდზეც, მაგრამ ისე დამათენდა თავს, თვალი ვერ მოვხუჭე.

დილით ადრე ავდექი, ჯერ კარგად არც იყო გათენებული. ერთიანად მტვხდა სხეულში, დაბეგვილივით ვგრძნობდი თავს. თან თავი მტკიოდა. სამზარეულოში გავედი და უჯრები გადავქექე, იქნებ სადმე თავის ტკივილის წამალი ვიპოვო-მეთქი.

— ყოველთვის ასე ადრე დგები? — ამ დროს ლადო დამადგა თავზე, გამოძინებული და მშვიდი სახით.

— დიას, — თავაზიანად მივუგე. სწორედ იმწუთას ანალგინს მივაგენი და გამიხარდა, რადგან შემეძლო სამზარეულოდან გავსულიყავი.

— ეგ რად გინდა? — წამალზე მიმითითა.



— ცოტა თავის ტკივილი ამყვა.
— უზმოზე არ შეიძლება წამლის დალევა.

— ვიცი...
— ჰოდა, თუ იცი, არ დალიო... ყავას მომიდულებ? თუ არ შენუხდები, რა თქმა უნდა.

ასეთი თავაზიანობის შემდეგ უარის თქმას როგორ გავხედავდი.

— ახლავ... მაგრამ იქნებ ჯერ გესაუზნაო?

— რა გვაქვს, რო?
— ლორი გვაქვს, კვერცხში შეგინავთ.


— კარგი აზრია. ყავა ცოტა მაგარი გამიკეთე.

— ანუ ორმაგი?
— ჰო, ორმაგი.

— სასადილო ოთახში შემოგიტანთ.

— არა. მე ყოველთვის სამზარეულოში ვსაუზნობ, — ცოტა არ იყოს, უხეშად მითხრა, თითქოს უკმაყოფილებას გამოთქვამდა, ეგ როგორ არ იციო.

სიდან უნდა მცოდნოდა? მე ხომ



დილით არ მოვედიოდი მათთან?
უცნაური კაცია. რატომ საუზნობს სამზარეულოში? მაშინ რისთვის სჭირდება ამხელა სახლი? ან სასადილო ოთახი რა საჭიროა, თუკი სამზარეულოში ისაუზნ-ივანსმებს? ჩემთვის გავიფიქრე, თორემ იმას როგორ გავუბედავდი ასეთი კითხვის დასმას.

არადა, მართლაც, რა საჭირო იყო



ამ უზარმაზარი სახლის აშენება, ვერ ვხვდებოდი. მისთვის სამი ოთახი სრულიად საკმარისი გახლდათ — კაბინეტი, სამზარეულო და საძინებელი... და არც მოსამსახურეები სჭირდებოდა არაფერში. ერთი მოსიყვარულე ცოლიც საკმარისი იქნებოდა, რომელიც გემრიელ სადილებს მოუშვებდა და მასზე იზრუნებდა. ბოლო ფრაზამ ჩემდა უნებურად ჩამფიქრა და ისეთი ამოვიოხხრე, გული თან ამოვავიოლე მგონი. ალბათ ამ როლში ჩემივე თავი თუ მოვიახზრე გაუცნობიერებლად.

ჩემი ოხვრა ლადოს „გაუგონარი“ არ დარჩენია.

— ასე ძალიან გტკივა? — თითქოს შემეფოთებაც კი შევატყვე ხმაში.

— რა? — სრულებით გადამავეინყდა, თავი რომ მტკიოდა.

— რა და თავი.

— აჰ! ძალიან არა, უბრალოდ, როზაზე ვფიქრობდი...

— მაგაზე არ იდარდო, ყველაფერი კარგად იქნება.

უსიტყვოდ დაუქნიე თავი და გამალებით შევუდექი დიასახლისობას. რამდენიმე წუთში ყველაფერი მზად მქონდა, სუფრა გავშალე, ოდნავ შესამჩნევად გავუღიძე „სალ კლდეს“ და სამზარეულოდან გასვლა დავაპირე.

— შენც წამე, სად მიდიხარ?

— მე... მე დილით არ ვჭამ ხოლმე.

— არა? რატომ? საუზმის გარეშე როგორ შეიძლება? თან წამალი უნდა დალიო.

— ყავას დავლევ და წამალსაც მერე...

— არავითარი! წამალს ისე არ დალევ, სანამ რამეს არ შეჭამ!

მისმა კატეგორიულმა მოთხოვნამ კვლავ მორჩილებისკენ მიბიძგა. სამუშაოდან უხალისოდ ავიღე თეფში, ძალიან მცირე ნაჭერი კვერცხიანი ლორი გადმოვიღე და, რომ იტყვიან, ლოდნა დავინყე.

— უფრო გაბედულად უნდა გაიქნინო ყბები. ვერ ხედავ, ლანდი რომ გაგდის? რას იზინკნები? სხვის სახლში კი არ ხარ!

სხვის სახლში კი არ ხარო! ღმერთო ჩემო, ამ ერთ ლამეში რამ შეცვალა ეს კაცი? ვერ ვცნობდი. ისე თბილად და შინაურულად მექცეოდა, თითქოს დაბადებიდან მის გვერდით მეცხოვროს, ამ ვებერთელა სახლის კედლებში.

საუზმემ ისე ჩაიარა, მეტი არაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის. ბოლოს ყავაც დავაყოლეთ და მეც „მშვიდობიანად“ ჩავყლაპე ანაღვინი.

სანამ ლადო ყავის სმას დაამთავრებდა, სუფრა ავალაგე და ჭურჭელიც დავრეცხე. თან ვსაქმიანობდი, თან მი-

სი „მზვერავი“ მზერა ზურგს მიხვრებდა. როცა იქაურობა მივალაგე, ვასიკოს გასაღვიძებლად გავედი, სკოლაში რომ არ დაჰგვიანებოდა. დღეს მე მომიწევდა მისი ნაყვანა.

ჩემდა გასაკვირად, ბიჭი არათუ გაღვიძებული, ჩაცმულიც კი დამხვდა.

— უკვე? — გაოცება ვერ დავმალე.

— ჰო, აბა!

— ხელ-პირი დაიბანე?

— რა თქმა უნდა.

— ყოჩაღ! — ლოყაზე ვაკოცე მისი საქციელით გახალისებულმა. — მაშინ წამო, ვისაუზმოთ.

ბიჭი ისე იყო გახარებული ჩემი იქ ყოფნით, ვერ მალავდა. ხელში ხელი ჩამჭიდა და ასკინვილათი გამომყვა სამზარეულოში. ლადო იქ უკვე აღარ დავხვებოდი. ბავშვს ჩაი დავუხსი და კარაქიანი პური და ყველი გავუშვადე, რათა დრო არ დავკარგა.

— ანა, სკოლიდან რომ დავბრუნდები, „ყიყიყი“ გამიკეთებ? — დამელრიჯა ვასიკო.

— გაგიკეთებ, რა პრობლემაა?

— შენ უნდა წამიყვანო სკოლაში, ხომ?

— ჰო.

— მაგარი! — ცერა თითი შემართა და ჭამას შეუდგა.

ის იყო, ეზოდან გავდიოდით, რომ ლადომ დამიძახა.

— მოიცა! მე გაგიყვანთ, იქიდან მანც საავადმყოფოში უნდა წავიდე!

აბა, ამაზე უარს როგორ ვიტყვოდი! მე და ვასიკომ ერთმანეთს გადავხედეთ. მისგან ამას არც ერთი ველოდით და არც — მეორე.

ისე ჩამოგვსვა სკოლის ჭიშკართან, ხმა არ გაუღია. გამდლობ-მეთქი, გავუღიძე და კარი მივხურე. ერთი არ უთქვამს, შენც ჩემთან ერთად წამოდიო. ან კი რა საჭირო იყო ჩემი თუნდაც სახლიდან წამოყვანა? თვითონ მანც იქით მიდიოდა და ხომ შეეძლო, ბავშვი თავად ჩამოესვა სკოლასთან? მასთან მარტო დარჩენას ერიდებოდა. როგორ ვერ იტანს! ნეტავ, რატომ? რამ შეაძულა ეს ბიჭი ასე? რა დაუშავა ისეთი ან ძმამ, ან ძმისშვილმა, რომ ვერ აპატია? ეს კითხვები ტვინს მიბურღავდა. ან მე რატომ დამტოვა შუა ქუჩაში? ეთქვა და მეც თან გავყვებოდი საავადმყოფოში, როზასაც ვინახულებდი და უკანაც არ მომიწევდა ფეხით წამოსვლა... რატომღაც, არც ეს ისურვავ... მისი ნებას, რა უფლება მქონდა, შესაყვედურა?

ვასიკოს მოვეფერე, ჭკვიანად იყავი-მეთქი, ყურში ჩაჭურჩულე და სანამ შენობაში შეიძლება, თვალი გავავიოლე.

ესეც ასე! ახლა რა ვქნა? შინ დავბრუნდე, თუ მეც საავადმყოფოში გავიდე? სირცხვილი არ არის, ის ქალი არ ვინახულო? მაგრამ სახლიც რომ უპატრონოდა დატოვებული? „სალმა კლდემ“ ახლა იქ რომ დამინახოს, შეიძლება მისაყვედუროს, რატომ მოხვედრი.

შინ დაბრუნება ვარჩიე. მივედი თუ არა, სადილის სამზადისს შევუდექი. რამდენი ხანია, ცხელი კერძები არ გამიკეთებია. მგონი, გადავქვივე კიდევ. მარტო ცხოვრებამ ისე გამაზარმაცა, მშრალ საქმელზეც იოლად გადავიდოდი. როცა საშუა გადმოვიდა დროებით ჩემთან, თვითონ ამზადებდა ხოლმე სადილს და ის მახვედრებდა. ძალიან მოვიწონებდი, რომ კარგი „სოუზი“ გამომსვლოდა. მგონი, გამომივიდა კიდევც. ცოტა ხანში ისეთი სურნელი დატრიალდა ჰაერში, თქვენი მოწონებული.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ... ამაღამ რა იქნება? კიდევ აქ მომიწევს დარჩენა? ამაზე ფიქრი მალეღებდა. არაფრით არ მინდოდა, კიდევ ერთი ღამე გამეთია ამ სახლში, ამ უცნაური კაცის გვერდით და ამ ვინრო სავარძელში, თავგაც რომ ძლივს მოიქნევდა კუდს!

შემდეგ სახლი მივალაგე. უზარმაზარი ოთახების დაგვა-წმენდამ ბოლო მომიღო. ნეტავ როზა როგორ აუდიოდა ამხელა საქმეს მარტო? საწყალი ქალი, თურმე როგორ იღლებოდა. შაკიკი კი არა, საერთოდ როგორ იდგა აქამდე ფეხზე?

ამასობაში ვასიკოს სკოლიდან გამოყვანის დროც მოახლოვდა. კვლავ ჩავიცვი და წავედი. ლოდინი დიდხანს არ დამჭირვებია. დაახლოებით ათ წუთში დაირეკა ზარი და ბავშვიც სირბილით გამოვარდა ეზოში. როგორც კი დამინახა, თვალბგაცისკროვნებული გამოექანა და ჩამქუტა. ნეტავ, რატომ ვუყვარვარ ასე? ნუთუ პირველი ვარ, ვინც სითბო აგრძნობინა?

— როზა ბებოს სანახავად წავალთ? — მკითხა უცებ.

— არა! ჯერ ერთი, ბავშვების იქ მიყვანა არ შეიძლება, მეორეც — მასთან ჯერ მნახველებს არ უშვებენ. აი, მალე გამოწერენ და ისევ დავგიბრუნდება. აჯობებს, სახლში დავხვდეთ.

ბავშვურად მობრუცა პატარა ტუჩები და თავიქინდრული უხმოდ გამომყვა. გაჩერებამდე მისული არ ვიყავით, რომ მობილურის ზარი გაისმა. ჩემს გაცეხებას საზღვარი არ ჰქონდა, საშუა მირეკავდა.

— გისმენ! — უკმაყოფილო ხმით ჩავეძახე.

— მჭირდები... სად ხარ? — უცნაურად შესცვლოდა ხმა.

— რაში მჭირდები? — უკმეხად ვკითხე.

— რომ განახვ, გეტყვი. ნახევარ საათში შინ დამხვდი, თუ სხვაგან ხარ.

— არ შემიძლია, ბავშვი მომეყავს სკოლიდან, ვერ მოვასწრებ!

— ბავშვიანად მოდი, სულ ერთი წუთით, პრობლემა მაქვს.

— ბოლო დროს მხოლოდ მაშინ გახსენდები, როცა პრობლემა გაქვს! შენმა ცოლმა მოგიგვაროს პრობლემები! — არ დავინდე და ხმას ავუწიე განინმატებულმა.

— ანა! გთხოვ: ყველაფერს აგისნნი! — რა იყო, შენი ცოლი ველარ გიგვარებს პრობლემებს?

— მასთან არ ვარ, ხომ იცი! — მართლა? არ ვიცოდი... როდინდ?

— გეყოფა, ნახევარ საათში მოვალ და ყველაფერს მოგიყვები, — სწრაფად მომყარა და გამითიშა.

ვასიკომ შეშინებული მზერა მომაპყრო. ასეთი განრისხებული ჯერ არ ვუნახავვარ და, ცოტა არ იყოს, დაიბნა. ახსნა-განმარტების დრო არ მქონდა. ვუთხარი, ცოტა ხნით ჩემთან გავიაროთ, რალაც ნივთებს წაშოვილებ-მეთქი და შინისკენ გავეჩვიე. ჩვენი მისვლა და საშვას გამოჩენა ერთი იყო.

არც მომსალმებია, ოფლით შუბლდაცვარულმა მხოლოდ ეს მკითხა.

— ფული გაქვს კიდევ რამე?

— რა-ა?! — ლამის ვიკვილე. — რაც მოგეცი, ჯერ ის დამიბრუნე!

— მომისმინე! დაგიბრუნებ, აუცილებლად დაგიბრუნებ, შეილებს გეფიცები! ოღონდ ახლა დამეხმარე და...

— კიდევ ითამაშე?

— ჰო და ძალიან დიდი შანსი მაქვს, რომ მოვიგო, ოღონდ თანხა მჭირდება! — ისე სწრაფად ლაპარაკობდა, თითქოს ვინმე მოსდევდა და დროზე უნდა გაქცეულიყო.

— რა უნამუსო კაცი ხარ! ხომ მითხარი, მეტს აღარ ვიზამო? ეს არის შენი სიტყვა? ნადი აქედან და თვალით არ დამენახვი!

— ანა! შენს იქით გზა არ მაქვს, მიშველე რამე, თორემ შეიძლება... შეიძლება მომკლან!

მისმა ბოლო სიტყვამ გამტეხა. მუხლები მომეკვეთა შეშინებულს. ერთხანს მტრულად მივაჩერდი, შემდეგ უსიტყვოდ ავიღე 200 ლარი და „მივაშავე“.

— სულ ეს გაქვს?

— ჰო, და მომწყდი თავიდან!

— არ დაინყო ახლა თავიდან, გთხოვ...

— როგორ დამლაღე, რომ იცოდე!

შენგან ხეირი არაფერია, პრობლემების გარდა! და შენაირი კაცი მე მასწავლიდი ჭკუას? მე მძალევი რჩევებს? საკუთარ თავს ურჩიე, თუ ასეთი მაგარი ხარ, გაიგე?! დროა, გაიზარდო. რა გეტაკა? რაც დრო გადის, უფრო და უფრო გაკლდება ჭკუა.

— ეს არ მეყოფა... გთხოვ, დამეხმარე, — თავისას არ იშლიდა საშკა, თითქოს არც გაუგონია ჩემი ნათქვამი, — იმ კაცს რომ ესესხო?

— ვის ვესესხო? — სისხლმა თავში ამასხა.

— ვისთანაც მუშაობ, იმას. ხვალვე დაგიბრუნებ, გპირდები.

— როგორ მიბედავ ამის თქმას, შე საზიზღარო! — თითები გავფარჩხე და გამწარებულმა ლამის ჩამოვპორჭყენე სახე, მაგრამ მოასწრო თავის განწევა და მხოლოდ ჰერს მოვეპოტინე, — შენი არეული ცხოვრება, კეთილი ინებე და შენვე დაალაგე. ნადი აქედან დროზე!

კრინტი არ დაუძრავს, უსიტყვოდ შებრუნდა და ოთახიდან ლამის სირბილით გავარდა.

ვასიკოს ფერი არ ედო სახეზე. ალბათ ძალიან შეეცოდა. ბავშვს ძლივს გავუღიძე, არ ინერვიულო, ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი და საძინებელში გავვდი, რომ ორიოდ ხელი ტანსაცმელი წამელო, იმ შემთხვევისთვის, თუკი კიდევ ერთი ღამით მომიწევდა ლადოსთან დარჩენა...

სალამო ხანი იყო, „სალი კლდე“ რომ გამოჩნდა. შუბლი შესჭმუნოდა. მივხვდი, მთლად კარგად ვერ იყო საქმე.

— ისადილებთ? — ხმადაბლა ვკითხე.

— რა გვაქვს?

— სოუზი.

— გამიცხელე და ახლავე მოვალ. სამზარეულოში გამიშალე!

მდუმარედ მიუჯდა მაგიდას და უგულოდ შეუდგა ჭამას. იქვე ვიდექი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, საუბარი გამება თუ მარტო დამეტოვებინა.

— თქვენ ჭამეთ? — მკითხა უცრად.

— ჩვენ კი, — თავი დავუქნიე, გამიხარდა, რომ თავად მომცა დალაპარაკების საბაზი, — როგორ არის როზა დედა?

— ცუდად, — ჩაიდუღღუნა და პურის ნაჭერი გადატეხა, — ხვალ ოპერაციას უკეთებენ.

— ოპერაციას? რის ოპერაციას?



— თავის ქალა უნდა ახადონ, სიმსივნე აქვს.

— რას ამბობთ! — ახალი ამბით თავზარდაცემულს თვალი დამიბნელდა და მაცივარს მივეყრდენი, რომ



წონასწორობა არ დამეკარგა.

— დღეს ტომოგრაფიაზე გაიყვანეს. ვერ არის მთლად სახარბილო მდგომარეობა, მაგრამ უშუალოდ უფრო მალე მოკვდება, ამიტომ ასე გადავწყვიტეთ.

— რა სამინელებათ?

— შენ კი მოგინებს დროებით მისი შეცვლა.

— მე-ე! ეს შეუძლებელია! მე... მე...

— რატომ არის შეუძლებელი? ცოტა ხნით... ფულს დაგიმატებ. წინა თვისას ამაღამვე მოგცემ, იმ თვეში კი... კიდევ დაგიმატებ.

— არა, ამის გამო არ ვამბობ.

— აბა, რა გიშლის ხელს?

— მე ამ საქმის არაფერი გამეგება. არ ვარ მიჩვეული... თან ამხელა სახლის მოვლა-პატრონობას ვერ შევძლებ... არა, ძალიან გთხოვთ!

— ანა, მომისმინე, — ლადომ ჭამა შეწყვიტა, — ამნუთას მე სხვა გამოსავალი არ მაქვს. უცხო ასე უცებ სახლში ვერ შემოვუშვებ. ლევანი ხვალ ჩამოვა და ის შემოგეშველება. ყველაფერი მოგვარდება, ნუ გეშინია. შენ გარდა, არავის იმედი არ მაქვს. უნდა დამეხმარო, კარგი? თუ როზა კარგად იქნა და დაბრუნდა, ხომ კარგი; თუ არა და, მერე ვილაცას ვიშოვი. ეს ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევა. იქამდე შენ უნდა მოგვხედო ყველას, ძალიან გთხოვ...

ენაჩავარდნილი ვიდექი და სასონარკვეთილი მიჭერებოდი ლადოს... იმწუთას ისეთი უმწეო იყო, უარის თქმა მიძნელებოდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნიღლები

ჩაუღიღი ქორღიღი

მარი ჯაღარიღი

გამარჯობა, ძვირღასო მკითღველო. როგორ ხართ? აგრიღდა და აღბათ თქვენც ნელ-ნელა ბრუნღებით აგარაკებღდან, დასვენღებულღები, ენერღიით აღსავსენი და გარღუღუღლები. გმადღობთ, რომ თემაზე კარღი ამბეღი გამოგზავენთ, სომ სედავთ, ყოველთღვის საყვეღღურღებს კი არ ვამბობ. იმეღია, ასე გააგრღებლღებთ და ჩვენი ურთიღერთანამღროღლობა გაციღლებით ნაყოფიერი იქნეზა ახალ სეზონზე (მოდაშია ახლა ეს სიტყვა). ვიღრე ამბეღს გაგაცნობღდეთ, მანამღდე ერთ მესიღჯს შემოგთავაზებთ: „გამარჯობა, „გზა“. როგორ ხართ? იცით, მიწღოდა, თემაზე ჩემ შესახებ დანღწრიღლებით მომეყოღლა, მაგრამ გადავიფიქრე და მოკლედ გეტყვით: მე ჩავშალე ქორღიღი. უფრო სწორად, ქორღიღის ლამეს გამოვექეცი ქმარს, რადგან მიღსრა, რომ ტანსაცმელი უწდა გამეხადა და მის გვერღით შიშველი დავწოღიღიღყავი. ახლა კი ვიცი, რომ სისულელე გავაკეთე, მაგრამ მაშინ 16 წლის ვიყავი და ვფიქრობღდი, რომ შეურაცღყოფა მომაცენა. ეს კი ბებიაჩემის (ბებიაჩემის დეღამთიღის) ბრალი იყო. სულ იმას მეუბნებოდა ხოლმე, ქმარს შიშველი არ უწდა დაენახვო, ასე მარტო უწესო ქაღლები იქცევიან და არც ქმარმა უწდა გაკადროს — თუ შემთღვევით თვაღი შეგასწრო, ტანისამოსს რომ იცვლი, თვაღი უწდა აგარიღდოსო. მოკლედ, ასე... 30 წლის ასაკში გავთხოვღდი მეორედ და ამ დროს უკვე ვიცოღდი, როგორ უწდა მოვცეღულიღყავი. პატივისცემით, ქაქანა“.

ქაღაქელი პატარღალი

„— საღო! — მობიღურში გარკვევით გაისმა.

— ჰო, მაამ, რამე ხღდება? — მრავალმნიშვნელოვნად ვიკითხე და პასუხს დავეღლოღდე.

— იცოღდე, დაახლოებით 10-15 წუთში უკვე სახღში ვიქნეღბი და მზად იყავი. შენებურად არ მაღლოღინო, სოფელში მივღდივართ, ბებოსთან.

— კი, მაგრამ შეგიძღლია მიღსრა, რა გვიწდა იქ? — გოცებისგან თვაღლები გამიღფართოვღდა.

აღბათ იმ მომენტში მამას რომ დავენახე, ჩვეული ლიმიღლით მეტყოღდა, თუ როგორ ვუყვარღვარ.

— ლაშა ხომ გახსოვს, ჩვენი ნათესავი რომაა? ცოღი მოუყვანია წუხელ. თბიღისეღლი გოგო ყოფიღლა, მობიღურით გაუცნიათ ერთმანეთი. წელან დამირეკეს, გამაგებინეს და დანარჩენს გზაში მოგიყვებღი. რაც გითხარი, არ დაგავიწყდეს, — მიღსრა და გათიშა.

კარაღაღში ტანსაცმელი უწესრიგოდ ეყარა. რაც პირველად მომხვღვა ხელში, ის ჩავიცვი — წითეღ-

ღი მაისური და ჯინსის მოკლე ქვეღაბოღლო.

როგორც იქნა, დამღლეღი, გრძეღლი გზის შემღდეგ ნაცნობ სოფელსაც მივალწიეთ, მერე ნაცნობი შე-

ყვოდ მანიშნა, შეღიო და თავაღაც გამომყვა. დიღი ხვეწნა-კოცნისა და მოკითხვის შემღდეგ, მასპინღლებმა გამოგკითხეს ამბეღი, არც კომპღლიმენტები დაიშურეს და ლიმიღლითაც დამასაჩუქრეს. ხაღბი

საუბარს შეჭყვა, მე კი კუთხეში, ფუშფულა, შავ სავარძელში ვიღჯექი და გამაღლებით ვმესიღჯობღდი. ისე დავიღალე პატარღლის ლოღინით, რომ გადავწყვიტე მომეკითხა. წამოვღდეღი და თავაღ-



ჩემი უღმური სახის დანახვაზე გულიანად გაეღღმა და ოღნავ მიბიღგა

მამად წარმოვთქვი: იქნებ პატარღალი გვარღ-

სახვევიც ვიპოვეთ და ნაცრისფერკარიანი სახღიც გამოჩნღდა. კარი ფართოდ იყო მოფრიაღებული და ბოღლო ხმაზე აწეული მუსიკის ხმა გარემოს აყრუებღდა. უკმაყოფილოდ ტუჩეღბი რამღდენღჯერმე გავანკლაღუნე. მამას ჩემი უღმური სახის დანახვაზე გულიანად გაეღღმა და ოღნავ მიბიღგა კარისკენ — უსიტ-

ვენოთ, ყვეღას ძალიან გვანიღტრენებს-მეთქი. ოთახს თვაღი მოვავღლე და უხერხუღლობის გასამუხტავად ნაძაღადეღად გავიღღიმე. ახალგაღმომცხვარმა „დეღამთიღმა“ გამჭრი-ახობა შემიქო და მიღსოვა, გვერღითა ოთახიღდან ახალშეუღღლებულღები გამომეყვანა, თავაღ კი ნიას სიღღამაზეღსა და კარგ აღზრდაზე დაიწყო



ლექციის კითხვა. ჰოლი ნელი ნაბიჯებით გავიარე, რამდენჯერმე გაუბედავად დავაკაკუნე და ფრთხილად შევადე კარი. ცარიელ ოთახში ლაშა მარტო იჯდა და მთელი ხმით ქვითინებდა. იატაკზე ნიას დახეული ფოტოები ეყარა. გვერდით კი წერილი ეგდო, შემდეგი შინაარსით: „ბოდიში, ლაშა... ღმერთია მოწმე, ამის გაკეთება არ მინდოდა. ჯობდა, ახლავე წავსულიყავი. მერე უფრო გამიჭირდებოდა... რა ვქნა, ვერ ვიცხოვრებ სოფელში! გთხოვ, დამივიწყე და შენი ცხოვრებიდან წამშალე. ღიმილს გისურვებ, უღევს და უჩემოს... ნია“. წერილი უკან დავაბრუნე, უხმოდ ავდექი, ოთახს თვალი მოვაველე, მერე ლაშას შევხედე, რომელმაც ჩემი მისვლა ვერც კი გაიგო და ფეხაკრეფით გამოვედი. გვერდითა ოთახიდან შეხარხოშებული ხალხის სადღეგრძელოები და სიცილის ხმა მთელ სახლში ისმოდა... ტალკერ“.

ლამის მეორედ გათხოვილი

„ზოგიერთი ჩვეულებრივ ფიქრობს ხოლმე, რომ ოჯახური საზრუნავი ყველაზე მძიმე ტვირთია ცხოვრებაში (სინამდვილეში ეს ასე არაა). ამ დროს ადამიანი ფიქრობს არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ ცოლზე, შვილზე, ნათესავ-მეგობრებზე, უფრთხილდება მათ ჯანმრთელობას. ამიტომ, დღეს ბევრი ოჯახის შექმნას თავს არიდებს ოჯახის რჩენის შიშის გამო და ამჯობინებს შემთხვევით კავშირებს. ზოგს კი არაფრის შიში არ აქვს, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს.

ქორწინება უმნიშვნელოვანესი მომენტია ადამიანების ცხოვრებაში, მაგრამ ზოგიერთს ბედი არ სწყალობს ხოლმე და ისეთი რამ ხდება, რაც არავის ავიწყდება... სულ ცოტა ხნის წინ სწორედ ასეთი რამ გადახდა ჩემს უახლოეს მეგობარს. ის 28 წლისაა, 3 წლის გოგონას

დედა. ხმამაღლა შემოძლია ვთქვა, ულამაზესია... რაოდენ ბანალურადაც უნდა აღერდეს, მასზე ექვსი წლით უმ-



ნეფე-დედოფალს განსაკუთრებული ოთახი მოუწყვეს

ცროს ბიჭს შეუყვარდა. ბათუმში სულ რამდენიმე დღის ჩასული იყო. ერთ საღამოს, ქუჩაში სეირნობის დროს, ოთხმა ახმახმა ისე სტაცა ხელი და ჩასვა მანქანაში (ამ საუკუნეში მოტაცება გიკვირთ, ხომ?), რომ გონზე მოსვლა და დაყვირებაც კი ვერ მოახერხა... მხოლოდ გზაში გააცნობიერა, რა მოხდა, როდესაც თავისზე ექვსი წლით უმცროსი თავყვანისმცემელი დაინახა. აქვე მიინდა აღვნიშნო: ეს ბიჭი ნორმალურად არც კი იცნობდა და ცხადია, ისიც კი არ იცოდა, რომ მას ქმარ-შვილი ჰყავდა. აი, სწორედ მაშინ ატეხა წივილი-კივილი, მაგრამ რას გახდებოდა? რამდენიმესაათიანი მგზავრობის შემდეგ მიიყვანეს ერთ-ერთ რაიონში, სადაც დახვდათ გაშლილი სე-

ფა, თავისი „მუზიკანტებითა“ და დაახლოებით 100-150 სტუმრით. ეს რომ ჩემმა მეგობარმა დაინახა, უარესად გადაირია. ბიჭის მშობლებს უთხრა: — სერიოზული ხალხი ხართ, ქმარ-შვილი მყავს და ჩემი და თქვენი შვილის ქორწინება არ გამოვალ, მაგრამ ერთადერთი ვაჟის ქორწინებით ისე იყვნენ მშობლები გახარებული, ქალს ყური არ უგდეს და თითქმის ძალით დასვეს სუფრასთან. გაჩაღდა

ქორწილი. ჩემი მეგობარი 2-ჯერ გამოიქცა სუფრიდან და ორჯერვე უკან დააბრუნეს ძალით. ვისთანაც ახერხებდა დალაპარაკებას, ყველას უხსნიდა თავის ოჯახურ მდგომარეობას, მაგრამ ყველა არასერიოზულად ეკიდებოდა მის ნათქვამს... ამ ტირილში, სიცილ-ხარხარში, სმა-ჭამაში დასრულდა ქორწილი. ნეფე-დედოფალს განსაკუთრებული ოთახი მოუწყვეს და დედამთილმა ღიმილიანი სახით შესთავაზა დასვენება პატარძალს... ამაზე სულ გაგიჟდა გოგო, ატეხა ერთი ამბავი, დაიმართა ისტერიკა და იმდენი ქნა, იმ ღამით დედამთილის ოთახში დაიძინა (ან რამ დაიძინა)... დილით კი როგორც იქნა, მოახერხა მობილური ტელეფონით სარგებლობა და გულგახეთქილმა მეუღლეს დაურეკა. იმან რამდენიმე საათში მიაკითხა კუთვინა ცოლს... არიქა, პატარძლის ხალხი მოვიდაო და დაინყეს სუფრის გაშლა, დღეს უფრო დიდ ქორწილს გადავიხდითო, მაგრამ რა ქორწილი და რის ქორწილი?! წესით, ქართულ ქორწილებში ქორწილის ბოლოს იწყება ჩხუბი, აქ კი სუფრაც კი არ იყო გაშლილი, ისეთი ამბავი ატყდააა! :) ადვილი წარმოსადგენია, ალბათ. P.S. აი, რა იცის გაუაზრებელმა ნაბიჯმა... როგორ გვასწავლიან უფროსები? კარგად გაიკითხე, ვისი გორისაა პატარძალიო. პატივისცემით, ლავკასტი“.

გაყოლიე გაძვირებს, მიეცა მცნების საშუალება





კახელი რომეო და ჯულიეტა

„თუ წყვილს ერთმანეთი უყვარს, ცულის ტარზეც ბედნიერად იგრძნობს თავს და ქანდარაზეც ამაყად დაიდებს ბუდესო, — ხშირად წააწყდებით მსგავს მოსაზრებას. ასეთი ფრთიანი გამონათქვამები, შეიძლება ითქვას, ზედგამოჭრილია მინდიასა და ლიზის მსგავსი წყვილისთვის (თუ არსებობენ ასეთები, საერთოდ). ორ, ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს არაფერი გააჩნია ერთი ხელი ტანსაცმლისა (რომლებიც სულ ზედ აცვიან) და ერთმანეთის გარდა. მათი პაემნები ყველასაგან გამორჩეული იყო: საზამთროს სეზონზე „მწვანე ბურთებით“ აჭრელებულ ველზე სეირნობდნენ, რთვლის დროს — ვენახში, ატმობისას — კოტე პაპას „პლანტაციებში“ და ასე უმკლავდებოდნენ ერთმანეთის მონატრებას. ერთხელ მინდიამ გულის სწორი მეზობელ სოფელში, სარწყავი არხის სათავესთან წაიყვანა და ამაყად უთხრა: აი, საყვარელო, ეს ზღვაა, იქით რომ აკაცები და ტყემლის უამრავი ხე დგას, ეგ — „დისნეილენდი“, დღეს დაგვიღამდება, თორემ „მაკდონალდსშიც“ გაატარებდიო. უკან დაბრუნებულმა ლიზიმ კი მთელ სოფელს ახარა, ხვალ მე და ჩემი ცელსიუსუ „მაკდონალდსში“ მივდივართო (რატომ — ცელსიუსუ, დღემდე ვერ გამიკვევია). ალბათ მიხვდით, რომ სიძესაც და პატარძალსაც, ამ ცხოვრებისგან მიყენებული უამრავი ტრავმის გამო ფსიქოლოგიური პრობლემები აწუხებდათ. ხან „რომეო და ჯულიეტობანას“ თამაშობდნენ, ხან — ტრისტანისა და იზოლდას როლებს ირგებდნენ, ხან სენიორიტა დანა და სენიორ ხოსე იყვნენ. მოკლედ, იმ ყველა პრობლემას, უქონლობას, ტკივილს, შიმშილსა და გაჭირვებას, რაც მათ თავს ხდებოდა, ყურს არ უგდებდნენ. ტკბებოდნენ ერთმანეთითა და ამ ცხოვრებით. ერთ-ერთი მორიგი პაემნის დროს (ატმობისას) მინდიას ხელი მოუხვევია გოგოსთვის და წამო, დღეს ნებო შევისუნთქოთო, უთქვამს. — ნებო რომ მქონდეს, ფეხსაცმელს დავანებებდი, კოტე პაპას ბოსტნის მთელი კენჭები ფეხებში მაქვს შერჭობილიო, — არ დაუყოვნებია ლიზის და უარი განუცხადებია...

— დიდი ხანია, ერთად ვართ,

რამდენი წელია, ჩემი შეყვარებული ხარ, მე კიდევ შენთვის... უკვე დიდები ვართ და ცოტა უნდა... — დანაშაულზე წასწრებული ბავშვით აკანკალებული და ლოყებანით-ლებული საუბრობდა მინდია.

— მოდი, ეკლესია რომ გაიხსნება, ჯვარი დავინეროთ, — არ დააყოვნა ლიზიმ...

გადანწყდა, როგორც კი სოფლის ეკლესიის რეკონსტრუქცია დამთავრდებოდა, ჯვარს დაინერდნენ!

ერთად ცხოვრებაზე, შვილებზე, თავიანთ სახლსა და მომავალზე ისეთი ენთუზიაზმით საუბრობდნენ, სოფლის იმ დედაკაცების თანადგომასაც კი გამოჰკერეს ხელი, რომლებიც მათი ერთად ყოფნის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ. მკვდარი მკვდარს აეკიდაო, ფიქრობდნენ ისინი.

— საყვარელო, ზღვა, მთა (ეს უკანასკნელი სად ნახეს, ნეტა?), „დისნეილენდი“, „მაკდონალდსი“, ეიფელი (რამე გამომჩა?), მტკვარი — ყველაფერი ნანახი გვაქვს და „ქორწინების დღე“ სად უნდა გავატაროთ? — მოინყინა პატარძალმა. თავლობის თვის კახური შესატყვისისა ქორწინების დღე.

— ქორწინების დღე არ ვიცი, მაგრამ ღამე კიიიიიი... — მოუთმენლობა იგრძნობოდა სიძის ხმაში. ბევრს აღარ გავაგრძელებ. ქორწილის დღე მოახლოვდა. ყველა დაპატიჟებულმა (დაუპატიჟებლები ჭარბობდნენ) სტუმარმა კარგად იცოდა, რომ სუფრისა და ჭამა-სმის იმედი არ უნდა ჰქონოდა... შეკრებილი საზოგადოების(!) ხილვისას კი ნათელი ხდებოდა, რომ ისინი ელოდნენ შოუს. ეკლესიის ეზოში მათი მისვლის მთავარი მიზეზი სანახაობა იყო და არა — „2 უბედურის“ გაბედნიერება, როგორც თავად უწოდებდნენ მათ! პატარძალს მეზობლები, თანატოლები ეხმარებოდნენ გაპრანჭვაში.

ზოგმა კაბა აჩუქა, ზოგმა — ფეხსაცმელი. სოფლის სტილისტმა ვარცხნილობა უსახსოვრა დედოფალს, მალაზიის გამყიდველმა — „მინუტკა“. სიძე ამ მხრივ ცუდ დღეში აღმოჩნდა — მარტოს უწევდა ჯვრისწერაზე ჩასაცმელი პიჯაკის, პერანგის, ჰალსტუხისა და სხვადასხვა აქსესუარის შოვნაზე ფიქრი.

სული ჩაბერა ნაზო დეიღამ — შენმა მზემ, არაფერი ავნო ამ „მარვალ-კოსტუმს“, ცუდადაა ჩემი საცოდავი ქმარი და რამე რომ დაემართოს, „უკოსტუმოდ“ არ დაგვტოვო, უთხრა სიძეს და 3 ზომით დიდი ტანსაცმელი გამოუტანა.

— მინდიააა! წამო, ბიჭო, დროა უკვე, — გაეძახე ომახიანად.

— 5 წუთი დამელოდე ან შემო და ერთად წავიდეთ.

— ბიჭო, — გაკვირვება ვერ დავმალე მისი დანახვისას, — მაგ ფეხსაცმლით მოდიხარ ეკლესიაში? არ უხდება კლასიკურ ტანსაცმელს. — მიხვდები, იდიოტობა ვთქვი, რადგან ბოტასის გარდა სხვა ფეხსაცმელი არ ჰქონდა... ერთი წამითაც არ დავფიქრდებოდი და ჩემს რომელიმე ფეხსაცმელს ვათხოვებდი, მაგრამ ჩემს „კედების სამყაროში“ კლასიკურ პიჯაკზე ჩასაცმელი არაფერი მოიძებნებოდა. სასწრაფოდ მეზობელთან, ნოდარასთან გავვარდი და იმდენი ვიყვირე, სანამ მისი ცოლის წყველა-კრულვა არ დავიშსახურე. უადრესად მოკლე დროში აუფხსენი ჩემი ხმის ჩახლენამდე ღრიალის მიზეზი და...

— არაა, შვილო, ნოდარა სახელში, მთვრალი რომ მოვიდეს და ნახოს, მის უკითხავად მოგეცი ტუფლები, გადაირევა.

დავტაცე აივანზე გასაშრობად დალაგებულ ფეხსაცმელს ხელი და 2 წამში სიძესთან გავჩნდი.

უამრავი ცნობისმოყვარე თვალის ჩერებოდა კახელ რომეოსა და ჯულიეტას. უამრავი გველური, დამპლური და ამაზრზენი კომენტარის მოსმენა შეეძლოთ იქ დამსწრეთ და



*სიმშიყვის გამოცდილების
გამრეხ ნებისმიერი სიმშინე აქლ-
სიციციაშულოა*



გულში ყველა ერთს ფიქრობდა: „სანყლები!“ ეკლესიაში შევედით. მამაო გამოვიდა. ნეფე-პატარძალი ერთი ნაბიჯით გამოეყო სანახაობა-მონყურებულ ხალხს და როგორც იქნა, რიტუალი დაიწყო. ის იყო, — თანახმა ვარო, — უნდა ეთქვა დედოფალს, რომ ეკლესიის ღია კარში ნასვამი ნოდარას სილუეტი გამოიკვეთა.

— რა უპატივცემულობაა! — აღშფოთდა სასულიერო პირი.

— ეს რატომ უნდა დაჰკლებოდა მოუს? — ახორხოცდა ბრბო...

— სიმონაი სიდედრის, უენიას დაკრძალვაზე მივდივარ, ჩქარა, ბიჭო, ტუფლები მომეცი, გაცივდა ბოზბაში, — მრისხანება იგრძნობოდა ღიმილიანი კახელის ხმაში. ფაქტი, რომელმაც დამსწრე საზოგადოების საყოველთაო ღრინაცელი, მხიარულება და ხარხარი გამოიწვია, გულსამრევი იყო და მეტი არაფერი, საუკეთესო ნიმუში — ღორობისა და არაადამიანობისა. ნოდარა თითქოს გუთანშებულნი ცხენი ყოფილიყოს, ნაკვეთში მოსახნავად შეგდებული, ისე გაიჭრა ხალხში, წააქცია მინდია, გახადა ფეხსაცმელი და ჰაერში ისე ააფრიალა, მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულები რომ ასწევნ ხოლმე მოგებულ თასს. ხალხი გამხიარულდა.

— ღირდა მოსვლა! — დაასკვნეს ერთხმად.

მიუხედავად შექმნილი უხერხულობისა, ქორწილი შედგა. ისინი ბედნიერები არიან. მათი შემხედვარე, ხანდახან ვფიქრობ: იქნებ კარგიც კია, როცა „გაკვია“, როცა სამყაროს ვარდისფერი სათვალით უყურებ და... როცა ისეთი შეყვარება შეგიძლია, როგორც არის...

P.S. ყოველ დღით შეგიძლიათ მათი ნახვა. ალიონს ერთად ხვდებიან, მაყვალს კრეფენ, შინდს, ტყემალს... შუადღეს ბაზარში მიაქვთ, ყიდიან, სასუსნავს ყიდულობენ და საღამოს რომანტიკულ ვახშამს იწყობენ... ისეთი ბედნიერები არიან, ისე უბრწყინავთ თვალები... მათ შემხედვარეს, ხანდახან ცხოვრება მეც მიხარია ხოლმე... რუისპირი (GREEN)“.

ჭურადლება!

თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

თაღლითი სიძისა და მეჯვარის დაკარგვის მიზეზი

„ერთი ძალიან მაგარი ამბავი მინდა მოგიყვებო, თე-

მეჯვარეს ვინლა დაეძებდა, სიძე-პატარა ალარსად ჩანდა



მასთან დაკავშირებით. ყველაფერს თავიდან დავიწყებ: გელა და ვახო ერთ მიყრუებულ სოფელში ცხოვრობდნენ. გელა 17 წლის რომ გახდა, ნათესავმა უცხოეთში წაიყვანა. 2 წელიწადში ვახოც უცხოეთში გადასახლდა გელას წყალობით და ორივემ იქ დაიწყო ახალი ცხოვრება. გელამ ინტერნეტის საშუალებით საქართველოში თავისი სოფელი გოგო გაიცნო და დროთა განმავლობაში შეუყვარდათ კიდევ ერთმანეთი. რამდენჯერმე გელამ შეყვარებულს საქართველოში ჩამოაკითხა და მოინახულა. მათმა მშობლებმაც იცოდნენ, რომ ერთმანეთთან სერიოზული ურთიერთობა ჰქონდათ. გელას საქართველოში დაბრუნება უნდოდა, მაგრამ მანც ყოყმანობდა. ირმამ იმდენი ქნა, დაიყოლია და გელაც თავის ფესვებს დაუბრუნდა — საქართველოში ჩამოვიდა საცხოვრებლად. მალე დაქორწინებაც გადაწყვიტეს. ყველაფერი მოაგვარეს და ბოლოს გაახსენდათ, მეჯვარე რომ იყო საჭირო. ამ ჩვენმა გელამ პატარა ბავშვივით გააფრინა ფეხები — რას ამბობთ, მეჯვარედ ვახო თუ არა, სხვა ვინ უნდა წავიყვანო და ვახოს შეატყობინეს ახალი ამბავი. 1 კვირის შემდეგ, ქორწილის დილას გელა თბილისში ჩამოვიდა და მეგობარს აეროპორტში დახვდა. ერთმანეთი მოისიყვარულეს და ბარში შესვლა გადაწყვიტეს — ცოტა რამე მივირთვათ და მერე წავიდეთ სოფელ-

შიო. საჭაპური შეუკვეთეს, მაგრამ არ მოეწონათ და თითო ნაჭერი ძლივს შეჭამეს. გელამ ვახოს ნახევრად ხუმრობით უთხრა — მო-

დი, ფული არ გადავიხადოთ და გავიპაროთ, მანც არაფერი გვიჭამიაო. ვახოს ეს აზრი მოეწონა (ბავშვობა გაიხსენეს) და სანამ გელა მიმტანს ართობდა, ის ბარიდან აიწკაპნა. მალე გელაც მიჰყვა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ერთმანეთი დაკარგეს და თბილისის უბნებში თავმოჭრილი ბატებივით დადიოდნენ და ერთმანეთს ეძებდნენ. გელას ტელეფონის ელემენტი დაუჯდა, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ვახოს ქართული ქსელის ნომერი ჯერაც არ ჰქონდა და მასთან დაკავშირებას ვერ შეძლებდა. საქორწინო კაბაში გამოწყობილი პატარძალი კი ბოლთას სცემდა ნერვიულობით, უბედურებას ხომ არ გადაეყარნენო. მეჯვარეს ვინლა დაეძებდა, სიძე-პატარა ალარსად ჩანდა და რალა თქმა უნდა, ქორწილიც ჩაიშალა. გელამ და ვახომ კი, როგორც იქნა, მოიფიქრეს და 6 საათისთვის ორივე სოფელში ჩავიდა. ირმა გაგიჟებული იყო, საქმროს ეჩხუბა, მაგრამ როცა მეგობრებმა უთხრეს, რაც გადახდათ, ბევრი იცინა და სულ გადაავიწყდა წყენა. მართალია, ქორწილი ჩაიშალა და ერთი დღის დაგვიანებით შედგა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა — მეორე დღეს დაიწერეს ჯვარი და დღეს ბედნიერები არიან ერთად! ლუნა“.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „როგორ დაისაჯა მოლაღატე“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com



„სოფელს გადნიარების უფლება არა აქვს?“

„გზის“ №33-ში დაიბეჭდა 18 წლის ნინოს მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ერთი ჩვეულებრივი დედისერთა გოგოა, რომლის ოჯახის წევრებსაც ჰგონიათ, რომ ამქვეყნად მათ შვილზე უკეთესი არავინაა და რომ მხოლოდ პრინცი ცოლობას იმსახურებს. „არადა, ერთი ბიჭი მიყვარს, ის კი პრინცი ნამდვილად არაა: ერთი სოფელი, მაგრამ ძალიან მაგარი ტიპა. მასაც ვუყვარვარ და მეუბნება, — შენებთან უნდა მივიდე და მამაშენს შენი ხელი ოფიციალურად ვთხოვო. როცა ეს ჩემებს ვუთხარი, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: იმ უნიფსვოს სიძედ ნამდვილად ვერ დავისვამო. შევეცადე, მათთვის დამემტკიცებინა, რომ გიო ჩემს სიყვარულს იმსახურებს, მაგრამ არაფერი გამომივიდა“.

„ტრადიცია არ ცვლება“

ნინომ შეყვარებულს გაპარვა შესთავაზა, მაგრამ ბიჭმა უპასუხა, — გასაპარი არაფერი გვჭირს. თუ დავქორწინდებით, მხოლოდ ტრადიციების დაცვით. გოგონა ახლა ორ ცეცხლშუაა და არ იცის, როგორ მოიქცეს. „გიო ისეთი მასტიია, რომ მიკვირს, ჩოხა-ახალუხით რომ არ დადის. მართალია, მხოლოდ 24 წლისაა, მაგრამ ულვაშებს იყენებს ხოლმე და ამყად ამბობს: ჩვენი მამა-პაპა ატარებდა წვერ-ულვაშს და მე რატომღა არ უნდა ვატაროო?.. სიმართლე გითხრათ, ულვაშის გარეშე ვერც წარმომიდგენია“.

რუიზირი (GREEN):

„ყოველთვის მეგონა, რომ დედისეთა გოგონებს შენგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. ყურადღებით განებივრებულ ცანცარა გოგონებს, როგორც წესი, „ძან ტაკოი“, მანქანით, სამსახურით, „საძიგძიგო“ ფულით უზრუნველყოფილი ბიჭები მოსწონთ, შენ კი ტრადიციულმა (ზედმეტადაც კი), სოფელმა, ულვაშთან მოგხიბლა... სალოო, რა! ჩემი აზრით, გიო ზედმეტად სერიოზულად აღიქვამს იმ მოვლენებს, რომლის გასერიოზულებასაც არანაირი აზრი არა აქვს. გირჩევ, დაელაპარაკო და შეეცადო, ცოტათი მაინც შეცვალო, უფრო თანამედროვე გახადო, თორემ მასთან ცხოვრებისა და ოჯახის შექმნის შემთხვევაში, მუდლის კაპრიზების შესრულება ძალიან გაგიჭირდება. მერწმუნე, დილით ადრე ადგომა, ბოსტინისა და ცხოველების მოვლა, სადილის კეთება, ცომიანი ხელებით სიარული და რაც მთავარია: არანაირი მოკლე

კაბა, ნითელი ლაქი და კიდევ უამრავი უაზრო შეზღუდვა იმ დიდ და ნათელ გრძობასაც გაახუნებს, რომელიც ასე გაკავშირებთ. ეცა-



დე, მშობლებს გაუგო, მათი აზრი გაითვალისწინო. საქმე ისე მოაწყვე, რომ ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა. P.S. თუ შენსას მაინც არ დაიშლი, არ გამიკვირდება, მალე ასეთ „ესემესს“ თუ მოგვწერ: ქმარმა ტრუსზე ბოქლომი დამადო და რა ვქნაო?.. ისე, ულვაში ბიჭოლასაც აქვს და რა, გოიმა?..“

ბანანა დიდა:

„გიო ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი, ეროვნული ტრადიციის დამცველი და პატივისცემელი ყოფილა! ტრადიცია არ ცვდება, მაგრამ გააჩნია, ეს ვის როგორ ესმის. მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა: თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში ცხოველებიც იზრდებიან, ნაღდი

თბილისელი კი მხოლოდ ხოსობი იყო. წარმატებებს გისურვებ!“

ლუნა:

„სიმართლე გითხრა, შენი ულვაშიანი შეყვარებული რომ წარმოვიდგინე, თვალწინ პაპაჩემი დამიდგა. მივესალმები იმ ფაქტს, რომ ტრადიციების დამცველი მამაკაცია, მაგრამ 24 წლის ბიჭისთვის ულვაშები მაინც, შეუფერებელი მგონია. ახლა, რაც შეეხება შენს პრობლემას: თუ გიყვარს, მასთან ყოფნაზე უარი არ უნდა თქვა. გირჩევ, შენი მაჩო როგორმე დაარწმუნო და მასთან ერთად გაიპარო, მშობლები კი ამას აუცილებლად გაპატიებენ. აბა, თქვენ იცით და თქვენმა ქალვაჟობამ, სიყვარულისთვის იბრძოლეთ!“

გუზუნა 17:

„შენს ადგილას, გიოს დავშორდებოდი. მხოლოდ იმიტომ, რომ გიყვარს, ცოლად არ უნდა გაჰყვე. ჯობია, მშობლებს დაუჯერო. ხომ გაგიგონია: მჯობნის მჯობნი არ დაილევო?! ჯერ მხოლოდ 18 წლის ხარ, ცხოვრება წინ გაქვს. წარმატებები!“

ნინცა 18:

„მშობლებს უნდა შეაგნებინო, რომ ადამიანი სულიერებით ფასდება. ჯერ პატარა ხარ და გირჩევ, მხოლოდ „ლოვეზე“ არ იფიქრო, სწავლასაც მიხედ. თუ გიო მართლა ისეთია, როგორც ახასიათებ, ჭკვიანი ყოფილა და საუკეთესო სიძე იქნება“.

აპრა:

„თუ გიყვარს, ყველაფერი უნდა გააკეთო საიმი-სოდ, რომ შენებმაც მიიღონ. არ მესმის, მშობლების უმეტესობას შვილის შეყვარებულის მიმართ აგრესია რატომ უჩნდება? თუ ადამიანი სოფელში ცხოვრობს და რომელიმე ოფისში კი არა, საკუთარ სახლში, ყანაში მუშაობს, ბედნიერების უფლება არა აქვს? კარგი, რა, ხალხნო, ყველა „მამიკოს ფულებით“ განებივრებული და ქალაქელი ხომ ვერ იქნება? მთავარი ურთიერთგაგება და სიყვარულია! შეეცადე და გიო მშობლებს შეახვედრე. ის მათ ადამიანურად დაეღობარაკება და ალბათ, მათ გულსაც მოიგებს“.

კათილისსურველი:

„ულვაში არ ვიცი და... შენი მშურს. ჩემი გიო რთული ხასიათის, უამრავი „აზიატური“ შტრი-



ხის მქონე, მაგრამ კარგი გარეგნობის თბილისელი შორტიანი ბიჭია. ხუმრობით ხშირად, ძველმოდურს მეძახდა, მაგრამ სინამდვილეში, სწორედ ამიტომ მივაჩნდი იდეალურ საცოლედ. ჩემი აზრით, თქვენ შორის ურთიერთობა ეტაპობრივად უნდა განვითარდეს და ბუნებრივად მივიდეს კულმინაციამდე, მე კი ბევრი ჩხუბისა და გაუგებრობის გამო გამიჭირდა იმ დასკვნამდე მისვლა, რომ მისი ცოლი უნდა გავმხდარიყავი... მან გაპარვა ბევრჯერ შემოთავაზა. დარწმუნებული ვარ, მისთვის რომ დამეჯერებინა, ყველაფრის ახსნის შემდეგ ოჯახი აუცილებლად გამოიგება, მაგრამ ჩემი მშობლები არ იმსახურებდნენ იმას, რომ უკით-

ხავად წავსულიყავი. ნერვიულობა მათ ჯანმრთელობას ზიანს მიაყენებდა და ეს ყველაფერი შესაძლოა, ფატალური შედეგითაც დასრულებულიყო. ამას ვდარდობდი, მან კი ვერ გამიგო და როცა ისევ მითხრა: გავიპაროთო, მე კი კვლავ უარი ვუთხარი, მიმატოვა. ზუსტად ვიცი, დღემდე სიგიჟემდე ვუყვარვარ, ვერ მივიწყებ და იტანჯება, მაგრამ იმდენად პრინციპულია, რომ ხვეწნას არ დამიწყებს...”

ნიკოლო:

„შენი გიო მაგარი მასტი ყოფილა, მშობლების გამო კი გულწრფელად თანაგიგრძნობ. მისმინე, შენ ხარ პიროვნება და გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად უნდა მიიღო. იმედია, მონური სული არ

გაქვს და შენსას ბოლომდე, რქებით გაიტან. ახლა მშობლებს ცხვარით რომ დაუხარო თავი, ამას მიეჩვევიან და შენ ნაცვლად იცხოვრებენ. შეყვარებულს ნურაფერს დაუშავებ. ერთად მოიფიქრეთ, თუ როგორ უნდა გადალახოთ ეს დაბრკოლება. წარმატებები!“

IDEAL MAN:

„სოფელ ბიჭზე გათხოვებას არ გირჩევ. მერწმუნე, თავად სოფელში დაბადებულ-გაზრდილებს არ უნდათ ძროხების წველა და შენ, ქალაქელი სოფელში უნდა გათხოვდე? მშობლებს დაუჯერე... ისე, კარგი ბიჭების მეტი რა არის?! ერთი წავა და სხვა მოვა. მე ჩემი ვთქვი, შენი საქმისა კი შენ იცი...”

„ქმარი უნამუსო, გარეწარმა ქალმა წამართვა“

„გზის“ №33-ში დაიბეჭდა ნუკის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ წლების წინ მოიტაცეს და მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი არ უყვარდა, მშობლებმა მაინც მასთან დატოვეს. სამწუხაროდ, მისი მეუღლე ზნედაცემული ადამიანი აღმოჩნდა: „7 თვის ორსულსაც კი მირტყამდა და ახლაც მცემს ხოლმე... სიმაართლეს ვერავის ვეუბნები, ყველაფერს გულში ვინახავ ჩემი 2 წლის შვილის ხათრით — არ მინდა, მას მამა დავაკარგვინო...”

ნუკიმ ისიც გაგვიხილა, რომ უკვე გათხოვილი სვდებოდა ჯგუფულ ბიჭს, რომელსაც წლების წინ არაფრად აგდებდა. „მას 7 წელი ვუყვარდი, მაგრამ ჩემი გული ვერაფრით მოიგო... ამას წინათ, სრულიად შემთხვევით შევხვდი. ის ჩემი მესაიდუმლე გახდა, ქმრისგან მოყვნილებულ ტანჯვას ვუზიარებდი და ჩემდა უნებურად, სხვა თვალით შევხედე... მაგრამ ის უკვე სხვაზე იყო შეყვარებული და ოჯახიც შექმნა“.

SAILOBREE:

„არ დაგიძალავ და შენაირ გოგონებზე გული მერევა. 7 წელი თავს თუ იფასებდი, ახლა მეტის ღირსი ხარ! გირჩევ, მოძალადე მიატოვო... 5 წელია, გოგო მიყვარს, მაგრამ ის თავიდან მიშორებს, შანსს არ მაძლევს. ჰოდა, ვფიქრობ, რომ ქალებს, განსაკუთრებით კი ქართველებს, მაგარი დავკონსერვებული აზროვნება გაქვთ, თავის დაფასებაც კი არ იცით ზომიერად. ფუჰ, უკვე სიცოცხლაც აღარ მინდა“.

ნიკოლო:

„შენ უნიჭო, უთავმოყვარეო, ბრიყვი და გამაღიზიანებლად კეთილშობილი ქალი ხარ. ქმარი გირტყამს და ვითომც არაფერი, არა? დარწმუნებული ვარ, იმ ბიჭმა შეგატყო, რომ უსუსური, უინტერესო არსება იყავი და არჩევანი სხვაზე, უფრო ღირსეულზე ამიტომაც შეაჩერა. შენს შვილს შენაირი დედა არ გამოად-

გება. იცოდე, მეტად ბრძოლისუნარიანი და „ჟილიკიანი“ უნდა გახდე. იმ ბიჭთან ურთიერთობა გააგრძელე და შანსი თუ მოგეცემა, მასზე უარი აღარ თქვა. დამიჯერე, ზედმეტი პატიოსნებით ვერაფერს მოიგებ“.

ნაოში:

„სინსილა, სინსილა განყდა კაცების! კარგი ქენი, ის ვითომდა თავი ვანიმცემელი რომ ჩამოიშორე. მასთან შეხვედრაზე აღარც იფიქრო. უკვე ცოლი ჰყავს და ეს არ უნდა დაგავიწყდეს. გაკოცე P.S. ამ ნომერზე 5(98) 13.58.91 შემეხმინე...“

სვანის ასული:

„შენ აშკარად, ზედმეტი ხარ და კარგია, უკან დახევა რომ გადაწყვიტე. ნათქვამია: სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო. თქვენი ურთიერთობა პლატონურ სიყვარულს, გულახდილ საუბრებს ვერ გასცდა, იმ გოგოსთან კი ოჯახი შექმნა. სამწუხაროდ, ბედს უნდა შეეგუო. არა

მგონია, ისევ შეგეხმინოს, საამისოდ გამბედაობა არ ეყოფა. კაცები გაურკვეველი სიტუაციის დროს უბრალოდ, ქრებიან და ახსნა-განმარტებებით თავს ნაკლებად ინუხებენ. მაგრამ მაინც, განვლილი სასიამოვნო წუთებისთვის მადლობა გადაუხადე და სამუდამოდ დაემშვიდობე. ბედნიერებას გისურვებ!“

ხათუნა:

„ქმრისგან ცემის ატანას სჯობია, მარტო იცხოვრო. დედ-მამას დაეღობარავე და მალე მიხვდები, რომ ცხოვრება მამაკაცის უნამუსო საქციელის გარეშეც ლამაზია. იმ კაცს კი შეეშვი, სხვის უბედურებაზე აგებული ბედნიერება არაფერში გჭირდება. მინდა, ბედნიერი იყო. მეც მარტო ვზრდი შვილს; ქმარი უნამუსო, გარეწარმა ქალმა წამართვა. თქვენი ერთგული მკითხველი“.

პრანჭია:

„მართლა მსხვერპლი ხარ და ცუდი არაფერი ჩაგიდენია — შენი ქმარი ლალატს ნამდვილად იმსახურებს! მას აუცილებლად უნდა გაშორდე, თორემ როცა ბავშვი გაიზრდება, გისაყვედურებს: ასეთ მამას რატომ მათყუებინეო (დედაჩემს მეც ზუსტად ეს სიტყვები ვუთხარი)?!. და კიდევ, შენი ძველი შეყვარებული თუ შეგეხმინება, „იგნორი“ გაუკეთე. მისი ცოლი შეიცოდე და ახალი სიყვარული ეძებ“.

გუზლუ-გუზლუ 17:

„არა მგონია, იმ ბიჭს ჰყვარებოდი. თუ დაგირეკავს, უთხარი, — შენი სალადავო არაფერი მჭირს-თქო. მეუღლეს დაუბრუნდი, მისგან ხომ შვილი გყავს. პატარის აღზრდაზე იფიქრე და ფეხებზე დაიკიდე კაცი, რომელმაც აბუჩად აგიგლო“.




მოხილი-ზასია

იმისათვის, რომ თქვენ მესიჯი „მოხილი-ზასიაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ გრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ. მისიჯის ფასი 50 თეთრი

ქაღაბი



1. გთხოვთ, „გზა“ 32-ის მე-20 სმს-ის ავტორს მისწეროთ ჩემი ნომერი ან მე მომწეროთ მისი.
2. გამარჯობა, მარი, გთხოვ, მომცე „გზა“ 33-ე ნომრის 38-ე მესიჯის ავტორის კოორდინატები.
3. გავიცნობ სერიოზულ, ცოლს გაცილებულ ბიჭს, 27-36 წლამდე, შეძლებულს, თბილისელს. ვარ უბრალო, კარგი, თბილი გოგო.



მამაკაცები

4. გთხოვთ, მომცეთ 33-ე ნომრის მე-2 მესიჯის ავტორის ნომერი.
5. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, ლამაზ მანდილოსანს.
6. ვარ 28 წლის, სიმპათიური მამაკაცი. მაქვს საკუთარი ბინა და ჯიპი. ვმუშაობ ბანკში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 18-დან 28 წლამდე ასაკის, წესიერ და ლამაზ გოგოს.
7. ვეხმარები 32-ე ნომრის მე-3 სმს-ის ავტორს. თუ შეიძლება, რომ მომცეთ მისი ნომერი?
8. გავიცნობ მამაკაცურ სიტბოსა და სიყვარულს მოკლებულ გოგოს. გულნატკენი ისევ გულით მორჩება. გელოდები.
9. გავიცნობ 32 წლამდე ასაკის, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს. ვარ

- 35 წლის, უზრუნველყოფილი მამაკაცი. სასურველია, იყოს ქუთაისელი.
10. ვეხმარები 33-ე ნომრის 1-ელი სმს-ის ავტორს. დამირეკოს ან მისი ნომერი მომეცით. ჯაბსონა.
11. ვეხმარები „გზა“ №33-ში დაბეჭდილ, მე-4 სმს-ის ავტორს. ვარ 23 წლის, სახელად — კახა. თუ შეგიძლიათ, ჩემი ნომერი მიეცით ან მე მომეცით მისი ნომერი.
12. გავიცნობ თბილისელ, მომზიბვლელ მანდილოსანს, 35 წლამდე, მარტო მცხოვრებს. ვარ 28 წლის, დასაქმებული. გასართობად არ შენუხდეთ.
13. ვეძებ ოც წლამდე ასაკის, სიმპათიურ გოგონას.
14. გავიცნობ 22 წლამდე ასაკის, სიმპათიურ, უკომპლექსო გოგოს, თუნდაც განათხოვარს. ვარ 22 წლის, სიმპათიური ბიჭი.
15. გავიცნობ ქალბატონს, ფარული შეხვედრებისათვის, იმერეთის რეგიონიდან. ვარ 50 წლის. 181 სმ, 83 კგ.
16. გთხოვთ, ნომერ 31-ში გამოქვეყნებული, მე-3 სმს-ის ავტორს მისცეთ ჩემი

- ნომერი ან მისი მომწერეთ. წინასწარ გისდით მადლობას.
17. ვეხმარები №33-ში გამოქვეყნებულ, მე-3 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ ნომერი.
18. ოჯახის შექმნის მიზნით ვიახლობლებდი ძალიან ლამაზ, ზრდილ, მეოჯახე, 27 წლამდე ასაკის, ამბროლაურელ, სანდო ქალიშვილთან. ვარ 43/174/80, სანდო, უმაღლესი განათლებით, ნაკლიანი მამაკაცი.
